თარგმნა ნინო სამუკაშვილმა
«ნაკადული“ 2006

<u>ი ტ ა ლ ი უ რ ი ზ ღ ა პ რ ე ბ ი</u>

გადაფურცლეთ ეს წიგნი და ჩაუკვირდით, მრავალ საინტერესო ზღაპარს წაიკითხავთ.

იტალიელი ხალხის ფოლკლორში იგრძნობა ხალხის უდიდესი სიყვარული სამშობლოსადმი, მათ ჩანაფიქრს, სიბრძნეს ხორცი შეასხა პოეტურმა სიტყვამ. ზამთრის გრძელ ღამეებში მოხუცები კერიებთან ისხდნენ და ხალხურ მარგალიტებს მარცვლავდნენ. შვილის საწოლთან დახრილი დედა ხალხურ სიმღერებს მღეროდა, ჰყვებოდა ზღაპრებს ეშმაკ მსახურებზე, გამბედავ უფლისწულებზე, მშვენიერ მეფის ასულებზე.

სხვადასხვა ხალხთა ზღაპრები ერთმანეთს რომ შევადაროთ, დავრწმუნდებით, მათ მტკიცედ ანათესავებთ გამარჯვების რწმენა, მართალი ადამიანის ძალა. ზღაპრებში სიმართლე მუდამ იმარჯვებს უსამართლობაზე, სიკეთე — ბოროტებაზე.

1954 წლამდე იტალიური ზღაპრების შევსება-დამუშავებაზე არავის უფიქრია, იტალიას არ ჰყავდა ძმები გრიმები, არ ჰყავდა თავისი აფანასიევი. დიალექტებზე არსებობდა მრავალი ჩანაწერი, მაგრამ ნაციონალური კრებულები არ გამოდიოდა. იტალო კალვინომ, ცნობილმა იტალიელმა მწერალმა, გადაწყვიტა ამ ხარვეზის შევსება.

1954 წელს იტალო კალვინო იტალიური ხალხური ზღაპრების ფანტასტიკურ სამყაროში ჩაეფლო. თავის ამოცანას იგი მიუდგა არა როგორც მეცნიერი და ფოლკლორისტი, არამედ როგორც მწერალი. ორი წლის შეუპოვარი შრომის შემდეგ კალვინომ შეარჩია და დიალექტებიდან იტალიურ ლიტერატურულ ენაზე თარგმნა ორასი ხალხური ზღაპარი, იმდენი, რამდენიც გრიმების კრებულში იყო. აი, რას წერს ამ ორ წელზე კალვინო: ‘ორი წელი მოჯადოებულ ტყეებსა და ციხე-კოშკებში ვცხოვრობდი. სამყარო ზღაპრულ ატმოსფეროდ მეჩვენებოდა: გველებით ამოვსებული უფსკრულები რძის მდინარეებად იქცეოდა. მოჯადოებულმა, გაქვავებულმა სამეფოებმა გამოიღვიძეს. ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს ჩემ მიერ გახსნილი ჯადოსნური კოლოფიდან ამოვარდა ზღაპრული სამყაროს ლოგიკა და კვლავ დამკვიდრდა დედამიწაზე». ხალხური ზღაპრების ლოგიკა, კალვინოს აზრით, თვით ხალხის ლოგიკაა, უბრალო და ბუნებრივი დამოკიდებულება ადამიანსა და ადამიანს შორის, ადამიანსა და ბუნებას შორის, ადამიანსა და საზოგადოებას შორის.

ამ კრებულში მოთავსებული თარგმანები ამოღებულია წიგნიდან: ‘იტალიური ზღაპრები, ჩაწერილი ბოლო ასი წლის მანძილზე, დამუშავებული და თარგმნილი თანამედროვე ენაზე იტალო კალვინოს მიერ». ჯულიო ეინაუდის გამომცემლობა, 1956 წ.

ჩაძვერი ტომარაში!

დიდი ხნის წინათ ნიოლის უკაცრიელ მთებში ცხოვრობდა ერთი ბერიკაცი. თორმეტი ვაჟის მამა იყო. იმ დროს ქვეყნად შიმშილობა მძვინვარებდა. ძალიან გაუჭირდა ბერიკაცს და შვილებს უთხრა:

— შვილებო, აღარ შემიძლია თქვენი რჩენა. წადით, მოიარეთ ქვეყანა და თქვენი ბედ-იღბალი ეძიეთო.

ბერიკაცის უმცროსი ბიჭი კოჭლი იყო. რომ დაინახა, ძმები წასასვლელად ემზადებიანო, ტირილი წასკდა:

— მე რაღა ვქნა, როგორ ვიშოვო ლუკმაპური, კოჭლი ვარ, უძლურიო.

— რა გატირებს, ბიჭო, წაჰყევი ძმებს, რასაც იშოვნიან, შენც გაგინაწილებენო, — დაუყვავა მამამ უმცროს ბიჭს.

ძმებმა შეჰფიცეს ერთმანეთს, რაც არ უნდა შეგვემთხვეს, ერთიმეორეს არ დავშორდეთო, და გზას გაუდგნენ.

იარეს ერთი დღე, მეორე დღე. უმცროსი ფეხაყოლებით ვერ მიჰყვებოდა ძმებს, სულ უკან რჩებოდა. დაწინაურებული ძმები დაუცდიდნენ ხოლმე, წამოეწეოდა უმცროსი და ისევ გაუდგებოდნენ გზას.

მესამე დღეს უფროსმა ძმამ უმცროსებს უთხრა:

— ძმებო, ფრანჩესკოს ფეხზე სიარული ხელს არ მოგვცემს. მოდი, მივატოვოთ, ჩვენც სულს მოვითქვამთ და ისიც. იქნებ ვინმე ღვთისნიერი კაცი შეხვდეს და დაეხმაროსო.

თქმა და შესრულება ერთი იყო, აღარ დაუცადეს ჩამორჩენილ ფრანჩესკოს. ძმები გზადაგზა მოწყალებას თხოულობდნენ. ასეთი ვაი-ვაგლახით და წვალებით, როგორც იყო მიაღწიეს ქალაქ ბონიფაჩოს.[1] ქალაქში რომ შევიდნენ, ნავსაყუდელთან მიბმული ნავი დაინახეს. უფროსმა ძმამ თქვა:

— მოდი, ჩავსხდეთ ამ ნავში და სარდინიაში[1] წავიდეთ. იქნებ იქ არ არის შიმშილობა და სული მოვიბრუნოთო.

ჩაჯდა თერთმეტი ძმა ნავში, მოუსვეს ნიჩბები და გაცურეს. შუა სრუტეში რომ შევიდნენ, უცებ საშინელი ქარიშხალი ამოიჭრა, ნავი კლდეს მიანარცხა და სულ ნაფოტებად აქცია. ძმებმა კი თქვენი ჭირი წაიღეს, თერთმეტივე დაიხრჩო.

იარა საწყალმა ფრანჩესკომ, იარა, ბევრი უძახა ძმებს, ბევრი იტირა და მერე დაოსებული იქვე, გზის პირას მიეგდო და ჩაეძინა.

თურმე იმ მხარეში ფერია ცხოვრობდა. ფრანჩესკო რომ გზის პირას მიეგდო, ფერია ხეზე იჯდა, დაინახა, რა უბედურ დღეში იყო ბიჭი, ძირს ჩამოვიდა, დაგლიჯა ჯადოსნური ბალახი, გააკეთა ბალზამი, დაადო გამრუდებულ ფეხზე ბიჭს და ხელად გაუსწორა ფეხი. მერე ღარიბ დედაბრად გადაიქცა, ჩამოჯდა ფიჩხის კონაზე და ფრანჩესკოს გაღვიძებას დაელოდა.

გაახილა თუ არა თვალი ფრანჩესკომ, მკვირცხლად წამოხტა და მაშინვე იგრძნო, რომ ფეხი გასწორებოდა. მიიხედ-მოიხედა, დედაბერი დაინახა და ჰკითხა:

— სინიორა, ექიმი არ დაგინახავთო?

— ექიმი? რად გინდა ექიმი? — ჰკითხა დედაბერმა.

— მინდა მადლობა გადავუხადო. ალბათ დიდი დასტაქარი იყო, რომ გამრუდებული ფეხი გამისწორაო.

— ის ექიმი მე ვარ. ყოველგვარი ჯადოსნური ბალახი ვიცი, ისეთი ბალახიც, კოჭლს რომ ფეხს გაუსწორებსო.

გაუხარდა ფრანჩესკოს, გადაეხვია დედაბერს და ღაწვები დაუკოცნა.

— დედი, რით გადაგიხადო მადლობა? მოდი, ამ ფიჩხის კონას მაინც წაგიღებო! — დაიხარა ფრანჩესკო გუდურის ასაღებად და წელში რომ გაიმართა, მის წინ ღატაკი დედაბრის ნაცვლად მზეთუნახავი იდგა. ოქრომკედით ნაქარგი ლურჯი აბრეშუმის კაბა ეცვა ქალს, ალმასის ვარსკვლავი უბრწყინავდა ფეხსაცმელზე, ქერა კულულები წელზე სცემდა. გაოცებული ფრანჩესკო ფეხებში ჩაუვარდა ფერიას.

— ადექი, — უთხრა ფერიამ ფრანჩესკოს. — ვხედავ, კეთილი გული გაქვს და დაგეხმარები. ორ სურვილს შეგისრულებ მხოლოდ. მე კრენოს ტბის ფერიათა დედოფალი ვარ.

დაფიქრდა ფრანჩესკო და უთხრა:

— ისეთი ტომარა მინდა, რასაც ჩავუთქვამ, ყველაფერი გამიჩინოსო.

— კარგი, კიდევ რა გინდაო?

— ისეთი კომბალი მიბოძე, რასაც ვუბრძანებ, გააკეთოსო.

— კომბალსაც მიიღებო, — უთხრა ფერიამ და გაქრა.

დაიხედა ძირს ფრანჩესკომ: ფეხებთან ტომარა და კომბალი ედო. გაუხარდა. ახლავე უნდა გამოვცადო ამათი ძალაო, გაიფიქრა. საშინლად შიოდა და ჩაუთქვა:

— აბა, ჩემო ტომარავ, შემწვარი ხოხობი მომართვიო.

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, ტომარაში უკვე იდო შემწვარი ხოხობი.

— პურიც მინდა!

პურიც იმ წუთს გაჩნდა ტომარაში.

— ერთი ბოთლი ღვინოც მომართვიო!

ფრანჩესკო მადიანად შეექცა, გახალისდა, გული მოეცა და მხიარულად გაუდგა გზას. მაძღარი იყო, აღარც კოჭლობდა. იარა, იარა, და მეორე დღეს ქალაქ მარიანაში[1] შევიდა. მთელს იტალიასა და კორსიკაში ეს ქალაქი ბანქოს სათამაშო სახლებით იყო განთქმული.

ფრანჩესკოს სულს იქით არა ებადა რა. ასწია თავისი ტომარა და ჩაუთქვა:

— აბა, ჩემო ტომარავ, ასი ათასი სკუდო გამიჩინეო.

ტომარა იმ წუთს ოქროს ფულით აივსო.

ხელად გავარდა ხმა მარიანაში: მდიდარი უფლისწული დი სანტო ფრანჩესკო ეწვია ჩვენს ქალაქსო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეშმაკს ძალიან უყვარდა ქალაქი მარიანა. გადაიქცეოდა ლამაზ ჭაბუკად, ვინც მოხვდებოდა, ყველას ეთამაშებოდა ბანქოს, მოუგებდა ფულს და მერე ვალში სულს მოსთხოვდა.

უცხოელი უფლისწულის ჩამოსვლა რომ გაიგო ეშმაკმა, გადაიქცა ულამაზეს ჭაბუკად და შინ ეწვია ფრანჩესკოს.

— სინიორ უფლისწულო, მომიტევეთ კადნიერება, მაგრამ ისეთი კარგი მოთამაშის სახელი გაქვთ გავარდნილი, რომ ცთუნებას ვერ გავუძელი და გასაცნობად გეახელითო, — უთხრა ეშმაკმა.

— ოი, ნუ მარცხვენთ. ბანქო ჩემს სიცოცხლეში ხელში არ ამიღია. მასწავლეთ თამაში და სიამოვნებით გეთამაშებით რამდენიმე ხელს. თქვენი დახმარებით უთუოდ მალე დავოსტატდებიო, — უპასუხა ფრანჩესკომ.

ეშმაკი ისე კმაყოფილი იყო თავისი დარბაზობით, რომ გამოთხოვებისას სიფრთხილე გადაავიწყდა და უნებლიეთ ფეხი წინ წადგა. წადგა და ფრანჩესკომ თვალი ჰკიდა თხის ჩლიქებს.

აჰა, აი, თურმე ვინ მეწვია, თვით ეშმაკი. კარგი, დამაცადე, ისეთ დღეს დაგაყრი, სულ თავბედს იწყევლიდეო, — გაიფიქრა ფრანჩესკომ.

მარტო რომ დარჩა, თავის ტომარას ჩაუთქვა: ერთი კარგი საუზმე მაჭამეო.

მეორე დღეს უფლისწული დი სანტო ფრანჩესკო ბანქოს სათამაშო სახლს ეწვია. სახლი ხალხით იყო გაჭედილი, საშინელი ჩოჩქოლი და გნიასი იდგა. გაარღვია ფრანჩესკომ ხალხის წრე და იატაკზე გაშხლართული, სისხლში მცურავი ჭაბუკი დაინახა.

— ამ ჭაბუკმა რაც ებადა, სულ ბანქოში წააგო და სასოწარკვეთილმა ხანჯლით გული გაიგმირაო, — უთხრეს ფრანჩესკოს.

ყველა წუხდა, ყველას ებრალებოდა ჭაბუკი, მარტო ერთ ახალგაზრდას ეღიმებოდა ულვაშში. ‘ნამდვილად ეს არის ჩემი გუშინდელი სტუმარიო». — გაიფიქრა ფრანჩესკომ.

— კარგით, გეყოფათ წუხილი, მოდით თამაში გავაგრძელოთო, — თქვა ეშმაკმა.

შემოუსხდნენ მაგიდას.

ფრანჩესკომ თამაში არ იცოდა. იმ დღეს სულ ერთიანად წააგო, რაც თან ფული ჰქონდა. მეორე დღეს ცოტა გაიწაფა თამაშში, წაგებით კი წინა დღეზე მეტი წააგო. მესამე დღეს უკვე კარგად თამაშობდა და მაინც იმდენი წააგო, რომ მოთამაშეებმა გაიფიქრეს, მთელი თავისი ქონება აქ დატოვა უფლისწულმაო.

ფრანჩესკომ წარბიც არ შეხარა. რა ენაღვლებოდა, ერთს უბრძანებდა თავის ტომარას და თუნდ ოქროს მთებს დაუდგამდა.

ეშმაკმა გადაწყვიტა, ქვეყნად ყველაზე მდიდარი ადამიანი გავაღატაკეო, გზაზე ჩაუსაფრდა შინ მიმავალ ფრანჩესკოს და საუბარი გაუბა:

— სინიორ უფლისწულო, ვწუხვარ, რომ ბედმა არ გაგიღიმათ თამაშში. მინდა, დახმარება შემოგთავაზოთო.

— რით შეგიძლიათ ჩემი დახმარებაო? — ჰკითხა ფრანჩესკომ.

ეშმაკმა მიიხედ-მოიხედა და ყურში უჩურჩულა:

— სული მომყიდეთო.

— აი, თურმე რა გნებავს, შე უწმინდურო, შენა. აბა, ჩაძვერ ტომარაშიო! — წამოიძახა ფრანჩესკომ.

ეშმაკს ჩაეცინა და ის იყო უნდა მოეკურცხლა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, სად გაექცეოდა ტომარას, თავდაყირა გადაეშვა შიგ. ფრანჩესკომ ტომარას თავი მოუკრა და კომბალს უბრძანა:

— აბა, ჩემო კომბალო, მისცხე მაგარ-მაგარიო.

გიყვარდეს, დასცხო და დასცხო კომბალმა. ეშმაკი წრიალებდა ტომარაში, ღრიალებდა, იწყევლებოდა.

— გამიშვი! გაჩერდი, თორემ სული გამძვრებაო!

— არა გიშავს რა, არ მოკვდები. თუ მოკვდი, დიდი უბედურება არ იქნებაო! — უყვიროდა ფრანჩესკო.

სამი საათი უხათქუნებდა კომბალი ეშმაკს.

— დღეისთვის გეყოფაო, — თქვა ფრანჩესკომ და კომბალი მაშინვე გაჩერდა.

— ოღონდ გამიშვი და რაც გინდა მთხოვეო! — შეევედრა ეშმაკი ფრანჩესკოს.

— კარგად დამიგდე ყური: თუ გინდა გაგიშვა, ჯერ შემომფიცე, რომ მკვდრეთით აღადგენ ყველას, ვისაც კი ბანქოს სათამაშო სახლში თავი მოაკვლევინეო! — უთხრა ფრანჩესკომ.

— კარგი! ვფიცავ ჯოჯოხეთს, შევასრულებო! — დაიფიცა ეშმაკმა.

— მაშ, ამოდი! იცოდე, ჩემს ხელთა ხარ. როცა მომინდება, მაშინვე გიკრავ თავს ტომარაში.

ეშმაკს შეეშინდა და სიტყვის გატეხა ვერ გაბედა. ჩაძვრა ჯოჯოხეთში. მალე იქიდან ერთიმეორის მიყოლებით ამოვიდნენ გაფითრებული, თვალებანთებული ჭაბუკები.

— მეგობრებო, თქვენ ბანქომ დაგღუპათ, გაგაღატაკათ, სიცოცხლეს გამოგასალმათ. მე მკვდრეთით აღგადგინეთ. არ ვიცი, შევძლებ კიდევ თუ არა ასეთი საქმის გაკეთებას. ამიტომ პირობა უნდა მომცეთ, რომ დღეის იქით ქაღალდს ხელში არ აიღებთ. თუ სიტყვას მომცემთ ცოცხალს დაგტოვებთო, — გამოუცხადა ფრანჩესკომ მკვდრეთით აღმდგრებს.

— ვფიცავთ! ვფიცავთო! — ერთხმად დაიძახა ყველამ.

— კარგით, მჯერა თქვენი. აი, გამომართვით, თითოს ათას-ათას სკუდოს გაძლევთ. წადით და დღეის იქით პატიოსანი შრომით ირჩინეთ თავიო, — უთხრა მათ ფრანჩესკომ.

გახარებული ჭაბუკები დაიშალნენ. ზოგის მშობლები ისევ ძაძებში იყვნენ გახვეულები, ზოგისა — ჯავრს გადაჰყოლოდა.

ფრანჩესკოს გაახსენდა თავისი მოხუცი მამა და გულმა შინ გაუწია. მაშინვე გაუდგა გზას.

იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა, გზაზე ერთი ბიჭი შემოეყარა. ბიჭი ისე იყო გამწარებული, რომ სულ თითებს იმტვრევდა.

— ეი, ბიჭო, რას შვრები, მანჭვა-გრეხით ვაჭრობ? რა ღირს დუჟინი?

— ხუმრობის გული არა მაქვს, სინიორ, — უპასუხა ბიჭმა.

— რა იყო, ისეთი რა გაგიჭირდა?

— მამაჩემი შეშის მჭრელია. მთელი ჩვენი ოჯახის მარჩენალი ის არის. ამ დილას წაბლის ხიდან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა. გავიქეცი ექიმთან, მაგრამ არ გამომყვა. იცის, სულს იქით არა გვაბადია რა და გაჭირვებულისთვის თავი არ შეიწუხა.

— სულ ეს არის? დამშვიდდი, ბიჭუნი, ყველაფერს მე მოვუვლიო.

— ექიმი ბრძანდებით, სინიორ?

— არა, მაგრამ თუ იმ ექიმის სახელს მეტყვი, ახლავე აქ გავაჩენ.

— პანკრაციო ჰქვია, სინიორ, — უპასუხა ბიჭმა.

— კეთილი და პატიოსანი. აბა, ექიმო პანკრაციო, ტომარაში ჩაძვერიო! — დაიძახა ფრანჩესკომ.

არ გაუვლია ერთ წუთს და ექიმი პანკრაციო, თავისი ხელსაწყოებიანად ტომარაში ჩაძვრა.

— აბა, ჩემო კომბალო, დატრიალდი და ჭკუა ასწავლე ამ ექიმსო, — უბრძანა კომბალს ფრანჩესკომ.

დატრიალდა კომბალი.

— მიშველეთ, შემიბრალეთო! — ყვიროდა საცოდავი ექიმი.

— უწამლებ უსასყიდლოდ შეშის მჭრელსო?

— რასაც მიბრძანებთ, ყველაფერს შევასრულებ, ოღონდ გამიშვითო, — ემუდარებოდა ექიმი.

— კარგი, ამოდი ტომრიდანო!

ამოძვრა ექიმი პანკრაციო ტომრიდან და შეშის მჭრელის სახლისკენ მოუსვა.

ფრანჩესკომ გზა განაგრძო და რამდენიმე დღეში თავის სოფელს მიაღწია. შიმშილობა ძველებურად მძვინვარებდა იქ.

ფრანჩესკომ ოსტერია1 გახსნა თავის სოფელში და უფასოდ აჭმევ-ასმევდა ხალხს, ვიდრე იქ შიმშილობა იყო. როცა უკეთესი დრო დაუდგათ, ფრანჩესკომ ოსტერია დახურა. მუქთად ჭამა ხალხს გააზარმაცებსო.

არაფერი არ აკლდა ფრანჩესკოს, რასაც მოისურვებდა, ხელად გაუჩენდა ტომარა, მაგრამ ბედნიერი მაინც არ იყო. ძმების ამბავი არ იცოდა და დარდობდა. კეთილი გული ჰქონდა ფრანჩესკოს, დიდი ხანია აპატია ძმებს ვერაგობა. ერთხელ ასწია თავისი ტომარა და ჩასძახა:

— ჯოვანი, ძმაო, ჩაძვერი ტომარაშიო.

უცებ რაღაცამ გაიჩხარუნა და ტომარაში ჯოვანის ძვლები ჩაცვივდა.

— პაოლო, ძმაო, ჩაძვერი ტომარაშიო!

ისევ გაიჩხარუნა რაღაცამ და პაოლოს ძვლები ტომარაში ჩაცვივდა.

ასე უხმობდა ფრანჩესკო რიგრიგობით ძმებს და მათი ძვლები რიგრიგობით ცვიოდა ტომარაში. მიხვდა ფრანჩესკო, რომ მისი ძმები ერთად დაიღუპნენ და უფრო შემოაწვა ნაღველი.

მალე მამაც გარდაეცვალა და სულ მარტოდმარტო დარჩა.

ბოლოს ფრანჩესკოსაც მიუკაკუნა კარზე სიბერემ. ფრანჩესკოს ერთი ოცნებაღა ჰქონდა, ძალიან უნდოდა კიდევ ერთხელ ენახა კრენოს ტბის ფერიათა დედოფალი, რომელმაც ასეთი ძალა მიანიჭა.

ადგა ფრანჩესკო და გზას გაუდგა. იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა, ისევ იქ მივიდა, სადაც დიდი ხნის წინათ ფერიათა დედოფალს შეხვდა. ჩამოჯდა და ელოდა. დრო მიდიოდა, ფერია კი არა ჩანდა.

— სადა ხარ, ჩემო კეთილო, კრენოს ტბის ფერიათა დედოფალო? ერთხელ კიდევ დამენახვე, არ მინდა ისე მოვკვდე, რომ არ გიხილოო, — შეჰღადადა ფრანჩესკომ.

ბინდი ჩამოწვა, ფერია კი არა ჩანდა. მის მაგივრად გზაზე სიკვდილმა ჩამოიარა. ცალ ხელში შავი ალამი ეჭირა, მეორეში — ცელი. მივიდა ფრანჩესკოსთან სიკვდილი და უთხრა:

— ბერიკაცო, სიცოცხლე არ მოგბეზრდა? არ გეყო, რაც იხეტიალე, მთა-ბარი გაასწორე? როგორ ფიქრობ, დრო არ არის, რომ წამომყვეო?

— სიკვდილო, დამილოცნიხარ. დიახაც მეყო, რაც ვნახე და შევიგრძენი ამ ცხოვრებაში. ყველაფერი მომყირჭდა, მაგრამ ჯერ მაინც არ გამოგყვები! ერთ ვინმეს ველი აქ, უნდა გამოვემშვიდობო, ერთი დღე მადროვეო, — სთხოვა ფრანჩესკომ.

— ილოცე, ბერიკაცო, რაღა დროს ლოდინია, ილოცე. თუ არ გინდა სარკინოზივით ამოგხდეს სული. აბა, რაღას უყურებო! — დაუტია სიკვდილმა ფრანჩესკოს.

— გეხვეწები, დამაცადე, მამლის ყივილამდე მაინც ნუ მახლებ ხელსო!

— არა, ვერ დაგაცლიო.

— ერთი საათი მაინც მადროვე!

— არც ერთ წუთს არ გადროვებო! — მტკიცედ უთხრა სიკვდილმა.

— კარგი, რაკი ასეთი გულქვა ხარ, ჩაძვერ ტომარაშიო! — დაიყვირა ფრანჩესკომ.

აკანკალდა სიკვდილი, ააჩხარუნა ძვლები, მაგრამ რას გააწყობდა ავი დედაბერი, თავდაყირა გადაეშვა ფრანჩესკოს ტომარაში.

იმავე წუთს კრენოს ტბის ფერიათა დედოფალი გამოჩნდა. სულ არ შეცვლილიყო, ისეთივე ნორჩი, ჯავარსრული, შუქმფინარი იყო, როგორც მაშინ, როცა ფრანჩესკო პირველად შეხვდა.

— გმადლობთ, ფერიათა დედოფალო! — შესძახა ფრანჩესკომ. მერე სიკვდილს უთხრა, ამოდი ტომრიდან და დამელოდეო.

— ფრანჩესკო, შენ ბოროტად არ გამოგიყენებია ჩემგან მონიჭებული ძალა. ჩემგან ბოძებული ტომარა და კომბალი მხოლოდ კეთილ საქმეს ამსახურე. ამისთვის მინდა დაგაჯილდოვო. მითხარი, რა გსურსო? — ჰკითხა ფერიათა დედოფალმა.

— არაფერი არ მინდა, ფერიათა დედოფალო, — უპასუხა ფრანჩესკომ.

— თუ გინდა, დიდებულად გაქცევ!

— არა.

— თუ გინდა, ხელმწიფედ დაგსვამ!

— არა.

— მოხუცებულხარ, ფრანჩესკო. გინდა, ჭაბუკად გაქცევ და ჯან-ღონით აგავსებ!

— შენ გიხილე და აღარაფერი მინდაო, — უპასუხა ფრანჩესკომ.

— მაშ, მშვიდობით, ფრანჩესკო. ოღონდ ჯერ ტომარა და კომბალი დაწვიო! — უთხრა ფერიათა დედოფალმა და გაუჩინარდა.

ფრანჩესკომ დაანთო ცეცხლი, დააგუზგუზა დიდი კოცონი, ჩაყარა შიგ ტომარა და კომბალი, რომ ვინმეს ბოროტად არ გამოეყენებინა მათი ძალა.

სიკვდილი ბუჩქს ამოფარებოდა და ელოდა.

— ყიყ-ლი-ყო! ყიყ-ლი-ყოო! — დაიყივლა მამალმა.

მაგრამ ფრანჩესკოს აღარ გაუგონია მამლის ყივილი. წლებმა თავისი ჰქნა.

— ფრანჩესკო, მამალი ყივისო, — უთხრა სიკვდილმა, წამოუსვა ბერიკაცს ცელი, აიტაცა მისი გვამი და გაფრინდა.

კორსიკა

ორი მონასტრის ზღაპარი

ერთ თერძს ჯავარსრული ასული ჰყავდა. ჯანინა ერქვა ქალს. ჯანინამ წერა-კითხვა მშვენივრად იცოდა. ერთ ჭაბუკს ისე შეუყვარდა ჯანინა, რომ თავგზა დაკარგა და ქალიც შეაწუხა. იმ ჭაბუკს ჯანი ერქვა. აღარ იცოდა ქალმა, როგორ მოეშორებინა თავიდან ვაჟი, გაბეზრდა და ერთხელ ამხანაგებს უთხრა:

— მოდი, მონაზვნად აღვიკვეცოთო.

— წავიდეთ, აღვიკვეცოთო! — დაეთანხმნენ ამხანაგები.

ჯანინას ამხანაგებში ზოგი ხელმწიფის ქალი იყო, ზოგი — დიდებულის. ზოგი — რაინდის. თორმეტი ქალი შეიკრიბა და მშობლებს გამოუცხადეს:

— ქალთა მონასტრის დაარსება გვინდაო.

მშობლები უარზე დადგნენ, ეხვეწნენ, ემუდარნენ შვილებს, მაგრამ რაკი თავის ნათქვამზე ხელი ვერ ააღებინეს, სამშობლოს კუთხიდან მოშორებით აუშენეს მონასტერი. მეგობრებმა მოიმარაგეს სურსათი და მონასტერში დასახლდნენ. ჯანინა იღუმენიად აირჩიეს.

ერთხელ ჯანინაზე შეყვარებულმა ჯანიმ ამხანაგებს ჰკითხა:

— რა ხანია ჯანინასთვის თვალი არ მომიკრავს! ნეტა სად არისო?

— ჩვენ რად გვეკითხებიო?

— როგორც ჩანს, ჩემს მიჯნურს ვერასოდეს ვეღარ ვნახავ. ბერად უნდა შევდგე. არ გინდათ მამათა მონასტერი დავაარსოთო?

დააარსეს მამათა მონასტერი.

მონაზვნებს სურსათი გამოელიათ და ერთ საღამოს უვახშმოდ დარჩნენ. სურსათის მომარაგება იღუმენიას ევალებოდა. გავიდა ჯანინა აივანზე, გაიხედა, სადღაც შორს სინათლე ბჟუტავდა. იქნებ საჭმელი ვიშოვოო, გაიფიქრა და იმ შუქისკენ წავიდა. იარა, იარა და ერთ სახლს მიადგა. შევიდა, მიიარ-მოიარა ოთახები, ძეხორციელი არ ჭაჭანებდა სახლში. ბოლოს სასადილო ოთახში შევიდა. თორმეტი თეფში გემრიელი მაკარონი იდგა მაგიდაზე, თორმეტი კოვზი, თორმეტი ხელსაწმენდი, თორმეტი ჭიქა. აიღო ჯანინამ მაკარონიანი თეფშები, ჩააწყო კალათში, წავიდა თავის მონასტერში, დარეკა ზარი და მონაზვნებს ვახშმით გაუმასპინძლდა.

თურმე ის სახლი, საიდანაც ჯანინამ მაკარონი წაიღო მამათა მონასტერი გახლდათ. დაბრუნდნენ ბერები, შევიდნენ სასადილო ოთახში პურის საჭმელად და პირკატა ეცათ. სუფრა მოცარიელებული იყო.

— ვინ მოგვპარა ვახშამი? — წამოიძახა წინამძღვარმა. წინამძღვარი ჯანი იყო. — ხვალ დავუყარაულდეთ და ქურდი დავიჭიროთო.

მეორე საღამოს ერთი ბერი სადარაჯოდ დატოვეს და დაარიგეს:

— იცოდე, ძილი არ მოგერიოს, თვალი არ მოხუჭო. შემოვა თუ არა ქურდი, ერთი დაუსტვინე და იმ წუთს აქ გავჩნდებითო.

წავიდნენ თუ არა ბერები, დარაჯს მაშინვე ჩაეძინა.

მალე ჯანინაც მოვიდა. აიღო მაკარონიანი თეფშები, ჩააწყო კალათში და მძინარე ბერი დაინახა. აიღო ტაფა, ჩამოფხიკა მური და ბერს ცხვირ-პირზე წაუსვა. მერე თავის მონასტერში წავიდა, დარეკა ზარი და მონაზვნები სიამოვნებით შეექცნენ ვახშამს.

ცხვირპირგამურული ბერი რომ დაინახა წინამძღვარმა, წამოიძახა:

— შენი გულისა, რა კარგი დარაჯი დავაყენეთო!

მეორე საღამოს სხვა ბერი დატოვა სადარაჯოდ, მაგრამ იმასაც დაეძინა და მეორე დილით ცხვირპირგამურულს გაეღვიძა.

ასე გაგრძელდა თერთმეტი ღამე, ვიდრე წინამძღვრის რიგმა არ მოაწია. ჯანიმ თავი მოიმძინარა. როცა ჯანინამ კალათი მაკარონიანი თეფშებით გაავსო და ჯანისთან მივიდა, რომ ცხვირ-პირი მოეთხუპნა მისთვის, ჯანიმ ხელი სტაცა.

— შესდექ! ძველი ოინები ვეღარ გაგივაო!

— ვაი, — წამოიძახა ჯანინამ. — შემიბრალე, ნუ დამსჯიო!

— კარგი, არ დაგსჯი, მაგრამ შენი თერთმეტი ამხანაგი აქ უნდა მომგვაროო, — უთხრა ჯანიმ.

— მოვიყვან, მაგრამ ერთი პირობით, თუ არაფერს დაგვიშავებთო.

— სიტყვას გაძლევო!

ჯანინამ წაიღო მაკარონი, გაუმასპინძლდა მონაზვნებს და მერე უთხრა:

— დებო, მამათა მონასტერში უნდა წავიდეთო.

— რას ამბობ? იქ რა გვინდაო?

— ნუ გეშინიათ, წინამძღვარმა სიტყვა მომცა, არაფერს დაგიშავებთო.

მივიდნენ მონაზვნები მამათა მონასტერში და ჯანის უთხრეს:

— ერთი ოთახი დაგვითმე, იქ ჩავიკეტებითო.

წინამძღვარმა საწოლ ოთახში შეიყვანა მონაზვნები. იქ ბერების თორმეტი საწოლი იდგა. მონაზვნებმა კარი ჩაკეტეს და დაწვნენ. დაბრუნდნენ ბერები და სუფრა ისევ მოცარიელებული დაუხვდათ.

— ვერც თქვენმა მოწყალებამ გვიშველა, ვახშამი მაინც გამქრალაო, — უთხრეს ბერებმა ჯანის.

— დარდი ნუ გაქვთ, ძმებო, ქურდბაცაცა ხელში მყავსო, — დაამშვიდა ჯანიმ ამხანაგები.

— ნუთუ მართლა დაიჭირეო?

— ქურდიც დავიჭირე და თერთმეტი მონაზონიცო.

წინამძღვარმა მონაზვნებს დაუკაკუნა და უთხრა:

— აბა, გაიღვიძეთ და მაკარონი მოგვიხარშეთო.

ჯანინამ უპასუხა:

— ჩემი მონაზვნები მარტო მუსიკის ხმაზე აკეთებენ კერძს, ასე არიან დაჩვეულებიო.

— კეთილი, არც მაგაზე გატკენთ გულს, — თქვეს ბერებმა და ზოგმა ვიოლინო ააწრიპინა, ზოგმა ბუკი ააბღავლა.

მონაზვნებმა კი წამოავლეს ხელი ბერების ლეიბებს და ფანჯრიდან ძირს გადაყარეს, მერე ზეწრები გამოაბეს ფანჯრის რაფას, ჩაცურდნენ ქვევით, დახტნენ ლეიბებზე და მოკურცხლეს. როგორც კი მივიდნენ თავის მონასტერში, კარი მაგრად ჩაკეტეს.

შიმშილით გულმილეული ბერები კი უკრავდნენ და უკრავდნენ.

— ამდენი ხანი ვეღარ მოხარშეს მაკარონი? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს, შიმშილით თვალთ რომ დაუბნელდათ, საკრავები გადადეს და მონაზვნებს დაუკაკუნეს. ხმა არავინ გასცა. შეამტვრიეს კარი და სახტად დარჩნენ. საწოლები ცარიელი იყო, აღარც მონაზვნები დახვდათ იქ, აღარც ლეიბები და ზეწრები.

— ერთი უყურე, როგორ გაგვამასხარავეს! კაცები ნუ ვიქნებით, თუ სამაგიერო არ გადავუხადოთო! — დაიქადნეს ბერებმა.

მერე დასხდნენ, შეკრეს დიდი კასრი, ჩასვეს შიგ წინამძღვარი, დაახურეს თავი, წაიღეს კასრი და დედათა მონასტრის შორიახლოს დაიმალნენ, დაბინდებას ელოდნენ.

საღამო ხანს ერთი ბერი მივიდა დედათა მონასტერთან და დააკაკუნა. გაიღო ფანჯარა, გამოიხედა მონაზონმა.

— დაო, თუ ღმერთი გწამს, ეს კასრი ერთი ღამე მონასტერში შემინახეო, — სთხოვა ბერმა მონაზონს.

გულუბრყვილო მონაზონმა ბერს კარი გაუღო და კასრი მონასტერში შეატანინა. ეს რომ იღუმენიამ გაიგო, გაიფიქრა, აქ რაღაც ეშმაკობაა, დავიღუპეთო.

ვახშმის დროც დადგა. სატრაპეზოსკენ მიმავალმა ჯანინამ ამხანაგებს უთხრა:

— დებო, თუ ვინიცობაა რამე მოხდეს, ნუ შეგეშინდებათო.

ამ დროს ჯანი კასრიდან ამოძვრა და სატრაპეზოს კარზე დააკაკუნა.

— რომელი ხარ?

— კარი გააღეთ! — გაისმა კაცის ხმა.

მონაზვნებმა კარი გააღეს და ჯანი დაინახეს.

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმა ჯანი მონაზვნებს.

— მობრძანდით, ვახშამზე დაგვეწვიეთო, — შეიპატიჟეს მონაზვნებმა.

ჯანი არხეინად მიუჯდა სუფრას, ვახშამსაც შეექცა და მონაზვნებიც საუბრით გაართო. ვიდრე ვახშამს დაამთავრებდნენ, ჯანიმ ჯიბიდან ღვინის ბოთლი ამოიღო და მონაზვნებს უთხრა:

— დებო, თითქო ჭიქა ღვინო დავლიოთო!

მონაზვნებმა დალიეს. მარტო ჯანინამ მოატყუა წინამძღვარი და ღვინო უბეში ჩაისხა. ქალებს მალე ჩაეძინათ, ჯანინამაც თავი მოიმძინარა. წამოდგა ჯანი, გადააბა ერთმანეთს თოკით მონაზვნები, მერე ფანჯარასთან მივიდა, გააღო, რომ ნიშანი მიეცა დამალული ბერებისთვის და მონაზვნები ფანჯრიდან ძირს ჩაესხა. ამ დროს ჯანინა უკანიდან მიეპარა, ჩასჭიდა ორივე ფეხში ხელი ფანჯარაზე გადაწოლილ ჯანის, ასწია და თავდაყირა გადაუშვა ძირს. მერე დები გააღვიძა და უთხრა:

— დებო, აქ აღარ დაგვედგომება. მივწეროთ მშობლებს, წაგვიყვანონ, გვეყოფა მონასტერში ყოფნაო.

ყველა თავ-თავის ოჯახს დაუბრუნდა. ბერებმაც მიატოვეს თავისი მონასტერი.

ვერ იქნა, ვერ ამოიღო ჯანიმ გულიდან ჯანინას სიყვარული. თავშეხვეული მივიდა თერძთან და სთხოვა, ქალი მომათხოვეთო. როგორც იყო, ჯანინაც დაითანხმეს, მაგრამ ვიდრე თანხმობას მისცემდა, ჯანინამ შაქრის უშველებელი დედოფალა გააკეთა.

ქორწილის დროს ჯანინამ ქმარს უთხრა:

— საწოლ ოთახში რომ შემოხვალ, სანთელი ჩააქრე, მონასტერში სიბნელეს მივეჩვიეო.

ღამე შეიპარა ჯანინა საწოლ ოთახში, შაქრის დედოფალა ლოგინში ჩააწვინა, თვითონ კი საწოლქვეშ დაიმალა. დედოფალას ძაფი ჰქონდა გამობმული, ძაფის ბოლო ჯანინას ეჭირა ხელში და დედოფალას თავსა და ხელებს ამოძრავებინებდა.

ოთახში ჯანი შევიდა, ამოღებული ხმალი ეჭირა.

— ჯანინა, შენ ხომ მუდამ დამცინოდი. გახსოვს, როგორ გვპარავდი ვახშამს მონასტერში? — უთხრა ჯანიმ.

დედოფალამ თავი დაუქნია, მახსოვსო.

— გახსოვს, ფანჯრიდან რომ გადამაგდე და თავი გამიტეხეო?

— მახსოვსო, — თავი დაუქნია დედოფალამ.

— უყურე ამას? განა იუარაო?!

ასწია ჯანიმ ხმალი და შაქრის დედოფალას გულში გაურჭო.

— მოგკალი, ჯანინა. აბა, ვნახოთ, როგორი სისხლი გაქვსო? — თქვა ჯანიმ და ხმალს ენა აუსვა.

— ჯანინა! სიცოცხლეში ტკბილი იყავი, მკვდარიც ტკბილი ხარ! — თქვა, მიიდო მკერდზე ხმალი და ის იყო გული უნდა გაეგმირა, რომ ჯანინა საწოლქვეშიდან გამოხტა და დაუყვირა:

— თავს ნუ იკლავ, ჯანი, ცოცხალი ვარ!

გადაეხვივნენ ერთმანეთს. იმათზე ბედნიერი ცოლ-ქმარი არც ყოფილა და არც იქნება დედამიწის ზურგზე.

ნურა

<u>ღ ა მ ი თ მ ო ა რ უ ლ ი ვ ა ჟ ი</u>

ერთ ღარიბ-ღატაკ მეთევზეს სამი გასათხოვარი ქალი ჰყავდა.

ერთ ვაჟს ძალიან უნდოდა მეთევზის რომელიმე ქალის შერთვა, მაგრამ უცნაური ზნე სჭირდა იმ ვაჟს, გარეთ მარტო ღამე გამოდიოდა. ამიტომ ხალხი ეჭვით უყურებდა და ერიდებოდა.

მეთევზის უფროსმა ქალმა ცივი უარი თქვა, არ გავყვები მაგ ვაჟს ცოლადო, შუათანამ შეიცხადა, ამის გაგონებაც არ მინდაო, უმცროსი კი დათანხმდა.

ქორწილი ღამე გადაიხადეს. მარტო რომ დარჩა ნეფე-პატარძალი, ნეფემ უთხრა ქალს:

— ჩემი საიდუმლო უნდა გაგიმხილო. მე მოჯადოებული ვარ და მარტო ღამე ვიღებ ჩემს ნამდვილ სახეს. ირიჟრაჟებს თუ არა, კუდ გადავიქცევი. ამ უბედურებიდან ერთი რამ მიხსნის: ქორწილის შემდეგ ცოლს უნდა დავშორდე და სამოგზაუროდ წავიდე, დედამიწას უნდა შემოვუარო. ღამით ადამიანად ვიქცევი ხოლმე, დღისით — ისევ კუდ. თუ სინდის-ნამუსს შემინახავ და უჩემოდ ყოველგვარ გასაჭირს აიტან, ჯადო ამეხსნება და ისევ ადამიანად ვიქცევიო.

— კეთილიო, — უპასუხა ქალმა.

ქმარმა ალმასისთვლიანი ბეჭედი თითზე წამოაცვა ცოლს.

— ეს ბეჭედი ყველაფერში დაგეხმარება. ოღონდ ამისი ძალა მარტო კეთილ საქმეს უნდა მოახმაროო, — დაარიგა ცოლი.

ირიჟრაჟა თუ არა, ვაჟი კუდ გადაიქცა და ნელა, კუს ნაბიჯით გაუდგა გზას. მისი ახალგაზრდა ცოლი კი ქალაქში წავიდა სამუშაოს საძებრად. გზად ერთი ბავშვიანი ქალი შეხვდა. ისეთი მჩხავანა ბიჭი ჰყავდა, მთელი გზა გაუჩერებლად ღნაოდა.

— მომეცით ეგ ბუთხუზა, იქნებ როგორმე დავაწყნარო, — უთხრა მეთევზის ქალმა მგზავრს.

— ამის გაჩუმებას თუ მოახერხებთ, მართლა კარგი იქნება. მთელი ღამე ასე ღნავისო, — შესჩივლა მგზავრმა.

აიყვანა ბავშვი მეთევზის ქალმა და თავის ბეჭედს ჩასჩურჩულა:

— ალმასის ჯადოსნურო ძალავ, ისე გაამხიარულე ეს ბიჭუნა, სულ იცინოს, იცეკვოს და იხტუნოსო.

მართლაც, ბიჭმა მაშინვე გაიცინა და მოჰყვა ხტუნაობას.

შევიდა მეთევზის ქალი ქალაქში, მიადგა ერთ სახაბაზოს და დიასახლისს სთხოვა:

— რამე სამუშაო მომეცით, არ ინანებთო.

— კარგიო, — უთხრა დიასახლისმა.

ქალი მაშინვე საქმეს შეუდგა და დრო რომ იხელთა, თავის ბეჭედს ჩაულაპარაკა:

— ალმასის ჯადოსნურო ძალავ, ვიდრე მე აქ ვიქნები, მუშტარს ნუ გამოგვიდევ. ყველა ჩვენს სახაბაზოს მოაწყდესო.

იმ დღიდან მოყოლებული, მუშტარი არ გამოლევიათ, ერთხელ სახაბაზოში სამი ჭაბუკი შევიდა. დაინახეს ახალგაზრდა ლამაზი ქალი და სამივეს გულში ჩაუვარდა.

— ოღონდ ღამე კარი გამიღე, — უთხრა ერთმა ჭაბუკმა ქალს, — და ათას ფრანკს მოგცემო.

— მე ორი ათასს მოგცემო, — უთხრა მეორემ.

— მე კი სამს... — წამოიძახა მესამემ.

გამოართვა მეთევზის ქალმა მესამე ჭაბუკს სამი ათასი ფრანკი და ღამე ჩუმად შეაპარა სახაბაზოში.

— დამაცადე, ჯერ ცომი უნდა მოვზილო, — წასჩურჩულა ჭაბუკს ქალმა და მერე დაუმატა: — მოდი, ცომის მოზელაში მომეხმარეო.

ვაჟი საქმეს შეუდგა. ზელდა და ზელდა გათენებამდე. ალმასის ჯადოსნურმა ძალამ მიაბა იმ ვარცლზე და ვეღარ მოშორდა.

— უჰ, ძლივს არ მორჩი საქმეს? დიდხანს კი ცოდვილობდიო! — გაიცინა ქალმა და ჭაბუკი სახაბაზოდან გააგდო.

მეორე ღამეს მეორე ჭაბუკს გამოართვა ორი ათასი ფრანკი და ჩუმად შეიყვანა სახაბაზოში.

— მოდი, ცეცხლს შეუბერე, ღუმელი არ გაცივდესო, — სთხოვა ჭაბუკს.

უბერავდა და უბერავდა ვაჟი, მთლად წამოჭარხლდა, ყბები საბერველივით დაებერა. ალმასის ჯადოსნურმა ძალამ გათენებამდე მიაჯაჭვა ღუმელს.

— თითქოს ჩემთან მოხვედი, მთელი ღამე კი ცეცხლს აჩაღებდი. შენც იტყვი, კაცი ვარო? — ვითომ უსაყვედურა მეთევზის ქალმა ჭაბუკს, გააღო სახაბაზოს კარი და ისიც გააპანღურა.

მესამე ღამეს კი ის ჭაბუკი შეიყვანა სახაბაზოში, ათას ფრანკს რომ შეჰპირდა.

— მე ცომს მოვზელ, შენ კი მანამ კარი მიხურეო, — უთხრა ჭაბუკს ქალმა.

მიხურა ჭაბუკმა კარი, მაგრამ ალმასის ჯადოსნურმა ძალამ კარი მოაფრიალა. მიხურა, ისევ მოაფრიალა. მთელი ღამე ხურავდა კარს ჭაბუკი, კარი კი ისევ იღებოდა.

— აბა, როგორაა საქმე, ბოლოს და ბოლოს, მოახერხე თუ ვერა კარის დახურვაო? — უთხრა გარიჟრაჟზე ქალმა. — ახლა ისევ გააღე ეგ კარი და აქედან დამეკარგეო.

გაბრაზდნენ ჭაბუკები. ამ ქალმა როგორ გაგვამასხარავაო. ადგნენ და მოსამართლესთან უჩივლეს.

იმ დროს პოლიციაში კაცებიც მუშაობდნენ და ქალებიც. დამნაშავე ქალებს პოლიციელი ქალები იჭერდნენ. ერთ მშვენიერ დღეს სახაბაზოს ოთხი პოლიციელი ქალი მიადგა. მეთევზის ქალი მაშინვე მიხვდა, რისთვისაც მობრძანდნენ და თავის ბეჭედს ჩაუჩურჩულა:

— ალმასის ჯადოსნურო ძალავ, წააჩხუბე პოლიციელი ქალები, ისე დაერიონ ერთმანეთს, რომ დილამდე წეწდნენ და გლეჯდნენო.

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ეცნენ ერთმანეთს პოლიციელი ქალები. დაერივნენ და როგორ დაერივნენ. გაალმასებულები სულ პოტნიდნენ, ღადრავდნენ, მუშტებს უშენდნენ ერთმანეთს.

რაკი ქალებმა პატიმრის მოყვანა დააგვიანეს, ოთხი პოლიციელი კაცი აფრინეს ამბის შესატყობად. მეთევზის ქალმა დაინახა თუ არა ისინი, მაშინვე თავის ჯადოსნურ ბეჭედს რაღაც ჩაუჩურჩულა.

არც აციეს პოლიციელებმა, არც აცხელეს, ხელად ოთურმის თამაში გააჩაღეს. წაიხრეშოდა ერთი, ზურგს მიუშვერდა მეორეს, მეორე გადაახტებოდა და ახლა თვითონ მიუშვერდა ზურგს მესამეს.

ამ ყოფაში რომ იყვნენ, სახაბაზოსთან კუ მობობღდა. ეს იყო მეთევზის ქალის ქმარი, თურმე უკვე შემოეარა დედამიწა. დაინახა კუმ თავისი ცოლი, ხელად მშვენიერ ჭაბუკად გადაიქცა და სიკვდილამდე აღარ შეუცვლია სახე.

ლიგურია

ესეც შენ, შვიდი!

ერთ დედაკაცს ტანადი, ღორმუცელა ქალი ჰყავდა, პურის საჭმელად რომ დასხდებოდნენ და დედა წვენს დაუსხამდა, ქალი ხელად დახვრეპდა და ისევ გაუწვდიდა დედას ჯამს, კიდევ დამისხიო. უსხამდა დედა, ჯამს ჯამზე უვსებდა და თან ითვლიდა:

— ეს სამი... ოთხი... ხუთი...

მეშვიდე ჯამზე რომ მიდგებოდა ჯერი, გაბრაზდებოდა დედა, წაუთაქებდა ღორმუცელას და დაუცაცხანებდა:

— ესეც შენ, შვიდი! ესეც შენ, შვიდიო!

ერთხელ მათი სახლის წინ მდიდარმა ჭაბუკმა ჩაიარა. ფანჯარაში დაინახა, როგორ უტყაპუნებდა დედა შვილს და თან გაიძახოდა:

— ესეც შენ, შვიდი! ესეც შენ შვიდიო!

ჭაბუკს თვალში მოუვიდა წარმოსადეგი, ლამაზი ქალი და სახლში შევიდა.

— შვიდი? რას ნიშნავს ეს შვიდიო? — ჰკითხა დედაკაცს.

დედას შერცხვა, უცხო ჭაბუკმა არ გაიგოს, რა ღორმუცელა შვილიც მყავსო და უპასუხა:

— შვიდი?.. შვიდი თითისტარი ნართია. ისეთი გამრჯე გოგო მყავს, ალბათ მთელი ქვეყნის ცხვრებიც ვეღარ აუვლენ. დღეს უკვე შვიდი თითისტარი ნართი დაართო და კიდევ ეცოტავება. ამიტომ დავსაჯე, მინდა ცოტა დაისვენოსო.

— რაკი ასეა საქმე, მომათხოვეთ თქვენი ქალი. ოღონდ ერთი პირობით წავიყვან, ჯერ უნდა გამოვცადო, თუ მართლა ისეთი გამრჯეა, როგორც თქვენ ბრძანეთო, — უთხრა ჭაბუკმა დედაკაცს.

წაიყვანა ჭაბუკმა ღორმუცელა შინ, მატყლის ფთილებით სავსე ოთახში შეიყვანა და უთხრა:

— მე კაპიტანი ვარ. ახლა შორეულ ნაოსნობაში მივდივარ, თუ ჩემ დაბრუნებამდე ამ ფთილებს დაართავ, ჯვარს დავი-წერთო.

ჭაბუკი ძალიან მდიდარი იყო, ფთილების გარდა ძვირფასი კაბები და სამკაულებიც დაუტოვა ქალს.

— ჯვარს რომ დავიწერთ, ეს კაბები და სამკაულები შენი იქნებაო, — უთხრა გამომშვიდობებისას.

კაპიტნის საცოლე მთელი დღე სარკის წინ ტრიალებდა, ხან ერთ კაბას ჩაიცვამდა, აბა, როგორ დამმშვენდებაო, ხან მეორეს, ხან ერთ სამკაულს ჩამოიკონწიალებდა, ხან მეორეს. მოახლე ქალებს დილიდან დაღამებამდე შეჰქონდათ მასთან ნაირ-ნაირი საჭმელები, ფთილები კი ხელუხლებლად ეწყო.

ამასობაში კაპიტნის დაბრუნების დროც დადგა: მეორე დილით ელოდნენ ჭაბუკს. დაღონდა ქალი, ვერ ვეღირსები კაპიტნის ცოლობასო, და მწარედ ატირდა.

უცებ ფანჯრიდან ოთახში ძონძები შემოფრიალდა, ქალის ფეხებთან დაცვივდა და გრძელწამწამებიან დედაბრად იქცა.

— ნუ გეშინია, შენს დასახმარებლად მოვედი, — უთხრა დედაბერმა ქალს, — მე დავართავ, შენ ამოახვიეო.

ისეთი მარჯვე იყო დედაბერი, ისეთი ხელსწრაფი, რომ მისი ბადალი ქვეყნად მეორე არ მოიძებნებოდა. თვალის დახამხამებაში დაართო მთელი ფთილები.

ამ რთვაში დედაბერს ისედაც გრძელი წამწამები კიდევ უფრო დაუგრძელდა, ცხვირს ჩამოსცდა და ნიკაპზე ჩამოეკიდა... დართვა რომ მოათავა დედაბერმა, საპატარძლომ ჰკითხა:

— კეთილო ქალო, რით გადაგიხადო მადლობაო?

— შენი არა მინდა რა, — უპასუხა გრძელწამწამამ, — ოღონდ ქორწილში დამპატიჟე, კაპიტანს რომ გაჰყვებიო.

— სად მოგძებნოო? — ჰკითხა ქალმა.

— ერთი დაიძახე: ‘კოლუმბინა» და იმ წუთს აქ გავჩნდები. მაგრამ ვაი შენი ბრალი, თუ ჩემი სახელი დაგავიწყდა და არ დამპატიჟე. ეს ნართი ისევ ფთილებად გადაიქცევაო, — დაემუქრა ქალს გრძელწამწამა.

კაპიტანი მეორე დღეს დაბრუნდა. გაუხარდა, ნართი მზად რომ დახვდა, და საცოლეს უთხრა:

— ჩინებულია, ჩინებული. მგონი, ვიპოვე ისეთი ქალი, როგორსაც ვეძებდი. აი, ნახე, რამდენი კაბა და სამკაული ჩამოგიტანე! მაგრამ მე ისევ მივდივარ ნაოსნობაში და შენ ერთი გამოცდა კიდევ გელის. ახლა ორჯერ მეტ ფთილას დაგიტოვებ, თუ ჩემ დაბრუნებამდე დაართავ, წინ რაღა დაგვიდგება, ჯვარს დავიწერთო.

წავიდა კაპიტანი. ქალი ძველებურად ატარებდა დროს, ან ახალ კაბებს იზმანებდა, იკეთებდა სამკაულებს, ან ჭამდა და სვამდა, ფთილებს კი ზედაც არ უყურებდა. მოახლოვდა საქმროს დაბრუნების დრო და ისევ ატირდა ქალი.

უცებ ბუხარში რაღაცამ გაიშრიალა, ოთახში ძონძები ჩამოფრიალდა, ლაშჩამოგდებულ დედაბრად იქცა და იმანაც გრძელწამწამასავით უთხრა: შენ დასახმარებლად მოვედიო. ლაშგრძელა გრძელწამწამაზე მარჯვედ დატრიალდა, რაც უფრო უჩქარებდა ხელს, მით უფრო უგრძელდებოდა ლაშები. ნახევარ საათში მოათავა საქმე. ყურიც არ ათხოვა ქალს, მადლობას რომ უხდიდა. მხოლოდ სთხოვა ქორწილში დამპატიჟეო.

— ერთი დაიძახე: ‘კოლუმბარა» და იმ წუთს აქ გავჩნდები. ოღონდ იცოდე, ჩემი სახელი არ დაგავიწყდეს, თორემ შავი დღე დაგადგება, ეს ნაშრომი ხელად გაქრებაო.

დილით კაპიტანი დაბრუნდა, ზღურბლზე ფეხი შედგა თუ არა, იკითხა:

— ნართი მზადაა?

— რა ხანია მოვათავეო, — უპასუხა ქალმა.

— ძალიან კარგი. აი, კაბები და სამკაულები ჩამოგიტანე! ახლა სამ იმდენ ფთილას დაგიტოვებ და თუ ჩემს დაბრუნებამდე ამ საქმესაც თავს გაართმევ, პირობას გაძლევ, მეორე დღესვე ჯვარს დავიწერ შენზეო.

ქალმა არც ახლა შეიბერტყა ყური, ზედაც არ დახედა ფთილებს, მხოლოდ საქმროს დაბრუნების წინა დღეს გაახსენდა საქმე და ისევ ატირდა.

უცებ წყალსადინარი მილიდან ძონძები გამოცვივდა და ღოჯებიან დედაბრად იქცა. მივარდა დედაბერი ფთილებს, გამალებით დაიწყო რთვა, რაც მეტს ართავდა, მით უფრო უგრძელდებოდა ღოჯები. საქმეს რომ მორჩა, ქალს უთხრა:

— იცოდე, ქორწილში დამპატიჟე, თორემ გაჩენის დღეს გაწყევლინებ. ერთი დაიძახე: ‘კოლუმბუნ!» — და იმ წუთს აქ გავჩნდებიო.

დაბრუნდა კაპიტანი, ძალიან გაუხარდა, ნართი მზად რომ დახვდა.

— ახლა კი ხელს ვერაფერი შეგვიშლის, ჩემი ცოლი გახდებიო, — უთხრა ქალს და ბრძანა ქორწილის თადარიგი დაიჭირეთ, სტუმრებიც მოიწვიეთო.

ქალი ისე გაერთო ქორწილის სამზადისში, რომ თავისი მხსნელი სამი დედაბერი სულ გადაავიწყდა.

დადგა ქორწილის დღე და დილითღა გაახსენდა ქალს დედაბრები. უნდოდა დაეძახნა მათთვის, მაგრამ დახეთ უბედურებას! ერთის სახელიც ვერ გაიხსენა. იფიქრა, იფიქრა, და ვერაფერი რომ ვერ გააწყო, საშინლად მოიწყინა. კაპიტან-

მაც შეატყო დაღვრემილი რომ იყო და ჰკითხა, რამ დაგაღონა ასეო. მაგრამ ქალმა პირში წყალი ჩაიგუბა.

რაკი ჭაბუკმა ვერ გაიგო, რა აწუხებდა მის საცოლეს, წვეულება მეორე დღისთვის გადადო. მეორე დღეს საპატარძლომ უფრო მოიწყინა, მესამე დღეს მთლად ჩამოყარა ყურები, იჯდა კოპებშეკრული და ეტყობოდა, რაღაც ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. კაპიტანი ქალის გამხიარულებას ცდილობდა, უყვებოდა სასაცილო ამბებს, ეხუმრებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და გადაწყვიტა, სანადიროდ წავალ, ცოტა გულს გადავაყოლებ ნადირობასო. ტყეში ავდარმა მოუსწრო, ერთ დანგრეულ, მიტოვებულ ქოხს შეაფარა თავი. უცებ სიბნელეში მოესმა:

— ჰეი, კოლუმბინა!

— ჰეი, კოლუმბარა!

— ჰეი, კოლუმბუნ!

— დროა პოლენტა[1] მოვხარშოთ. ჩვენი ქვაბი რა იქნა? ეტყობა, ის წყეული პატარძალი სადილად დაპატიჟებას არ გვიპირებსო.

კაპიტანმა დაკვირვებით მოათვალიერა ქოხი და კუთხეში მიმჯდარი სამი დედაბერი დაინახა. ერთს წამწამები მიწაზე სცემდა, მეორეს ლაშები კოჭამდე დასთრევდა, მესამეს ღოჯები მუხლამდე სწვდებოდა.

‘ახლა კი ვიცი, რით გავამხიარულო ჩემი საცოლე, — გაიფიქრა ჭაბუკმა, — თუ ამ დედაბრების ამბავმაც არ გააცინა, ალბათ თავის დღეში აღარ გაიცინებსო».

შინ რომ დაბრუნდა კაპიტანი, ქალს უთხრა:

— დღეს ტყეში ავდარმა მომისწრო, ერთ დანგრეულ ქოხს შევაფარე თავი. გავიხედე და რასა ვხედავ: კუთხეში სამი დედაბერი მიმჯდარა — ერთს წამწამები მიწაზე სცემს, მეორეს ლაშები კოჭამდე დასთრევს, მესამე კი ღოჯებით მუხლებს იფხანს. ერთმანეთს უძახდნენ: ‘ჰეი, კოლუმბინა!», ‘ჰეი, კოლუმბარა!», ‘ჰეი, კოლუმბენ!»

ქალი სიხარულით გაიბადრა, გულიანად გადაიკისკისა და წამოიძახა: — ახლავე გააშლევინე სუფრა და გთხოვ, ნება მომცე, ის დედაბრები ჩვენს ქორწილში დავპატიჟო, ძალიან გამამხიარულა იმათმა ამბავმაო.

დედაბრებისთვის ისეთ პაწია მაგიდაზე გაშალეს სუფრა, რომ კოლუმბინას წამწამებმა, კოლუმბარას ლაშებმა და კოლუმბუნის ღოჯებმა მთლად დაფარა მაგიდა, აღარც კი ჩანდა, რა ელაგა სუფრაზე.

სადილის შემდეგ კაპიტანმა კოლუმბინას ჰკითხა:

— კეთილო ქალო, მითხარი, მაგ სიგრძე წამწამები რათა გაქვსო?

— წმინდა ძაფს რომ ვართავდი, თვალს ძალას ვატანდი, ამიტომ გამეზარდა წამწამებიო.

—შენ? შენ რაღა დაგემართა, რატომ ჩამოგიგრძელდა ტუჩებიო? — ჰკითხა კაპიტანმა მეორე დედაბერს.

— ძაფს რომ ვძახავდი, თითებს სულ ტუჩებზე ვისვამდი, ამიტომ ჩამომიგრძელდაო, — უპასუხა კოლუმბარამ.

— შენ, კოლუმბუნ? რათა გაქვს მაგ სიმსხო კბილებიო?

— ძაფს რომ ვართავდი, კვანძებს სულ კბილებით ვკვნეტდი, ამიტომ დამიგრძელდა კბილებიო, — უპასუხა კოლუმბუნმა.

— ახლა ყველაფერს მივხვდი, — წამოიძახა კაპიტანმა და ცოლს მიუბრუნდა: — ამ წუთას მომიტანე შენი თითისტარიო. — და როცა ქალმა თითისტარი მიუტანა, მაშინვე აგუზგუზებულ ბუხარში შეაგდო.

— ჩემს სიცოცხლეში მატყლს აღარ დაგართვევინებო, — უთხრა კაპიტანმა ცოლს.

მას შემდეგ კაპიტნის ცოლი მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდა.

ლიგურია

<u>ოქრო ჯოჯოხეთსაც ანათებსო</u>

დიდი ხნის წინათ ერთი ჭაბუკი უფლისწული ცხოვრობდა. ზღვასავით ულევი სიმდიდრის პატრონი იყო ჭაბუკი. ერთხელ დიდი სასახლის აშენება მოიწადინა. გადაწყვიტა, ხელმწიფის სასახლის წინ ისეთი სახლი უნდა წამოვჭიმო, ყველას თვალი ზედ დარჩესო.

სახლის აშენება რომ მოათავეს, უფლისწულმა ხელოსნებს უბრძანა, ჭიშკარზე ასეთი წარწერა ამოკვეთეთ: ‘ოქრო ჯოჯოხეთსაც ანათებს».

ერთხელ ხელმწიფე სასეირნოდ წავიდა. ჩაიარა უფლისწულის სახლთან და წარწერა თვალში მოხვდა. ახლავე მომგვარეთ ამ სახლის პატრონიო, უბრძანა თავის ამალას. უფლისწული იმ ქალაქში ახალი ჩასული იყო და ხელმწიფისთვის ჯერ არ წარედგინათ.

— მომილოცავს! — უთხრა ხელმწიფემ უფლისწულს, — ზღაპრული სასახლე აგიგია. ჩემი სასახლე ქოხივით მოჩანს შენს სასახლესთან. მომილოცავს! ახლა ეს მიბრძანე, შენი განკარგულებით გააკეთეს წარწერა: ‘ოქრო ჯოჯოხეთსაც ანათებს»?

მიხვდა უფლისწული, რა განსაცდელშიც ჩააგდო თავისმა მედიდურობამ და ხელმწიფეს უთხრა:

— ჩემო ხელმწიფევ! თუ თქვენს ბრწყინვალებას ეს წარწერა არ მოსწონს, ახლავე ჩამოვაფხეკინებო.

— არა, რატომ! შენ მხოლოდ ეს მითხარი, რას ნიშნავს ეგ წარწერა? შენი აზრით, ფულით ყველაფერს მიაღწევ? ჩემი მოკვლა რომ მოიწადინო, არც ეგ გაგიჭირდება, არა?

— ოჰ, თქვენო უდიდებულესობავ, მომიტევეთ. წარწერას ახლავე ჩამოვაფხეკინებ! თუ ჩემი სახლი არ მოგწონთ, თქვენი ერთი სიტყვა საკმარისია, ხვალვე დავანგრევო, — უპასუხა შეშინებულმა ჭაბუკმა.

— აკი გითხარი, მომწონს-მეთქი შენი სასახლე. მაგრამ რაკი ასე ღრმად ხარ დარწმუნებული, რომ ფული ყოვლისშემძლეა, უნდა დამიმტკიცო. სამ დღეს

გაძლევ ვადას, თუ ამ სამ დღეში ჩემს ასულთან ლაპარაკს მოახერხებ, ცოლად გაგატან. არადა თავს მოგჭრიო.

დაღონდა უფლისწული, ისეთი იყო, დანა პირს არ უხსნიდა, მთელი ღამე თეთრად გაათენა, იმის ფიქრი არ ასვენებდა, რა ვქნა, რა ვიღონო, რითი ვიხსნა თავიო. აბა, როგორ ნახავდა ხელმწიფის ასულს. ქალი კოშკში ჰყავდათ ჩაკეტილი და ასი გუშაგი დარაჯობდა. მეორე დღეს უფლისწული დაჯდა და ანდერძის წერა დაიწყო.

ამ დროს მოხუცმა ძიძამ მიაკითხა. ძიძას მზე და მთვარე თავის გაზრდილზე ამოსდიოდა, უფლისწულმაც დაუფასა ამაგი, თავისთან ჰყავდა სასახლეში. ძიძამ უგუნებობა შეატყო და ჰკითხა: მითხარი, შვილო, რას შეუწუხებიხარ, რამ ჩაგაფიქრაო. ჭაბუკმა დაწვრილებით უამბო თავისი გასაჭირი.

— მერე ამან როგორ დაგაღონა. რად დაჰყარე ფარ-ხმალი? ღმერთსა ვფიცავ, სასაცილოა. მე მომანდე ეგ საქმეო, — უთხრა ძიძამ. ადგა და ქალაქში სახელგანთქმულ ოქრომჭედელთან წავიდა.

— ვერცხლის ისეთი ბატი უნდა გამომიჭედო დილამდე, რომ ადამიანი შიგ თავისუფლად ჩაეტიოს, ბატს ნისკარტის გაღება და დახურვაც უნდა შეეძლოსო, — უთხრა ოქრომჭედელს მოხუცმა.

— ხვალისთვის? ხომ არ შეიშალეო?— წამოიძახა ოქრომჭედელმა.

— უსათუოდ დილისთვის მზად უნდა იყოს! — უთხრა ძიძამ და ოქროს მანეთიანებით გატენილი ქისა დაანახა ოქრომჭედელს. — აი, ჯერ ეს გამომართვი, დანარჩენს ხვალ მიიღებო.

ქისის დანახვაზე ოქრომჭედელმა პირი დააღო.

— ჰოო, ეს სხვა საქმეა, ვეცდები, დედი, ვეცდებიო.

მეორე დილით მოხუცი ოქრომჭედელთან რომ მივიდა, ბატი მზად დახვდა. ბატი კი არა — სასწაული იყო.

მოხუცმა ბატი შინ წაიღო და უფლისწულს უთხრა:

— აიღე შენი ვიოლინო, შეძვერი ამ ბატში და როგორც კი გაგიყვან ქუჩაში, ვიოლინო დაუკარიო.

გაუდგნენ გზას. უფლისწული ბატში იჯდა და უკრავდა.

ხალხი გაოცდა იმ ბატის დანახვაზე, გამოეშურა დიდი და პატარა სასწაულის სანახავად. ხელმწიფის ასულის კოშკშიც მიაღწია ხმამ, ასეთი და ასეთი ბატი დააქვთ ქალაქშიო. ქალმა ხელმწიფეს სთხოვა, მამი, გამიშვი, მეც მინდა იმ ბატისა და დედაბრის ნახვაო.

— ერთი დღე მოიცადე, შვილო, ხვალ გადის ვადა, ტრაბახა უფლისწულს რომ დავუნიშნე. მერე გადი ქალაქში და ნახე ბატიო, — მიუგო ხელმწიფემ.

მაგრამ ქალს ყური მოეკრა, დედაბერი თავისი ბატით ჩვენს ქალაქში ერთი დღით ჩამოვიდაო. აღარ მოეშვა მამას, გინდა თუ არა, მიჩვენე ვერცხლის ბატიო. ხელმწიფეს შეეცოდა შვილი და ბრძანება გასცა, ის დედაბერი თავისი ბატიანად კოშკში შემოიყვანეთო.

დედაბერსაც ეს უნდოდა.

შეიტანეს ვერცხლის ბატი ხელმწიფის ასულის ოთახში. უკრავდა უფლისწული და ვერცხლის ბატის ნისკარტიდან ისეთი ტკბილი ჰანგი იღვრებოდა, რომ ქალი მოჯადოებული უსმენდა. უცებ ბატი გადაიხსნა, გამოხტა იქიდან ჭაბუკი და ხელმწიფის ქალს უთხრა:

— ნუ შეშინდებით. მე სწორედ ის უფლისწული ვარ, ვისაც ხვალ მამათქვენის ბრძანებით თავის მოჭრას უპირებენ. თქვენს ხელთ არის ჩემი სული. თუ მამას ეტყვით, რომ მნახეთ და დამელაპარაკეთ, გადავრჩებიო.

მეორე დღეს ხელმწიფემ ბრძანა, უფლისწული მომგ- ვარეთო.

— გიშველა ფულმა? მოახერხე ჩემს ქალთან ლაპარაკიო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, მოვახერხეო! — უპასუხა ჭაბუკმა.

— რაო? შენ გინდა თქვა, თითქოს ჩემს ქალს ელაპარაკეო?

— ჰკითხეთ თქვენს ასულსო, — მიუგო უფლისწულმა.

იხმეს ხელმწიფის ქალი. ქალმა მამას უამბო, ჭაბუკი ვერცხლის ბატში იჯდა, თქვენი ბრძანებით რომ შემოიტანეს კოშკშიო.

ხელმწიფემ გვირგვინი მოიხადა და ჭაბუკ უფლისწულს დაადგა თავზე.

— შენ მარტო ურიცხვი სიმდიდრის პატრონი კი არ ყოფილხარ, თურმე ჭკუაც გიჭრის. გაძლევ ჩემს ასულს, იყავით ბედნიერიო, — დალოცა ხელმწიფემ შვილი და უფლისწული.

გენუა

<u>**გულადი ჯოვანინო**</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ისეთი გულადი ჭაბუკი, შიში რა არის, არ იცოდა, ამიტომ შეარქვეს გულადი ჯოვანინო.

ერთხელ ამ ჭაბუკს გზაზე შემოაღამდა და ღამის გასათევად ფუნდუკში შევიდა.

— ერთი თავისუფალი საწოლიც არა გვაქვს, — უთხრა მეფუნდუკემ. — აქ ღამეს ვერ გაგათევინებ, მაგრამ თუ არ გეშინია, სასახლის გზას გასწავლიო.

— რისა უნდა მეშინოდესო! — გაიკვირვა ჯოვანინომ.

— რისა და, თურმე ღამით იმ სასახლეში ისეთი ხმები გაისმის, ვინც იქ შევიდა, უკან ვეღარ გამოვიდა. რამდენჯერ მინახავს დილაუთენია, როგორ მიემართება პროცესია სასახლისკენ, თან კუბო მიაქვთ ხოლმე იმ გულადი კაცის წამოსასვენებლად, ვინც იქ ღამე გაათიაო.

იცით, რა ქნა ჯოვანინომ? აიღო სანთელი, ღვინით სავსე მათარა, ძეხვის დიდი ნაჭერი და ღამის გასათევად სასახლეში წავიდა.

შუაღამემ რომ მოატანა, ჯოვანინო უკვე სუფრას უჯდა და ვახშამს შეექცეოდა. უცებ ბუხრიდან ხმა გაისმა:

— გადმოვაგდო?

— შენი ნებაა, გადმოაგდეო, — უპასუხა ჯოვანინომ.

ბუხრიდან კაცის ფეხი გადმოვარდა.

ჯოვანინომ ღვინო გადაკრა. ამ დროს ისევ გაისმა:

— გადმოვაგდო?

— გადმოაგდე, თუ გნებავსო, — უპასუხა ჯოვანინომ.

ბუხრიდან კაცის მეორე ფეხი გადმოვარდა.

ჯოვანინომ ძეხვი ჩაკბიჩა.

— გადმოვაგდო? — შემოესმა ისევ.

— გადმოაგდეო.

ბუხრიდან კაცის ხელი გადმოვარდა. ჯოვანინომ დაუსტვინა.

— გადმოვაგდო?

— გადმოაგდეო!

ბუხრიდან კაცის მეორე ხელი გადმოვარდა.

— გადმოვაგდო?

— გადმოაგდეო!

გადმოვარდა კაცის ტანი. ხელ-ფეხი უმალ მიეწება ტანს და უთავო კაცი ფეხ-ზე წამოდგა.

— გადმოვაგდო?

— გადმოაგდეო!

ბუხრიდან კაცის თავი გამოგორდა, მხრებზე მოექცა ტანს და ჯოვანინოს წინ გოლიათი აღიმართა.

ასწია ჭიქა ჯოვანინომ და გოლიათს უთხრა:

— თქვენი დღეგრძელობისა იყოსო.

— ხელი მოჰკიდე სანთელს და გამომყევიო! — უბრძანა გოლიათმა.

ჯოვანინომ აიღო სანთელი, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

— წინ გამიძეხიო! — უბრძანა გოლიათმა.

— შენ თვითონ გამიძეხიო! — უპასუხა ჯოვანინომ.

— არა, წინ შენ წადიო! — უთხრა გოლიათმა.

— არა, შენაო! — არ დაუთმო ჯოვანინომ.

გოლიათი წინ გაუძღვა. გაიარეს მთელი სასახლე. ჯოვანინოს სანთელი ხელ-ში ეჭირა და უკან მიჰყვებოდა გოლიათს. მიადგნენ კიბეს, კიბის თავში კარი დახვდათ.

— კარი გააღეო! — უბრძანა გოლიათმა.

— შენ თვითონ გააღეო, — უპასუხა ჯოვანინომ.

გოლიათი მხრით დაეძგერა კარს, — კარი გაიღო. ხრახნილი კიბე მიწის ქვეშ ჩადიოდა.

— კიბეს ჩაჰყევიო, — უბრძანა გოლიათმა.

— ჯერ შენ ჩადიო, — მიუგო ჯოვანინომ.

ჩაჰყვა გოლიათი კიბეს. ჩავიდნენ მიწისქვეშეთში. გოლიათმა უზარმაზარი ლოდი უჩვენა ჯოვანინოს.

— ასწიე ეს ლოდიო!

— შენ თვითონ ასწიეო, — ცივად მოუჭრა ჯოვანინომ.

დასწვდა გოლიათი ლოდს და ნაფოტივით აიტაცა.

ლოდქვეშ ოქროთი სავსე სამი ქოთანი იდგა.

— ეს ქოთნები ზევით აიტანეო, — უბრძანა გოლიათმა.

— შენ თვითონ აიტანეო, — მიუგო ჯოვანინომ.

დაავლო გოლიათმა ხელი ქოთნებს და კიბეს აჰყვნენ.

იარეს, იარეს და ისევ იმ ბუხრიან დარბაზში შევიდნენ.

— ჯოვანინო, ჯადო ამეხსნა, — წამოიძახა გოლიათმა. უცებ ფეხი მოსწყდა და ბუხარში შევარდა. — ერთი ქოთანი ოქრო შენთვის დამილოცნია, — ამ დროს გოლიათს ხელიც მოსწყდა და ბუხარში გაუჩინარდა. — მეორე ქოთანი ოქრო იმათ დაურიგე, ვინც ხვალ შენს წასასვენებლად მოვა, ყველას უკვე მკვდარი ჰგონიხარო, — მოსწყდა გოლიათს მეორე ხელი და პირველს მიჰყვა, — მესამე ქოთანი ოქრო კი პირველ შემხვედრ ღატაკს მიეცი, — მოძვრა გოლიათს მეორე ფეხიც, უფეხო ტანმა იატაკზე ზღართანი მოიღო. — ეს სასახლეც შენთვის მიბოძებია: სასახლის პატრონები დიდი ხანია დაიხოცნენ, მათი შთამომავლობაც გაქრაო, — თავი ტანს მოსწყდა და მის გვერდით დაეცა იატაკზე.

წამოდგა უთავო ტანი და ბუხარში გაუჩინარდა. თავიც კვალდაკვალ მიჰყვა ტანს.

ირიჟრაჟა თუ არა, გალობაც გაისმა: “Miserere mei...»[1] სამგლოვიარო პროცესია სასახლისკენ მიდიოდა ჯოვანინოს წასასვენებლად, თან კუბო მოჰქონდათ. ჯოვანინო კი ფანჯარასთან იდგა და არხეინად აბოლებდა ჩიბუხს.

გამდიდრდა ჯოვანინო, ბედნიერად ცხოვრობდა დიდებულ სასახლეში და იცოცხლა მანამდე, ვიდრე ერთხელ... როგორ გგონიათ, რა დაემართა გულად ჯოვანინოს? — უკან მიიხედა, თავისი ჩრდილი დაინახა და შიშით იქვე დალია სული.

ლიგურია

<u>ვერცხლისცხვირა</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მრეცხავი ქვრივი დედაკაცი. სამი ქალი ჰყავდა, სამივე დედასავით გამრჯე და მშრომელი იყო. საწყლებს დღე-ღამე გასწორებული ჰქონდათ, ლუკმაპური კი მაინც აკლდათ. ერთხელ ქვრივის უფროსმა ქალმა თქვა:

— ამ სახლში ცხოვრებას ეშმაკს ვემსახურო ის მირჩევნიაო.

— ვაიმე, შვილო, ეგ რა თქვი, — წაიჩურჩულა შეშინებულმა ქვრივმა, — ემანდ ეშმაკმა არ გისმინოს და რამე უბედურებას არ გადაეყაროო.

რამდენიმე დღის შემდეგ შავ სამოსში გამოწყობილი სინიორი ეწვიათ. ზრდილობიანი, ტკბილმოუბარი კაცი იყო, მაგრამ ერთი უცნაური რამ სჭირდა, ვერცხლის ცხვირი ჰქონდა.

— გავიგე, სამი ქალი გყავთ. — უთხრა ქვრივს სტუმარმა. — მოსამსახურედ მომეცით ერთი ქალიო.

ქვრივი სიამოვნებით მისცემდა ქალს მოსამსახურედ, მაგრამ თვალში არ მოუვიდა სტუმრის ცხვირი, გაიხმო განზე უფროსი ქალი და უთხრა:

— შენ თვითონ გადაწყვიტე, შვილო, რაღაც უცნაური კაცი ჩანს. ასეთი ცხვირი ჯერ არსად მინახავს, ვაითუ მერე ინანოო.

ქალს გაჭირვებამ ისე შეაძულა საკუთარი კერა, რომ უცნობ კაცს მოუსავლეთშიც წაჰყვებოდა. წინ დიდი გზა ედოთ. იარეს, იარეს, მთა-ბარი გადაიარეს. გაიხედა ქვრივის ქალმა — შორს წითლად კაშკაშებდა რაღაც, აფორიაქდა და ბატონს ჰკითხა:

— ქვემოთ რა ჩანსო.

— ნუ გეშინია, ეს ჩემი სახლია და ჩვენც იქითკენ მივეშურებითო, — უპასუხა ვერცხლისცხვირამ.

მიდიოდა ვერცხლისცხვირა, მიჰყვებოდა ქალი და შიშით გული ელეოდა.

სახლი კი არა, თურმე უზარმაზარი სასახლე ჰქონდა ვერცხლისცხვირას. ჰოდა, შემოატარა თავისი სასახლე, სულ ერთი-მეორეზე უკეთესი დარბაზები უჩვენა ქალს და ოთახების გასაღებებიც ჩააბარა, ბოლოს უკანასკნელი ოთახის კართან რომ შედგნენ, ვერცხლისცხვირამ ქალს უთხრა:

— აი, ეს არის ჩემი სახლი. დღეიდან შენ იქნები აქ დიასახლისი. ოღონდ ამ კარის გაღება არ გაბედო. გააღებ — ინანებ, მერე რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო, — და უკანასკნელი ოთახის გასაღებიც ჩააბარა.

გამოართვა ქალმა გასაღები და გაიფიქრა: ალბათ ძალიან საინტერესო რამეა ამ ოთახში. როგორც კი მარტო დავრჩები, მაშინვე კარს გავაღებო.

ღამე, როცა ქალს მაგრა ეძინა, ვერცხლისცხვირა ფეხაკრეფით შეიპარა მის საწოლ ოთახში და მძინარეს თმაში ვარდი გაუყარა. მერე ისევ ფეხაკრეფით გამოვიდა.

მეორე დღეს ვერცხლისცხვირა თავის საქმეებზე წავიდა. ქალი მარტო დარჩა თუ არა, დასტაცა ხელი გასაღებების აცმულას და ხელად საიდუმლო ოთახის კართან გაჩნდა. სულ ოდნავ გამოაღო, გამოიჭრა ოთახიდან ცეცხლის ალი და კვამლის ბოლქვები. დაინახა ქალმა, როგორ იკლაკნებოდნენ იმ ცეცხლსა და კვამლში განწირული სულები და მიხვდა: ვერცხლისცხვირა ეშმაკია, ამ კარს იქით კი _ ჯოჯოხეთიო. შიშით დაზაფრულმა ერთი კი შეჰკივლა, კარი მიაჯახუნა და კისრისტეხით გაიქცა. გაიქცა, მაგრამ ჯოჯოხეთიდან გამოჭრილმა ცეცხლის ალმა თმაში გარჭობილი ვარდი შეუტრუსა.

დაბრუნდა ვერცხლისცხვირა. დაინახა ქალს თმაში გაყრილი ვარდი დასჭკნობია.

— აჰა, ურჩობა გაბედეო! — დაიღრიალა, სტაცა ხელი ქალს, გამოაღო ჯოჯოხეთის კარი და აგუზგუზებულ ცეცხლში უკრა თავი.

მეორე დღეს ისევ ესტუმრა ქვრივს.

— თქვენმა ქალმა შემოგითვალათ, კარგად მოვეწყვეო. მაგრამ საქმეს ვერ აუდის, დამხმარე სჭირდება. შუათანა ქალს ხომ ვერ გამატანთო..

წაიყვანა ვერცხლისცხვირამ ქვრივის შუათანა ქალი, მივიდნენ სასახლეში, ჩააბარა გასაღებები. მოატარა მთელი ოთახები უკანასკნელი ოთახის გარდა და დაარიგა: ამ ოთახის კარი არამც და არამც არ გააღოო.

— ნეტა ერთი, რაში მაინტერესებს თქვენი საიდუმლო, — მიუგო ქალმა.

საღამოს, როცა ქალი დაწვა და დაიძინა, ვერცხლისცხვირა ფეხაკრეფით შეიპარა მის საწოლ ოთახში და მძინარეს თმაში მიხაკი გაუყარა.

მეორე დილით, გავიდა თუ არა შინიდან ვერცხლისცხვირა, ქალს გულმა ვერ მოუთმინა, მივიდა საიდუმლო ოთახის კართან და გამოაღო.

გამოაღო კარი, გამოიჭრა ოთახიდან ცეცხლის ალი და კვამლის ბოლქვები, შეესმა ცოდვილთა გოდება და მათ შორის თავისი უფროსი დაც დაინახა.

— დაო, დაო, დამიხსენი ამ ჯოჯოხეთიდანო! — შეესმა დის მუდარა.

გოგონა შიშისაგან გაირინდა, მერე კარი მიაჯახუნა და კისრისტეხით გაიქცა. მირბოდა და არ იცოდა, სად დამალულიყო. ყველაფერს მიხვდა, ვერცხლისცხვირა ეშმაკია, დავიღუპე, მე უბედურიო.

დაბრუნდა ვერცხლისცხვირა, დაინახა თმაში გაყრილი მიხაკი დასჭკნობია ქალს. უსიტყვოდ სტაცა ხელი ცოდვილს და ჯოჯოხეთში უკრა თავი.

მეორე დღეს დიდებულივით გამოეწყო და ისევ მიადგა მრეცხავს კარზე.

— ოჯახში იმდენი საქმეა, რომ თქვენი ორი ქალი ვერ აუდის. გამოუშვით ჩემთან უმცროსიცო!

ასე გაიტყუა ვერცხლისცხვირამ ქვრივის უმცროსი ქალი, ლუჩია. მაგრამ ლუჩია დებში ყველაზე ეშმაკი იყო.

შემოატარა ვერცხლისცხვირამ თავისი დარბაზები, მისცა გასაღებების აცმულა და დაარიგა, უკანასკნელი ოთახის კარი არამც და არამც არ გააღოო.

ღამე, როგორც კი თვალი მილულა ლუჩიამ, მიეპარა ვერცხლისცხვირა და თმაში ჟასმინი გაუყარა.

ადგა დილით ლუჩია, თმის დავარცხნა უნდოდა, სარკეში რომ ჩაიხედა, ჟასმინი დაინახა.

გაეცინა ქალს, რა კარგია, ვერცხლისცხვირას ჩემთვის ჟასმინი გაუყრია თმაშიო. მოდი, წყალში ჩავდგამო. აიღო ჭიქა, ჩაასხა წყალი და ჟასმინი შიგ ჩადო. მერე ნელა დაივარცხნა თმა და როცა დარწმუნდა, რომ მარტო დარჩა, გაიფიქრა: ახლა კი ვნახოთ, იმ საიდუმლო ოთახში რა აქვს ვერცხლისცხვირასო.

გამოაღო ლუჩიამ კარი, გამოიჭრა ცეცხლის ალი და კვამლის ბოლქვები. გოგონამ დაინახა ტანჯული ცოდვილები და თავისი უფროსი დებიც.

— ლუჩია! ლუჩია! — დაუყვირეს დებმა. — გვიშველე. გაგვიყვანე ჯოჯოხეთიდანო!

ლუჩიამ კარი მაგრად მიხურა და დაფიქრდა, რა ვქნა, როგორ დავიხსნა ჩემი დები ამ უბედურებიდანო.

ეშმაკის დაბრუნების დრო რომ მოახლოვდა, თმაში ჟასმინი გაირჭო და ისეთი სახე მიიღო, ვითომც აქ არაფერიაო. შეხედა ვერცხლისცხვირამ ჟასმინს და უნებურად წამოიძახა:

— უჰ, როგორ ღაღანებსო!

— რა დააჭკნობდა, — უთხრა ლუჩიამ, — აბა, დამჭკნარ ყვავილს ვინ გაიყრის თმაშიო?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრა ვერცხლისცხვირამ. — ეს ისე ვთქვი... კარგი გოგონა ხარ, თუ მომავალშიც ასე ჭკვიანად მოიქცევი, მე და შენ შეხმატკბილებულად ვიცხოვრებთ. მოგწონს ჩემი სასახლეო?

— ძალიან მომწონს, მაგრამ ერთი რამ არ მასვენებსო, — მიუგო ლუჩიამ.

— რა იყო, რა არ გასვენებსო? — ჰკითხა ეშმაკმა.

— დედის ამბავი არ ვიცი. აქეთ რომ წამოვედი, დედა შეუძლოდ იყოო.

— მერე ამან შეგაწუხა? — ჰკითხა ეშმაკმა. — დღესვე შევივლი დედაშენთან, გული დაიმშვიდეო.

— მადლობელი ვარ, ბატონო. მაგრამ, თუ ასეთ სიკეთეს მიზამთ, ბარემ ხვალ წადით და დედას თეთრეულიც წაუღეთ გასარეცხად. თუ მომჯობინდა, გამირეცხავს. ხომ არ გაგიჭირდებათ თეთრეულის წაღებაო? — ჰკითხა ლუჩიამ.

— რა დიდი საქმე ეგ არის, — ჩაიცინა ეშმაკმა. _ როგორი მძიმე ტომარაც უნდა მომცე, ციმციმ მივუტან დედაშენსო.

გავიდა თუ არა ვერცხლისცხვირა შინიდან, ლუჩიამ ჯოჯოხეთის კარი გამოაღო, გამოათრია უფროსი და, ჩასვა ტომარაში და უთხრა:

— წყნარად იჯექი, კარლოტა. ეშმაკი მალე დაბრუნდება, მოგიგდებს ზურგზე და მიგაცუხცუხებს შინ. გზაში თუ შეატყო, რომ ტომრის მიწაზე დადებას დააპირებს, მაშინვე დაიძახე:

— გხედავ, გხედავ-თქო.

დაბრუნდა ვერცხლისცხვირა. ლუჩიამ ტომარა უჩვენა:

— აქ არის გასარეცხი თეთრეული. მართლა წაუღებთ დედაჩემსო?

— რა იყო, არა გჯერაო?! — გაუკვირდა ეშმაკს.

— მჯერა, როგორ არა. მე ისეთი გამჭრიახი თვალი მაქვს, ცხრა მთას იქით რა ხდება, აქედან ვხედავ. აი, გზაზე ტომარა რომ ჩამოიღოთ, მე აქედან დაგინახავთო.

ეშმაკს ჩაეცინა, არ დაუჯერა, ასე შორს როგორ დაინა-ხავსო.

— კარგა მძიმე ყოფილა ეს ჭუჭყიანი თეთრეული! — ამოიხვნეშა ეშმაკმა, ტომარა ზურგზე რომ მოიგდო.

— მაშ, რა იქნება, რამდენი წელია თეთრეული არ გაგირეცხიათო, — მშვიდად უპასუხა ლუჩიამ.

ვერცხლისცხვირამ ზურგზე ტომარა მოიგდო და გზას გაუდგა. იარა, იარა, თითქმის ნახევარი გზა გალია და გაიფიქრა: 'ხომ არ მოვხსნა ტომარას თავი? ვინ იცის, იქნებ იმ მზეთუნახავმა ჩემი ქონება ჩადო ტომარაში და სახლი გამომიცარიელაო!» ის იყო, ტომარა ძირს უნდა დაედო, რომ...

— ეჰეი, გხედავ! გხედავ! — იმ წუთს იყვირა ტომარაში მჯდარმა კარლოტამ.

— ფუი, იმ კუდიანს თურმე მართალი უთქვამს, მის მეტი ამ სიშორეზე ვერავინ დაინახავს, მართლაც საოცარი თვალი ჰქონიაო, — აბუზღუნდა ვერცხლისცხვირა, წამოიკიდა ტომარა და პირდაპირ დაადგა ქვრივის სახლის გზას.

— თქვენმა ქალმა გასარეცხი თეთრეული გამოგიგზავნათ და დამაბარა, გამიგე, დედაჩემი როგორ არისო.

გავიდა თუ არა ვერცხლისცხვირა, ქვრივი ტომარას მივარდა და თავი მოხსნა. საწყალი ქალი სიხარულით ცას ეწია, უფროსი შვილი რომ დაინახა.

გავიდა ორი კვირა, ისევ დანაღვლიანდა ლუჩია. ეშმაკს სთხოვა, დედის დარდი არ მასვენებს, გამიგეთ, როგორ არისო და მეორე ტომარა თეთრეულიც გაატანა.

ასე მიუყვანა ქვრივს ვერცხლისცხვირამ შუათანა ქალიც. გზაში რამდენჯერმე დააპირა ტომრის თავის მოხსნა, მაგრამ როგორც კი ძირს დაუშვებდა ტომარას, იმ წუთას შემოესმოდა:

— ეჰეი, გხედავ, გხედავო!

მრეცხავმა ქალმა უკვე იცოდა, რა სულიერიც ბრძანდებოდა ვერცხლისცხვირა და კვლავ რომ გამოეცხადა, შიშით გული გადაუქანდა. ვაითუ სუფთა თეთრეული მომთხოვოსო. ვერცხლისცხვირამ კი ტომარა ჩამოიღო და ქვრივს უთხრა:

— სუფთა თეთრეულს მერე წავიღებ. ამ წყეულმა ტომარამ ზურგი დამიბეჟა და შინ ხალვათად უნდა წავიდეო.

გავიდა თუ არა ვერცხლისცხვირა, შეშინებულმა ქვრივმა ტომარას თავი მოხსნა და შუათანა შვილს გადაეხვია. ახლა ლუჩიას დარდი კლავდა, რა ეშველება იმ უწმინდურის ხელშიო.

რას აკეთებდა ლუჩია? დიდხანს არ გაუვლია, ისევ სთხოვა ეშმაკს, დედის ამბავი გამიგეო.

ეშმაკს მობეზრდა ჭუჭყიანი თეთრეულით გატენილი ტომრების თრევა, მაგრამ ლუჩია ისე დაუზარელი, ისეთი გამრჯე იყო, რომ ეშმაკი ვერაფერზე უარს ვერ ეუბნებოდა.

წინა საღამოს ლუჩიამ თავი მოიავადმყოფა და ადრე დაწვა დასაძინებლად.

— თეთრეულის ტომარას კართან დავდებ, თუ დილით უკეთ არ ვიქენი და ვერ ავდექი, ტომარა წაიღეთო, — დაუბარა ეშმაკს. თურმე იმ კუდიანმა ლუჩიამ, წინასწარ ჩვრებისგან თავის სიმაღლე დედოფალა შეკერა. ჩააწვინა ეს დედოფალა ლოგინში, წააფარა საბანი, წაიჭრა ნაწნავები, მიაკერა დედოფალას თავზე, თვითონ კი ტომარაში ჩაძვრა.

დილით ვერცხლისცხვირამ ლუჩიას ოთახში შეიჭვრიტა. ლუჩიას ეძინა, წამოიკიდა ტომარა და გზას გაუდგა.

დღეს ხომ შეუძლოდ არის ლუჩია, თვალს ვეღარ მადევნებს, მოდი შევამოწმებ, მართლა ჭუჭყიანი თეთრეულია, თუ რა არის ამ ტომარაშიო, — გადაწყვიტა ეშმაკმა, ფრთხილად ჩამოიღო ტომარა და ის იყო თავი უნდა მოეხსნა, რომ შემოესმა:

— ეჰეი, გხედავ! გხედავო!

— ფუი! ისე ახლოს გაისმა ლუჩიას ხმა, თითქოს აქვე იყოს! ერიჰა, ამ გოგოსთან ფრთხილად უნდა ვიყო! — ისევ წამოიკიდა ტომარა და გზას გაუდგა.

მრეცხავის კარს რომ მიადგა, დააკაკუნა.

— თეთრეულს მერე წავიღებ, შინ მიმეჩქარება, ლუჩია შეუძლოდ არისო, — უთხრა ქვრივს და წავიდა.

ასე შეიყარა მთელი ოჯახი ერთად და რაკი ლუჩიას არ დაავიწყდა ეშმაკის სახლიდან ფულით გატენილი კარგა მოზრდილი ქისის წამოღება, ოჯახი წელში გაიმართა, ცხოვრობდნენ ბედნიერად და უზრუნველად.

ეშმაკის დასაფრთხობად კი კარის წინ დიდი ჯვარი დადგეს.

ლანგე

<u>ვარსკვლავთმრიცხველი გლეხი</u>

ხელმწიფემ ძვირფასი ბეჭედი დაკარგა. ეძება, ეძება, მაგრამ ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, ბეჭედი ვერსად ნახა. ბრძანა ხელმწიფემ: აუწყეთ ყველას, რომ ოქროში ჩავსვამ იმ ვარსკვლავთმრიცხველს, ვინც ბეჭედს მიპოვისო. ერთ ღარიბ-ღატაკ გლეხსაც შეესმა გზირის ხმა. გლეხს გამბარას ეძახდნენ, რაც კიბოს ნიშნავს. გამბარამ წერა-კითხვა არ იცოდა და ისეთი ღატაკი იყო, სულს იქით არა ებადა რა.

‘ვითომ ეგრე ძნელია ვარსკვლავთმრიცხველობა? — გაიფიქრა გამბარამ. — რა იქნება მეც ვცადო ბედიო?» — ადგა და ერთ მშვენიერ დღეს ხელმწიფეს ეახლა.

ხელმწიფის ბრძანებით გამბარა ერთ ოთახში ჩაკეტეს. ოთახში საწოლი, მაგიდა და სკამი იდგა. მაგიდაზე ეწყო სამელნე, კალამი, ქაღალდი და ვარსკვლავთმრიცხველობის წიგნი.

მიუჯდა გამბარა მაგიდას და იმ სქელ წიგნს დაუწყო ფურცვლა. მართალია, არაფერი ესმოდა, მაგრამ მაინც აიღო კალამი და აქა-იქ რაღაც ჩანიშნა. გამბარას კალამი თავის დღეში არ სჭერია ხელში და ისეთი უცნაური ნიშნები გამოუვიდა, რომ მსახურებმა, დღეში ორჯერ რომ შეჰქონდათ მისთვის კერძი, გაიფიქრეს, ეს კაცი, მართლაც, დიდი ვარსკვლავთმრიცხველიაო. საქმე ის იყო, რომ ხელმწიფის ბეჭედი სწორედ იმ მსახურებმა მოიპარეს და სინდისი სუფთა არა ჰქონდათ. გამბარა კი, როგორც ნამდვილ ვარსკვლავთმრიცხველს შეეფერება, კუშტად გადახედავდა ხოლმე მსახურებს. მათაც შიშით ფერიფური მისდიოდათ — ალბათ ყველაფერი იცის ამ ვარსკვლავთმრიცხველმაო.

მსახურებმა აღარ იცოდნენ, როგორ მილაქუცებოდნენ, როგორ შემოვლებოდნენ თავს გამბარას.

— გისმენთ, სინიორ ვარსკვლავთმრიცხველო! რას გვიბრძანებთ, სინიორ ვარსკვლავთმრიცხველოო!

მართალია, გამბარა ვარსკვლავთმრიცხველი არ იყო, მაგრამ გლეხი გახლდათ და ეშმაკობას ვერავინ ასწავლიდა. ხელად აუღო ალღო, ასე რად ელაქუცებოდნენ მსახურები და გადაწყვიტა, მახეში უნდა გავაბა სამივეო.

ერთხელ, სადილობა რომ მოახლოვდა, გამბარა საწოლქვეშ შეძვრა. შევიდა მსახური, მიიხედ-მოიხედა და ვერავინ დაინახა.

— აი, პირველი! — დაიძახა ამ დროს საწოლქვეშ შემძვრალმა გამბარამ.

მსახურს ელდა ეცა, თეფში ხელიდან გაუვარდა და გიჟივით გაენთო ოთახიდან.

შევიდა მეორე მსახური და თითქოს ქვესკნელიდან გაისმაო:

— ეს კი, მეორე!

მეორე მსახურიც გავარდა ოთახიდან.

შევიდა მესამე მსახური...

— ესეც მესამე! — დაიძახა გამბარამ.

შეიყარნენ მსახურები და მოითათბირეს:

— რა ვქნათ? ვარსკვლავთმრიცხველმა ყველაფერი გაიგო. ხელმწიფეს რომ მოახსენოს, ცხენის კუდზე გამოგვაბამენ. მოდი, ვეახლოთ და ყველაფერი გულახდილად ვუთხრათო.

ადგნენ და ეახლენ გამბარას.

— შეგვიბრალე, ბრძენთა ბრძენო. საწყალი ხალხი ვართ, ყელს ნუ გამოგვჭრი, ნუ მოახსენებ ხელმწიფეს და, აი, ეს ქისა ინებეო.

გამოართვა გამბარამ ოქროთი სავსე ქისა და უთხრა:

— კარგი, რა გაეწყობა, არ გაგცემთ. ოღონდ ისე მოიქეცით, როგორც დაგარიგებთ. აი, იმ ინდაურს ხომ ხედავთ ეზოში, ადექით და ბეჭედი გადააყლაპეთ, დანარჩენი ჩემზე იყოსო...

ადგა მეორე დღეს გამბარა, ეახლა ხელმწიფეს და მოახსენა:

— დიდი ფიქრის და ანგარიშის შემდეგ გავიგე, სად არის თქვენი ბეჭედიო.

— სად არისო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— თქვენო უდიდებულესობავ, ბეჭედი ინდაურს გადაუყლაპავსო.

დაკლეს ინდაური, გამოშიგნეს და იპოვეს ბეჭედი. ხელმწიფემ უხვად დაასაჩუქრა ვარსკვლავთმრიცხველი, მერე მის პატივსაცემად დიდი ნადიმი გამართა. მოიწვია რაც კი იმ ქვეყანაში ბარონები, გრაფები, მარკიზები და გრანდები იყვნენ.

ათასნაირ კერძთან ერთად სუფრაზე კიბორჩხალებიც მოიტანეს. თურმე იმ ქვეყანაში კიბორჩხალა თვალით არავის ენახა — სხვა ქვეყნის ხელმწიფეს გამოეგზავნა ძღვნად.

— შენ ხომ დიდი ვარსკვლავთმრიცხველი ხარ. აბა, მითხარი, ეს რა არისო? — მიმართა ხელმწიფემ გამბარას.

იმ საცოდავ გამბარას თვალით არ ენახა კიბორჩხალები, რა იყო, არ იცოდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეჰ, გამბარა, გამბარა, შენი აღსასრულის წუთი დადგაო.

ხელმწიფემ არ იცოდა, თუ გლეხს გამბარა ერქვა და ვაშა, ვაშაო, წამოიძახა.

— გამოიცანი, ჩემო კარგო, მართლა კიბორჩხალებია. შენ ხარ უდიდესი ვარსკვლავთმრიცხველი დედამიწის ზურგზეო.

მანტუა

<u>უსულო ტანი</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვრივი დედაკაცი. ერთი ვაჟიშვილის მეტი არავინ დადიოდა მის ბარობაზე. ცამეტი წლისა რომ შესრულდა ბიჭი, გადაწყვიტა, წავალ, ქვეყანას შემოვივლი, ეგებ ბედს ვეწიოო.

— შვილო, ჯუანინ! ჯერ პირზე რძე არ შეგშრობია, რა დროს შენი ხეტიალია, — უთხრა დედამ. — როცა ისე დავაჟკაცდები, რომ ჩვენი სახლის უკან მდგარ ნაძვის ხეს წიხლისკვრით წააქცევ, მაშინ დაგილოცავ გზასო.

იმ დღიდან მოყოლებული ჯუანინი თვალს გაახელდა თუ არა, წამოხტებოდა ლოგინიდან, გაქანდებოდა ხისკენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაეძგერებოდა. მაგრამ ხე არც შეირხეოდა, თვითონ კი ზღართანს გაადენდა მიწაზე. წამოდგებოდა ბიჭი, ტანისამოსს გაიფერთხავდა და კუდამოძუებული გაბრუნდებოდა უკან.

ერთ მშვენიერ დღეს ჯუანინი მთელი ძალით ეძგერა ხეს. ხე შექანდა, გადაიზნიქა, ძირს დაენარცხა და ფესვები ზევით ამოყარა.

ჯუანინიმ დედას დაუძახა. ქვრივმა წაქცეული ხე რომ დაინახა, შვილს უთხრა:

— ახლა კი, ჩემო შვილო, საითაც გენებოს, იქით წადიო.

გამოემშვიდობა ჯუანინი დედას და გზას გაუდგა. იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა, ერთ ქალაქში მივიდა. თურმე იმ ქვეყნის ხელმწიფეს ერთი გაუხედნავი ცხენი ჰყავდა, რონდელო ერქვა. ბევრმა სცადა რონდელოს გახედნა, მაგრამ ვერავინ შეძლო. შეჯდებოდნენ ცხენზე, გაატარებდნენ რამდენიმე ნაბიჯს, დაფრთხებოდა რონდელო და მხედარს გადმოაგდებდა. ჯუანინიმ შეამჩნია, რომ ულაყს თავისი ჩრდილისა ეშინოდა. რაკი მიზეზი გაუგო, კარისკაცებს მოახსენა, მე გავხედნი ცხენსო. გამოაყვანინა საჯინიბოდან, ჯერ დაუყვავა, რონდელო, რონდელოო, მერე უცებ უნაგირს მოევლო, ქუჩაში გაიყვანა და მზის შუქის პირდაპირ ატარა. ცხენი თავის ჩრდილს ვეღარ ხედავდა და მშვიდად მიუყვებოდა გზას. ჯუანინიმ სადავე მოსწია, დეზები შემოჰკრა და გააჭენა ულაყი. სულ მალე კრავივით მოათვინიერა რონდელო, მაგრამ ცხენმა ჯუანინის მეტი არავინ მიიკარა.

ხელმწიფემ კარისკაცად დანიშნა ჯუანინი და ძალიან შეიყვარა. შეშურდათ ეს კარისკაცებს, ბოღმით აივსნენ და გადაწყვიტეს, თავიდან მოეშორებინათ ჭაბუკი.

ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყავდა. თურმე რამდენიმე წლის წინათ მისი ასული ჯადოქარმა უსულო ტანმა მოიტაცა. მას მერე არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი.

შურიანმა კარისკაცებმა ერთ მშვენიერ დღეს მოახსენეს ხელმწიფეს, ჯუანინი იკვეხნიდა, ჩემს მეტს არავის შეუძლია ხელმწიფის ქალის გამოხსნაო. დაიბარა ხელმწიფემ ჯუანინი. საბრალო ჭაბუკმა არაფერი იცოდა ხელმწიფის ქალზე და მეხივით დაეცა ეს ამბავი. ხელმწიფე ვერ წარმოიდგენდა, თუ ასეთ რამეს მოიგონებდნენ მისი კარისკაცები და, რაკი ჯუანინიმ ხმა ვეღარ ამოიღო, საშინლად განრისხდა.

— ან დაიხსნი ჩემს ქალს ტყვეობიდან, ან არადა, თავს მოგჭრითო, — უთხრა ჯუანინს.

ჭაბუკმა იცოდა, სიმართლე რომ ეთქვა ხელმწიფისთვის, მაინც არ დაუჯერებდა და მსახურს სთხოვა: ჩემს ოთახში, კედელზე, ჟანგიანი ხმალი ჰკიდია, წადი და მომიტანეო. ხმალი რომ მიუტანეს, შეკაზმა რონდელო და გზას გაუდგა. ტყეში ლომმა გზა გადაუჭრა, უბრძანა, გაჩერდიო, ჯუანინს შიშის ზარი დაეცა, მაგრამ გაქცევისა შერცხვა, დაქვეითდა და ლომს ჰკითხა, რას მიბრძანებთო.

— ჯუანინ, — უთხრა ლომმა, — ოთხნი ვართ^: მე, ძაღლი, არწივი და ჭიანჭველა. აგერ, ამ მკვდარი ვირის გაყოფა გვინდა და ვერ მოგვიხერხებია. შენ ხმალი გაქვს, აჩეხე ეგ ვირი და სამართლიანად გაგვინაწილეო.

ჯუანინიმ თავი მოსჭრა ვირს და ჭიანჭველას მისცა:

— აჰა, წაიღე. სახლის მაგივრობასაც გაგიწევს, შიგნით კი იმდენ საჭმელს იპოვი, რამდენიც შენს სულსა და გულს ესიამოვნებაო.

მერე ფეხები მოსჭრა ვირს და ძაღლს მიუგდო:

— აჰა, სახრავად გეყოფაო.

ახლა შიგნეული გამოაცალა ვირს და არწივს გაუწოდა:

— ესეც შენ. აიტანე ხის კენწეროზე და მოულხინეო.

ვირის ტანი კი ლომს მიართვა. ეს ყველაზე ძლიერი ცხოველი მშვიდად ელოდა თავის წილს.

ყველას თავთავისი არჩივი რომ უბოძა, ცხენს მოახტა და ის იყო ადგილიდან უნდა დაეძრა, რომ ლომმა ისევ შეაჩერა. ვაიმე, ალბათ კარგად ვერ გავუნაწილეო, — გაუელვა თავში ჯუანინს.

— ძალიან კარგად გაგვინაწილე, — უთხრა ლომმა, — დიდი სიკეთე გვიყავი და ყველას გვინდა, რითიმე მადლობა გადაგიხადოთ. აი, გამომართვი ეს ბრჭყალი, თითზე წამოიცვამ თუ არა, უმალ ყველაზე მრისხანე ლომად გადაიქცევიო.

— ჩემი ულვაშიც ინებე, — უთხრა ძაღლმა, როგორც კი ჩაირჭობ საულვაშეში, მაშინვე ისეთ ფეხმარდ ძაღლად გადაიქცევი, რომ შენი დამწევი ან გამსწრები ქვეყნად არ იქნებაო.

— ფრთიდან ბუმბული გამომაძრეო, — შეესმა ჭაბუკს არწივის ხმა. _ ამ ბუმბულს ისეთი ძალა აქვს, რომ წამში დიდ, მძლავრ არწივად გადაგაქცევსო.

— მე კი ჩემს ფეხს გიბოძებ, — უთხრა ჭიანჭველამ, — ტანზე მიიწებებ და სულ პაწაწკინტელა ჭიანჭველად იქცევი. ისეთი პაწია გახდები, რომ გამადიდებელი შუშითაც ვერავინ დაგინახავსო.

ჯუანინიმ ოთხივეს მადლობა მოახსენა, გამოართვა, რაც უბოძეს, და გზას გაუდგა. ოღონდ ეჭვობდა, ნეტა მართლა აქვთ ჯადოსნური ძალა, თუ მასხრად ამიგდესო. კარგა დიდი გზა რომ გაიარა, თქვა, მოდი, გამოვცდიო. ჯერ ლომის კლანჭი წამოიცო თითზე. მაშინვე ლომად გადაიქცა. მერე არწივის ფრთა მიიწება და უცებ ცაში აიჭრა. ახლა ძაღლის ულვაში გამოსცადა. ხელად ფეხმარდ ძაღლად გადაიქცა. ბოლოს ჭიანჭველის ფეხიც მიიწება და პაწაწკინტელა ჭიან-

ჭველად იქცა. მერე ისევ ლომად იქცა, ისევ არწივად, ისევ ძაღლად, ისევ ჭიანჭველად. მერე ისევ ლომად, არწივად, ძაღლად, ჭიანჭველად. რაკი დარწმუნდა, მართლა ჯადოსნური ძალა აქვთ ამ ბრჭყალს, ულვაშს, ფრთასა და ფეხსო, მეტად კმაყოფილმა გააქროლა რონდელო. გალია ტყე ჯუანინიმ და რასა ხედავს? მის წინ კამკამა ტბაა. შუაგულ ტბაში კოშკია აღმართული. სწორედ ეს იყო ჯადოქარ უსულო ტანის კოშკი. გადაიქცა ჯუანინი არწივად, აფრინდა, დაკეტილი ფანჯრის რაფაზე შემოჯდა, იქცა პაწაწა ჭიანჭველად, ჭუჭრუტუნაში შეძვრა და ხელმწიფის ქალის საწოლ ოთახში ამოჰყო თავი. ხელმწიფის ქალი საჩრდილობელქვეშ იწვა და ეძინა. ჭიანჭველა ლოყაზე შეაცოცდა, იმდენი უცაცუნა ქალს თავი, ვიდრე არ გააღვიძა. ჯუანინიმ ჭიანჭველის ფეხი მოიშორა და ხელმწიფის ქალმა მშვენიერი ჭაბუკი დაინახა.

— ნუ გეშინია, შენს დასახსნელად მოვედიო, — უჩურჩულა ჯუანინიმ, თან ანიშნა, ხმა არ ამოიღოო, — ჯადოქარს გამოსტყუე, როგორ შეიძლება მისი მოკვლაო.

ჯადოქარი ხელმწიფის ასულის საწოლ ოთახში რომ შევიდა, ჯუანინი ისევ ჭიანჭველად გადაიქცა. ხელმწიფის ქალი ალერსიანად შეეგება ჯადოქარს, ფეხთით დაისვა, თავი კალთაში ჩაადებინა.

— ჩემო საყვარელო ჯადოქარო, ვიცი, უსულო ტანი გაქვს და უკვდავი ხარ, მაგრამ ერთი რამ მაინც არ მასვენებს. სადღაც ხომ გაქვს სული დამალული? ვაითუ ვინმემ გაიგოს შენი საიდუმლო და მოგკლას. ამის დარდით მოსვენება დავკარგეო.

— არ დაგიმალავ, გეტყვი, სადაც არის ჩემი სული, — მიუგო ჯადოქარმა, — ცხრა მთითა და ცხრა ზღვით ხარ ხალხს დაშორებული, ჩემს საიდუმლოს ვერავის გაუმხელო.

ჩემს მოსაკლავად ქვეყნად ისეთი მძლავრი ლომი უნდა გაჩნდეს, შავ ლომს სძლიოს, ჩემს ტყეში რომ ცხოვრობს. თუ შავ ლომს მოკლავენ, მისი ტანიდან ფეხმარდი შავი ძაღლი გამოხტება, იმ ძაღლს მხოლოდ ყველაზე ფეხმარდი ძაღლი დაეწევა, თუ ამ შავ ძაღლსაც მოკლავენ, შავი ძაღლის მუცლიდან უძლიერესი შავი არწივი ამოფრინდება. არ ვიცი, მისი მძლევი არწივი სადმე თუ იქნება ამქვეყნად. შავი არწივის მუცელში შავი კვერცხი დევს, თუ იმ კვერცხს შუბლზე დამახლის ვინმე, მაშინ დავლევ სულს. როგორ ფიქრობ, ადვილია ჩემი მოკვლა? მაშ, კიდევ ინაღვლებ ამაზეო?

ჯუანინი ჭიანჭველის პაწია ყურებით ისმენდა ყველაფერს. ჯადოქარმა სათქმელი რომ მოათავა, ჭიანჭველა ისევ ჭუჭრუტანაში გაძვრა, არწივად იქცა და ტყისკენ გასწია. ტყეში რომ მიფრინავდა, უმძლავრეს ლომად იქცა, დაშლიგინობდა ბარდებში, უვლიდა ტყეს, იმდენი იარა, ვიდრე შავ ლომს არ წააწყდა. მაშინვე დაეძგერნენ ერთმანეთს. ჯუანინი უმძლავრესი ლომი იყო და ხელად გაფატრა შავი ლომი.

კოშკში მჯდარ უსულო ტანს თავბრუ დაესხა.

როგორც კი ლომმა სული განუტევა, მისი მუცლიდან ფეხმარდი ძაღლი გამოხტა და მოკურცხლა. მაგრამ ჯუანინიც ხელად ყველაზე ფეხმარდ ძაღლად

იქცა, გაენთო, დაეწია შავ ძაღლს და ეცნენ ერთმანეთს. კბილი ჰკიდეს, მიწაზე გაგორდნენ, იბრძოდნენ გააფთრებით. ბოლოს მაინც ჯუანინიმ სძლია და შავი ძაღლი მოახრჩო.

ჯადოქარი ლოგინში ჩაწვა.

შავი ძაღლის მუცლიდან არწივი ამოფრინდა. ჯუანინი ხელად ყველაზე მძლავრ არწივად იქცა და გამოუდგა, დაეწია, ეცნენ ერთმანეთს, უნისკარტებდნენ, ბრჭყალავდნენ. მაგრამ ჭაბუკმა იმასაც სძლია და შავი არწივი ტყვიასავით დაეშვა ძირს.

ჯადოქარს შეაცია, საბნების გროვა ზედ დაიყარა, მაგრამ მაინც ძაგძაგებდა.

ჯუანინი ადამიანად იქცა, გამოშიგნა არწივი, ამოაცალა შავი კვერცხი, გასწია ციხე-კოშკისკენ და ხელმწიფის ქალს მიართვა შავი კვერცხი.

— როგორ ჩაიგდე ხელთ? — გაუკვირდა ქალს.

— დიდად არ გამჭირვებია. ახლა შენ იცი და შენმა ქალობამაო, — უთხრა ჯუანინიმ.

ხელმწიფის ქალი ჯადოქართან მივიდა:

— როგორა ხარო?

— რაღა როგორა ვარ. ვიღაც მოკვლას მიპირებს, ვაი ჩემი ბრალიო, — ამოიკვნესა ჯადოქარმა.

— ფინჯნით ბულიონი მოგიტანე, აბა, დალიეო, — უთხრა ხელმწიფის ქალმა.

ჯადოქარმა წამოიწია, ფინჯანზე დაიხარა ბულიონის დასალევად.

— მოიცა, ბულიონში კვერცხს ჩავახლი, უფრო გარგებსო, — უთხრა ხელმწიფის ქალმა და შავი კვერცხი ზედ შუბლზე დაახალა.

ჯადოქარმა იქვე დალია სული.

ჯუანინიმ ქალი მამას მიჰგვარა. გაიხარა ხელმწიფემ, ზეიმობდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ხელმწიფემ ჯუანინს ცოლად შერთო თავისი ასული.

ლიგურია

<u>კიბორჩხალადქცეული უფლისწული</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეთევზე. თევზს იჭერდა და ჰყიდდა, მაგრამ იმ ორიოდე გროშით, რასაც თევზით ვაჭრობით შოულობდა თავის დიდ ჯალაბს ვერ არჩენდა. საცოდავებს პოლენტაც კი ენატრებოდათ. წავიდა ერთხელ მეთევზე სათევზაოდ, გადააგდო ზღვაში ბადე, მოსწია, რაღაც ძალიან მძიმე მოჰყვა ბადეს. გაჭირვებით ამოათრია ბადე, დახედა და გაოცდა: უშველებელი კიბორჩხალა გახვეულიყო შიგ.

— აი, მესმის ნანადირევი, — გაუხარდა მეთევზეს, — მეშველა, ახლა მაინც გავაძღებ ჯალაბს პოლენტათიო.

მეთევზე ჯერ შინ წავიდა და ცოლს უთხრა: მარდად დატრიალდი, ცეცხლზე ქვაბით წყალი დადგი, პოლენტის ფულს ხელად გავაჩენო, და კიბორჩხალა ხელმწიფეს წაუღო.

— თქვენო უდიდებულესობავ, წყალობა მოიღეთ, იყიდეთ კიბორჩხალა. ჩემი ცოლი უკვე წყალს ადუღებს პოლენტისათვის, მე კი ფული არ მაქვსო, — უთხრა ხელმწიფეს.

— აბა, რად მინდა ეგ შენი კიბორჩხალა, წადი და სადაც გენებოს, იქ გაყიდეო, — უპასუხა ხელმწიფემ.

ის იყო იმედგაცრუებული მეთევზე უკანვე უნდა გაბრუნებულიყო, რომ ხელმწიფის ასული შემოვიდა.

— უჰ, რა მშვენიერი კიბორჩხალაა! მამა, საყვარელო, მიყიდე კიბორჩხალა, გთხოვ! ჩემს აუზში გავუშვებ ოქროს თევზებთან და კეფალებთან ერთადო, — შეეხვეწა ხელმწიფის შვილი.

ხელმწიფის ასულს ძალიან უყვარდა თევზები. დიდი ხანი იჯდა ხოლმე ბაღში, აუზის პირას, და უცქეროდა, როგორ ცურავდნენ კეფალები და ოქროს თევზები.

ხელმწიფეს მზე და მთვარე თავის ქალზე ამოსდიოდა, ასეთ პატარა სათხოვარზე უარს როგორ ეტყოდა. ადგა და უყიდა კიბორჩხალა.

მეთევზემ კიბორჩხალა აუზში ჩაუშვა, მისცეს ერთი ქისა ოქრო და გახარებული წავიდა შინ, მთელი თვე ჩემს ცოლ-შვილს პოლენტა არ მოაკლდებაო.

ხელმწიფის ქალი აუზს აღარ შორდებოდა, სულ იქ იჯდა და უყურებდა კიბორჩხალას. შეისწავლა მისი ჩვევები. ქალმა შეამჩნია, რომ ზუსტად შუადღეზე კიბორჩხალა სადღაც იკარგებოდა და მთელი სამი საათი აღარ გამოჩნდებოდა ხოლმე. ერთხელ, ქალი ჩვეულებრივ რომ ტკბებოდა კიბორჩხალას მზერით, ზარის წკრიალი შეესმა. ადგა, გავიდა აივანზე, გადაიხედა და მათხოვარი დაინახა. ხელმწიფის ქალმა მათხოვარს ერთი ქისა ოქრო გადაუგდო, მაგრამ მათხოვარმა ქისა ვერ დაიჭირა, წყლით სავსე ღრმა ხანდაკში ჩაუვარდა.

მათხოვარი ხანდაკში ჩავიდა ქისის საძებრად, ჩაიყურყუმელავა და წყალქვეშ გაცურა. იცურა, იცურა და, უცებ ერთ მშვენიერ წყალსაცავში ამოყო თავი. წყალსაცავი მიწისქვეშა დიდ დარბაზში იყო გამართული. დარბაზი ხალიჩებით მოეფინათ, მაგიდაზე ჭურჭელი და ბოთლები ეწყო. ამოძვრა მათხოვარი წყლიდან და ხალიჩას ამოეფარა. შუადღემ რომ მოატანა, უზარმაზარი კიბორჩხალა ამოცურდა წყლის ზედაპირზე. კიბორჩხალაზე ალი იჯდა. დაჰკრა ალმა ჯადოსნური ჯოხი კიბორჩხალას. კიბორჩხალას ბაკნიდან მშვენიერი ჭაბუკი გამოძვრა. მიუსხდნენ ალი და ჭაბუკი მაგიდას. დაჰკრა ალმა ჯადოსნური ჯოხი სუფრას და ლანგარი ხელად ნაირ-ნაირი საჭმლით გაივსო, ბოთლები კი — ღვინით. კარგად რომ დანაყრდნენ, ჭაბუკი ისევ თავის ბაკანში შეძვრა, დაჰკრა ალმა ჯადოსნური ჯოხი, მოახტა კიბორჩხალას და წყალში შეცურდნენ.

მათხოვარი სამალავიდან გამოძვრა, ჩაიყურყუმელავა წყალსაცავში, იცურა, იცურა და უცებ ხელმწიფის ქალის აუზში ამოყო თავი. ხელმწიფის ქალი ისევ

აუზთან იჯდა და თავის თევზებს დასცქეროდა. მათხოვარი რომ დაინახა, გაუკვირდა:

— აქ რა გინდაო? — ჰკითხა.

— ჩუ, ხელმწიფის ქალო! ისეთ ამბავს გეტყვით, ყურს არ დაუჯერებო! — მიუგო მათხოვარმა, ამოვიდა აუზიდან და დაწვრილებით უამბო, რაცა ნახა.

— აჰა, ახლა კი ვიცი, შუადღეზე მთელი სამი საათით სად იკარგება ხოლმე ჩემი კიბორჩხალა. ხვალ შუადღეზე მე და შენ ერთად მივიდეთ იმ დარბაზშიო, — უთხრა ხელმწიფის ქალმა მათხოვარს.

მეორე დღეს ხელმწიფის ქალი და მათხოვარი გაჰყვნენ მიწისქვეშა არხს და იმ მიწისქვეშა დარბაზში მივიდნენ. ორივე ხალიჩას ამოეფარა. შუადღე რომ დადგა, კიბორჩხალაზე მჯდარი ალიც გამოჩნდა. დაჰკრა ალმა ჯადოსნური ჯოხი კიბორჩხალას, ამოვიდა ბაკნიდან მშვენიერი ჭაბუკი და მაგიდას მიუჯდა.

ხელმწიფის ქალი ისედაც შეჰხაროდა კიბორჩხალას და ახლა მისი ბაკანიდან მშვენიერი ჭაბუკი რომ ამოვიდა, უცებ შეუყვარდა. ვიდრე ალი და ჭაბუკი სადილს შეექცეოდნენ, ხელმწიფის ქალი ჩუმად მიიპარა კიბორჩხალას ბაკანთან და შიგ დაიმალა.

შეძვრა ჭაბუკი თავის ბაკანში და ხელმწიფის ქალი არ დახვდა იქ!

— ეს რა ჰქენი, ალმა რომ გაიგოს, ორივე დავიღუპებითო, — წაუჩურჩულა ხელმწიფის ქალს.

— როგორმე უნდა გიხსნა ჯადოსაგან, მითხარი, რით გიშველოო? — ჰკითხა ქალმა ჭაბუკს.

— ვაი, რომ ეგ არც ისე ადვილია. ჯადოსგან ჩემი დახსნა მხოლოდ იმ ქალს შეუძლია, ვინც სიცოცხლეზე მეტად შემიყვარებსო, — უპასუხა ჭაბუკმა.

— თავს არ დავზოგავ, ოღონდ კი გიხსნაო, — შეჰფიცა ქალმა.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ალი კიბორჩხალას მოახტა და ჯადოსნური ჯოხი დაჰკრა. კიბორჩხალა მიწისქვეშა არხს გაჰყვა, — ალი ზღვაში გაიყვანა. ალს ეჭვიც არ აუღია, თუ კიბორჩხალას ბაკანში ხელმწიფის ქალი იყო დამალული და მშვიდად გაცურა. ხელმწიფის ქალი და ჭაბუკი მარტო დარჩნენ, მაგრად გადაეხვივნენ ერთმანეთს და აუზისკენ გაცურეს. გზაში უფლისწულმა, დიახ, ის უფლისწული იყო, ქალს უთხრა, როგორ შეიძლებოდა მისი დახსნა.

— შეარჩიე ყველაზე მაღალი კლდე ზღვის პირას, დადექი იმ კლდის წვერზე, ვიოლინო დაუკარი და იმღერე, ვიდრე ზღვის ტალღებში ალი არ ამოჰყოფს თავს. ალს გაგიჟებით უყვარს მუსიკა, როგორც კი გაიგონებს შენს სიმღერას, წყლიდან ამოვა და გეტყვის: ‘დაუკარ, დაუკარ, მზეთუნახავო, ძალიან მიყვარს მუსიკა». შენ უპასუხე: დავუკრავ, თუ მაგ ყვავილს მაჩუქებ, თმაში რომ გაქვს გაყრილი-თქო. ჩაიგდებ თუ არა ყვავილს ხელში, ჯადო ამეხსნება. იმ ყვავილშია ჩემი ხსნაო.

კიბორჩხალა აუზში შეცურდა.

ამ დროს მათხოვარი მიწისქვეშა არხით აუზში დაბრუნდა, ხელმწიფის ქალი ვერსად რომ ვერ ნახა, შეეშინდა, ხომ არაფერი დაემართაო. ცოტა ხანში აუზი-

დან ხელმწიფის ქალი ამოვიდა, მათხოვარს მადლობა უთხრა და უხვადაც დაა-ჯილდოვა. მერე ხელმწიფესთან მივიდა და გამოუცხადა: დაკვრა და სიმღერა უნდა ვისწავლოო.

ხელმწიფე უარს არაფერზე ეუბნებოდა თავის ქალს. მაშინვე ბრძანება გასცა, — საუკეთესო მომღერლები და მუსიკოსები შეკრიბეთო.

ისწავლა ხელმწიფის ქალმა ვიოლინოს დაკვრა და სიმღერა და ერთხელ მამას უთხრა:

— ზღვის პირას ყველაზე მაღალი კლდის წვერზე უნდა დავდგე და ვიოლინო დავუკრაო.

— კლდის წვერზე, ზღვის პირას? ხომ არ გაგიჟდი, შვილო! — წამოიძახა ხელმწიფემ.

ბოლოს მაინც შეუსრულა სურვილი თავის ქალს. თეთრებში გამოწყობილი რვა სეფექალი გააყოლა თან, უბედურება არაფერი მოხდესო, უკან მეომრების რაზმიც მიჰყვებოდათ. მეომრებს უბრძანა ხელმწიფემ, ერთი წუთით თვალი არ მოაშოროთ ჩემს ქალსო.

დადგა ხელმწიფის ქალი მაღალი კლდის წვერზე. თეთრად მოსილი სეფექალები მის ირგვლივ რვა კლდის წვერზე ჩამწკრივდნენ. გაისმა თუ არა ვიოლინოს ხმა, ალმა მაშინვე ამოყო თავი წყლიდან და ხელმწიფის ქალს დაუძახა:

— უჰ, რა საუცხოო ჰანგია. დაუკარ, დაუკარ, მზეთუნახავო. რომ იცოდე, როგორ მსიანოვნებსო!

— კარგი, დავუკრავ, ოღონდ ეგ ყვავილი მაჩუქე, თმაში რომ გაქვს გაყრილი. ძალიან მიყვარს ყვავილებიო, — უპასუხა ხელმწიფის ქალმა.

— მე ამ ყვავილს ზღვაში გადავაგდებ, თუ დაიჭერ, შენი იყოსო! — უპასუხა ალმა.

— კარგიო, — თქვა ხელმწიფის ქალმა და დაუკრა.

დაკვრა და სიმღერა რომ დაამთავრა, ალს დაუძახა, დაპირებული ყვავილი მიბოძეო.

— აჰა, დაიჭირეო! — უპასუხა ალმა და ზღვაში შორს გადაისროლა ყვავილი.

უცებ ქალი კლდის წვერს მოსწყდა და ზღვაში გადაეშვა, გაცურა იქით, სადაც ტალღებზე მშვენიერი ყვავილი ქანაობდა.

— ხელმწიფის ქალი! ხელმწიფის ქალი! გვიშველეთ! — წიოკობდნენ კლდეზე მდგარი სეფექალები, ქარი ქალებს თეთრ სამოსს უფრიალებდა. ხელმწიფის ქალი კი მიცურავდა და მიცურავდა, ხან ჩაიკარგებოდა ტალღებში, ხან ისევ გამოჩნდებოდა. ის იყო ქალს ძალა გამოელია, რომ ტალღები წამოიქოჩრნენ და ყვავილი ხელში ჩაუგდეს. მაშინვე წყლიდან კიბორჩხალას ხმა გაისმა:

— შენა ხარ ჩემი მხსნელი და ცოლადაც შეგირთავ. ნუ გეშინია. ახლავე გაგიყვან ნაპირზე, ოღონდ ჯერ არსად არაფერი წამოგცდეს, ნურც მამაშენს ეტყვი. დღეს ჩემს დედ-მამას გავახარებ, ხვალ კი მამაშენს ვეწვევი და შენს ხელსა ვთხოვო.

— კარგი, კარგიო, — ძლივს მოითქვა სული ქალმა. კიბორჩხალამ ნაპირზე გაიყვანა ქალი.

შინ რომ მივიდა ხელმწიფის ქალი, მამას მხოლოდ ეს უთხრა, ძალიან მხიარულად გავატარე დროო.

მეორე დღეს, ზუსტად სამ საათზე, სასახლესთან ცხენის ფლოქვების თქარუნი, საყვირის და დაფდაფების ხმა გაისმა. უცხო ქვეყნის შიკრიკი ეახლა ხელმწიფეს და მოახსენა, ჩვენს უფლისწულს თქვენი ნახვა სურსო.

უფლისწულმა ხელმწიფეს სთხოვა, თქვენი ქალი მომათხოვეთო, და მერე დაწვრილებით უამბო, რაც გადახდათ.

ხელმწიფე ჯერ გაბრაზდა, როგორ დამიმალეთ ეს ამბავიო, მერე თავისი ასული იხმო.

ქალმა უფლისწული რომ დაინახა, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო ქმაროო, წამოიძახა და გადაეხვია.

რაღას იზამდა ხელმწიფე, ხელად ქორწილის თადარიგი ბრძანა.

ვენეცია

ერთი ღამე სამოთხეში

ერთ სოფელში ორი ჭაბუკი ცხოვრობდა. ისე უყვარდათ ერთმანეთი, ისეთი გულითადი მეგობრები იყვნენ, რომ ფიცი დადეს: ჩვენში ვინც პირველი დაქორწინდება, მეორე, თუნდაც ცხრა მთას იქით იყოს გადაკარგული, მოძებნოს და მეჯვარედ წაიყვანოსო.

დიდხანს არ გაუვლია ფიცის დადების დღიდან, რომ ერთი ჭაბუკი გარდაიცვალა. როცა მეორე ჭაბუკმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა, მღვდელთან წავიდა და უთხრა, ასე და ასეა ჩემი საქმე, ასეთი ფიცი დავდე და ახლა მირჩიეთ, როგორ მოვიქცეო.

— ცუდადაა საქმე, — დაიწყო მღვდელმა, — სიტყვის გატეხა არ შეიძლება. წადი შენი მეგობრის საფლავზე და ქორწილში მოიწვიე. შენ შენი ვალი მოიხადე, მოვა თუ არა, ეს უკვე მისი საქმეაო.

წავიდა ჭაბუკი, დადგა მეგობრის საფლავთან და ჩასძახა:

— ჰეი, მეგობარო, პირობა უნდა შეასრულო. დღეს ქორწილი მაქვს, მეჯვარედ წამომყევიო.

უცებ მიწა გაირღვა და საფლავიდან ჭაბუკი ამოხტა.

— წამოვალ, ძმაო, წამოვალ, პირობას როგორ გავტეხ, — უთხრა მიცვალებულმა, — თორემ ვინ იცის, რამდენ ხანს მაყურყუტონ სალხინებელშიო.

ჯერ ნეფის ოჯახში მივიდნენ, იქიდან ეკლესიაში წავიდნენ ჯვარის დასაწერად. მერე საქორწილო სუფრას შემოუსხდნენ. მიცვალებული მხიარულობდა, ყვებოდა ამ მთისას, იმ მთისას, იმ ქვეყანაზე კი, საიდანაც მოვიდა, სიტყვა არ წამოსცდენია. ნეფეს სწორედ იმ ქვეყნის ამბავი აინტერესებდა, მაგრამ ვერ გაბედა, ვერაფერი ჰკითხა. ვახშამი რომ მოათავეს, მიცვალებული ადგა და მეგობარს უთხრა:

— აი, ძმაო, მოვედი, გასიამოვნე. ახლა კი ჩემი წასვლის დროა. ხომ არ გამაცილებო?

— როგორ არა, ოღონდ ცოტაზე გაგყვებიო.

— წამო, შორს არ წაგიყვანო!

ნეფე გადაეხვია პატარძალს და უთხრა:

— ერთი წუთით გავალ, მალე დავბრუნდებიო, — და გარეთ გაჰყვა მეგობარს.

მეგობრები მასლაათით გაუყვნენ გზას. მივიდნენ სასაფლაოზე, გადაეხვივნენ ერთმანეთს. ცოცხალმა გაიფიქრა: ‘ახლა თუ არა ვკითხე იმ ქვეყნის ამბავი, როდისღა გავიგებო», — და მიცვალებულს უთხრა:

— ძმაო, შენ ხომ მიცვალებული ხარ. მოდი, იმ ქვეყნის ამბავი მიამბეო.

— რა უნდა გიამბო, წამომყევი და საკუთარი თვალით ნახე ყველაფერიო, — უპასუხა მიცვალებულმა.

გაიღო სამარის კარი და ცოცხალი მიცვალებულს ჩაჰყვა პირდაპირ სამოთხეში. მიცვალებულმა ბროლის ლამაზ სასახლესთან მიიყვანა ცოცხალი, შეაღეს ოქროს კარი, შევიდნენ ამ მშვენიერ სასახლეში. თურმე იქ ნეტარ სულებს ლხინი გაეჩაღებინათ, ანგელოზები ფანდურზე უკრავდნენ, წმიდა პეტრე — კონტრაბასზე. ცოცხალი პირდაღებული უყურებდა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იდგებოდა ასე გაშტერებული, მაგრამ სხვაც ბევრი ჰქონდა სანახავი და მიცვალებულმა უთხრა:

— წამო, წავიდეთო.

მეგობრები ბაღში გავიდნენ. ხეებს ფოთლები არ ესხა, ტოტებზე ჭრელ-ჭრელი ჩიტები შემომსხდარიყვნენ და ისე ტკბილად გალობდნენ, რომ მათ მოსმენას არაფერი სჯობდა.

— კარგი, წამო, რა მოჯადოებული უყურებო? —უთხრა მიცვალებულმა ცოცხალს.

მეგობრები ახლა მდელოზე გავიდნენ და ანგელოზები დაინახეს. ისეთი ნაზები და მხიარულები იყვნენ ანგელოზები, თითქოს მიჯნურები არიანო.

— ახლა კი ვარსკვლავებს შევხედოთ, — უთხრა ცოცხალს მიცვალებულმა.

ოჰ, როგორ კაშკაშებდნენ ის ვარსკვლავები, როგორ ციმციმებდნენ, თვალს ვერ მოწყვეტდა ადამიანი. ახლა მდინარეებს არ იკითხავთ! წყლის მაგივრად ღვინო მოედინებოდა კალაპოტში, ნაპირები კი ყველისა ჰქონდა.

უცებ ცოცხალი გამოერკვა:

— ძმაო, აქ კარგა ხანს დავყოვნდი. შინ დაბრუნების დროა. ცოლი შეწუხდებოდაო.

— მოგბეზრდა აქ ყოფნა?

— მომბეზრდა? არა, რას ამბობ! ჩემს ნებაზე რომ იყოს……

— თუ ასეა, დარჩი. იცი, კიდევ რამდენ საოცარ რამეს გაჩვენებ?

— ვიცი, მაგრამ ვეღარ დავრჩები. ჩემი წასვლის დროაო.

— კარგი, როგორც გენებოსო, — უპასუხა მიცვალებულმა, მიაცილა მეგობარი საფლავის კარამდე და გაუჩინარდა.

ამოვიდა ნეფე საფლავიდან, მიიხედ-მოიხედა და ვეღარ იცნო სასაფლაო. ყოველ ნაბიჯზე დიდი ძეგლები და ქანდაკებები იდგა, უზარმაზარი ხეები

ჩრდილავდა სასაფლაოს, ნეფე გასცილდა იქაურობას და თვალწინ უფრო საოცარი სურათი გადაეშალა: გაუთლელი ქვის პაწია სახლები გამქრალიყო, მათ ადგილზე უზარმაზარი სასახლეები იდგა. დაქროდნენ ავტომობილები, ტრამვაი, თვითმფრინავები...

'ნეტა სადა ვარ, ეს რა საოცრებაა, გზა ხომ არ ამებნა. ან რა უცნაურად გამოწყობილი ხალხი დადის ქუჩაში?» — უკვირდა ნეფეს. ერთი მოხუცი კაცი დაინახა, მივიდა მასთან და ჰკითხა:

— კეთილო მოხუცო, ეს ესა და ეს სოფელიაო?

— სწორედ ისაა, ოღონდ სოფელი კი არა, ქალაქიაო, — მიუგო მოხუცმა.

'ეშმაკმა უწყის, სად ამოვყავი თავი», — გაიფიქრა ნეფემ და ისევ მოხუცს მიუბრუნდა:

— იმ კაცის სახლი ხომ არ იცი. გუშინ ჯვარი რომ დაიწერაო?

— გუშინ? მე აქაური მნათე ვარ. გუშინ აქ ჯვარი არავის დაუწერია, — მიუგო მოხუცმა.

— რასა ბრძანებთ, გუშინ მე თვითონ დავიწერე ჯვარი, — წამოიძახა ნეფემ და დაწვრილებით უამბო, რაც გადახდა.

— ალბათ ჭკუაზე შეიშალე, — გაიცინა მოხუცმა. — ხალხში, ეს ამბავი დიდი ხანია გავრცელებულია: ახლად ჯვარდაწერილმა ჭაბუკმა მიცვალებული მიაცილა საფლავამდე და უკან აღარ დაბრუნებულა, პატარძალი კი ჯავრს გადაჰყვაო.

— სწორედ მე ვარ, სინიორ, ის ვაჟი!

— იცი, რას გეტყვი? ჩვენს ეპისკოპოსს მოახსენე შენი ამბავი.

— ეპისკოპოსს? ამ სოფელში მრევლს მღვდლის მეტი არავინა გვყავს.

— რას ამბობ, რომელი მღვდელი! რამდენი წელია, რაც ეპისკოპოსი გვყავს, — მიუგო მნათემ და ეპისკოპოსთან წაიყვანა.

როცა ჭაბუკმა ეპისკოპოსს უამბო, რაც გადახდა, ეპისკოპოსს გაახსენდა, რომ ეს ამბავი ბავშვობაში ჰქონდა გაგონილი. გადმოალაგა ძველთა ძველი საეკლესიო წიგნები და დაუწყო ფურცვლა. ოცდაათი წლის წინათ არ მომხდარა. ორმოცდაათი წლის წინათ არ მომხდარა, ასი წლის წინათ არ მომხდარა, ორასი წლის წინათ არ მომხდარა. დიდხანს ქექავდა ეპისკოპოსი ქაღალდებს და ბოლოს, ერთ მთლად გაყვითლებულ, გაცრეცილ ფურცლებზე წაიკითხა იმ ვაჟისა და მისი ცოლის გვარი და სახელი.

— სამასი წლის წინათ მომხდარა ეს ამბავი, — თქვა ეპისკოპოსმა. — ჭაბუკს მიცვალებული მეგობარი მიუცილებია საფლავამდე და აღარ დაბრუნებულა. მისი ცოლი კი ჯავრს გადაყოლია. აი, შენი თვალით ნახე, თუ არა გჯერაო.

— ეს ჩემი გვარია, სწორედ მე ვარ ის ვაჟიო.

— მაშ, იმ ქვეყნიდან დაბრუნდი? ხმა ამოიღე, ჩქარა გვიამბე, რა ნახეო.

მაგრამ ვაჟმა ხმის ამოღება ვერ მოასწრო, უცებ მკვდრის ფერი დაედო, წაიქცა და იქვე სული დალია.

ფრიული

ჯადოსნური ბეჭედი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ვაჟი.

— დედი, ამ ჩვენს სოფელში არავინ არაფრად მაგდებს. ჰოდა, აბა აქ რას გავ-ხდები? წავალ, ქვეყანას მოვივლი, იქნებ ბედს ვეწიო. ვინ იცის, ეგებ შენც გე-ღირსოს კარგი დღეო, — უთხრა ვაჟმა დედას, გამოეთხოვა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ქალაქში მივიდა. ქალაქის ქუჩებში რომ დაყია-ლობდა, ერთი დედაბერი დაინახა. ქალს წყლით სავსე ორი დიდი სათლი სამ-ხრეულით გადაეკიდა და აღმართს შედგომოდა. ისე უჭირდა აღმართზე ას-ვლა, სულს ძლივს ითქვამდა. ვაჟი დედაბერს დაეწია და უთხრა:

— მომეცით ეგ სათლები, ბებო, მე წამოგიღებთო. თქვენთვის ეს მძიმე ტვირ-თიაო.

ჩამოართვა სათლები, შინ მიუტანა, აიარა კიბე, შევიდა სამზარეულოში და სათლები დადგა.

სამზარეულო სულ ძაღლებით და კატებით იყო სავსე. შემოეხვივნენ დედა-ბერს, ფეხებზე ექლისებოდნენ, კრუტუნებდნენ, წკმუტუნებდნენ.

— ასეთი სიკეთე რომ დამდე, რითი გადაგიხადოო? — ჰკითხა დედაბერმა ვაჟს.

— გმადლობთ, ბებო, არაფერი არ მინდა, ისე წამოგიღეო, — მიუგო ვაჟმა.

— აქ დამელოდე, შვილო, — უთხრა დედაბერმა და სამზარეულოდან გავი-და.

ცოტა ხნის მერე უკან დაბრუნდა, ხელში ისეთი უბრალო ბეჭედი ეჭირა, ოთხ გროშსაც არ მისცემდა კაცი. დედაბერმა ვაჟს თითზე ბეჭედი წამოაცვა და უთხრა:

— იცოდე, შვილო, ეს ფასდაუდებელი ბეჭედია. ერთი რომ შეატრიალო თითზე და ჩაუთქვა რაც გინდა, ნატვრას თვალის დახამხამებაში აგისრულებ-სო. კარგად გაუფრთხილდი, არ დაკარგო, თორემ ცუდ დღეში ჩავარდები. ერთ ძაღლს და კატას გაგატან, არ ჩამოგშორდებიან, სულ უკან გდევენ, გონიერი პი-რუტყვებია და დღეს თუ არა, ხვალ შეიძლება რამეში გამოგადგნენო.

ვაჟმა მადლობა გადაუხადა დედაბერს და გზას დაადგა. კაცმა რომ თქვას, დედაბრის ერთი სიტყვაც არ დაიჯერა, ‘რაღაცას ჩმახავს მოხუცი», — გაიფიქრა და არც კი შეატრიალა ბეჭედი საცდელად.

გავიდა ვაჟი ქალაქიდან, ძაღლი და კატა ფეხდაფეხ მისდევდნენ. ვაჟს პი-რუტყვები ძალიან უყვარდა, უხაროდა, ძაღლი და კატა რომ აჩუქეს, ეთამაშე-ბოდა, ეალერსებოდა მათ. ძაღლი და კატაც სულ ხტოდნენ, დარბოდნენ. ამ ყო-ფით შევიდნენ ერთ ტყეში. ამასობაში დაბინდდა. ვაჟი დაიღალა, ცოტას და-ვისვენებო, გაიფიქრა და ხის ძირას წამოწვა. ძაღლი და კატა გვერდით მიუ-ცუცქდნენ, მაგრამ ვაჟს ისე შიოდა, ისე შიოდა, რომ თვალი ვერ მოხუჭა. უცებ დედაბრის ნაჩუქარი ბეჭედი გაახსენდა:

— ცდა ბედის მონახევრეაო, — ჩაილაპარაკა თავისთვის და ბეჭედი შეატრიალა. — მშია, სუფრა გამიშალეო.

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ხის ძირას მაგიდა და სამი სკამი გაჩნდა. მაგიდა ხელად გაივსო ნაირ-ნაირი კერძით. ვაჟი მაგიდას მიუჯდა, ძაღლი და კატაც დასხა სკამებზე, გულზე თვითონაც ხელსახოცი აიფარა, იმათაც ააფარა და სამივენი მადიანად შეექცნენ. ახლა კი ირწმუნა ვაჟმა ბეჭდის ძალა.

კარგად რომ დანაყრდნენ, ვაჟი ისევ ხის ძირას წამოწვა და მოჰყვა ოცნებას, რას გავაკეთებ ამ ბეჭდის დახმარებითო. მაგრამ არჩევა გაუჭირდა. ჯერ იფიქრა, ოქრო-ვერცხლის ზვინებს ჩავუთქვამო. მერე ჯიშიანი ცხენები და ძვირფასი ეტლები მოუნდა, ახლა დიდი მამულები და სასახლეები. სულ ახალ-ახალი სურვილები ებადებოდა.

‘ჭკუაზე შევიშლები,» — გაიფიქრა ბოლოს, მეტი ვერაფრის მოფიქრება რომ ვერ მოახერხა. — კაცს ბედი რომ ეწევა, თურმე ჭკუას კარგავს, ეს კი სულაც არ მინდა. ახლა დავიძინებ, ხვალ ვნახოთ, რას გავაკეთებ, რა გზას დავადგებიო».

გადაბრუნდა გვერდზე და ტკბილად დაიძინა. ძაღლი ფეხთით მიუწვა, კატა — თავთან. მთელი ღამე დარაჯობდნენ ვაჟს ერთგული პირუტყვები.

დილით თვალი რომ გაახილა ვაჟმა, მზე უკვე ამოწვერილიყო, საამურად მოექარგა მწვანედ შემოსილი ხეები, გრილი ნიავიც ქროდა, ჩიტები კი ტკბილად ჟღურტულებდნენ. გამოშუშებული და გახალისებული ვაჟი მკვირცხლად წამოხტა ფეხზე და გაიფიქრა, მოდი, ფეხმარდ რაშს ჩავუთქვამ ჩემს ბეჭედსო, მაგრამ მიიხედ-მოიხედა და ბუნების სიტურფით ისე მოიხიბლა, რომ თქვა, აქ ფეხით გავლას რა სჯობიაო. მერე უნდოდა კარგი საუზმე ენატრა, მაგრამ ტყეში ისე იყო მარწყვი მოდებული, ისე წითლად ღაღანებდა, ამაზე უკეთესს რაღას ინატრებდა. მოსწყურდა, იქვე კამკამა ნაკადული მირაკრაკებდა, ვაჟი დაიხარა და პეშვით დალია წყალი.

გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს, მთა-ბარი გადაიარეს და უცებ, ერთ დიდ სასახლეს მიადგნენ. ფანჯარასთან მზეთუნახავი იჯდა. დაინახა ქალმა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ვაჟი მხიარულად მოაბიჯებდა, უკან ძაღლი და კატა მოჰყვებოდა, გაუღიმა ალერსიანად. შეხედა ვაჟმაც და, მართალია, ბეჭედი არ დაუკარგავს, მაგრამ მზეთუნახავის შემხედვარემ თავი კი და- კარგა.

‘ახლა კი ჩემს ბეჭედს დახმარება უნდა ვთხოვო», — გაიფიქრა ვაჟმა, შეატრიალა ბეჭედი და ჩაუთქვა:

— ამ სასახლის პირდაპირ წამოიჭიმოს ამაზე უფრო ლამაზი სასახლე და ოთახები, რაც კი კაცის სულსა და გულს ეამება, ყველაფრით მოიწყოსო.

თვალის დახამხამებაში აღიმართა სასახლე, ჭაბუკი შიგნით მოჰყვა, თითქოს დიდი ხანი იყო, რაც იქ ცხოვრობდა. ძაღლი თავის ჯიხურში იჯდა, კატა ცეცხლისპირ წამოსკუპებულიყო და პირს იბანდა.

მივიდა ვაჟი ფანჯარასთან, გამოაღო, მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან მზეთუნახავი იყურებოდა, გაუღიმეს ერთმანეთს, ამოიხვნეშეს. დროა, ცოლად

ვითხოვო ეს ქალიო, გადაწყვიტა ვაჟმა. ქალი სიხარულით დაეთანხმა, საწინააღმდეგო არც მშობლებს ჰქონდა რამე და ერთ კვირაში იქორწინეს.

პირველივე ღამეს მზეთუნახავმა ვაჟს ჰკითხა:

— მითხარი, როგორ მოხდა ასეთი სასწაული, თვალის დახამხამებაში მიწიდან როგორ ამოვიდა სოკოსავით შენი სასახლეო?

დაფიქრდა ვაჟი, ვუთხრა თუ არაო. მერე გადაწყვიტა, ჩემი ცოლია, რად უნდა დავუმალოო, ადგა და ჯადოსნური ბეჭდის ამბავი უამბო. ბოლოს ორივეს ჩაეძინა.

ქალმა რომ შეატყო, ღრმა ძილში წავიდა ქმარიო, ფრთხილად წააძრო თითიდან ბეჭედი. ადგა, მსახურებს უხმო და უბრძანა:

— ახლავე ჩემი დედ-მამის სახლში წადით ყველა, მეც მალე დავბრუნდებიო.

მართლა წავიდა თავისი დედ-მამის სახლში. შევიდა თუ არა შინ, შეატრიალა ბეჭედი და ჩაუთქვა:

— ჩემი ქმრის სასახლე, აი, იმ მაღალ, მიუვალ მთის მწვერვალზე აიტანეო.

სასახლე ხელად გაქრა. ცოტა ხანში დაინახა მზეთუნახავმა, რომ მისი ქმრის სასახლე მთის მწვერვალზე წამოსკუპდა.

დილით ვაჟმა გაიღვიძა, მიიხედ-მოიხედა. ცოლი არსად ჩანდა. ადგა, ფანჯარა გამოაღო და გარეთ გაიხედა. ვაი, იმ გახედვას! უფსკრულის პირას იდგა მისი სასახლე. ვაჟმა თვალები მოიფშვნიტა, ხომ არ მეჩვენებაო. ჩაიხედა ისევ უფსკრულში და თვალუწვდენელ სიღრმეზე, უფსკრულის ფსკერზე, ნაპრალები და ბურცობები დაინახა. ირგვლივ დათოვლილი მთები ერტყა მის სასახლეს. ბეჭდის შეტრიალება დააპირა — აღარსად იყო ბეჭედი. მსახურებს უხმო, პასუხი არავინ გასცა. მარტო ძაღლმა და კატამ მიირბინეს. ეს პირუტყვებიც იმიტომ შერჩა, რომ ცოლს მარტო ჯადოსნურ ბეჭედზე უამბო, ძაღლზე და კატაზე კი არაფერი უთქვამს.

ვაჟმა ჯერ ვერ გაიგო, რა მოხდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ცოლის, იმ ვერაგი მოღალატის წყალობით ჩავარდა ასეთ გასაჭირში. მიხვედრით მიხვდა, მაგრამ ახლა ეს რაღას უშველიდა. როგორ გავაღწიო აქედანო, გაიფიქრა და ისევ გარეთ გაიხედა, მისი სასახლის კარ-ფანჯრები უფსკრულს გადაჰყურებდა, გზა არსაით იყო. შინ რაც საჭმელი ჰქონდათ, იმით რამდენიმე დღეს გაჭირვებით გაიტანდნენ თავს. მერე კი შიმშილით ამოგვძვრება სულიო, შეშფოთდა ვაჟი.

დაინახეს ძაღლმა და კატამ, რომ მათი პატრონი ჯავრისაგან აღარ იყო. გვერდით მიუცუცქდნენ და ძაღლმა უთხრა:

— დარდი ნუ გაქვს, ბატონო, მე და კატა, როგორმე გავიკვლევთ გზას, ჩავალთ ბარში და ბეჭედს დაგიბრუნებთო.

— ჩემო კარგო მეგობრებო, თქვენი იმედიღა მაქვს. რა დაგიმალოთ, აქ შიმშილით სიკვდილს ამ კლდიდან გადაჩეხა მირჩევნიაო.

ძნელ გზას დაადგნენ ძაღლი და კატა: ბევრი იწვალეს, ხან ბუჩქებს ეპოტინებოდნენ, ხან დაგორდებოდნენ, ხრამიდან ხრამზე ხტებოდნენ, კლდიდან კლდეზე და, როგორც იყო, დიდი ტანჯვა-წვალებით ჩავიდნენ

ბარად. ხეობაში მდინარე მოედინებოდა, ახლა ის უნდა გადაეცურათ. ადგა ძაღლი, შეისვა ზურგზე კატა და გაღმა გაიყვანა.

როგორც იქნა, ღამე მიადგნენ ვერაგი ქალის სახლს. ყველას ღრმა ძილით ეძინა. ჭიშკრის ქვეშ გაძვრნენ და ეზოში ამოჰყვეს თავი.

— შენ აქ დარჩი ყარაულად. მე კი წავალ, დავზვერავ აქაურობას. ვნახოთ, რის გაკეთებას მოვახერხებთო, — უთხრა კატამ ძაღლს.

უჩუმრად აიპარა კიბეზე და ვერაგი ქალის საწოლ ოთახს მიადგა. კარი დაკეტილი დახვდა. ვერსაიდან შეძვრებოდა ოთახში. იდგა კართან და ფიქრობდა, რა ვქნა, რა ვიღონოო. ამ დროს ჩასუქებულმა თაგვმა ჩაუცუნცულა, კატამ მარჯვედ სტაცა თათი და დაიჭირა.

— შემიბრალე, ნუ შემჭამო, — შეევედრა თაგვი.

— კარგი, დაგინდობ, მაგრამ ერთი პირობით, — უთხრა კატამ, — აი, ამ ოთახის კარში ისეთი ხვრელი გამოხარი, რომ შიგ გავძვრეო.

მივარდა თაგვი კარს და დაუწყო ღრღნა. ღრღნა, ღრღნა, სულ დააცვდა კბილები, მაგრამ ხვრელი ისეთი პაწია გაიყვანა, რომ კატა კი არა, თვითონაც ვერ გაეტია.

— წრუწუნები თუ გყავსო? — ჰკითხა კატამ.

— როგორ არა, შვიდი თუ რვა წრუწუნა მყავს, სულ ერთი მეორეზე ცქვიტებიო, — მიუგო თაგვმა.

— წადი და საჩქაროდ ერთი წრუწუნა აქ მომგვარე. იცოდე, თუ არ დაბრუნდები, სულ ერთია, მაინც დაგიჭერ და ჩაგსანსლავო, — დაემუქრა კატა.

— გაცუნცულდა თაგვი და პაწია წრუწუნა მოიყვანა.

— ყური მიგდე, პატარავ, — უთხრა კატამ, — თუ გინდა დედაშენი სიკვდილს გადაარჩინო, აი, ამ ხვრელში გაძვერი. ოთახში ქალსა სძინავს, ახტი მის საწოლზე, თითიდან ბეჭედი წააძრე და მარდად მომიცუნცულეო.

გაძვრა წრუწუნა ხვრელში და მალე ხელცარიელი დაბრუნდა უკან.

— იმ ქალს ხელზე ბეჭედი არ უკეთია, — მოახსენა კატას.

კატა არ დაიბნა.

— პირში ექნება დამალული. აბა, მარდად. ახტი მის საწოლზე და კუდით მანამდე უხიცინე ცხვირში, ვიდრე არ დააცემინებს, რომ დააცემინებს, პირს გააღებს ბეჭედი გადმოუვარდება, სტაცე პირი და მომირბენინეო.

მართლაც, ისე მოხდა ყველაფერი, როგორც კატამ ივარაუდა. ხელად მოუცუნცულა წრუწუნამ ბეჭედი. სწვდა კატა ბეჭედს და კიბეზე დაეშვა.

— ბეჭედი მოგაქვსო? — შემოეგება ძაღლი.

— მომაქვს, მომაქვსო, — მიუგო კატამ.

ორივენი გაძვრნენ ჭიშკრის ქვეშ და მოკურცხლეს.

ძაღლს შეშურდა კატის სიმარჯვე, ჰოდა, მდინარესთან რომ მიირბინეს, ძაღლმა კატას უთხრა:

— ბეჭედი მომეცი, თორემ გაღმა არ გაგიყვანო.

კატას არ უნდოდა ბეჭდის მიცემა, წაკინკლავდნენ, კატას პირიდან გაუვარდა ბეჭედი და წყალში მოადინა ტყაპანი. წყალში თევზი მიცურავდა,

გააღო თევზმა პირი, გადაყლაპა ბეჭედი. ახლა ძაღლმა იმარჯვა, გადაეშვა წყალში. ეცა თევზს და გადაყლაპა. გაუხარდა ძაღლს, შეისვა კატა ზურგზე და გაღმა გაიყვანა. მიდიოდნენ ძაღლი და კატა, მიდიოდნენ და ჩხუბობდნენ. ასე ჩხუბით მიადგნენ სასახლის კარს.

— ბეჭედი მოგაქვთო? — ჰკითხა შეშფოთებულმა ვაჟმა.

ძაღლმა თევზი ამოაგდო პირიდან, თევზმა კი _ ბეჭედი.

ამ დროს კატამ წამოიძახა:

— მე რომ არა, ემაგ ბეჭედს თვალით ვერ ნახავდით. საქმე საქმეზე რომ მივიყვანე, ბეჭედი ძაღლმა წამართვაო.

— მე რომ თევზი არ გადამეყლაპა, სად იქნებოდა ახლა ეს ბეჭედიო? — გაისმა ძაღლის პასუხი.

ვაჟმა ორივეს ხელი გადაუსვა:

— ჩემო კარგებო, რა გაჩხუბებთ, ორივე ერთნაირად მიყვარხართო.

კარგა ხანს ეფერა ცალი ხელით ძაღლს, მეორეთი — კატას. იმდენი ქნა, მაინც შეარიგა ძველი მეგობრები.

მერე ერთად შევიდნენ სასახლეში, შეატრიალა ვაჟმა ბეჭედი და ჩაუთქვა:

— ჩემი სასახლე ძველ ადგილას დადგი, ჩემი ცოლისა კი ამ მთის წვერზე ამოაფრინეო.

ორივე სასახლემ ადგილი შეინაცვლა. ვაჟის სასახლე ისევ აყვავებულ ველზე ჩამოიდგა, მზეთუნახავისა კი მთის წვერზე წამოსკუპდა. შიშით დაზაფრული მზეთუნახავი სულ ცივი ხმით კიოდა.

წავიდა ვაჟი სამშობლოში, ჩამოიყვანა დედა. ისე უვლიდა და ანებივრებდა, ცივ ნიავს არ აკარებდა. ცხოვრობდნენ ტკბილად და უდარდელად. ძაღლი და კატაც მათთან იყვნენ, შეხმატკბილებულად ატარებდნენ დროს. ხანდახან თუ წაკინკლავდებოდნენ. ვაჟი ფიქრობდა, ცუდია, როცა კაცი უშრომლად სჭამს პურსო, და თავის ჯადოსნურ ბეჭედს იშვიათად ჩაუთქვამდა ხოლმე რამეს.

როცა ხალხმა გზა გაიკვლია და მთაზე ავიდა, საწოლში ჩონჩხადქცეული მზეთუნახავი ნახეს — შიმშილით მიცვლილიყო.

საშინელი სიკვდილით მოკვდა ქალი, მაგრამ ახი იყო, უკეთესი ხვედრი არც ეკუთვნოდა.

ტრენტინო

<u>პური, ღვინო და მარილი</u>

ერთ ხელმწიფეს სამი ქალი ჰყავდა: ერთს — შავი თმა ჰქონდა, მეორეს — ჟღალი, მესამეს კი — ქერა.

უფროსი გონჯი იყო, შუათანა — სანდომიანი, უმცროსი კი ლამაზიც იყო და კეთილიც. ამიტომ უფროსი დები შურის თვალით უყურებდნენ.

ხელმწიფეს სამი ტახტი ედგა: ერთი — თეთრი, მეორე — წითელი, მესამე კი — შავი. როცა კარგ გუნებაზე იყო, თეთრ ტახტზე ჯდებოდა, როცა დარდი მო-

ერეოდა — წითელ ტახტზე, თუ გააჯავრებდა ვინმე, მაშინ შავ ტახტზე დაბრძანდებოდა.

ერთხელ უფროსმა ქალებმა გააჯავრეს. ადგა ხელმწიფე და შავ ტახტზე დაბრძანდა. შეწუხდნენ შვილები, შემოეხვივნენ მამას, მიუალერსეს. უფროსმა ქალმა ჰკითხა:

— მამავ ბატონო, როგორ გეძინათ წუხელ? შავ ტახტზე რატომ დაბრძანდით, ჩემზე ხომ არა ხართ გაჯავრებულიო?

— დიახ, სწორედ შენ გამაჯავრეო.

— რა დავაშავე, მამავ ბატონო?

— რაღა რა დააშავე, სულ არ გიყვარს მამაშენიო!

— რასა ბრძანებთ, მამა მე ისე მიყვარხართ, ისე, რომ...

— მაინც, როგორ გიყვარვარო?

— პურზე მეტად მიყვარხართ, მამა!

ხელმწიფემ წარბები შეიჭმუხნა, ხმა კი არ ამოუღია. ძალიან მოეწონა უფროსი შვილის პასუხი. ახლა შუათანა ქალმა ჰკითხა:

— მამავ ბატონო, როგორ გეძინათ წუხელ? შავ ტახტზე რატომ დაბრძანდით, ჩემზე ხომ არა ხართ გაჯავრებულიო?

— დიახ, სწორედ შენ გამაჯავრეო.

— რა დავაშავე, მამავ ბატონო?

— რაღა რა დააშავე, სულ არ გიყვარს მამაშენიო!

— რასა ბრძანებთ, მამა? მე ისე მიყვარხართ, ისე...

— მაინც, როგორ გიყვარვარო?

— ღვინოზე მეტად მიყვარხართ, მამა!

ხელმწიფეს შვილის პასუხი მოეწონა და რაღაც ჩაიდუ-დუნა.

ბოლოს მხიარულმა და ალერსიანმა უმცროსმა ქალმაც ჰკითხა მამას:

— მამავ ბატონო, წუხელ როგორ გეძინათ? რატომ დაბრძანდით შავ ტახტზე, ჩემზე ხომ არ ხართ გაჯავრებული?

— დიახ, სწორედ შენ გამაჯავრე. სულ არ გიყვარს მამა-შენიო!

— რასა ბრძანებთ, მამა? მე ისე მიყვარხართ, ისე...

— მაინც, როგორ გიყვარვარო?

— როგორ და მარილზე მეტად მიყვარხართო!

_ რაო, მარილიო? — დაიღრიალა ხელმწიფემ. — ეს რა გაიგონა ჩემმა ყურმა. აი, შე უკეთურო. ეგ როგორ გაბედე! ახლავე დაიკარგე აქედან, თვალით არ დამენახოო!

მერე მსახური იხმო და უბრძანა:

— წაიყვანე ჩემი უმცროსი ქალი ტყეში და მოკალიო.

დედოფალს ძალიან უყვარდა თავისი უმცროსი ქალი, ეს ამბავი რომ გაიგო, გადაწყვიტა, როგორმე შვილი სიკვდილს უნდა გადავარჩინოო. სასახლეში ვერცხლის დიდი შანდალი იდგა. იმ შანდალში ციცოლა, ასე ეძახდნენ ხელმწიფის უმცროს შვილს, თავისუფლად დაიმალებოდა, დედოფალმა შვილს უბრძანა, შანდალში ჩაძვერიო. მერე ერთგული მსახური იხმო და უთხრა:

— ეს შანდალი წაიღე და გაყიდე, თუ ღარიბი შეგევაჭროს, ძვირი დაუფასე, თუ წარჩინებული შეგევაჭროს, გროშის ფასად მიეცი, იცოდე, შანდალი აუცილებლად წარჩინებულს მიჰყიდეო.

მერე ციცოლას გადაეხვია, დალოცა, შანდალში ჩაუწყო ლეღვის ჩირი, შოკოლადი, ნამცხვარი და მსახური გაისტუმრა.

წავიდა მსახური, გაიტანა შანდალი მოედანზე. შემოეხვია ხალხი, მაგრამ მსახურს ერთიც არ მოუვიდა თვალში და ისეთი ფასი დაადო შანდალს, რომ ყველა ცივად გატრიალდა. ამ დროს მაღალ კოშკთა სამეფოს უფლისწული მივიდა მსახურთან, ახედ-დახედა შანდალს და ჰკითხა, რას აფასებო. მსახურმა გროშები დაუფასა, უფლისწულმა იყიდა შანდალი, მხლებლებს უბრძანა, სასახლეში წაიღეთ შანდალი და ჩემს სასადილო ოთახში დადგითო. კარისკაცებმა თვალი დააჭყიტეს, ეს რა ლამაზი შანდალიაო.

საღამოს უფლისწული სტუმრად წავიდა. არ უყვარდა, როცა მის დაბრუნებას ელოდნენ. ამიტომ მსახურები ვახშამს გაუწყობდნენ ხოლმე და დასაძინებლად მიდიოდნენ, იმ ღამესაც გაუწყვეს სუფრა და დაიშალნენ. დაინახა ციცოლამ, რომ ოთახში მარტო დარჩა, გადმოხტა შანდლიდან და, იცოცხლე, მოულხინა უფლისწულის ვახშამს. მერე ისევ შანდალში ჩაძვრა.

დაბრუნდა უფლისწული, მიუჯდა მაგიდას, მაგრამ სუფრა მოცარიელებული დახვდა. ატეხა ზარის წკრიალი. მოცვივდნენ მსახურები. შეახურა, მაგრამ როგორ შეახურა. საცოდავები იფიცებოდნენ, ვახშამი გაგიწყვეთ, ალბათ კატა ან ძაღლი შემოიპარა და შეჭამაო.

— მეორედ არ დაგემართოთ ასეთი რამ, თორემ კინწისკვრით გაგყრით ყველასო, — დაემუქრა უფლისწული და სუფრის გაწყობა ბრძანა. ივახშმა უფლისწულმა და დაწვა.

მეორე საღამოს მსახურებმა ვახშამი გააწყვეს, კარ-ფანჯარა ჩაკეტეს, მაგრამ ვახშამი მაინც გაქრა, ისე გაბრაზდა უფლისწული, იმდენი იყვირა, ლამის დაანგრია სასახლე. მერე ცოტა, რომ დაშოშმინდა, თქვა:

— ვნახოთ, ხვალ რაღა მოხდებაო.

მეორე დღეს კი, აი, რა ქნა უფლისწულმა: სასადილო მაგიდას გრძელი სუფრა ეფარა. ადგა უფლისწული და მაგიდის ქვეშ დაიმალა.

შემოვიდნენ მსახურები, გააწყვეს ვახშამი, ძაღლი და კატა ოთახიდან გარეკეს და კარი ჩაკეტეს. ცოტა ხნის შემდეგ მშვენიერი ციცოლა შანდლიდან გადმოხტა, სუფრას მივარდა და დაიწყო გამალებით ჭამა.

უფლისწული სამალავიდან გამოვიდა და ხელი სტაცა ქალს. ციცოლამ გაქცევა დააპირა, მაგრამ უფლისწულს რას გაუსხლტებოდა ხელიდან. რაღას იზამდა, დაუჩოქა ვაჟს და თავისი ამბავი უამბო.

უფლისწულს თავდავიწყებით შეუყვარდა ციცოლა. ჯერ დაამშვიდა, დაუყვავა და ბოლოს უთხრა:

_ სულ მალე ჩემი ცოლი გახდები. ჯერჯერობით კი ისევ შანდალში დაიმალეო.

უფლისწულს ისე შეუყვარდა ციცოლა, რომ მთელი ღამე თეთრად გაათენა. მეორე დღეს მსახურებს უთხრა: ეს შანდალი ძალიან მომწონს, ღამეც თვალწინ მინდა მქონდეს და ჩემს საწოლ ოთახში დადგითო. მერე ბრძანა, მეტი კერძი შეეტანათ მისთვის, ბოლო ხანებში მადა მომეცაო.

მიართვეს უფლისწულს ყავა, მერე საუზმე, საუზმეს სადილი მოჰყვა. სულ ორ-ორი ულუფა შეჰქონდათ. გაუშლიდნენ სუფრას, უფლისწული კარს ჩაკეტავდა, ამოიყვანდა ციცოლას შანდლიდან და მხიარულად შეექცეოდნენ.

მას მერე, რაც უფლისწულმა შანდალი იყიდა, სულ ცალკე ჭამდა. დედას უკვირდა.

— ნეტა ისეთი რა ვაწყენინე, რომ სუფრაზე ჩემთან აღარ ჯდებაო?

— ცოტა მოითმინე, დედი, ერთი ისეთი საქმე მაქვს, რომ მარტო მინდა ყოფნაო, — უთხრა უფლისწულმა.

ერთ მშვენიერ დღეს უფლისწულმა დედოფალს გამოუცხადა:

— ცოლი უნდა შევირთოო.

— მერე ვინ არის შენი საცოლეო? — გაუხარდა დედოფალს.

— ვინ და ვერცხლის შანდალიო.

— ხომ არ შეიშალეო! — აღმოხდა დედას და სახეზე ხელები აიფარა.

ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა შვილს, ხალხი რას იტყვის, სირცხვილით თავი სად უნდა გამოვყოო, მაგრამ არც დარიგებამ გაჭრა, არც ხვეწნა-მუდარამ.

უფლისწულმა ბრძანა: ერთი კვირის შემდეგ ჯვარს ვიწერ და ქორწილისთვის ყველაფერი მოამზადეთო.

ქორწილის დღეს სასახლის ეზოდან ურიცხვი ძვირფასი ეტლი გავიდა. პირველ ეტლში უფლისწული იჯდა, გვერდით ვერცხლის შანდალი ედგა. საყდარში რომ მივიდნენ, უფლისწულმა ბრძანა, ვერცხლის შანდალი საკურთხეველთან დადგითო.

საკურთხეველში ციცოლა შანდლიდან ამოძვრა, სულ დიბა-ატლასში იყო გახვეული და უთვალავი თვალ-მარგალიტით შემკული.

დაიწერეს ჯვარი, შინ რომ დაბრუნდნენ, დედოფალს ყველაფერი უამბეს.

დედოფალი ჭკვიანი ქალი იყო. ციცოლას უთხრა:

— მე მომანდე, შვილო, შენი საქმე. მამაშენს ჭკუას ვასწავლიო.

გამართეს დიდი ნადიმი, მოიწვიეს მეზობელი ქვეყნების ხელმწიფეები და ციცოლას მამაც. დედოფალმა ციცოლას მამისთვის განსაკუთრებული კერძი შეუკვეთა. მზარეულს ნაბრძანები ჰქონდა, ციცოლას მამისთვის ყველაფერი უმარილო მიერთმია.

შეიკრიბნენ წვეულნი, შემოუსხდნენ სუფრას. დედოფალმა სტუმრებს უთხრა, პატარძალი შეუძლოდ არის და ნადიმზე ვერ გამოვაო. შეუდგნენ ჭამასმას. აიღო ციცოლას მამამ კოვზი, შეხვრიპა წვენი და თავისთვის ჩაიდუდუნა:

— მზარეულს მარილი დავიწყებიაო, — და მათლაფა განზე გადგა.

მიართვეს სხვა კერძი. ისიც უმარილო. ახლა ჩანგალიც განზე გადადო ხელმწიფემ.

— რატომ არაფერს მიირთმევთ, დიდო ხელმწიფევ, არ მოგეწონათ ჩვენი კერძებიო? — ჰკითხა დედოფალმა.

— არა, რასა ბრძანებთ, ყველაფერი გემრიელიაო!

— თუ ასეა, რატომ არას მიირთმევთო?

— რატომღაც არ მინდაო.

ჩამოჭრა ხორცის ნაჭერი ხელმწიფემ, ჩაიდო პირში, ღეჭა, ლოღნა, მაგრამ ლუკმა ყელში არ გადაუვიდა. უცებ გაახსენდა თავისი უმცროსი ქალის სიტყვები, მარილზე მეტად მიყვარხარო, რომ უთხრა, დაენანა შვილი და ტირილი წასკდა:

— ეს რა ჩავიდინე მე უბედურმაო.

— რა დაგემართათო? — ჰკითხა დედოფალმა.

ხელმწიფემ ყველაფერი გულახდილად უამბო. წამოდგა დედოფალი და ბრძანა, პატარძალი შემოიყვანეთო. დაინახა ხელმწიფემ შვილი, გულში ჩაიკრა, ტიროდა, ეფერებოდა, ეკითხებოდა, რა სასწაულით გადარჩი, ან აქ როგორ გაჩნდიო.

ხელად აფრინეს კაცი ციცოლას დედის მოსაყვანად. ისევ განაგრძეს ქეიფი. დღე დღეს მისდევდა, ქეიფი კი არ წყდებოდა. ალბათ დღესაც ღრეობენ.

ბოლონია

<u>ვაშლა და ნათალა</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, ორივენი წარჩინებული გვარიშვილები იყვნენ. ცოლ-ქმარს ბედი არ სწყალობდა, ვაჟი არ უჩნდებოდა და ძალიან ნაღვლობდნენ. ერთხელ ქმარი ქუჩაში ჯადოქარს შეხვდა და შესჩივლა:

— ასე და ასეა, ბატონო ჯადოქარო, ჩვენი საქმე, ვაჟი გვინდა და არ გვიჩნდება. რა ვქნათო?

ჯადოქარმა იმ კაცს ვაშლი მისცა და უთხრა:

— ეს ვაშლი შეაჭამე ცოლს და ცხრა თვის თავზე ბიჭი გაუჩნდებაო.

გახარებული კაცი შინ მივიდა, ცოლს ვაშლი მისცა და უთხრა, რაც ჯადოქარმა დააბარა.

ქალი ცას ეწია სიხარულით, იხმო მოახლე, ვაშლი გამითალეო. გაუთალა მოახლემ ვაშლი და ნათალი თვითონ შეჭამა, გათლილი ვაშლი კი — ქალბატონმა.

ერთ დღეს ილოგინეს ქალბატონმა და მოახლემ. ორივეს ბიჭი შეეძინა. ქალბატონის ბიჭი გათლილი ვაშლივით თეთრი იყო, მოახლის ბიჭს კი — ვაშლის ნათალივით წითლად უღაჟღაჟებდა ლოყები. ბატონი ერთმანეთში ვერ არჩევდა ბიჭებს, ისე უყვარდა ორივე. ბიჭები ერთად იზრდებოდნენ, სკოლაში ერთად დადიოდნენ და მართლა ღვიძლი ძმებივით უყვარდათ ერთიმეორე.

გამოხდა ხანი, წამოიზარდნენ ვაშლა და ნათალა, შეღერდნენ. ერთხელ საიდანღაც გაიგეს, აქა და აქ ერთ ჯადოქარს ისეთი ქალი ჰყავს, მზეს ეჯიბრება სი-

ლამაზეში, მაგრამ იმ ქალის ნახვა შეუძლებელია, შინიდან გარეთ არ გამოდის, სარკმელშიც კი არ იხედებაო.

ვაშლამ და ნათალამ ბრინჯაოს დიდი ცხენი ჩამოასხმევინეს. ცხენს მუცელი და გვერდები ამოვსებული არა ჰქონდა, ორივე თავისუფლად ეტეოდა შიგ. აიღეს ჭაბუკებმა ბუკი და ვიოლინო და ცხენის მუცელში შეძვრნენ.

ცხენს ფეხებზე ბორბლები ჰქონდა გაკეთებული, იმ ბორბლების საბრუნავი კი მუცელში იყო მოქცეული. დაატრიალეს ჭაბუკებმა საბრუნავი და ცხენი ჯადოქრის სასახლისკენ წაიყვანეს. რომ მიუახლოვდნენ სასახლეს, მაშინვე აახმიანეს საკრავები.

დაინახა ჯადოქარმა საკვირველი ცხენი, მოეწონა, ჩემს ქალს გავამხიარულებო, გაიფიქრა და ცხენი სასახლეში შეაყვანინა. ჯადოქრის ქალს მართლა ძალიან მოეწონა ცხენი.

როცა ვაჟებმა ქალი დაიმარტოხელეს, ცხენის მუცლიდან გამოხტნენ. ქალს ელდა ეცა, მაგრამ ვაშლამ და ნათალამ უთხრეს:

— ნუ გეშინიათ, თქვენი სილამაზის ამბავმა ჩვენს ყურამდე მოაღწია, ძალიან გვინდოდა თქვენი ნახვა და ამიტომ მოვედით. თუ გვიბრძანებთ, ახლავე უკან წავალთ, მაგრამ თუკი ჩვენი დაკვრა გულს გიტკბობთ, დავრჩებით და დავუკრავთ. მერე ისევ ჩვენი ცხენის მუცელში შევიმალებით. აბა, ვინ რას გაიგებსო.

კარგა ხანს უკრავდნენ და ართობდნენ ქალს. ქალს ისე მოეწონა ვაჟები, რომ ენანებოდა მათი გაშვება.

— ცოლად წამომყევითო, — უნებლიეთ წამოსცდა ვაშლას.

ქალი დაეთანხმა, შეიმალა სამივე ცხენის მუცელში და მშვიდობით, ჯადოქრის სასახლევ!

ცოტა ხნის შემდეგ ბებერმა ჯადოქარმა შვილს დაუძახა. პასუხი არავინ გასცა. დაუწყო ძებნა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერსად ნახა. არავინ იცოდა, სად გაქრა ქალი. კარისკაცმაც ასე უთხრა, თვალი არ მომიკრავს თქვენი ქალისთვისო. მაშინ კი მიხვდა ჯადოქარი, რომ მოატყუეს. გაბრაზდა, მაგრამ რა გაბრაზდა, გავარდა აივანზე, გაჰხედა გზას და გამწარებულმა სამჯერ დასწყევლა შვილი:

— სამი ცხენი შემოგეყაროს: სისვი, ქურანი, და შავრა. სისვი ცხენი მოგეწონოს, ზურგზე მოევლო და მისი მსხვერპლი გახდეო.

— სამი ლეკვი შემოგხვდეს: თეთრი, ჟღალი და შავი. შავი ლეკვი მოგეწონოს, ხელში აიყვანო და იქვე სული დალიოო.

ქორწილის ღამეს შენს საწოლში დიდი გველი შემოსრიალდეს, დაგკბინოს და სული გაგაფრთხობინოსო.

ასე რომ წყევლიდა შვილს, აივნის ქვეშ სამმა დედაბერმა გაიარა. თურმე უბრალო დედაბრები კი არა, ფერიები იყვნენ, გაიგონეს, როგორ დაწყევლა ჯადოქარმა შვილი და თავისი გზით წავიდნენ.

იარეს ფერიებმა, იარეს, დაიღალნენ და ერთ ფუნდუკში შევიდნენ დასასვენებლად. ჯადოქრის ქალიც, ვაშლასა და ნათალასთან ერთად, სწორედ იმ ფუნდუკში გაჩერებულიყო.

— ხედავთ, სად ყოფილა ჯადოქრის ქალი! რომ იცოდეს, როგორ დასწყევლა მამამ, ასე ტკბილად რა დააძინებდაო, — თქვა ერთმა ფერიამ.

მართლაც, ჯადოქრის ქალს და ვაშლას ტკბილად ეძინათ. ნათალა კი ძილღვიძილად იყო, იქნებ იცოდა, რომ ასეთ დროს სიფხიზლეა საჭირო. ნათალამ ფერიას ნათქვამი გაიგონა და მათ საუბარს ყური მიუგდო.

— სამი ცხენი შემოგხვდეს, სისვი, ქურანა და შავრა. სისვი ცხენი მოგეწონოს, მოახტე და დაიღუპოო. ასე დასწყევლა ჯადოქარმა შვილი, — თქვა პირველმა ფერიამ.

— თუ ვინმე მოასწრებს და იმ სისვ ცხენს თავს წააცლის, ქალი გადარჩებაო, — სიტყვა ჩამოართვა მეორე ფერიამ.

მესამე ფერიამ კი დაურთო:

— თუ ვინმემ ჯადოქრის წინასწარმეტყველება გაიგონა და სადმე გაამხილა, გაქვავდებაო.

— ჯადოქარმა შვილს მიაძახა: სამი ლეკვი შემოგხვდეს, თეთრი, ჟღალი და შავიო, — განაგრძო პირველმა ფერიამ. — ქალი შავ ლეკვს ხელში აიყვანს და იქვე სულს დალევსო.

— იმ შავ ლეკვს თუ ვინმე თავს წააგდებინებს, ქალი გადარჩებაო, — სიტყვა ჩამოართვა მეორე ფერიამ.

— თუ ვინმემ ჯადოქრის წინასწარმეტყველება გაიგონა და სადმე გაამხილა, გაქვავდებაო, — დაურთო მესამე ფერიამ.

— ქორწილის ღამესო, — დასწყევლა ჯადოქარმა ქალი, — შენს საწოლში დიდი გველი შემოსრიალდეს, დაგკბინოს და სული გაგაფრთხობინოსო, — თქვა პირველმა ფერიამ.

— იმ გველს თუ ვინმე თავს წააგდებინებს, ქალი გადარჩებაო, — სიტყვა ჩამოართვა მეორე ფერიამ.

— ვინც ჯადოქრის ნათქვამი გაიგონა და სხვას გაუმხილა, გაქვავდებაო, — დაურთო მესამე ფერიამ.

ნათალამ ყველაფერი გაიგონა, მაგრამ უბედურება ის იყო, ვერავის გაუმხელდა ამ ამბავს.

მეორე დღეს ჭაბუკები და ჯადოქრის ქალი ფოსტის სადგურში მივიდნენ. იქ სამი ცხენი დაახვედრეს. სისვი, ქურანა და შავრა. ცხენები ვაშლას მამას გამოეგზავნა. ჯადოქრის ქალი სისვ ცხენს ზურგზე მოევლო. ამ დროს იძრო ნათალამ ხმალი და ცხენს თავი წააგდებინა.

— რამ გადაგრია, ეს რა ჰქენიო? — შესძახა ქალმა.

— მაპატიეთ, მაგრამ ვერ გეტყვით, რად გავაკეთე ესო, — მიუგო ნათალამ ჯადოქრის ქალს.

— ვაშლავ, ნათალას ბოროტი გული ჰქონია. მაგასთან ერთად არსად წამსვლელი არა ვარო, — შესჩივლა ქალმა ვაშლას.

— თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა, რად წავაგდებინე ამ ცხენს თავიო, — უთხრა ნათალამ ქალს. ქალმა დანაშაული აპატია და გზას გაუდგნენ.

იარეს, იარეს. ვაშლას სახლს რომ მიუახლოვდნენ, ეზოდან სამი ლეკვი გამოპარტყუნდა. ერთი თეთრი იყო, მეორე ჟღალი, მესამე კი — შავი. მოეწონა ჯადოქრის ქალს შავი ლეკვი, დაიხარა, უნდოდა ხელში აეყვანა. უცებ იშიშვლა ნათალამ ხმალი და ლეკვს თავი წააგდებინა.

— აი შე, ავგულო, ახლავე აქედან დაიკარგე, თვალით აღარ დამენახოო, — იყვირა ჯადოქრის ქალმა.

ამ დროს ვაშლას დედ-მამა შვილსა და სარძლოს გამოეგება. გადაეხვივნენ ერთმანეთს. ჯადოქრის ქალმა შესჩივლა მათ, ნათალამ ჯერ ცხენი მომიკლა, ახლა კი ლეკვიო.

ვაშლას დედ-მამა შეეხვეწა ქალს, აპატიე, შვილო, შეურიგდიო. ქალმაც ისევ აპატია და შეურიგდა ნათალას.

ხელად საქორწილო სუფრა გაშალეს. ყველა მხიარულობდა, ჭამდა და სვამდა, მარტო ნათალა იჯდა განზე დაღვრემილი. რამ დაგაღონა, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირიო, ეკითხებოდნენ ნათალას, მაგრამ ვერავინ გაიგო, რად იყო ასე მოწყენილი.

— არაფერი, რა უნდა მომსვლოდაო, — ეუბნებოდა ნა- თალა.

ნათალა ყველაზე ადრე წამოდგა სუფრიდან და დასაძინებლად წავიდა. მაგრამ თავისი ოთახის ნაცვლად, ნეფე-პატარძლის ოთახში შეიპარა და საწოლქვეშ შეძვრა.

მალე ნეფე-აპატარძალიც დაწვა და დაიძინეს. ნათალა ფხიზლად დარაჯობდა ძმასა და რძალს. უცებ შუშის ჩახანი შეესმა და დაინახა, ფანჯრიდან ოთახში როგორ შემოსრიალდა ვეება გველი. იშიშვლა ნათალამ ხმალი, წააგდებინა გველს თავი. გველი მაშინვე მიიმალა. ხმაურზე პატარძალს გაეღვიძა და მათ საწოლთან მდგარი, ხმალშემართული ნათალა რომ დაინახა, იკივლა:

— კაცის მკვლელო! დაიჭირეთ, ნათალას ჩვენი მოკვლა უნდოდა. ორჯერ ვაპატიე ამ კაცს ბოროტება, ამას კი ვეღარ ვაპატიებო.

მოცვივდნენ მსახურები, სტაცეს ხელი ნათალას, ბნელ საპყრობილეში უკრეს თავი. გამართეს სახრჩობელა და სამი დღის შემდეგ ამოიყვანეს ჩამოსახრჩობად.

‘მაინც ვკვდები», — გაიფიქრა ნათალამ და ითხოვა, უკანასკნელი სურვილი შემისრულეთო. ვაშლას ცოლისათვის უნდოდა რაღაცის თქმა.

— გახსოვს, — დაიწყო ნათალამ, — ფუნდუკში რომ გავჩერდით?

— მახსოვს, როგორ არაო, — მიუგო ჯადოქრის ქალმა.

— თქვენ, ორივეს მაგრად გეძინათ, ფუნდუკში სამი ფერია რომ შემოვიდა და მე გავიგონე, როგორ თქვა ერთმა: ჯადოქარმა თავისი ქალი ასე დასწყევლაო: სამი ცხენი შემოგხვდეს, სისვი, ქურანა და შავრა. სისვი ცხენი მოგეწონოს, ზურგზე მოაფრინდე და მისი მსხვერპლი გახედო. ამ დროს მეორე ფერიამ დაურთო: თუ ვინმე მოასწრებს და იმ ცხენს თავს წააგდებინებს, ქალი გადარ-

ჩებაო. მესამე ფერიამ კი წამოიძახა: თუ ვინმემ ჯადოქრის წინასწარმეტყველება გაიგონა და სხვას გაუმხილა, გაქვავდებაო.

ამას რომ ამბობდა ნათალა, ფეხები გაუქვავდა.

— კარგი, ნათალ, კარგი, — დაუყვირა ჯადოქრის ქალმა, — უკვე ყველაფერს მივხვდი, ნუღარას მეტყვიო.

— არა, მაინც ვკვდები და ბოლომდე უნდა გითხრა, — განაგრძო ნათალამ. — ფერიებმა თქვეს, რომ სამი ლეკვი შემოგვხვდებოდა... — და ნათალამ თქვა, მეორედ როგორ დასწყევლა ჯადოქარმა ქალი.

— საცოდავო ნათალა, მაპატიე, ყველაფერი ვიცი, ნუღარ ლაპარაკობო, — ეხვეწებოდა ჯადოქრის ქალი.

ნათალას უკვე ყელიც გაუქვავდა და მისუსტებული ხმით უთხრა, მესამედ როგორ დასწყევლა მამამ.

— მაგრამ... ვინც ამ ამბავს სადმე გაამხელს... გაქვავდებაო, — დაამთავრა ნათალამ და თავით ფეხამდე გაქვავდა.

— ვაი, ეს რა დამემართა, ვაი, ეს რა ჩავიდინე, — იმდუღრებოდა ჯადოქრის ქალი, — რა ერთგული მეგობარი დაგვეღუპა... თუმცა, იქნებ?.. დიახ, მამაჩემის მეტი ვერავინ უშველის ნათალასო, — თქვა, აიღო ქაღალდი, საწერ-კალამი, დაჯდა და ჯადოქარს წერილი მისწერა. ევედრებოდა, საჩქაროდ ჩამოდი და მნახეო.

ჯადოქარს ქვეყანას ერჩივნა შვილი. როგორც კი წერილი მიიღო, ჩაჯდა ეტლში და მისკენ გასწია.

გადაეხვია ქალი ჯადოქარს და შეევედრა:

— მამი, კარგო, საყვარელო, შეწყალებას გთხოვ. ხომ ხედავ ამ გაქვავებულ ვაჟს. მაგან მიხსნა შენი წყევლისაგან, სიცოცხლე შემინარჩუნა, თვითონ კი ქვად იქცა. გევედრები, გააცოცხლეო.

— რა გაეწყობა, შვილო, შენი ხათრით მიპატიებია, — ამოიოხრა ჯადოქარმა, ჯიბიდან ბალზამის ბოთლი ამოიღო, მიაშხეფა გაქვავებულ ვაჟს და უმალ ფეხზე წამოხტა ნათალა, ისეთივე საღსალამათი, ისეთივე ლოყებღაჟღაჟა, როგორიც გაქვავებამდე იყო.

ზარ-ზეიმითა და ყიჟინით წაიყვანა ხალხმა შინ ნათალა. უკრავდნენ, მღეროდნენ.

— გაუმარჯოს ნათალას! გაუმარჯოს ნათალას! — ყვიროდა დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი.

ვენეცია

<u>როგორ მოხვდა მწყემსი სასახლეში</u>

ერთი ბიჭი ცხვრის ფარას მწყემსავდა. ბატკანი დიდ თხრილში ჩაუვარდა და დაეხრჩო.

დედ-მამას ბიჭი არ უყვარდა. ბატკნის დახრჩობა რომ გაიგეს, გაუჯავრდნენ, მაგრად მიტყეპეს და უკუნეთ ღამეში შინიდან გააგდეს. წავიდა ცხარე ცრემლებით ატირებული ბიჭი, დიდხანს იხეტიალა და ბოლოს ერთ კლდეს მიადგა. კლდეს ფართო ნაპრალი ჰქონდა. შეიტანა ბიჭმა იმ ნაპრალში ხმელი ფოთოლი, დააფინა ძირს და დაწვა. დაწოლით კი დაწვა, მაგრამ ისე სციოდა, ისე გაითოშა, რომ თვალი ვერ მოხუჭა.

შუაღამე იქნებოდა, ერთი კაცი მივიდა ბიჭთან და უთხრა:

— ჩემს საწოლზე დაწოლილხარ, თავხედო! აქ რას აკეთებ ამ შუაღამისასო?

შიშით აკანკალებულმა ბიჭმა უამბო, როგორ გააგდეს სახლიდან და შეეხვეწა, ღამე გამათევინეო.

— ხმელი ფოთოლი დაფინე ძირს? ყოჩაღ, ბიჭო. მე კი ვერ მოვისაზრე... რა გაეწყობა, დარჩი აქ, — უთხრა კაცმა და ბიჭის გვერდით დაწვა.

ბიჭი მოიკუნტა, უცნობი არ შევაწუხოო, არ ინძრეოდა, თავი მოიმძინარა, მაგრამ ცალი თვალით კაცს უთვალთვალებდა. არც იმ კაცს ეძინა, რაღაცას დუდღუნებდა ცხვირში. ეგონა, ბიჭს სძინავსო.

— რა ვაჩუქო ამ ბიჭს? ჩემს თავშესაფარში ხმელი ფოთოლი დაუფენია. ახლა მოიკუნტა, ჩემი შეწუხება არ უნდა. მოდი, სუფრას ვაჩუქებ. გაშლის თუ არა სუფრას, რა გინდა სულო და გულო, ათასნაირი საჭმელ-სასმელით გაივსება... ზარდახშასაც ვაჩუქებ, როგორც კი ახდის სახურავს, ოქროს მანეთიანი დახვდება შიგ. ეჰ, რაც არი, არი, ბარემ პირის გარმონსაც ვაჩუქებ, ჩაჰბერავს თუ არა, ირგვლივ ყველაფერი ცეკვა-თამაშს დაიწ-ყებსო...

ბიჭს იმ კაცის დუდღუნზე ჩაეძინა. ირიჟრაჟა თუ არა, თვალი გააჭყიტა, მიიხედ-მოიხედა, უცნობი არსად ჩანდა, ალბათ დამესიზმრა ყველფერიო. თქვა, წამოჯდა თუ არა, იქვე დაწყობილი საჩუქრები დაინახა. კაცი კი სახეზეც არ ახსოვდა, რო- გორი იყო.

მწყემსი გზას გაუდგა. იარა, იარა და ერთ ქალაქში შევიდა. ქალაქში ხალხი დიდი ასპარეზობისათვის ემზადებოდა. ასპარეზობაში გამარჯვებულს ჩემს ქალს ცოლად გავატან და მთელ სიმდიდრესაც დავუმტკიცებო, გამოუცხადებია იმ ქვეყნის ხელმწიფეს.

ჩემი ზარდახშის გამოცდის დრო დადგა. თუ მართლა სჭრის ფულს, მეც მივიღებ ამ ასპარეზობაში მონაწილეობასო, — გაიფიქრა ბიჭმა და ხან ახდიდა, ხან დახურავდა ზარდახშას სახურავს. როგორც კი სახურავს ახდიდა, ოქროს მანეთიანი გაჩნდებოდა ზარდახშაში. იყიდა მწყემსმა ჯიშიანი ცხენები, მდიდრული აბჯარი, უფლისწულის შესაფერი ტანსაცმელი, დაიქირავა მსახურები და საჭურველთმტვირთველები, მერე ხმა დაყარა, პორტუგალიელი უფლისწული ვარო. მწყემსმა ყველა შეჯიბრში გაიმარჯვა და ახლა ხელმწიფეს მიცემული სიტყვა უნდა შეესრულებინა.

მწყემსი ცხვრებში იყო გაზრდილი, სასახლის წესების არაფერი გაეგებოდა. საჭმელს ხელით ჭამდა, ხელს სუფრაზე იწმენდდა. წარჩინებული კარისკაცების ცოლებს მხარზე ხელს უტყაპუნებდა. შეეჭვდა ყველა. ხელმწიფემ გაიფიქრა, ეს უფლისწული არ იქნებაო, და ხელად აფრინა შიკრიკები პორტუგალიაში.

შიკრიკები მალე დაბრუნდნენ დ მოახსენეს: პორტუგალიელი უფლისწული წყალმანკით არის ავად და თავისი სასახლიდან ფეხი არ მოუცვლიაო.

ხელმწიფემ ბრძანა, ცრუპენტელა საპყრობილეში ჩააგდეთო. საპყრობილე სწორედ სანადიმო დარბაზის ქვეშ იყო. სტაცეს ხელი მწყემსს და საკანში უკრეს თავი. იქ უკვე იჯდა ცხრამეტი კაცი. ყველას გაეგო პორტუგალიელი უფლისწულის ამბავი, ხორხოცითა და ღრიანცელით შეხვდნენ მწყემსს, მაგრამ მწყემსმა აინუნში არ ჩააგდო მათი დაცინვა.

შუადღეზე ციხის დარაჯმა ბადიით ლობიოს შეჭამანდი შეუტანა ტუსაღებს, მიირბინა მწყემსმა ბადიასთან, გაჰკრა ფეხი და გადააპირქვავა.

— რა ჩაიდინე, შე სულელო. რაღა ვქნათ ახლა? იოლად არ ჩაგივლის ეს ამბავიო, — აგნიასდნენ ტუსაღები.

— დაწყნარდით და მიყურეთო, — მიუგო მწყემსმა, მერე ჯიბიდან სუფრა ამოიღო, — საჭმელ-სასმელი ოცი კაცისთვისო! — ჩაუთქვა და გაშალა.

თვალის დახამხამებაში აივსო სუფრა ნაირ-ნაირი, ნუგბარ-ნუგბარი საჭმელებით და ღვინით. ჩიტის რძე არ აკლდათ. ტუსაღები სიხარულით ცას ეწივნენ.

იმ დღის მერე, შემოიტანდა თუ არა დარაჯი ბადიით ლობიოს შეჭამანდს, მივიდოდა ერთ-ერთი ტუსაღი, გაჰკრავდა ფეხს ბადიას და გადააპირქვავებდა. ლობიოს არ ჭამდნენ, მაძღრები და მხიარულები კი იყვნენ. დარაჯმა ხელმწიფეს მოახსენა, ასე და ასეა საქმეო. დაინტერესდა ხელმწიფე და საპყრობილეში ჩავიდა, იკითხა, რა ამბავიაო.

მწყემსი წინ წადგა.

— იცოდეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩემს ამხანაგებს მე ვარჩენ. არაფერი არ აკლიათ, მგონი, თქვენი ბრწყინვალების სუფრაზეც არ იქნება ის სიუხვე, როგორიც ჩვენს სუფრაზეა. თუ გვიკადრებთ, დაბრძანდით და ჩვენთან ერთად შეექეცით. დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი დარჩებითო.

— კარგიო, — დაეთანხმა ხელმწიფე.

მწყემსმა სუფრა გაშალა და ჩაუთქვა:

— საჭმელ-სასმელი ოცდაერთი კაცისთვის, ოღონდ ხელმწიფის საკადრისი იყოს ყველაფერიო.

ხელად გაჩნდა ისეთი საჭმელ-სასმელი, რომ უკეთესს კაცის გული ვერ ინატრებდა. დააჭყიტა ხელმწიფემ თვალი. მიუჯდა სუფრას პატიმრებთან ერთად და დიდი სიამოვნებით შეექცა. კარგად რომ დანაყრდნენ, ხელმწიფემ მწყემსს უთხრა:

— სუფრა მომყიდეო.

— რატომაც არა, თქვენო უდიდებულესობავ? მოგყიდით, ოღონდ ერთი პირობით. ერთი ღამე თქვენს ასულთან, ჩემს საცოლესთან გამატარებინეთო.

— რატომაც არა, ტუსაღო! — უპასუხა ხელმწიფემ, — ოღონდ მეც პირობას დაგიდებ: საწოლის ნაპირზე დაწვები, მთელი ღამე არ გაინძრევი და არც კრინტს დაძრავ. რვა დარაჯს დავაყენებ, კარ-ფანჯარას გავაღებ, ჭაღსაც ავანთე-

ბინებ. თუ თანახმა ხარ ასეთ პირობაზე, ხომ კარგი, არადა მშვიდობით ბრძანდებოდეო.

— თანახმა ვარ, თქვენო უდიდებულესობავ, დაჰკარით ხელიო, — წამოიძახა მწყემსმა.

ასე ჩაიგდო ხელმწიფემ მწყემსის სუფრა ხელში. ვაჟმა კი მისი ქალის გვერდით გაატარა ღამე, მაგრამ ქალისთვის არც ხმა გაუცია, არც თითი მიუკარებია. დილით საპყრობილეში რომ დაბრუნდა მწყემსი, ტუსაღებმა მასხარად აიგდეს:

— ერთი ამ პორტუგალიელ უფლისწულს უყურეთ. არა, შე ვირო, ნუთუ არ იცი, რომ დღეიდან ლობიოს შეჭამანდზე დავრჩით. კარგი დაგემართოს, კარგად შენ გაურიგდი ხელმწი-ფესო.

— განა ფულზე ვერ ვიყიდით, რაც მოგვესურვებაო? — მშვიდად მიუგო მწყემსმა.

— ფულით? მერე რომელს უჩხრიალებს თუნდაც ერთი გროშიო?

— დამშვიდდით, დამშვიდდითო, — თქვა მწყემსმა და ამოიღო და ამოიღო ზარდახშიდან ოქროს მანეთიანები. იმ დღიდან მოყოლებული, მახლობელი ოსტერიიდან უზიდავდნენ ტუსაღებს გემრიელ საჭმელებს. ლობიოს შეჭამანდიან ბადიას კი ძველებურად აპირქვავებდნენ.

დარაჯი ისევ ეახლა ხელმწიფეს და მოახსენა, ასე და ასეა საქმეო. ჩავიდა ხელმწიფე ჯურღმულში და ზარდახშას ამბავი რომ გაიგო, ახლა მისი ხელში ჩაგდება მოუნდა.

— ვერ მომყიდი ზარდახშასო? — ჰკითხა მწყემსს.

— მოგყიდით, თქვენო უდიდებულესობავ, _ ოღონდ იმავე პირობითო.

დაეთანხმა ხელმწიფე, მისცა მწყემსმა ზარდახშა და ის ღამეც ხელმწიფის ქალის გვერდით გაატარა, მაგრამ ისევ გაუნძრევლად იწვა და კრინტი არ დაუძრავს.

მეორე დილით საპყრობილეში რომ დაბრუნდა მწყემსი, ტუსაღებმა ისევ გაქირდეს:

— ეს რა ჩაიდინე, ახლა ხომ ვეღარ ავცდებით ლობიოს შეჭამანდს, ჰო, ჰო, ჰო, რას ვიმხიარულებთო!

— სიმხიარულეს წინ რა უდგას. საჭმელი თუ არ გვექნება, ვიცეკვებთო, — მიუგო მწყემსმა.

ამოიღო მწყემსმა გარმონი, ჩაჰბერა და დატრიალდნენ ტუსაღები მის გარშემო, ააჟღარუნეს ბორკილები. მენუეტს გავოტი ცვლის, გავოტს _ ვალსი... მოირბინა ციხის დარაჯმა, დაპროწიალდა ისიც, გასაღებების აცმულა ააწკარუნა.

ამ დროს სანადიმო დარბაზში ხელმწიფე და მისი სტუმრები მაგიდას შემოუსხდნენ. როგორც კი საპყრობილედან გარმონის ჭყვიტინი მოესმათ, წამოცვივდნენ და ფეთიანებივით ჩამოუარეს. მანდილოსნები ლაქიებთან ცეკვავდნენ, კარისკაცები _ მზარეულ ქალებთან. დატრიალდა ავეჯიც, ჭიქები თეფშებს ეჯახებოდა და იმსხვრეოდა. შემწვარი წიწილები ფრთას შლიდნენ და მიფრინავდნენ, ვინ კედელს ენარცხებოდა, ვინ ისე ხტოდა, რომ ჭერს ურტყამდა თავს. ხელმწიფე ცეკვავდა და ყვიროდა, ახლავე შეწყვიტეთ ცეკვაო. უცებ

მწყემსმა დაკვრა შეწყვიტა. შეწყდა თუ არა მუსიკის ხმა, მუხლმოკვეთილი, არაქათგამოცლილი ქალი და კაცი, სულ პანტაპუნტით დაცვივდა ძირს.

აქოშინებული ხელმწიფე საპყრობილეში ჩავარდა.

— რომელი მასხარაობსო?

მწყემსი წინ წადგა და მოახსენა:

— მე, თქვენო უდიდებულესობავ. თუ არა გჯერათ, ახლავე დაგარწმუნებთო, — აიღო გარმონი და ჩაჰბერა. ხელმწიფემ მაშინვე ფეხი ასწია.

— გაჩერდი, გაჩერდი, არ დაუკრაო, — შეევედრა მწყემსს. — მოდი, ეგ გარმონიც მომყიდეო.

— რატომაც არა, თქვენო უდიდებულესობავ? მაინც რა პირობითო? — ჰკითხა მწყემსმა.

— იმავე პირობით, როგორც უწინ.

— არა, თქვენო უდიდებულესობავ. ახლად უნდა შევთანხმდეთ: არადა დავუკრავო.

— არა, არა, ნუ დაუკრავ, მითხარი, რა გინდაო?

— ნება მიბოძეთ ამაღამ თქვენს ასულს ხმა გავცეო.

დაფიქრდა ხელმწიფე და ბოლოს თანხმობა მისცა.

— ოღონდ უწინ თუ რვა კაცი იდგა დარაჯად, ახლა თექვსმეტს დავაყენებ და ორ ჭაღს ავანთებინებო, — უთხრა ხელმწიფემ.

— როგორც გენებოთ, თქვენო უდიდებულესობავო!

საღამოს ხელმწიფემ თავისი ქალი იხმო და ჩუმად უთხრა:

— კარგად დაიხსომე, რასაც გეტყვი. ამაღამ იმ ავაზაკმა რაც არ უნდა გითხრას, ყველაფერზე არა უთხარი. ‘არა, არას» მეტი არაფერი წამოგცდეს, თორემ მტერსა და ავს, შენ დღეს დაგაყრიო.

ქალი დაჰპირდა, ხმას არ გავცემო.

დადგა დაწოლის დრო. შევიდა მწყემსი დარაჯებით სავსე, გაჩახჩახებულ ოთახში და ხელმწიფის ქალის საწოლის ნაპირზე გაწვა.

— ჩემო მეუღლევ, ასეთ სიცივეში კარ-ფანჯარა გაფრიალებული რომ არის, მოგწონსო? — ჰკითხა მწყემსმა ქალს.

— არაო, — მიუგო ქალმა.

— გესმით, დარაჯებო? ხელმწიფის ქალმა ბრძანა კარ-ფანჯრები დახურეთო, — უყვირა მწყემსმა დარაჯებს.

დარაჯებმა ბრძანება შეასრულეს.

თხუთმეტ წუთს არ გაუვლია, რომ მწყემსმა ისევ უთხრა ქალს:

— ჩემო მეუღლევ, დარაჯებით გარშემორტყმული რომ ვწევართ, მოგწონსო?

— არაო, — მიუგო ქალმა.

— გესმით, დარაჯებო? ხელმწიფის ქალი ბრძანებს, დატოვეთ ოთახი და ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოთო, — მიუბრუნდა მწყემსი დარაჯებს.

დარაჯებს გაუკვირდათ, მაგრამ რას იზამდნენ, დაემორჩილნენ ხელმწიფის ქალის ბრძანებას და დასაძინებლად წავიდნენ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მწყემსმა ისევ წამოიწყო:

— ჩემო მეუღლევ, ორი ჭაღით გაბრდღვიალებულ ოთახში რომ ვწევართ მოგწონსო?

— არაო, — მიუგო ქალმა.

ადგა მწყემსი, ჩააქრო ჭაღები. ოთახი ჩაბნელდა. ვაჟი ისევ საწოლის ნაპირზე დაწვა და ქალს ჰკითხა:

— ჩემო ძვირფასო, მე და თქვენ კანონიერი ცოლ-ქმარი ვართ, მაგრამ ისე შორსა ვართ, თითქოს ეკლიანი ღობე გვაშორებდეს ერთმანეთს. მითხარი, მოგწონსო?

— არაო, — მიუგო ქალმა.

დილით ხელმწიფე თავის ქალთან შევიდა.

— როგორც მიბრძანეთ, ყველაფერი ისე გავაკეთე, მაგრამ ეს ჭაბუკი მაინც ჩემი ქმარი გახდა. რაც მოხდა, მოხდა, გვაპატიეთო.

რაღას იზამდა ხელმწიფე, გამართა დიდებული ქორწილი და დიდი ასპარეზობა.

ასე გაუღიმა ბედმა საწყალ მწყემსს. ჯერ ხელმწიფის მემკვიდრე გახდა, მერე ხელმწიფობაც მიიღო.

მონტალე

<u>მაიმუნების სასახლე</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე, ორი ვაჟი ჰყავდა, ტყუპები: ჯოვანი და ანტონიო. არავის ახსოვდა, რომელი გაჩნდა უწინ. ზოგი ასე ამბობდა, ზოგი ისე და ხელმწიფე საგონებელში ჩავარდა, რომელს გადავცე ჩემი გვირგვინი, ჯოვანის თუ ანტონიოსო.

ერთხელ ხელმწიფემ შვილები იხმო და უთხრა:

— მინდა სამართლიანად გადავწყვიტო თქვენი საქმე. წადით, ქვეყანა მოიარეთ, ამოირჩიეთ საცოლეები. რომლის საცოლეც უკეთეს საჩუქარს მომიტანს, გვირგვინს იმას დავულოცავო.

მოახტნენ ძმები ცხენებს და ერთმა ერთ მხარეს გაქუსლა, მეორემ — მეორე მხარეს.

იარა ჯოვანიმ, იარა და ორი დღის შემდეგ ერთ დიდ ქალაქში შევიდა. გაიცნო იქ მარკიზის ქალი, მოეწონათ ერთმანეთი. ვაჟმა უთხრა რისთვისაც გაგზავნა მამამ სამოგზაუროდ, ქალმა ხელმწიფისთვის დალუქული ზარდახშა გაამზადა. დაიწერეს ჯვარი და ჯოვანიმ ცოლი სამშობლოში წაიყვანა. ხელმწიფემ რძლის საჩუქარი არ გახსნა. ჯერ ანტონიო დაბრუნდესო.

ანტონიო კი მიაჭენებდა თავის ბედაურს. არც სოფელი გამოჩნდა სადმე, არც ქალაქი. ბოლოს ისეთ უსიერ ტყეში შევიდა, რომ ხმლით მიიკვლევდა გზას. იარა, იარა, იმ უღრან, გაუვალ ტყეში და უცებ მინდორზე გავიდა. გავიდა და დაინახა, რომ მინდორზე ბროლის ფანჯრებიანი მარმარილოს სასახლე იდგა. ან-

ტონიო მივიდა სასახლესთან, დააკაკუნა და იცით, ვინ გაუღო კარი? _ ლივრეაში გამოწყობილმა მაიმუნმა.

მაიმუნმა ანტონიოს მდაბლად დაუკრა თავი, ანიშნა შემობრძანდითო. ორი მაიმუნი შეეგება, უზანგი დაუჭირეს, დაქვეითება უშველეს. მერე ცხენს სადავეში ჩაავლეს ხელი და საჯინიბოში შეიყვანეს.

ანტონიო სასახლეში შევიდა. მარმარილოს კიბე ხალიჩებით იყო მოფენილი, მოაჯირზე მაიმუნები ისხდნენ და მდუმარედ ესალმებოდნენ ანტონიოს. შევიდა ანტონიო ერთ დარბაზში. იქ ბანქოს სათამაშო მაგიდა იდგა. მაიმუნმა მაგიდასთან მიიწვია სტუმარი. სხვა მაიმუნებიც გვერდზე მოუსხდნენ და გაჩაღდა ბანქოს თამაში.

კარგა ხანი ითამაშეს ბანქო, მერე მაიმუნებმა ანიშნეს ანტონიოს, ხომ არ გშიათო. შეიყვანეს სასადილო ოთახში. გაშლილ სუფრას მორთულ-მოპრანჭული მაიმუნები უსხდნენ. წინსაფრიანი მაიმუნები კი ემსახურებოდნენ. ნავახშმევს ანთებული ჩირაღდნებით მიაცილეს ანტონიო საწოლ ოთახამდე და მარტო დატოვეს.

ანტონიო გაოცებული იყო ნახულით, ცოტა ეშინოდა კიდეც, მაგრამ მიდო თუ არა ბალიშზე თავი დაქანცულმა, მაშინვე ღრმა ძილით დაეძინა.

შუაღამისას ანტონიო ვიღაცის ხმამ გააღვიძა:

— ანტონიო!

— რომელი ხარ? — იკითხა ანტონიომ და წამოჯდა.

— მითხარი, რას დაეძებო?

— რას დავეძებ და ისეთ ქალს, რომელიც ჩემი ძმის საცოლეზე უკეთეს საჩუქარს მიართმევს მამაჩემს. მაშინ მეფის გვირგვინი მე დამრჩებაო, — მიუგო ანტონიომ.

— მაშ, მე შემირთე. ჩემისთანა საჩუქარს მამაშენს ვერავინ მიართმევს და გვირგვინი შენ დაგრჩებაო, — ისევ შემოესმა ანტონიოს უჩინარის ხმა.

— კარგი, შეგირთავო, — წაიჩურჩულა ანტონიომ.

— ოჰ, რა კარგია, ხვალვე წერილი მისწერე მამაშენსო.

მეორე დილით დაჯდა ანტონიო და მამას მისწერა, კარგადა ვარ, მალე ცოლიანი დაგიბრუნდებიო. წერილი მაიმუნს მისცა. ავარდა მაიმუნი ხეზე, იმ ხიდან მეორეზე გადახტა, იქიდან მესამეზე და ასე ხტომა-ხტომით ხელად მიურბენინა ანტონიოს მამას შვილის წერილი. ხელმწიფეს ასეთი შიკრიკი ჯერ არ ენახა, ძალიან გაუკვირდა, მაგრამ მაინც გაუხარდა, კარგი ამბავი რომ მიუტანა და მაიმუნი უკან აღარ გაუშვა.

მეორე ღამეს ანტონიო ისევ გამოაღვიძა იმავე ხმამ:

— ანტონიო! ხომ არ გადაიფიქრეო?

— არაო, — მიუგო ანტონიომ.

— მაშ, კარგი. ხვალ მამაშენს ერთი წერილი კიდევ გაუგზავნეო.

მეორე დილით დაჯდა ანტონიო და მამას მისწერა. კარგადა ვარ, ჩემი დარდი ნუ გექნებაო. მეორე წერილიც მაიმუნს გაატანა. ხელმწიფემ ის მაიმუნიც თავისთან დატოვა.

ასე ყოველ ღამე აღვიძებდა ანტონიოს ვიღაცის ხმა, ეკითხებოდა ხომ არ გადაიფიქრეო, ხვალ მამაშენს წერილი მისწერეო. დაჯდებოდა დილით ანტონიო, დაწერდა წერილს და მაიმუნის ხელით უგზავნიდა მამას.

თითქმის მთელი თვე გაგრძელდა ეს ამბავი. სატახტო ქალაქში ისე გამრავლდნენ მაიმუნები, საითაც გაიხედავდი, ყველგან მაიმუნი გეცემოდა თვალში. ზოგი ხეზე იჯდა, ზოგი _ სასახლის სახურავზე. ზოგი ძეგლზე იყო წამოსკუპებული. ზის ხარაზი, აკაკუნებს ჩაქუჩს, ზურგზე კი მაიმუნი მოხტომია და იჭყანება. ექიმი ოპერაციას აკეთებს, მიეპარება მაიმუნი, ან დანას მოსტაცებს, ან ჭრილობის გასაკერ ძაფს. მანდილოსნებს ქოლგები გაუშლიათ და მასლაათით მიჰყვებიან ქუჩას, ქოლგებზე კი მაიმუნები წამოსკუპულან. ხელმწიფე საგონებელში ჩავარდა, აღარ იცოდა, რა ექნა მაიმუნებისთვის.

ერთი თვე რომ გავიდა, უჩინარმა ანტონიოს უთხრა:

— ხვალ მამაშენთან წავიდეთ და ჯვარი დავიწეროთო.

დილით ანტონიო სასახლიდან გავიდა, ჭიშკართან საუცხოო კარეტა იდგა, კოფოზე მაიმუნი იჯდა, საფეხურზე ორი მაიმუნი იდგა, შიგ კარეტაში კი დიბა-ატლასში გახვეული, თვალმარგალიტით შემკული მაიმუნი ხავერდის ბალიშზე მიწოლილიყო.

მიუჯდა ანტონიო გვერდით მაიმუნს და კარეტა დაიძრა.

სატახტო ქალაქს რომ მიაღწიეს, უცნაურ კარეტას ზღვა ხალხი აედევნა. უფლისწულის გვერდით მაიმუნი რომ დაინახეს, გული გაუსკდათ. სასწაული თუ გინდათ ეს არის, ჩვენი უფლისწული მაიმუნს ირთავს ცოლადო. ხელმწიფე სასახლის კიბეზე იდგა და ელოდა. ხალხი თვალს არ აშორებდა, აბა, რას იზამს, ანტონიოს საცოლეს რომ დაინახავსო. მაგრამ რის ხელმწიფე იქნებოდა, თუ თავს ვერ დაიჭერდა. არაფერი შეიმჩნია, თითქოს მაიმუნის შერთვა ჩვეულებრივი ამბავი იყო და მშვიდად თქვა:

— ანტონიოს რჩეული ეს არის და შეირთავს კიდევაც. ხელმწიფის სიტყვა კანონიაო.

მერე სარძლოს დაკეტილი ზარდახში ჩამოართვა. შეიყვანეს მაიმუნი მისთვის გამზადებულ ოთახში და თავისივე თხოვნით მარტო დატოვეს. მეორე დღეს უნდა დაეწერათ ჯვარი. ზარდახშები კი ჯვრისწერის დღეს უნდა გაეხსნა ხელმწიფეს.

დილით ანტონიო თავის საცოლესთან შევიდა. მაიმუნი სარკის წინ იდგა და საქორწინო კაბას იცვამდა.

— აბა, შემომხედე, მიხდება საქორწინო კაბაო? — უთხრა მაიმუნმა ანტონიოს და შემობრუნდა.

ანტონიოს გაოცებისაგან ხმა ჩაუწყდა. მაიმუნი ტანწერწეტა ქერათმიან მზეთუნახავად ქცეულიყო. თვალი მოიფშვნიტა ვაჟმა, ვერა და ვერ დაიჯერა, ალბათ, მეჩვენებაო. მზეთუნახავმა კი უთხრა:

— ანტონიო, მე ვარ შენი საცოლეო! — გადაეხვივნენ ერთმანეთს.

სასახლის წინ ზღვა ხალხი შეყრილიყო. მოუთმენლად ელოდნენ უფლისწულის და მაიმუნის ჯვრისწერას. ანტონიომ კი ხელიხელგაყრილი ისეთი ქალი

გამოიყვანა, მზეს ეუბნებოდა, შენ ჩადი, მე ამოვალო. ყველა პირდაღებული შეჰყურებდა ანტონიოს საცოლეს. მაიმუნები ხეებზე, სახლის სახურავებზე, ფანჯრის რაფებზე შეხუნძლულიყვნენ და როცა ნეფე-პატარძალი საყდრისკენ წავიდნენ, სულ პანტაპუნტით წამოვიდნენ ძირს. ჩამოხტებოდნენ, ერთს დაბ-ზრიალდებოდნენ და ადამიანად გადაიქცეოდნენ. ვინ მოსასხამწამოსხმულ გრძელკაბიან მანდილოსნად იქცა, ვინ _ დაშნიან რაინდად, ვინ ბერად, ვინ გლეხად, ვინ პაჟად და ყველა უკან გაჰყვა უფლისწულსა და მის საცოლეს.

ჯვრისწერის შემდეგ ხელმწიფემ რძლების საჩუქრები მოატანინა. ჯოვანის ცოლის ნაჩუქარ ზარდახშაში ცოცხალი ჩიტი იჯდა. საოცარია, როგორ გაძლო დაკეტილ ზარდახშაში იმდენი ხანი. ჩიტს ნისკარტით თხილი ეჭირა, თხილში ოქროს ფრთა იყო გაყრილი.

როცა ხელმწიფემ ანტონიოს ცოლის ზარდახშა გახსნა, იქიდანაც ცოცხალი ჩიტი ამოფრთხიალდა. ჩიტს ნისკარტით ხვლიკი ეჭირა — საკვირველია, რო-გორ ჩაეტია ხვლიკი იმ ზარდახშაში! ხვლიკს პირით თხილი ეჭირა — საიდან გაჩნდა იქ თხილი! თხილის გულში კი ასი წყრთა ნაყშებიანი სალეჩაქე იდო.

ხელმწიფეს თავის გვირგვინი ანტონიოსთვის უნდა გადაელოცა, ჯოვანი მიხვდა, რომ მამას ანტონიოს ცოლის საჩუქარი უფრო მოეწონა და ცხვირი ჩა-მოუშვა, მაგრამ ანტონიოს ცოლმა ხელმწიფეს მოახსენა:

— ანტონიოს თქვენი გვირგვინი არ უნდა. მე ქმარს მზითვად მოვუტანე ჩემი სახელმწიფო. ამ ჯვრისწერით ანტონიომ მთელი ჩემი ქვეყანა იხსნა, ჯადო გაი-ფანტა და მე და ჩემი ხალხი ბედნიერნი ვართო.

ადამიანად ქცეული მაიმუნები სიხარულის ყიჟინით შეხვდნენ თავიანთ ახალ ხელმწიფეს — ანტონიოს. ჯოვანიმ მამის გვირგვინიც მიიღო და მისი სა-ხელმწიფოც.

ყველა ბედნიერი იყო.

და ცხოვრობდნენ კარგად, ტკბილად,
ყველა იყო ბედნიერი...
მეც იქ გახლდით, მაგრამ სულ არ
მიწყალობეს არაფერი.

მონტალე

<u>როგორ შეაგდეს როზინა ღუმელში</u>

ერთ ღარიბ-ღატაკ კაცს ცოლი მოუკვდა და ობლად დარჩა მშვენიერი პატარა გოგო — როზინა. კაცი დილიდან დაღამებამდე შრომობდა, წელებზე ფეხს იდ-გამდა, პატარა როზინას კი მომვლელი არა ჰყავდა და მთელი დღე უპატრო-ნოდ ეგდო. იფიქრა კაცმა, როდემდის ვიყო ასე, ჩემს როზინას მომვლელი ხომ უნდაო. ადგა და ქალი შეირთო. მეორე ცოლსაც გოგო გაუჩნდა და ასუნტა და-

არქვეს. ასუნტა გონჯი იყო, როზინას შეხედვას კი არაფერი სჯობდა. წამოიზარდნენ გოგონები, სკოლაში ერთად დადიოდნენ, ერთად თამაშობდნენ, მაგრამ ასუნტა სულ გაკაპასებული ბრუნდებოდა შინ.

— დედა, — უთხრა ერთხელ ასუნტამ დედას, — ჩემს დღეში აღარ ვითამაშებ როზინასთან. ვინც კი დაგვინახავს, ყველა მაგას ეფერება და აქებს. ლამაზიც ეგ არის, ლოყაწითელაც, ალერსიანიც. მე კი მეუბნებიან, მუგუზალს ჰგავხარო.

— მერე რა, შვილო, რა დიდი უბედურება ეგ არის, შავგვრემანი თუ ხარ და თმაც შავი გაქვს. მე მგავხარ, სწორედ მაგაშია შენი სილამაზეო, — დაამშვიდა დედამ.

— როგორც გინდა, ისე იფიქრე, მე კი როზინასთან არსად წამსვლელი აღარა ვარო, — არ ცხრებოდა ასუნტა.

ქალს მზე და მთვარე თავის ასუნტაზე ამოსდიოდა. ხედავდა, როგორ იტანჯებოდა, შურით სკდებოდა მისი შვილი და ერთხელ ჰკითხა:

— რა გიყო, რით გიშველოო?

— გაგზავნე როზინა ძროხების სამწყემსავად, გაატანე ერთი გირვანქა ფთილა და უბრძანე, შინ დაბრუნებამდე დაართას. თუ ნართს არ მოიტანს, ან ძროხებს მაძღრებს არ მორეკავს, მაგრად მიტყეპე. დღეს მიტყეპავ, ხვალ მიტყეპავ, იტირებს, იტირებს და შნოს და ლაზათს დაკარგავსო.

არ უნდოდა ქალს ამის გაკეთება, მაგრამ მაინც დაუთმო შვილს, დაუძახა როზინას და უთხრა:

— დღეის იქით ასუნტას გვერდით გავლა აღარ გაბედო. ძროხებს წაასხამ საბალახოდ, ბალახსაც მოთიბავ და ყოველდღე გირვანქა ფთილასაც დაართავ. თუ საღამომდე ნართი მზად არ გექნება, ან ძროხებს მაძღარს არ მორეკავ, შავ დღეს დაგაყრი. ხომ იცი, რასაც ვიტყვი, ავასრულებ კიდეცო.

როზინა ასეთ ბრძანებებს ჩვეული არ იყო და გაოცებისგან ხმა ჩაუწყდა. დედინაცვალმა ჯოხს წამოავლო ხელი. როზინა ბედს დაემორჩილა, აიღო ფთილით სავსე კალათი, გაირეკა ძროხები და წავიდა.

— ფურილებო, ჩემო ფურილებო! რა ვქნა, როგორ მოვთიბო თქვენთვის ბალახი, როცა მატყლი დასართავი მაქვს? ნეტა ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდეს და საქმეში შემეშველოსო! — დაიჩივლა როზინამ.

ბებერმა ძროხამ თავი მოაბრუნა როზინასკენ.

— დარდი ნუ გაქვს, როზინა, წადი, ბალახი მოთიბე, ჩვენ კი მატყლს დავართავთ და ძაფსაც ამოვახვევთ. ოღონდ სანამ წახვალ, ასე თქვი:

ჩემო ძროხავ, გეტყვი ქებით,
ეს პატარა მატყლის ფთილა,
შენი რქებით, კოხტა რქებით
დაახვიე კარგა, ფრთხილად.

საღამომდე როზინამ იმდენი ბალახი მოთიბა, რომ ძროხებიც დააძღო და ერთი ხორომი ბალახიც თან წაიღო. მირეკა ძროხები, დააბინავა ბოსელში, ბა-

ლახის ხორომი თავზე ედო, ძაფის გორგალი ხელში ეჭირა, ეს რომ დაინახა ასუნტამ, ბოღმით კინაღამ დაიხრჩო, გაკაპასებული მივარდა დედას და უთხრა:

— ხვალ ისევ გაგზავნე როზინა სამწყემსავად და ორი იმდენი მატყლი გაატანე. თუ საღამომდე ნართი მზად არ ექნება, ან ძროხებს მაძღრებს არ მორეკავს, გვერდები აუჭრელეო.

გაირეკა დილით ძროხები როზინამ, გაიყვანა მინდორზე და თქვა:

ჩემო ძროხავ, გეტყვი ქებით,
ეს პატარა მატყლის ფთილა,
შენი რქებით, კოხტა რქებით
დაახვიე კარგად, ფრთხილად.

საღამოს ძროხებიც მაძღარი მირეკა შინ. ორი გირვანქა ნართიც მზად ჰქონდა და ერთი ხორომი ბალახიც მიიტანა.

ასუნტას მკვდრის ფერი დაედო ამის დანახვაზე, მივარდა როზინას და ჰკითხა:

— ერთ დღეში ამდენი საქმის გაკეთებას როგორ ახერ-ხებო.

— ქვეყნად ბევრსა აქვს კეთილი გული. ჩემი ძროხები მეხმარებიანო, — მიუგო როზინამ.

ასუნტამ დედასთან მიირბინა და სთხოვა:

— ხვალ როზინას ნუღარ გაგზავნი სამწყემსავად. შინ დატოვე, ოჯახის საქმეს მიხედოს. მე კი ძროხებს წავასხამ საბალახოდ. მეც მომეცი დასართავად მატყლიო.

— კარგიო, — უთხრა დედამ.

ადგა დილით ასუნტა, გაირეკა ძროხები. მიდიოდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უტყლაშუნებდა ძროხებს სახრეს. მიადგნენ თუ არა მინდორს, წამოაცვა რქებზე ფთილები. ძროხები არ გაინძრნენ. გაბრაზდა ასუნტა, დაჰკივლა ძროხებს:

— რას გაშეშებულხართ, დართვა არ გინდათო? — დაუშინა და დაუშინა სახრე. გამწარებული ძროხები თავს აქნევდნენ და სულ ერთიანად აუბურდეს მატყლი.

ასუნტას როზინას ჯავრი არ ასვენებდა. ერთ საღამოს დედას უთხრა:

— დედა, ისე მომინდა ბოლოკი, ისე რომ სული მიმდის. გადავიდეს როზინა მეზობლის ბოსტანში და ბოლოკი ამოგლიჯოსო.

შვილისთვის რომ ესიამოვნებინა, ქალმა როზინას უბრძანა, გადადი მეზობლის ბოსტანში და ამოგლიჯე ბოლოკიო.

— რასა ბრძანებთ, სხვის ბოსტანში როგორ გადავიპარო, გინდათ ვიქურდო? ასეთი რამ ჩემს დღეში არ მიქნია, მეზობელმა რომ დაინახოს, ღამე მის ბოსტანში ვიღაც გადაიპარა, თოფს ესვრისო!

ასუნტასაც ეს უნდოდა. ის მბრძანებლობდა შინ და როზინას უთხრა:

— ახლავე წადი, თორემ ჯოხით ზურგს აგიჭრელებო.

წავიდა როზინა, სიბნელეში გადაძვრა ღობეზე და სხვის ბოსტანში შეიპარა, მაგრამ ბოლოკის ნაცვლად თალგამს მოეჭიდა, მოსწია ერთხელ, მოსწია მეორედ და ძლივს ამოგლიჯა. მოუსვა თალგამს ხელი და რაღაც ცოცხალი მოხვდა. დახედა, თალგამის ძირში თურმე გომბეშოები არ ბუდობდნენ! ძირში ხუთი პაწია გომბეშო იჯდა.

— ვაი, რა პაწიები ხართ, — მიუალერსა როზინამ, ჩაისხა წინსაფარში, მაგრამ, საუბედუროდ, ერთი გომბეშო ხელიდან გაუსხლტა და თათი მოიტეხა.

— მაპატიე, პატარავ, უნებურად მომივიდაო, — უთხრა როზინამ.

ოთხ გომბეშოს როზინა ძალიან მოეწონა და უთხრეს:

— ასეთი კარგი და საყვარელი რომ ხარ, გვინდა დაგასაჩუქროთ, ისე გაგალამაზებთ, რომ მზესავით იბრწყინებ, შენი ბადალი ქვეყნად არ იქნებაო.

ფეხმოტეხილმა გომბეშომ კი ჩაიბუზღუნა:

— როგორ არა, თქვენმა მზემ, ძალიან საყვარელი გოგოა. მაგის მიზეზით არ დავკოჭლდი! როგორც კი მზის სხივი მოხვდება, გველად იქცეს დ გველადვე დარჩეს, ვიდრე აგუზგუზებულ ღუმელში არ შეაგდებს ვინმეო.

წავიდა როზინა შინ. უხაროდა კიდეც და გულიც სტკიოდა, შევიდა თუ არა სახლში, ისეთი შუქი მოჰფინა, ისეთი შუქი, რომ დღესავით გაანათა იქაურობა, შეხედეს დედინაცვალმა და ასუნტამ და სახტად დარჩნენ, ორივეს თვალი მოსჭრა როზინას სილამაზემ. როზინამ უამბო, რაც შეემთხვა მეზობლის ბოსტანში.

— უდანაშაულო ვარ, გარეთ ნუ გამგზავნი, თორემ გველად გადავიქცევიო, —შეევედრა დედინაცვალს.

მას მერე როზინა მარტო საღამოობით ან ღრუბლიან დღეს გამოდიოდა გარეთ. სულ ჩრდილში იჯდა ფანჯარასთან, ქსოვდა და მღეროდა. ფანჯრიდან მისი შუქი შორს იჭრებოდა. ერთხელ მათ სახლთან უფლისწულმა ჩაიარა. უცებ კაშკაშა შუქმა თვალი მოსჭრა ჭაბუკს, ასწია თავი და ფანჯარასთან მჯდარი როზინა დაინახა. გლეხის ქოხში ასეთ მზეთუნახავს რა უნდაო, გაიფიქრა და როზინას ქოხის კარი შეაღო.

გაიცნეს ერთმანეთი როზინამ და უფლისწულმა. როზინამ თავისი ამბავი უამბო და არც ის დაუმალა, თუ როგორ დასწყევლა პაწია გომბეშომ.

— რაც იქნება, იქნეს, შეუძლებელია თქვენისთანა მზეთუნახავის ამ ქოხში ცხოვრება. ჩემი ცოლი გახდები, როზინა, ვთქვი და შევასრულებ კიდეცო, — უთხრა უფლისწულმა.

ამ დროს როზინას დედინაცვალი ჩაერია ლაპარაკში:

— ფრთხილად იყავით, თქვენო ბრწყინვალებავ, თორემ უბედურებას გადაეყრებით. ხომ გითხრათ როზინამ, რაც მოელის. ერთი თუ მოხვდა მზის სხივი, მაშინვე გველად გადაიქცევაო.

— ეს უკვე ჩემი საქმეა. ვხედავ, ეს გოგონა მაინცდამაინც არ გიყვართ. ამიტომ ახლავე მოამზადეთ სასახლეში გასამგზავრებლად, გზაში მზის სხივი რომ არ მოხვდეს, დახურულ კარეტას გამოვგზავნი. არც თქვენ დაგტოვებთ უყურადღებოდ. აბა, შეასრულეთ, რაც გიბრძანეთ. მშვიდობითო, — თქვა უფლისწულმა და გავიდა.

ასუნტამ და დედამისმა უფლისწულის შიშით ვერაფერი ავნეს როზინას, რისხვა გულში ჩაიგუბეს და მისი გამგზავრების სამზადისს შეუდგნენ.

მალე კარეტაც მოგრიალდა, ძველი, დახურული კარეტა. მხოლოდ თავზე ჰქონდა პატარა საჭვრეტელი. ეტლის საფეხურზე ეგერი იდგა, ფრთიანი ქუდი ეხურა და დაშნა ეკიდა. როზინა კარეტაში ჩაჯდა. დედინაცვალმა კი გვერდზე გაიხმო ეგერი და სთხოვა:

— კეთილო კაცო, თუ გინდა საჩუქრად ათი პაოლი მიიღო, მზე კარგად რომ ამოიწვერება, კარეტის საჭვრეტი გააღეო.

— კარგით, სინიორა, რასაც მიბრძანებთ, შევასრულებო, — მიუგო ეგერმა.

მერე დედინაცვალი გვერდით მიუჯდა როზინას და უთხრა, სასახლემდე მიგაცილებო.

დაიძრა კარეტა. შუადღისას, მზე ზედ თავზე რომ დაადგა კარეტას, ეგერმა საჭვრეტელი გააღო. გაიღო თუ არა საჭვრეტელი, მზის სხივი როზინას დაეცა და მაშინვე გველად აქცია. გველი სისინით გაძვრა კარეტიდან და ტყეში შესრიალდა.

უფლისწული შეეგება კარეტას, გააღო კარი, მაგრამ როზინა არსად იყო, რომ გაიგო, რაც შეემთხვათ, ატირდა, კინაღამ მოკლა როზინას დედინაცვალი.

შემოეხვივნენ კარისკაცები, ამშვიდებდნენ, — რას იზამ, ასეთი იღბალი ჰქონია როზინას. დღეს თუ არა, ხვალ მაინც ეს ბოლო ელოდაო, მაგრამ ვერავითარი დარიგებით და დაყვავებით ვერ დაამშვიდეს. უფლისწული, მართალია, აღარ შფოთავდა, მაგრამ ძალიან გულმოკლული და დაღვრემილი იყო.

მზარეულებს უკვე საქორწილო ვახშამი მოემზადებინათ. გამოეცხოთ, შეეწვათ, მოეხარშათ. სტუმრებმაც მოიყარეს თავი, ყველამ გაიგო როზინას ამბავი და თქვეს, რაკი შევიკრიბეთ, დავსხდეთ და ვიქეიფოთო. მზარეულებს უბრძანეს, კერძი შეათბეთ და სუფრა გაშალეთო.

ამ დროს მსახურმა ტყიდან ფიჩხის კონა მოიტანა. მზარეულმა ასწია ფიჩხის კონა და ღუმელში შეაგდო. შეაგდო და მაშინვე დაინახა, რომ ფიჩხის კონაში გველი შემძვრალიყო. ფიჩხი უკვე აბრიალდა, უკვე ვეღარ გამოიღებდა, იდგა მზარეული და უყურებდა, აბა, როგორ დაიწვება გველიო. უცებ ღუმელიდან დედიშობილა, ვარსკვლავივით ქალი გამოხტა. მზარეულს ჯერ ხმა ჩაუწყდა, მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიღრიალა:

— არიქა, ხალხო, ჩქარა აქ მოდით! ღუმელიდან ქალი გამოხტაო!

მის ყვირილზე პირველი უფლისწული შევარდა სამზარეულოში, უკან კარისკაცები მიჰყვნენ. დაინახა უფლისწულმა თავისი როზინა და გადაეხვია.

დაიწერეს ჯვარი და დიდებული ქორწილი გადაიხადეს.

ცხოვრობდა როზინა ბედნიერად, ვიღა დაჩაგრავდა, ყველა თვალ-წარბში შეჰყურებდა.

მონტალე

<u>ს ა ლ ა მ ა ნ უ რ ი ყ უ რ ძ ე ნ ი</u>

ერთ ხელმწიფეს მზეთუნახავი ქალი ჰყავდა, მეზობელი ქვეყნის ხელმწიფეს კი — სამი ჭაბუკი და სამივეს ის მზეთუნახავი უყვარდა. ერთხელ ქალის მამამ უფლისწულები დაიბარა და უთხრა:

_ ხომ იცით, სამივე ჩემთვის ერთნი ხართ, უპირატესობას ვერც ერთს ვერ მოგცემთ, ჰოდა, ჩემი შვილის გულისთვის ჩხუბი რომ არ მოგივიდეთ, ისე მოიქეცით, როგორც დაგარიგებთ: წადით, შვილებო, მოიარეთ ქვეყანა და ექვსი თვის შემდეგ რომელიც უკეთეს საჩუქარს მომიტანს, ქალს იმას მივათხოვებო.

გაუდგნენ ჭაბუკები გზას. იარეს, იარეს და ერთგან, სადაც შარაგზა სამად გაიტოტა, ერთმანეთს დაშორდნენ.

გავიდა ერთი თვე, ორი თვე, სამი, იარა უფროსმა ძმამ, იარა, მაგრამ მზეთუნახავის საკადრისი საჩუქარი ვერ იშოვა. ბოლოს ერთ შორეულ ქვეყანაში მივიდა და ფუნდუკში დაბინავდა. უკვე მეექვსე თვე დაიწყო, უფლისწულს იმედი გადაუწყდა, იჯდა ფუნდუკში დანაღვლიანებული და ფიქრობდა, რა ვქნა, უკან ხელცარიელი როგორ დავბრუნდეო. ამ დროს მჭახე ხმა შემოესმა:

— ხალიჩები, ხალიჩები, ოსტატურად ნაკეთები!

უფლისწულმა ფანჯრიდან გაიხედა.

— იყიდეთ, სინიორ, საუცხოო ხალიჩაა!

— აბა, რად მინდა, ხალიჩა. ჩემს სასახლეში სამზარეულოც კი ხალიჩებითაა მოფენილი, — მიუგო უფლისწულმა ვაჭარს.

— ასეთი ხალიჩა მაინც არ გექნებათ. ამის საიდუმლო რომ იცოდეთ, უარს აღარ იტყოდითო, — უთხრა ვაჭარმა.

— რა ხალიჩაა ისეთიო?

— მფრინავი ხალიჩა გახლავთ. შედგამთ თუ არა ზედ ფეხს, ხელად ღრუბლებში აგაფრენთო.

გაუხარდა უფლისწულს, თითები აატკაცუნა.

— რასაც ვეძებდი, სწორედ ის არის, რამდენი მოგართვათ მაგ ხალიჩაშიო?

— ასი სკუდო, არც მეტი და არც ნაკლებიო, — მიუგო ვაჭარმა.

— კეთილი, — თქვა უფლისწულმა და ჩაუთვალა ვაჭარს ასი სკუდო.

მერე ხალიჩაზე შედგა. ხალიჩა ღრუბლებში აიჭრა, გადაატარა მთა-ბარი და იმ დუქანთან დაეშვა, სადაც ძმებს შეკრების ადგილი ჰქონდათ დათქმული. შევიდა უფლისწული დუქანში, ძმები მოიკითხა, მაგრამ ჯერ არც ერთი არ დაბრუნებულიყო.

სად არ იყო შუათანა ძმა, რომელი ქვეყანა არ მოიარა, მაგრამ მზეთუნახავის საკადრისი საჩუქარი ვერც იმან იშოვა. ერთ დღეს მეწვრილმანეს შეეყარა ქუჩაში.

— ჭოგრიტი, ჭოგრიტი, ვის გინდათ, საუცხოო ჭოგრიტი, ახლგაზრდა სინიორ, ხომ არ იყიდით ჭოგრიტსო? — ჰკითხა ვაჭარმა.

— რად მინდა, ჭოგრიტების მეტი რა მაქვს შინ. მერე როგორი ჭოგრიტებია, სულ ერთი მეორეზე უკეთესიო, — მიუგო უფლისწულმა.

— დამენაძლევეთ, რომ ასეთი ჭოგრიტი თქვენს სასახლეში თვალით არავის უნახავსო, — უთხრა ვაჭარმა.

— რა ისეთი განსაკუთრებული ჭოგრიტიაო?

— ოო, საოცარი ჭოგრიტია, ბატონო. ასი ვერსის მანძილზე, კედლის მიღმაც კი დაგანახვებთ ყველაფერსო!

— მზეთუნახავის საკადრისი საჩუქარი მიშოვნია და ეგ არისო, — გაუხარდა შუათანა ძმას. მერე ვაჭარს ჰკითხა — რა ღირს ჭოგრიტიო?

— ასი სკუდო, არც მეტი და არც ნაკლებიო.

— აჰა, წაიღე ასი სკუდო და ჭოგრიტი მომეციო.

იყიდა შუათანა ძმამ ჭოგრიტი და იქით გაეშურა, სადაც ძმებს უნდა შეხვედროდა. დუქანში რომ მივიდა, იქ უფროსი ძმა დახვდა. ახლა უმცროსს დაუწყეს ლოდინი.

იარა უმცროსმა ძმამ, იარა, ექვსი თვე მუხლი არ ჩაუკრეფია, მაგრამ მზეთუნახავის საკადრისი საჩუქარი ვერ იშოვა. გაბოროტებული და იმედგაცრუებული ჭაბუკი უკან გაბრუნდა და გზაში ხილით მოვაჭრეს შეეყარა.

— ვის უნდა სალამანური ყურძენი. იყიდეთ სალამანური ყურძენიო! — გაიძახოდა.

უფლისწულს სალამანური ყურძენი არ ენახა, მის სამშობლოში ამ ჯიშის ყურძენი არ მოდიოდა და დაინტერესდა.

— მიჩვენე ერთი, როგორია სალამანური ყურძენიო?

— საუცხოო ყურძენია, სინიორ. გემრიელიც არის და საოცარი ძალაც აქვსო.

— მაინც როგორი ძალა აქვსო?

_ ამ ყურძნის ერთი კუფხალი მომაკვდავს ფეხზე დააყენებსო, — მიუგო ვაჭარმა.

— როგორ ჰყიდიო?

_ თქვენ, სინიორ, თითო კუფხას ას სკუდოდ მოგართმევთ. არც მეტი მინდა, არც ნაკლებიო.

უმცროს ძმას სამასი სკუდოღა ედო ჯიბეში, იყიდა სამი კუფხალი. სათითაოდ გაახვია და ზარდახშაში ჩადო, მერე ძმებისკენ გაეშურა.

შეიყარნენ სამივენი დუქანში, გამოჰკითხეს ერთმანეთს, შენ რა მოგაქვს, შენ — რაო.

— მე ერთი ხალიჩა ვიყიდე, ეგ არის და ეგო, — თქვა უფროსმა.

— მე ჭოგრიტიო, — თქვა შუათანამ.

— მე კი ცოტა ხილი, მეტი არაფერიო, — თქვა უმცროსმა.

— ნეტავი შინ რა ამბავია, ან მზეთუნახავი როგორ არისო? — იკითხა ერთმა.

აიღო შუათანა ძმამ ჭოგრიტი, ჯერ თავის სასახლისკენ გაიხედა, იქ ყველაფერი რიგზე იყო, მერე მეზობელი სახელმწიფოსკენ შეატრიალა ჭოგრიტი, სადაც მზთუნახავის სასახლე იდგა და ელდა ეცა.

— რა იყო, რა დაინახეო? — ჰკითხეს ძმებმა.

— თქვენს მტერსა და ავის მოსურნეს, ძმებო. მზთუნახავის სასახლისკენ კარეტები მიჰქრიან. ხალხი ტირის, მოთქვამს, თმას იგლეჯს. სასახლეში ექიმი და მოძღვარი ვიღაცას სასთუმალთან უსხედან. ვაი, ეს ხომ ჩვენი მზეთუნახავია, ფერმიხდილი, უგონო... ძმებო, მზეთუნახავი კვდება.

— რაღა ვქნათ? ორმოცდაათ ვერსზე მეტი დაგვრჩა გასავლელი.

—დარდი ნუ გაქვთ, ხელად იქ გავჩნებით, — წამოიძახა უფროსმა ძმამ და თავისი ხალიჩა გაშალა. — აბა, მარდად, დასხედით ხალიჩაზეო.

დასხდნენ თუ არა, ხალიჩა მიწას მოსწყდა და სასახლისკენ გაფრინდა. უკან მიხედვაც ვერ მოასწრეს, რომ მზეთუნახავის ფანჯარაში შეფრინდა ხალიჩა და ქალის საწოლთან დაეშვა.

უმცროსმა ძმამ ფაციფუცით გახსნა თავისი ზარდახშა, ამოიღო სალამანური ყურძნის სამივე კუფხალი და ერთი კუფხალი პირში ჩაუდო გონმიხდილ ქალს, მზეთუნახავმა, როგორც კი გადაყლაპა ყურძნის კუფხალი, მაშინვე თვალი გაახილა. უფლისწულმა სწრაფად მეორე კუფხალიც ჩაუდო პირში. ქალს ფერი მოუვიდა, მესამე კუფხალიც რომ შეაჭამა, ღრმად ამოიხვნეშა, გაიზმორა, ფეხზე წამოდგა და მოახლეს უბრძანა: — ჩემი ყველაზე ლამაზი კაბა მომიტანეო.

სიხარულით ცას ეწია დიდი და პატარა.

— ესეც ასე, მე გავიმარჯვე, სასწაულმოქმედი ყურძენი რომ არ მეშოვა, მზეთუნახავი აღარ გვეყოლებოდა, ამიტომ ქალი ჩემიაო, — თქვა უმცროსმა ძმამ.

— არა, ძმაო, ცდები, — წამოიძახა შუათანამ, ჭოგრიტი რომ არ მეყიდა, საიდან გაიგებდით, რა უჭირდა მზეთუნახავს. აქ რომ მოვიდოდით, სალამანური ყურძენი ქალს რაღას უშველიდა, ამიტომ მზეთუნახავი ჩემიაო.

— ხელმწიფის ქალს მე ვერავინ წამართმევს, სად თქვენი საჩუქარი და სად ჩემი. ამ ხალიჩით დროზე რომ არ მოვსულიყავით სასახლეში, რის მაქნისი იქნებოდა ან ეგ ჭოგრიტი, ან სალამანური ყურძენიო? — უთხრა უფროსმა უფლისწულმა ძმებს.

ჩხუბითა და კინკლაობით ისე მოაბეზრეს თავი ხელმწიფეს, რომ ადგა და თავისი ქალი სხვას მიათხოვა, ის კაცი თურმე სასახლეში ხელცარიელი მიბრძანებულიყო.

მონტალე

<u>მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი ფ ა ნ ტ ა - გ ი რ ო</u>

ოდესღაც ერთი ხელმწიფე ცხოვრობდა. მართალია, ღმერთმა ვაჟიშვილი არ მისცა, მაგრამ სამი ერთიმეორეზე უკეთესი ქალი ჰყავდა. უფროსს კაროლინა ერქვა, შუათანას — ასუნტა, უმცროსს კი მზეთუნახავ ფანტა-გიროს ეძახდნენ. დებში ყველაზე ლამაზი ფანტა-გირო იყო.

ხელმწიფე სნეული იყო, მთელი დღე დაღვრემილი იჯდა თავის ოთახში. იმ ოთახში სამი სავარძელი იდგა: ცისფერი, შავი და წითელი. ყოველ დილით, ქალები მამის მოსაკითხად რომ შევიდოდნენ, ჯერ შეხედავდნენ, აბა, რომელ სავარძელში ზის მამაო, თუ ხელმწიფე ცისფერ სავარძელში იჯდა, რაღაც სასიხარულო ელოდათ, თუ შავ სავარძელში, ვინმეს სიკვდილი უნდა გაეგოთ, და თუ ხელმწიფე წითელ სავარძელში ჩაბრძანდებოდა, ეს ომიანობას მოასწავებდა.

ერთ მშვენიერ დღეს შევიდნენ ქალები მამასთან და ელდა ეცათ. ხელმწიფე წითელ სავარძელში იჯდა.

— მამა! რა მოხდაო? — ჰკითხა უფროსმა ქალმა.

— ეს-ეს არის, მეზობელი ხელმწიფის უსტარი მივიღე, ომი გამომიცხადა. მე სნეული ვარ და აღარ ვიცი, რა ვქნა... ვინ დავნიშნო მთავარსარდლად? ასე სახელდახელოდ სად იპოვი გენერალსო?

— თუ ნებას მომცემთ, — უთხრა უფროსმა ქალმა, — გენერლის მაგივრობას მე გავწევ, თქვენ გგონიათ, ჯარს ვერ ვუხელმძღვანელებო?

— რას ამბობ! აბა, რა ქალის საქმეა ბრძოლა! — მიუგო ხელმწიფემ.

— გამომცადეთო, — არ მოეშვა კაროლინა.

— ცდა, რა თქმა უნდა, შეიძლება, — დაეთანხმა ხელმწიფე, — მაგრამ თუ გზაში ერთი ისეთი სიტყვა მაინც წამოგცდა, რომელსაც მამაკაცი არ იტყვის, მაშინვე უკან გამობრუნდიო.

თქმა და შესრულება ერთი იყო. ხელმწიფემ თავის ერთგულ საჭურველთმტვირთველ ტონინოს უბრძანა, ცხენი შეკაზმე და ჩემს ქალს საომრად გაჰყევი, თუ გზაში კაროლინას ისეთი რამ წამოსცდება, რასაც ვაჟკაცი არ იტყვის, მაშინვე უკან გამოაბრუნეო.

მოახტნენ ცხენებს კაროლინა და ტონინო, მტრის ბანაკისკენ დაიძრნენ, ჯარიც მათ გაჰყვა, იარეს, იარეს, კარგა დიდი გზა რომ გაიარეს, ლერწმიანს მიადგნენ.

— ოჰ, რა მშვენიერი ლერწამია! ჩვენს სამშობლოში რომ მოგვცა ასეთი ლერწამი, რამდენ საუცხოო თითისტარს გამოვათლევინებდიო! — წამოიძახა კაროლინამ.

— შეჩერდით, ხელმწიფის ქალო, — უთხრა ტონინომ. — მამათქვენის ბრძანებით, უკან უნდა გაგაბრუნოთ. თქვენ ისეთი რამ თქვით, რასაც ვაჟკაცი არასოდეს იტყვისო.

გაბრუნდნენ უკან. ჯარიც მათ გაჰყვა....

მივიდა ხელმწიფესთან შუათანა ქალი.

— თქვენო უდიდებულესობავ! ნება მომეცით წავიდე და ჯარს ბრძოლაში ვუწინამძღვროო.

— იმავე პირობით, როგორითაც შენი უფროსი და? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— დიახ, ბატონო.

გაემგზავრა ასუნტა საბრძოლველად. ერთგული ტონინო გვერდით მიჰყვებოდა, უკან კი ჯარი მისდევდა. დიდხანს მიაჭენებდნენ ბედაურებს, ლერწმიანი უკან მოიტოვეს, მეფის ასულს კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ წაბლის ნორჩ ხეივანში რომ შევიდნენ, ასუნტამ წამოიძახა:

— შეხედე, ტონინო, რა ნორჩი და სწორი ყლორტები აქვთ ამ წაბლის ხეებს! ასეთი ხეივანი შინ რომ მოგვცა, რამდენ საუცხოო ჯარას გამოვათლევინებდიო.

— შეჩერდით, ხელმწიფის ქალო! — წამოიძახა საჭურველთ-მტვირთველმა და ცხენი შეაყენა, — უკან უნდა გავბრუნდეთ! თქვენ ისეთი რამე თქვით, რასაც ვაჟკაცი არ იტყოდაო.

გაბრუნდნენ უკან, ჯარიც თავისი აღჭურვილობით მათ გაჰყვა.

დაღონდა ხელმწიფე, თავგზა დაჰკარგა. ამ დროს ფანტა-გირო შევიდა მასთან, მაგრამ ხელმწიფემ სიტყვის თქმა არ აცალა:

— არა, შვილო, არა! ჯერ სულ ბავშვი ხარ! თუ შენმა უფროსმა დებმა ვერ ივარგეს, შენ რაღას გააწყობ, თავს როგორ გაართმევ ასეთ საქმესო,

— რა მოხდება, მეც რომ გამომცადოთ? გარწმუნებთ, არ შეგარცხვენთ ფანტა-გირო. გამომცადეთო! — შეეხვეწა ხელმწიფეს უმცროსი ქალი.

გაუშვა ხელმწიფემ უმცროსი ქალიც.

ფანტა-გირომ ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა, ჩაფხუტი დაიხურა, შემოირტყა ხმალი და ქამარში ორი დამბაჩა გაირჭო. ერთგული საჭურველთმტვირთველი ტონინო გვერდით გაჰყვა და გზას გაუდგნენ. გაიარეს ლერწმიანიც, წაბლის ხეივანიც, მაგრამ ფანტა-გიროს კრინტი არ დაუძრავს. ასე მიაღწიეს მტრის ქვეყანას.

— ბრძოლის დაწყებამდე ჩვენს მოწინააღმდეგე ხელმწიფეს უნდა ველაპარაკოო, — გამოაცხადა ფანტა-გირომ.

შეხვდნენ ერთმანეთს, ხელმწიფე ლამაზი ჭაბუკი იყო, დაინახა თუ არა ფანტა-გირო, მაშინვე ეჭვი შეეპარა, გენერალი კაცი არ უნდა იყოსო, და ფანტა-გირო სასახლეში მიიწვია, რომ ბრძოლის დაწყებამდე გაერკვიათ, რის გამო ატყდა მათ შორის ომი.

შვიდნენ თუ არა სასახლეში, ჭაბუკი ხელმწიფე დედოფალთან მიიჭრა:

ფანტა-გირო, უშიშარი მხედარი,
არის მართლაც, კარგი შესახედავი,
არ დაუდებს ტოლს უშიშარ გოლიათს,
მე, რატომღაც, ქალიშვილი მგონია.

— საჭურვლის დარბაზში შეიყვანე, შვილო. თუ ქალია, იარაღს ზედაც არ დახედავსო, — უთხრა დედოფალმა შვილს.

შეიყვანა ხელმწიფემ ფანტა-გირო საჭურვლის დარბაზში. ფანტა-გირომ კედლიდან ხან ერთი ხმალი ჩამოხსნა, გაუსინჯა ვადა, შეატრიალა ხელში, ხან მეორე. მერე თოფებს და დამბაჩებს დაუწყო თვალიერება, ხან ჩახმახი შეაყენა, ხან საკეტი გასინჯა.

ხელმწიფე ისევ დედოფალთან გაიქცა და უთხრა:

— დედა, გენერალი ნამდვილი ვაჟკაცივით სინჯავს იარაღს, მაგრამ რაც მეტს ვუყურებ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ქალიაო.

ფანტა-გირო, უშიშარი მხედარი,
არის, მართლაც, კარგი შესახედავი,
არ დაუდებს ტოლს უშიშარ გოლიათს,
მე, რატომღაც, ქალიშვილი მგონია.

— ბაღში შეიწვიე, შვილო. თუ ქალია, ვარდს ან იას მოწყვეტს და მკერდზე მიიბნევს. თუ კაცია, კატალონურ ჟასმინს არჩევს, მოწყვეტს და ყურს უკან გაირჭობსო.

წაიყვანა ხელმწიფემ ფანტა-გირო ბაღში, მოწყვიტა ქალმა კატალონური ჟასმინი, დაყნოსა და ყურს უკან გაირჭო.

დაღონდა ხელმწიფე და ისევ დედოფალთან მივიდა.

—დედა, გენერალი ახლაც ისე მოიქცა, როგორც ვაჟკაცს შეშვენის, მაგრამ მე მაინც გული მიგრძნობს, რომ ის ქალიაო.

ფანტა-გირო, უშიშარი მხედარი,
არის, მართლაც, კარგი შესახედავი,
არ დაუდებს ტოლს უშიშარ გოლიათს,
მე, რატომღაც, ქალიშვილი მგონია.

მიხვდა დედოფალი, რომ მისი შვილი შეყვარებული იყო და უთხრა:

— სადილად დაჰპატიჟე, პური თავისი ხელით დააჭრევინე. თუ მკერდზე მიიდო პური და ისე დაჭრა, ქალია, იცოდეო.

არც აქ გამოამჟღავნა ფანტა-გირომ ქალობა, აიღო პური და ისე დაჭრა, როგორც კაცი ჭრის. ხელმწიფემ ვერა და ვერ დაიჯერა, რომ გენერალი კაცი იყო და დედას დაჟინებით უმტკიცებდა:

ფანტა-გირო, უშიშარი მხედარი,
არის, მართლაც, კარგი შესახედავი,
არ დაუდებს ტოლს უშიშარ გოლიათს,
მე, რატომღაც, ქალიშვილი მგონია.

— უკანასკნელად სცადე, შვილო. ბაღში რომ აუზია, იქ მიიყვანე და სთხოვე, შენთან ერთად იბანაოს. თუ ქალია, რა თქმა უნდა, უარს გეტყვისო.

მიიყვანა ხელმწიფემ ფანტა-გირო აუზთან და სთხოვა, ვიბანაოთო.

— დღეს არ შემიძლია, ხვალ კი დიდი სიამოვნებით ვიბანავებო, — მიუგო ფანტა-გირომ, მერე ტონინო განზე გაიხმო და უთხრა:

— ახლავე მოახტი შენს ცხენს და გაქუსლე, მაგრამ იცოდე, ხვალ დილით უკან უნდა დაბრუნდე და მამაჩემის ბეჭედდასმული წერილი მომიტანო. წერილში უნდა ეწეროს: ‘ძვირფასო ფანტა-გირო, ცუდადა ვარ, მინდა, სიკვდილის წინ გნახო».

მეორე დილით ხელმწიფე და ფანტა-გირო აუზთან მივიდნენ.

ხელმწიფემ ტანთ გაიხადა და წყალში გადაეშვა, თან ფანტა-გიროს უხმობდა, ჩამოდით, იბანავეთო.

— ცოტა მაცალეთ, უცებ ხომ ვერ გადავეშვები ცივ წყალში, — მიუგო ფანტა-გირომ, თან ყური სულ გზისკენ ეჭირა, ხომ არ ისმის ტონინოს ცხენის ფეხის ხმაო.

ხელმწიფე კი ჩაცივდა, გაიხადეთ, რაღას უყურებთო.

— არ ვიცი, რა დამემართა, რაღაც მაჟრჟოლებს, ვაითუ, რამე უბედურებაა ჩემს თავსო, — უთხრა ხელმწიფეს ფანტა- გირომ.

— რა უბედურება უნდა შეგხვდეთ, ჩქარა გაიხადეთ და ჩამოხტით წყალშიო. — მოუთმენლად უძახდა ხელმწიფე.

ამ დროს ტონინოს ცხენის ფლოქვების თქარუნი გაისმა, მოიჭრა საჭურველ-თმტვირთველი და ფანტა-გიროს ხელმწიფის ბეჭედდასმული უსტარი გადასცა.

ფანტა-გირო გაფითრდა.

— დიდად ვწუხვარ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ წინათგრძნობამ არ მიღალატა; საშინელი ამბავი მომიტანეს. მამა სიკვდილის პირზეა, ჩემი ნახვა სურს და უნდა დაგტოვოთ. მეტი რა გზა გვაქვს, ზავი უნდა დავდოთ. თუ რაიმე გაუგებრობაა, გთხოვთ, მეწვიოთ ჩემს სახელმწიფოში, იქ მოვილაპარაკოთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბანაობით კი სხვა დროს ვიბანაოთო, — უთხრა, მოახტა ცხენს და გაქუსლა.

შიშველი ხელმწიფე მარტო იდგა ცივ წყალში. თუმცა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ფანტა-გირო ქალი იყო, მაგრამ რაკი ისე წაუვიდა ხელიდან, რომ ვერ დარწმუნდა ამაში, ძალიან დაღონდა.

ფანტა-გირო ჯერ სასახლეში, თავის ოთახში შევიდა, მოკრიბა ბარგი, დაწერა წერილი და საწოლზე დადო:

აქ უბრალო იყო ქალი,
არა ვინმე გენერალი:L
ამის ართქმა არის ცოდვა,
მაგრამ მეფემ ეს ამბავი
ვერ გაიგო, არ იცოდა.

ხელმწიფემ წერილი რომ წაიკითხა, ერთხანს გაშტერებული იდგა, ნაწყენიც იყო და ბედნიერიც, მერე დედოფალთან მიიჭრა:

— დედა! ხომ გამართლდა ჩემი ეჭვი, გენერალი ქალი ყოფილაო, — სიტყვის თქმა არ აცალა დედას, შეხტა კარეტაში და ფანტა-გიროს გამოუდგა.

დაბრუნდა ფანტა-გირო თავის სამშობლოში, გადაეხვია მამას და უამბო, როგორ ჩაუშალა გეგმები მტერს და ომი თავიდან აიცილა.

უცებ კარეტის რახრახი შეესმათ. შეყვარებული ხელმწიფე მობრძანდა, დაინახა ფანტა-გირო და დაუძახა:

— გენერალო, ცოლად წამომყევითო!

ორმა სახელმწიფომ ზავი დადო, მალე ქორწილიც გამართეს. როცა სიმამრი გარდაიცვალა, მისი ტახტი სიძეს დარჩა და მზეთუნახავი ფანტა-გირო ორი ქვეყნის დედოფალი გახდა.

მონტალე

<u>გლეხის ჭკვიანი ქალი</u>

ერთი გლეხი თავის ვენახს თოხნიდა. უცებ თოხი მაგარ რაღაცას მოხვდა და გაიჟღარუნა. ნეტა რა უნდა იყოსო! — გაიფიქრა გლეხმა, დაიხარა: მიწაში ლამაზი ფილი იდო. ამოიღო, გაწმინდა და რას ხედავს, ფილი წმინდა ოქროსია.

— სწორედ ხელმწიფის საკადრისი ფილია! — წამოიძახა გლეხმა, — წავიღებ სასახლეში, იქნებ რამე მიწყალობონო.

გლეხი ჯერ შინ მივიდა, თავის ქალს, კატერინას უჩვენა ფილი და უთხრა, სასახლეში ვაპირებ ამ ფილის წაღებასო.

— ძალიან ლამაზი ფილია, მამა, მაგრამ არ გირჩევთ, ნუ მიართმევთ ხელმწიფეს, თორემ შარს მოგდებთ, რაღაც აკლია ამ ფილსო და, მადლობის მაგივრად, დაგსჯიან კიდეცო.

—რა უნდა აკლდეს! რაში მომდებენ შარს. რეებს ჩმახავ, უგუნურო! — გაბრაზდა გლეხი.

— აი, რას გეტყვით ხელმწიფე:

მომწონს, გლეხკაცო, საოცრად კარგია შენი როდინი,
მაგრამ ფილთაქვა სად არის, არ შემიძლია ლოდინი.

გლეხმა მხრები აიჩეჩა:

— მაშ არა და, სწორედ ასე მეტყვის, აი, შე ჩერჩეტო შენა, ხელმწიფე შენზე ჭკვიანია.

გლეხმა ფილი იღლიაში ამოიჩარა და სასახლეში წავიდა.

მიადგა სასახლეს, მაგრამ გუშაგებმა არ შეუშვეს. გამიშვით, საჩუქარი მიმაქვს ხელმწიფისთვისო, — უთხრა გლეხმა. მაშინ კი ფართოდ გაუღეს კარი და ხელმწიფის სავანეში შეიყვანეს.

— თქვენო უდიდებულესობავ, — დაიწყო გლეხმა, — ეს ოქროს მძიმე ფილი ჩემს ვენახში ვიპოვე და ვთქვი, ამისი ადგილი სასახლეშია-მეთქი. ჰოდა, აი, მოგართვით, თუკი თქვენი მეფური უდიდებულესობა ინებებს და ამ საჩუქარს მიიღებს ჩემგანო.

აიღო ხელმწიფემ ფილი, შეატრიალ-შემოატრიალა ყოველი მხრით, მერე თავი გადააქნია და გლეხს უთხრა:

მომწონს, მოხუცო, საოცრად კარგია შენი როდინი,
მაგრამ ფილთაქვა სად არის, არ შემიძლია ლოდინი.

სიტყვასიტყვით გაიმეორა, რაც კატერინამ უწინასწარმეტყველა, მარტო, გლეხოო, არ უკადრებია, რადგან განათლებული კაცი იყო. გლეხმა თავი ვეღარ შეიკავა და წამოიძახა:

— გამოიცნო! გამოიცნოო!

— ვინ რა გამოიცნოო? _ ჰკითხა ხელმწიფემ.

— მომიტევეთ, — მოიბოდიშა გლეხმა, — ჩემი ქალი წინასწარ მიხვდა, რომ თქვენი უდიდებულესობა ასე მეტყოდა. მე კი არ დავუჯერეო.

— როგორც ჩანს, ჭკვიანი ქალი გყოლია. მოდი, გამოვცადოთ მისი ნიჭი და უნარი. აი, ეს სელი გადაეცი და უთხარი, ჩემს ჯარისკაცებს, რაც შეიძლება, ჩქარა მოუქსოვოს საპერანგო ტილოო.

დაღონდა გლეხი, მაგრამ რაღას იზამდა. გამოართვა სელი, თავი მდაბლად დაუკრა და შინ წავიდა. ფილი ხელმწიფეს დარჩა, გლეხს კი ერთი გროშიც არ უბოძეს.

— შვილო, კატერინა, შენს თავს შენვე დაატეხე დიდი უბედურებაო, — უთხრა გლეხმა და ხელწიფის დანაბარები გადასცა.

— მერე, რა მოხდა ისეთიო, — მიუგო კატერინამ, ჩამოართვა სელი, დაჯდა და ჩეჩვა დაიწყო.

თქვენც კარგად იცით, რა გულდასმითაც უნდა გაჩეჩოთ სელი, ერთი-ორი კაჭაჭი მაინც შეჰყვება. ჰოდა, სამი ისეთი პაწია კაჭაჭი დავარდა ძირს, რომ ძლივს ჩანდა. აკრიფა კატერინამ კაჭაჭები, მისცა მამას და უთხრა:

— მამა, წადით ხელმწიფესთან, მიეცით ეს კაჭაჭები და უთხარით, ტილოს კი მოვქსოვ ჯარისკაცების პერანგებისთვის, მაგრამ დაზგა არა მაქვს, თუ ამ კაჭაჭებიდან დაზგას გამიკეთებს, მის ბრძანებას ხელად შევასრულებო.

შეეშინდა გლეხს, ხელმწიფეს ასეთი პასუხი როგორ ვაკადროო, მაგრამ კატერინა ჩააცივდა, გინდა თუ არა, წადიო, და გლეხმა, როგორც იყო, გაბედა წასვლა.

ხელმწიფემ გაიფიქრა, გლეხის ჭკვიანი ქალი უსათუოდ უნდა ვნახოო, და კატერინას მამას უთხრა:

— ბარაქალა, მის ქალობას! სანაქებო შვილი გყოლია, გამომიგზავნე სასახლეში, სიამოვნებით ვისაუბრებ მასთან. ოღონდ ასე გადაეცი: ნურც ჩაცმული მოვა, ნურც შიშველი, ნურც მაძღარი, ნურც მშიერი, ნურც დღე, ნურც ღამე, ნურც ფეხით, ნურც ცხენით, არ შეასრულებს ჩემს ბრძანებას და ორივეს თავს წაგაგდებინებთო.

ცოცხალ-მკვდარი გლეხი შინ დაბრუნდა. კატერინამ, ვითომც აქ არაფერიაო, მშვიდად უთხრა მამას:

—უკვე ყველაფერი ვიცი, თქვენ ოღონდ ერთი ბადე მიშოვეთ, ხელმწიფის ბრძანების შესრულება არც ისე ძნელიაო.

ირიჟრაჟა თუ არა (არც დღე იყო ჯერ, აღარც ღამე), ადგა კატერინა, გაეხვია ბადეში (არც ეცვა, არც შიშველი იყო), ლობიოს მარცვალი შეჭამა (არც შიოდა, არც მაძღარი იყო), სტაცა ხელი თხას, გადააჯდა, ცალი ფეხი ასწია, მეორეს მიწაზე აბიჯებდა (არც ფეხით მიდიოდა, არც ცხენით) და სასახლისკენ გასწია. გუშაგები არ უშვებდნენ, გიჟი ეგონათ, მაგრამ როცა გაიგეს, რომ ხელმწიფის ბრძანებას ასრულებდა, შეიყვანეს ხელმწიფესთან.

— თქვენი ბრძანებით გეახელით, ხელმწიფევ! — მოახსენა კატერინამ.

ხელმწიფემ თავი ვეღარ შეიკავა, სიცილი წასკდა და კატერინას უთხრა:

— ოჰ, კატერინა! სწორედ შენისთანა ქალი მჭირდება. მინდა ცოლად შეგირთო და დედოფლად დაგისვა, მაგრამ ერთი პირობით: ჩემს საქმეებში არასოდეს

ჩაერიოო (მიხვდა ხელმწიფე, რომ კატერინას მასზე მეტი ესმოდა და გაეგებოდა).

კატერინა შინ დაბრუნდა და მამას ყველაფერი უამბო.

— შვილო, თუ ხელმწიფეს მართლა გადაუწყვეტია შენი ცოლად შერთვა, რაღა დიდი ფიქრი უნდა ამას. ოღონდ ჭკვიანად მოიქეცი. ხომ იცი, ხელმწიფეებს კვირაში ცხრა პარასკევი აქვთ, დღეს ეს უნდათ, ხვალ ის. ეგ შენი შინნაქსოვი ტილოს კაბა აქ დატოვე. ლურსმანზე ჩამოვკიდებ და შეგინახავ. შინ თუ დაბრუნდი, გამოგადგებაო, — ურჩია გლეხმა შვილს.

კატერინა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. რამდენიმე დღეში ქორწილიც გადაიხადეს და კატერინა დედოფალი გახდა, მთელი ხალხი ზეიმობდა ხელმწიფის დაქორწინებას.

იმ ხანებში ქალაქში ბაზრობა გამართეს. უამრავი ხალხი ჩავიდა სავაჭროდ. ვინც ღამის გასათევი ვერ იშოვა, პირდაპირ ქუჩაში დაბინავდა, სწორედ ხელმწიფის სასახლის წინ. ერთ გლეხს მაკე ძროხა ჩამოეყვანა გასაყიდად, ვერსად დააბინავა პირუტყვი. მეფუნდუკემ უთხრა, ვინმეს ფორანზე მიაბი, შე კაი კაცო, ამას რა დიდი ფიქრი უნდაო. ღამე ძროხამ ხბო მოიგო, გახარებულ გლეხს უნდოდა თავისი ძროხა და ხბო წაესხა, მაგრამ ფორნის პატრონმა არ დაანება.

— ძროხა წაიყვანე, ხბოს კი ხელს ნუ ახლებ, ჩემიაო.

_ ჩემმა ძროხამ ხბო მოიგო, საიდანაა შენი, ეგ სადაური სამართალიაო, _ გაცხარდა გლეხი.

_ მერე რა, რომ შენმა ძროხამ მოიგო. ძროხა ჩემს ფორანზე გყავდა გამობმული, ამიტომ ხბო ჩემიაო.

წალაპარაკდნენ გლეხები, მერე მუშტი-კრივზე მიდგა საქმე და ისეთი აყალმაყალი ატეხეს, რომ ხალხი შეიკრიბა, მოცვივდნენ გუშაგები, გააზავეს მოჩხუბრები და ხელმწიფეს წარუდგინეს სამსჯავროზე.

უწინ იმ ქალაქში დედოფალსაც ჰქონდა საჩივრის გარჩევის უფლება, მაგრამ ხელმწიფემ კატერინას ეს უფლება ჩამოართვა, რადგან ქალი სულ ეწინააღმდეგებოდა მის განაჩენს. მობეზრდა ხელმწიფეს დედოფალთან დავა და უთხრა:

— კატერინა, მე ხომ წინასწარ გაგაფრთხილე, სახელმწიფო საქმეებში არ ჩარეულიყავი, დღეიდან გიკრძალავ სასამართლოზე მოსვლასო.

ამიტომ მომჩივრები მარტო ხელმწიფეს წარუდგნენ.

ხელმწიფემ ორივეს მოუსმინა და ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა:

— ხბო ფორანს ეკუთვნისო.

ეწყინა ძროხის პატრონს ასეთი უსამართლობა, მაგრამ ხელმწიფეს რაღას გაუბედავდა. აკი თქვა ხელმწიფემ, მე განვაგებ სამართალს და ჩემი სიტყვა ბეჭედიაო. მეფუნდუკემ ურჩია განაწყენებულ გლეხს, დედოფალს მიმართე, ის დაგეხმარებაო.

მივიდა გლეხი სასახლეში და მსახურს სთხოვა:

— კეთილო კაცო, თუ შეიძლება, დედოფალთან შემიშვი, სიტყვა მაქვს სათქმელიო.

— ვერ შეგიშვებ, ხელმწიფემ დედოფალს ხალხის მიღება აუკრძალაო, — მიუგო მსახურმა.

გავიდა გლეხი სასახლიდან და ბაღის ღობესთან დაიწყო წინ და უკან სიარული. გამოვიდა კატერინა ბაღში, ისკუპა გლეხმა, გადაევლო ღობეს, მივიდა დედოფალთან და თვალცრემლიანმა შესჩივლა, თქვენი ქმარი ასე უსამართლოდ მომექცაო.

— აი, რას გირჩევ, — უთხრა დედოფალმა. — ხვალ ხელმწიფე სანადიროდ მიდის. იმ მხარეს, სადაც ნადირობს ხოლმე, ერთი დამშრალი ტბა არის, ჩაიცვი მეთევზის ტანისამოსი, დაიჭირე ბადე ხელში, დაჯექ იმ დამშრალი ტბის ნაპირზე და ისე მოიქეცი, თითქოს თევზაობ. ხელმწიფე დაგინახავს, გაეცინება და გეტყვის, უწყლო ადგილზე თევზს როგორ იჭერო. შენ უპასუხე, თქვენო მოწყალებავ, თუ ფორანი ხბოს იგებს, დამშრალ ტბაში თევზის ჭერა რა გასაკვირია-თქო.

გლეხმა მართლა ისე გააკეთა: მეორე დილას ჩაიცვა მეთევზის ტანსაცმელი, აიღო ბადე, დაჯდა დამშრალი ტბის პირას და დაიწყო თევზაობა. გადააგდებდა ბადეს და ისე ეწეოდა, ისე ექაჩებოდა თავისკენ, თითქოს მართლა მოჰყვებაო თევზი ბადეს. გაიარა ხლმწიფემ თავისი ამალით, დაინახა, დამშრალ ტბაში კაცი თევზაობს, გაეცინა და ჰკითხა: ჭკუაზე ხომ არ გადახვედიო. გლეხმა კი ისე უპასუხა: როგორც დედოფალმა დაარიგა.

ეს რომ გაიგონა ხელმწიფემ, მაშინვე წამოიძახა:

— კეთილო კაცო, ამას შენით ვერ მოიფიქრებდი, ალბათ დედოფალთან იყავი და იმან დაგარიგაო.

გლეხმა ხმა არ ამოიღო, ხელმწიფემ გადახედა განაჩენს და ბრძანა, ხბო გლეხს დაუბრუნეთო, მერე კატერინას უთხრა:

— მე და შენ ხომ შევთანხმდით, რომ ჩემს საქმეებში არ ჩაერეოდი. რად დაარღვიე პირობა? აიღე, რაც შენთვის ამ სასახლეში ძვირფასია და ამ საღამოსვე მამაშენთან დაბრუნდი. რაკი დედოფლობა ვერ შეიფერე, ისევ გლეხის ქალი გახდიო.

— როგორც თქვენ ბრწყინვალებას ნებავსო, — მორჩილად მიუგო კატერინამ. — ოღონდ ერთსა გთხოვთ, ამაღამ აქედან ჩემი წასვლა არც თქვენთვის იქნება კარგი, არც ჩემთვის. ვინ იცის, რას იფიქრებს ხალხი, სჯობს ხვალ დილით წავიდეო.

— კარგი რა გაეწყობა, უკანასკნელად ვივახშმოთ ერთად, ხვალ დილით კი წადიო, — დაეთანხმა ხელმწიფე.

და, აი, რა ქნა გლეხის ჭკვიანმა ქალმა: მზარეულს შეუთვალა, ვახშმად შაშხი, შემწვარი ხორცი და სხვა ისეთი საჭმელები მოგვართვი, რაც წყურვილს იწვევს, და კარგი ღვინოცო.

ხელმწიფე მადიანად შეექცეოდა, კატერინა კი უსხამდა და უსხამდა ღვინოს. ხელმწიფეს ჯერ თვალები მიებლიტა, მერე ფშვინვა ამოუშვა, ბოლოს თავის ტახტზე დაკოდილი ტახივით ახრიალდა.

კატერინამ მსახურები იხმო და უბრძანა:

— ხელმწიფე ტახტიანად ასწიეთ და უკან გამომყევით, იცოდეთ, კრინტი არავისთან დაძრათო.

შუაღამე გადასული იყო, კატერინა მამის სახლს რომ მიადგა და დაუძახა:

— მამა, კარი გამიღე, მე ვარ, კატერინა.

გლეხმა შვილის ხმა რომ გაიგონა, მაშინვე წამოხტა.

— ამ შუაღამისას რამ მოგიყვანა. აკი გითხარი, ჭკვიანად მოიქეცი-მეთქი. კიდევ კარგი, ძველი ტანსაცმელი შეგინახე, შენს ოთახში ჰკიდია ლურსმანზეო.

— ჩქარა გამიღე კარი, რა დროს ლაპარაკიაო, — შეუწყრა კატერინა.

მამამ კარი გაუღო. ტახტზე მძინარე მეფე რომ დაინახა, სახტად დარჩა. კატერინამ მსახურებს უბრძანა, ხელმწიფეს ტანთ გახადეთ და ჩემს საწოლში ჩააწვინეთო. მერე დაითხოვა მსახურები, თვითონაც გაიხადა ტანთ და ხელმწიფეს გვერდით მიუწვა.

ღამე ხელმწიფეს გაეღვიძა, რაღაც აწუხებდა, თითქოს ლეიბი ისე რბილი არ იყო, ზეწარიც კბენდა, გვერდი ინაცვლა, კატერინა დაინახა და უთხრა:

— კატერინა, ხომ გითხარი, მამაშენთან წადი-მეთქი?

— ჯერ არ გათენებულა, იძინეთ, თქვენო უდიდებულესობავ, იძინეთო, — მიუგო ქალმა.

ხელმწიფემ ისევ დაიძინა. სისხამ დილით ვირის ყროყინმა, ცხვრების ბღავილმა და სახურავიდან ჩამოჭრილმა მზის სხივმა გააღვიძა. გაოცდა, თავისი დიდებული დარბაზი რომ ვერ დაინახა, კატერინას ჰკითხა: — სადა ვარო?

— ჩემო ხელმწიფევ, გუშინ თქვენ გამომიცხადეთ, სასახლიდან წაიღე, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასიაო. მეც ავდექი და თქვენი ბრწყინვალება აქ მოვიყვანე, ჩემს ქოხშიო.

ხელმწიფეს გაეცინა, შეურიგდა კატერინას და სასახლეში ერთად დაბრუნდნენ.

იმ დღის მერე კატერინა ხელმწიფესთან ერთად არჩევდა ყველა საჩივარსა და თხოვნას.

მონტალე

<u>კამპრიანოს ოინები</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი, კამპრიანო. ცოლის და ერთი ვირის მეტი არა ებადა რა. ყანაში რომ მუშაობდა, გზაზე ჩიჩორიელები ჩაივლიდნენ ხოლმე და დაუძახებდნენ:

— ჰეი, კამპრიანო, რას აკეთებ? წამო, ცოტა გავიაროთო.

კამპრიანოც თავისი ვირით უკან აედევნებოდა ხოლმე.

ერთ დილას კამპრიანომ თავის ვირს კუდქვეშ ოქროს მანეთიანები შეუწყო. სწორედ ამ დროს ჩიჩორიელებმა ჩაუარეს გვერდზე.

კამპრიანომ უთხრა:

— მომიცადეთ, მეც მოვდივარო, — ვირს საპალნე აჰკიდა და ჩიჩორიელებს გაჰყვა.

გაზაფხული იდგა, ხასხასა ბალახი ბიბინებდა. კამპრიანოს ვირი გზადაგზა ძოვდა და.....კამპრიანომ კუდქვეშ ოქროს მანეთიანები რომ შეუწყო, ჩონჩორიკს გამოაყოლა.

ჩიჩორიელებმა ოქროს მანეთიანები რომ დაინახეს, გაოცდნენ:

— კამპრიანო, მეგობარო, განა შენი ვირი ფულსა ჰყრისო?

— ჩემი სიმდიდრე ეს ვირია, ამით მიდგია სულიო, — უპასუხა კამპრიანომ.

— ვირი მოგვყიდეო! — შეეხვეწნენ ჩიჩორიელები.

— რას ამბობთ, ასეთ ვირს რომელი ჭკუათამყოფელი გაჰყიდისო?

— რომ იყიდებოდეს ასეთი ვირი, რას იტყვი, რამდენად გაყიდდიო? — ჰკითხეს ჩიჩორიელებმა

— ოქროს მთებიც რომ შემთავაზოთ, ჩემს ვირს მაინც ვერ შეველევი. თუმცა, სამასი სკუდო რომ მოგეცათ, იქნებ.....

ამოიფხიკეს ჯიბეები ჩიჩორიელებმა, როგორც იყო, თავი მოუყარეს სამას სკუდოს, წაიყვანეს ვირი, მივიდნენ შინ და ცოლებს უთხრეს, ბოსელში ზეწრები დააფინეთ, ეს ვირი ოქროს ფულსა ჰყრისო.

უთენია შეცვივდნენ ბოსელში, დახედეს ზეწარს, რაღაც ყვითელი დევს ზედ. მივარდნენ, სტაცეს ხელი და საწყლებს ჩონჩორიკი კი შერჩათ.

— მოგვატყუა იმ წყეულმა, არ შევარჩენთ, ცოცხალი ვერ გადაგვირჩებაო, — აყვირდნენ ჩიჩორიელები, წამოავლეს კეტებს ხელი და, არიქა, კამპრიანოსკენ.

ფანჯარაში კამპრიანოს ცოლმა გამოიხედა.

— კამპრიანო შინ არ გახლავთ, ვენახში წავიდაო.

— ახლავე გამოვათრევთ იქიდან! — დაიღრიალეს გაალმასებულმა გლეხებმა და ვენახისკენ გაიჭრნენ, — გამოდი, კამპრიანო, უნდა მოგკლათო! — დაუყვირეს კამპრიანოს.

კამპრიანომ ვაზის ფოთლებში გამოყო თავი:

— რისთვის მკლავთო? — მშვიდად ჰკითხა გლეხებს.

— რისთვის და იმისთვის, რომ მოგვატყუე, შენი ვირი ფულს არა ჰყრისო.

— ჯერ ეს მიბრძანეთ, რა აჭამეთო?

— ყველაფერი კარგი, ახლად მოთიბული ბალახი ვაჭამეთ, ტკბილ-ტკბილი სასმელიც ვასვითო.

— საცოდავი ვირი! — წამოიძახა კამპრიანომ. — მოგიკლავთ და ეგ არი, თქვე ურჯულოებო. განა ნაზ საჭმელს იყო ჩვეული. უხეში საჭმელი მატებდა ძალას და ფულს იმიტომ ჰყრიდა. წამოვალ, დავხედავ, თუ კიდევ ივარგებს რამედ, უკან წამოვიყვან, არადა, თქვენ თავს დააბრალეთ, რაც მოგივიდათ. ცოტა ხანი დამიცადეთ, ერთი წუთით შინ შევირბენ და ახლავე მოვალო, — უთხრა გლეხებს კამპრიანომ.

— კარგი, კამპრიანო, ოღონდ დიდხანს ნუ გვალოდინებო.

კამპრიანო შინ შევიდა და ცოლს უთხრა:

— ჩემ დაბრუნებამდე ლობიო მოხარშე, სადილად ჩიჩორიელებს მოვიყვან, იმ დროისათვის მდუღარე ლობიოს ქვაბი კარადაში შედგი, შენ გარეთ გადი, ისე მოაწყვე საქმე, ლობიო დუღდეს, კარადიდან რომ გამოიღებო.

წაიყვანეს ჩიჩორიელებმა კამპრიანო, შევიდნენ ბოსელში, დგას ვირი ძირს დაფენილ ზეწრებზე.

— მიკვირს, რა განგებამ გააძლებინა აქამდე ამ საწყალს! — წამოიძახა კაპრიანომ, თავის ვირს რომ შეხედა. — აბა, რაღად მინდა, სამუშაოდ აღარ ვარგა. რა გიქნიათ, თქვე უღმერთოებო, რომ მცოდნოდა, ვირის მოვლა არ იცოდით, როგორ მოგყიდიდით. ვაი, ჩემი საწყალი ვირიო.

— რა ვქნათ ახლა, კამპრიანო? — შეცბუნდნენ ჩიჩორიელები.

— რა უნდა ქნათ, გაჩუმდით მაინცო.

— ჩვენი ბრალია ყველაფერი, ჩვენიო, — დაღონდნენ გლეხები.

— მოდით, ძმებო, შევრიგდეთ. რაც მოხდა, მოხდა, ჩემთან წამოდით ყველა, სადილად გეპატიჟებითო, — უთხრა ჩიჩორიელებს კამპრიანომ.

წაჰყვნენ ჩიჩორიელები, მივიდნენ კამპრიანოს სახლში, კარი დაკეტილი დახვდათ. დააკაკუნა კამპრიანომ. ამ დროს მისი ცოლი ბოსლიდან გამოვიდა, ვითომც ეს არის, ახლა დაბრუნდა საიდანღაცო.

გააღეს კარი, შევიდნენ შინ. მიიხედ-მოიხედეს ჩიჩორიელებმა, ბუხარში ცეცხლი არ ანთია.

— დღეს კერძი არ გაგიკეთებიაო? — ჰკითხა კამპრიანომ ცოლს.

— ესაა, ახლა დავბრუნდი ყანიდან, მაგრამ დარდი ნუ გაქვს, ხომ იცი, მშივრებს არ დაგტოვებთო.

გაშალა სუფრა, მივიდა კარადასთან, გააღო და მდუღარე ლობიოთი სავსე ქვაბი გამოიღო.

— ეს რა არის?! — გაოცდნენ ჩიჩორიელები. — სასწაულიც ასეთი უნდა, ქვაბი კარადაში უცეცხლოდ დუღსო!

— ეს ქვაბი რომ არ მქონდეს, ძალიან გაგვიჭირდებოდა. მე და ჩემი ცოლი მინდორში არხეინად ვმუშაობთ, ვიცით, შინ რომ დავბრუნდებით, ცხელ-ცხელი კერძი დაგვხვდებაო.

— კამპრიანო, მოგვყიდე ქვაბიო! — წამოიძახეს ჩიჩორიელებმა.

— არა, ძმაო, ამას ნუ მთხოვთ, არ შემიძლია.

— კაპრიანო, ვირის ყიდვით ხომ ვიზარალეთ. ახლა ამ ქვაბზე ნუღარ გვეტყვი უარს. აი, სამასი სკუდო და ქვაბი ჩვენი იყოსო.

გამოართვა კამპრიანომ ჩიჩორიელებს სამასი სკუდო, მისცა ქვაბი და გაისტუმრა.

— ამ დილით ვირის გულისთვის კინაღამ მოგკლეს, ახლა რაღას აპირებო? — ჰკითხა ცოლმა.

— დარდი ნუ გაქვს, — უპასუხა კამპრიანომ, — ახლა ერთ ადგილას წავალ და მალე დავბრუნდებიო.

წავიდა კამპრიანო საყასბოში, იყიდა ხარის ბუშტი, გაავსებინა ცხელ-ცხელი სისხლით და შინ დაბრუნდა.

— ეს ბუშტი მკერდზე ჩამოიკიდე. როცა დანით მოგვარდები, ნუ შეგეშინდებაო, — დაარიგა ცოლი კამპრიანომ.

მოცვივდნენ ჯოხებითა და კეტ-კომბლებით შეიარაღებული ჩიჩორიელები:

— ახლა კი ვეღარ გადაგვირჩები. დაგვიბრუნე ფული, თორემ იმდენს გირტყამთ, ვიდრე სულს არ გაგაგდებინებთო! — ყვიროდნენ გააფთრებულები.

— რამ გადაგრიათ, მითხარით, რა მოხდაო?! — ვითომ გაოცდა კამპრიანო.

— აკი გვითხარი, ქვაბში კერძი უცეცხლოდ იხარშებაო? ჩვენც ავდექით და დილას ცოლ-შვილიანად წავედით ყანაში, კარადაში შენი ქვაბით ლობიო შევდგით, რომ დავბრუნდით, ლობიო ისევე დაგვხვდა, როგორც შევდგითო.

— დაწყნარდით, დაწყნარდით. აქ რაღაც გაუგებრობაა. ახლავე გამოვარკვევ ყველაფერს. იქნებ ჩემმა ცოლმა შეგიცვალათ ქვაბი! — უპასუხა კამპრიანომ და ცოლს დაუძახა:

— დედაკაცო, მითხარი, ამ ხალხს ქვაბი ხომ არ შეუცვალეო?

— მაშ, რას ვიზამდი, ჩემ დაუკითხავად არიგებ ქონებას. მერე ყანაში მგზავნი სამუშაოდ და კერძიც გნებავს მზად დაგახვედრო. ცოცხალი თავით ამ ქვაბს არავის დავუთმობო.

— აი, შე ასეთ-ისეთო, — დაიღრიალა კამპრიანომ, სტაცა ხელი დანას, მივარდა ცოლს და მკერდზე ჩამოკიდებულ ბუშტში ჩასცა. გადმოჩქეფა სისხლმა და ქალი მიწაზე გაიშხლართა.

— ვაი, ვაი, ეს რა ჰქენი. ქვაბის გულისთვის ცოლი როგორ მოკალიო! — თავზარი დაეცათ, მკვდრის ფერი დაედოთ ჩიჩორიელებს.

კამპრიანომ სისხლში მცურავ ცოლს დახედა, ვითომ ძალზე დაეწვა გული:

— ვაი, შე საცოდავო, — ჩაილაპარაკა. მერე თქვა: — ცოტა დამაცადეთ, ახლავე გავაცოცხლებო. — ამოიღო ჯიბიდან ლერწმის ღერო, ჩაუდო პირში ქალს, სამჯერ ჩაბერა და საღსალამათი ქალი ფეხზე წამოდგა.

— კამპრიანო! — პირი დააღეს ჩიჩორიელებმა. — მოგვყიდე რა, ლერწმის ღეროო!

— ვერა, სინიორებო, ვერა, იცით, დღეში რამდენჯერ ვკლავ და ვაცოცხლებ ამ ჩემს ცოლს. რომ მოგყიდოთ ლერწმის ღერო, ცოლი რიღათი გავაცოცხლოო?

ისე ჩააცივდნენ ჩიჩორიელები, რომ ბოლოს მაინც მოტეხეს კამპრიანო და სამას სკუდოდ იყიდეს ლერწმის ღერო.

დაბრუნდნენ შინ ჩიჩორიელები, დაერივნენ თავიანთ ცოლებს და დახოცეს. მერე ლერწმის ღეროს ხან ერთს ჩაუდებდნენ პირში და უბერავდნენ, ხან — მეორეს. უბერავდნენ და უბერავდნენ. ამ ყოფაში რომ იყვნენ, ჩაფრები თავს წაადგნენ, გაბაწრეს ცოლების მკვლელები, გაასამართლეს და ყველას კატორღაში უკრეს თავი.

ლუკეზია

<u>ჩრდილოეთის ქარის საჩუქარი</u>

მთაში, მონასტრის მიწაზე ცხოვრობდა ერთი გლეხი, ჯეპონე ერქვა. მის ყანასა და ბაღ-ბოსტანს ყოველ ზაფხულს ჩრდილოეთის ქარი ანადგურებდა და ჯეპონეს ჯალაბს შიმშილით სული სძვრებოდა.

'წავალ, ვიპოვი იმ ქარს, ვისი წყალობითაც შიმშილით ვიხოცებით», — გადაწყვიტა გლეხმა, გამოემშვიდობა ცოლ-შვილს და გზას გაუდგა.

იარა ჯეპონემ, იარა. ბევრი იარა, თუ ცოტა, ჩრდილოეთის ქარის კოშკს მიადგა და კარზე დააკაკუნა.

— რომელი ხარ? — იკითხა ჩრდილოეთის ქარის ცოლმა.

— მე ვარ, ჯეპონე, თქვენი ქმარი შინ არისო?

— არა, წაბლის ხეივანში დაქრის. შემოდი, დაელოდე, მალე დაბრუნდებაო, — უპასუხა ჩრდილოეთის ქარის ცოლმა.

შევიდა ჯეპონე ჩრდილოეთის ქარის კოშკში.

მალე ქარიც დაბრუნდა.

— გამარჯობა! — მიესალმა ჯეპონე.

— ვინა ხარ, რისთვის გარჯილხარო? — ჰკითხა ჩრდილოეთის ქარმა.

— ჯეპონე გახლავართ. ყოველ წელს ჭირნახულს რომ მინადგურებ, რასა ფიქრობ, არ იცი, რომ შენი წყალობით ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცებაო?

— მერე, რა გინდა ჩემგანო? — ჰკითხა ჩრდილოეთის ქარმა.

— რაკი ასეთი გაჭირვება თავს დამატეხე, ცოტა სიკეთე მაინც მიყავი, რომ დანაშაული გამოისყიდოო.

— მაინც რასა მთხოვ, რა გაგიკეთოო?

— ძალა შენს ხელშია, ცოტა ჩემთვისაც გაისარჯეო, — სთხოვა ჯეპონემ.

შეეცოდა ჩრდილოეთის ქარს გლეხი და უთხრა:

— აი, ეს ზარდახშა წაიღე. როცა მოგშივდება, სახურავი ახადე და ჩაუთქვი, რაც გენებოს. სურვილი იმ წუთს აგისრულდება, მაგრამ იცოდე, ზარდახშა არავის მისცე, თორემ ჩემგან მეტს ვერაფერს მიიღებო.

ჯეპონემ მადლობა მოახსენა ჩრდილოეთის ქარს, გამოართვა ზარდახშა და შინისკენ გაეშურა. იარა, იარა, ტყეში მოშივდა და მოსწყურდა, ახადა ზარდახშას სახურავი და ჩაუთქვა:

— აბა, ჩემო ზარდახშავ, პური, ღვინო და საუზმეო!

ხელად გაჩნდა დაბრაწული პური, ლორი და მათარით ღვინო. ჯეპონე მადიანად შეექცა და ისევ გზას გაუდგა.

გამოეგება ცოლ-შვილი.

— როგორაა საქმე, ნახე თუ არა, ვისაც ეძებდიო.

— ჩინებულადაა საქმე, — გაუღიმა ცოლ-შვილს ჯეპონემ, შინ შეიყვანა, — მაგიდას შემოუსხედით ყველაო, — უთხრა, თავისი ზარდახშა ამოიღო და ჩაუთქვა:

— აბა, ჩემო ზარდახშავ, პური, ღვინო და საუზმე ყველასათვისო.

კარგად რომ დანაყრდნენ, ჯეპონემ ცოლს ყურში უჩურჩულა:

— იცოდე, ჩვენი მონასტრის წინამძღვართან სიტყვა არ წამოგცდეს ამ ზარდახშაზეო.

— რას ამბობ. ვინ მე და ენის ტარტარი, ღმერთმა დამიფაროსო.

ერთ მშვენიერ დღეს მონასტრის წინამძღვარმა ჯეპონეს ცოლი დაიბარა და ჰკითხა:

— რაო, ჩამოგივიდა ქმარი? კარგია, კარგი. მაშ, ყველაფერი რიგზეა, არა! მაინც რა ჩამოგიტანა საჩუქრადო?

ხელად გამოსტყუა ჯეპონეს ცოლს საუცხოო ზარდახშას ამბავი და მაშინვე დაიბარა გლეხი.

— ჩემო ჯეპონე, — მიულაქუცა წინამძღვარმა, — გავიგე, რომ საუცხოო ზარდახშა გაქვს. მიჩვენე, რასა მალავო!

ჯეპონე უარზე დადგა. მაგრამ მალე მიხვდა, ცოლმა საიდუმლო გაამხილაო, და ზარდახშა წინამძღვარს მიუტანა.

წინამძღვარს ზარდახშას დანახვაზე თვალები აენთო.

— ჯეპონე, ზარდახშა მომეციო.

— ზარდახშა რომ თქვენ მოგცეთ, შიმშილით დამეხოცება ჯალაბი. ხომ იცით, წმიდაო მამავ, ჭირნახული წელსაც ვერ ავიღეო.

— ოღონდ ეს ზარდახშა მომეცი და ხორბალს, ღვინოს, ყველაფერს, რაც შენს სულსა და გულს ეამება, თავსაყარს მოგცემო, — დაჰპირდა წინამძღვარი ჯეპონეს.

იმდენი უჩიჩინა, ისე ეღრიჯა, რომ ბოლოს დაიყოლია და ზარდახშა დაატოვებინა. რაკი ზარდახშა ხელთ იგდო წინამძღვარმა, ერთი ტომარა აღერებული ხორბალი მიუგდო გლეხს. ეგ იყო და ეგ. ჯეპონეს ისევ მიუკაკუნა კარზე გაჭირვებამ. ახლა კი ცოლის წყალობით ჩავარდა შავ დღეში.

— სულ შენი ბრალია, — ეჯუჯღურებოდა ცოლს ჯეპონე, — აკი გითხარი, რომ ჩრდილოეთის ქარმა გამაფრთხილა, თუ ვინმესთვის მიგიცია ეს ზარდახშა, თვალით ნუღარ დამენახვებიო. ახლა რაღა ვქნა. მეორედ რა პირით მივადგე ჩრდილოეთის ქარსო?

ითმინა, ითმინა ჯეპონემ, მაგრამ შიმშილმა კუჭი რომ აუწვა, ერთ დილას ისევ მიადგა ჩრდილოეთის ქარის კოშკს. დააკაკუნა...

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ჯეპონე!

— რა გინდა, ჯეპონე! — გარეთ გამოვიდა ჩრდილოეთის ქარი.

— გახსოვს, ერთხელ ზარდახშა რომ მაჩუქე? ის ზარდახშა წინამძღვარმა წამართვა და ისევ შიმშილით მძვრება სულიო, — შესჩივლა ჯეპონემ ჩრდილოეთის ქარს.

— აკი გითხარი, თვალისჩინივით გაუფრთხილდი-მეთქი ზარდახშას, ვერ მოუარე და ახლა შენ თავს დააბრალეო! — გაუწყრა ქარი.

— შემიბრალე, შენ მეტს არავის შეუძლია ჩემი შველაო, — შეევედრა ჯეპონე.

შეეცოდა ჩრდილოეთის ქარს გლეხი, აჩუქა ოქროს ზარდახშა და დაარიგა:

— იცოდე, ჯეპონე, ამ ზარდახშას მარტო მაშინ უნდა ახადო სახურავი, როცა შიმშილით გული მიგელევა. ისე ჩათქმულს არ შეგისრულებსო.

გამოართვა ჯეპონემ ზარდახშა, მადლობა გადაუხადა და გზას გაუდგა. ძალიან რომ აეწვა კუჭი შიმშილით. ახადა სახურავი ზარდახშას და ჩაუთქვა:

— აბა, ჩემო ზარდახშავ, გამიმასპინძლდიო!

უცებ ზარდახშიდან კომბლიანი კაცი ამოვარდა, ეცა ჯეპონეს და მისცხო და მისცხო. იმდენი ურტყა, სულ გვერდები აუჭრელა, ჯეპონემ ძლივს მოახერხა ზარდახშის სახურავის დახურვა. დახურა თუ არა, კომბლიანი კაციც გაქრა. ლაზათიანად დაბეგვილი ჯეპონე ძლივს მილასლასდა შინ. ცოლ-შვილი გამოეგება:

— აბა, როგორ არის საქმეო!

— ჩინებულადო, — უპასუხა ჯეპონემ. — ეს ზარდახშა პირველს ათასჯერ სჯობიაო.

მაშინვე სუფრას შემოუსხდნენ. ახადა ჯეპონემ ზარდახშას სახურავი, ამოხტნენ კომბლიანი კაცები და დაერივნენ ჯეპონეს ცოლ-შვილს. ისეთი წიოკობა შეუდგათ იმ საწყლებს, ქვა დაიწვოდა მათი ცოდვით. ახლა კი ეყოფათო, გაიფიქრა ჯეპონემ და ზარდახშას სახურავი დახურა. კაცები მაშინვე გაქრნენ.

— წადი წინამძღვართან და უთხარი, ჩემმა ქმარმა პირველ ზარდახშაზე უკეთესი ზარდახშა მოიტანა-თქო, — დაარიგა ჯეპონემ ცოლი.

დაინახა თუ არა წინამძღვარმა ჯეპონეს ცოლი, მაშინვე ჰკითხა:

— რაო, დაბრუნდა ჯეპონე? ალბათ ისევ ჩამოგიტანდა საჩუქარსო!

— დიახ, სინიორ წინამძღვარო. ქარს ზარდახშა უჩუქებია, მერე როგორი ზარდახშაა, პირველზე უკეთესი. მთლად ოქროსია. იცით, როგორ სუფრასა შლის? სიზმრად არ მოელანდება კაცს, ოღონდ რა გინდა, ჯეპონე არავის მისცემსო.

წინამძღვარმა ჯეპონე დაიბარა და უთხრა:

— ჯეპონე, ძალიან გამიხარდა შენი მშვიდობით დაბრუნება. ზარდახშაც ჩამოგიტანია. ერთი ის ოქროს ზარდახშა მიჩ-ვენეო.

— როგორ არა, გიჩვენებთ, სწორედ. გინდათ ისიც წამართვათ, არა? — უარზე დადგა ჯეპონე.

— საიდან მოიგონე, ჯეპონე? აბა, როგორ გეკადრებაო!

ჯეპონემ ზარდახშა უჩვენა. ოქრო ისე ბრწყინავდა, ისე ციალებდა, რომ თვალი მოსჭრა წინამძღვარს.

— ჯეპონე, ოღონდ ოქროს ზარდახშა მომეცი და პირველს უკან დაგიბრუნებო, — არ ეშვებოდა წინამძღვარი.

— კარგიო, — უპასუხა ჯეპონემ, — დამიბრუნეთ ძველი ზარდახშა და ოქროს ზარდახშას მოგცემთ. ოღონდ, გახსოვდეთ, სინიორ წინამძღვარო, ვიდრე შიმშილით გულის კოვზი არ აგეწვებათ, ზარდახშას ტყუილად ახდით სახურავს, ჩათქმულს მაინც არ აგისრულებთო.

— ძალიან კარგი. ხვალ სტუმრებს ველი, ეპისკოპოსი და მეზობელი მონასტრის წინამძღვრები უნდა მეწვიონ. სადილობამდე არაფერს ვაჭმევ, სადილს კი იცოცხლე, მეფურს გავუშლი. ავხდი ამ ოქროს ზარდახშას სახურავს და შეექცნენ, რაც მათ სულსა და გულს ენებებაო.

დილის წირვის შემდეგ წინამძღვრის სტუმრებმა მონასტრის სამზარეულოში შეიხედეს:

— ეტყობა, ჩვენი წინამძღვარი დღეს ვერაფრით გაგვიმასპინძლდება. ცეცხლი არც კი აუნთიათ, არც სანოვაგე ჩანს სადმეო.

ზოგიერთს გაგონილი ჰქონდა წინამძღვრის საოცარი ზარდახშის ამბავი და თქვეს:

— ცოტა მოიცადეთ, სადილობა რომ დადგება, წინამძღვარი ჯადოსნურ ზარდახშას ახდის სახურავს და, იცოცხლე, მოვულხენთ გემრიელ საჭმელებსო.

წინამძღვარმა დიდის ამბით მიიწვია სტუმრები სუფრასთან. მაგიდაზე ოქროს ზარდახშის მეტი არა იდო რა. ყველა ხარბი თვალით მიაჩერდა ზარდახშას.

ახადა წინამძღვარმა ზარდახშას სახურავი, ამოხტა ექვსი კომბლიანი კაცი და შენი მოწონებული, ისინი მღვდლებს და ბერებს გაუმასპინძლდნენ. ისე მარჯვედ დაატრიალეს კომბლები, ისე ურტყამდნენ წინამძღვარსა და მის სტუმრებს, რომ წინამძღვარს ზარდახშა ხელიდან გაუვარდა და თავახდილი ეგდო ძირს.

კიდევ კარგი, ჯეპონემ მოირბინა მათ ყვირილზე. თურმე იქვე იყო დამალული. დახურა ზარდახშას სახურავი და კომბლიანი კაცები გაქრნენ, ზარდახშისათვის დროზე რომ არ დაეხურა ჯეპონეს სახურავი, იცოცხლე, კომბლიანი კაცები კარგად მიასიკვდილებდნენ მღვდლებს.

ამბობენ, ისე იყვნენ მღვდლები ცემით მიმკვდარებული, რომ საღამოს წირვა ვერც კი გადაიხადესო.

ჯეპონემ მეორე ზარდახშაც წაიღო, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა ორივეს და უზრუნველად ცხოვრობდა.

მუჩელო

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ე ლ ი

ოდესღაც, შორეულ წარსულში, ფლორენციაში ცხოვრობდა ერთი კაცი. ეს კაცი საინტერესო ამბების მოყვარული იყო. საღამოს ისე არ გაუშვებდა, სადმე არ წასულიყო. სულ ისეთ ხალხს ეძებდა, ვისაც ბევრი ემოგზაურა და ბევრი რამ ენახა. თვითონ თავისი ცხოვრება ფლორენციას არ გასცილებია. ჰოდა, გულს აკლდა, ყეყეჩივით რომ იჯდა ხოლმე და ვერავის ვერაფერს უამბობდა. ძალიან უნდოდა მოგზაურობა. ბოლოს ვეღარ გაუძლო სურვილს, ერთ მშვენიერ დღეს მიყიდ-მოყიდა თავისი ავლა-დიდება და გზას გაუდგა.

იარა, იარა ფლორენციელმა, ბევრი იარა თუ ცოტა, ერთი მღვდლის სახლს მიადგა და დაიძახა, ღამე გამათევინეთო. მღვდელმა სიამოვნებით მიიღო. დასხდნენ ვახშმად, პური რომ ჭამეს, მასპინძელმა სტუმარს ჰკითხა: საით მიემგზავრებიო. ფლორენციელმა უამბო, მთელი ცხოვრება ფეხმოუცვლელად ფლორენციაში გავატარე. ახლა გადავწყვიტე, ქვეყანა შემოვიარო, გავიხედ-გა-

მოვიხედო, მეც ვნახო რამე და მერე ნახულ-გაგონილი ამბებით ხალხი შევიქ-ციოო.

ეს რომ გაიგო მღვდელმა, სტუმარს უთხრა:

— მოდი, ერთად წავიდეთ, შემიამხანაგეო.

— მოხარული ვარ, თანამგზავრი რომ ვიპოვეო, — უპასუხა ფლორენციელმა.

ირიჟრაჟა თუ არა, წამოდგნენ მღვდელი და ფლორენციელი, ახსენეს ღმერ-თი და გზას გაუდგნენ. იარეს, იარეს, შებინდებულზე ერთ საბატონოს მიად-გნენ და თავშესაფარი ითხოვეს.

გამოვიდა მოურავი და ჰკითხა:

— რა გაჭირვება დაგდგომიათ, საით გაგიწევიათო?

ფლორენციელმა და მღვდელმა უამბეს, სად, ან რისთვის მიდიოდნენ. ახლა მოურავსაც მოუნდა მოგზაურობა და სამივე ერთად გაუდგა გზას.

იარეს, იარეს, დიდი გზა გაიარეს და ერთ დღეს გოლიათის სასახლეს მიად-გნენ.

— ვთხოვოთ, ღამე გაგვათევინოს. შინ რომ დავბრუნდებით, ნაცნობ-მეგობ-რებს გოლიათის ამბავს მოვუყვებით და გავაკვირვებთო, — ურჩია ფლორენცი-ელმა ამხანაგებს.

გოლიათმა კარი გაუღო მგზავრებს და სასახლეში შეიყვანა.

— გინდათ, ჩემთან დარჩით საცხოვრებლად, არც მღვდელი მყავს, არც მოუ-რავი. მართალია, ფლორენციელისთვის ჯერ არა მაქვს ადგილი, მაგრამ მალე მაგასაც გამოვუნახავო, — შესთავაზა გოლიათმა მგზავრებს.

სამივეს უნდოდა დარჩენა და დარჩნენ კიდეც.

— საქმეზე დილას მოვილაპარაკოთო, — უთხრა გოლიათმა მგზავრებს, სა-მივეს ღამის გასათევი მიუჩინა და გავიდა.

დილით გოლიათმა მღვდელს უხმო:

— წამომყევი, საეკლესიო წიგნებს ჩაგაბარებო, — ერთ-ერთ ოთახში შეიყვა-ნა.

ფლორენციელი დიდი ცნობისმოყვარე იყო, საინტერესო ამბავი არ გამომეპა-როსო და კარის ჭუჭრუტანაში შეიჭვრიტა: გოლიათმა მღვდელს რაღაც ქაღალ-დი დაუდო წინ, მღვდელი დაიხარა, გოლიათმა ხმალი მოიქნია, მღვდელს თა-ვი წააგდებინა, მერე ასწია და ორმოში გადაუძახა.

ფლორენციაში რომ დავბრუნდები, ამ ამბავს დაწვრილებით მოვყვები, — გა-იფიქრა ფლორენციელმა, — მაგრამ უბედურება ესაა, ვაი თუ არ დამიჯერონო.

შევიდა გოლიათი.

— მღვდელი უკვე გავამწესე, ახლა მოურავს მოვაწყობ. წამომყევი, საქმე ჩაი-ბარეო, — უთხრა მოურავს.

საწყალ მოურავს ეჭვიც არ აუღია, როგორ გაამწესეს მღვდელი და გულარხე-ინად გაჰყვა გოლიათს. გოლიათმა მოურავი იმავე ოთახში შეიყვანა.

ფლორენციელი ისევ კარის ჭუჭრუტანას მიეკრა: დაიხარა თუ არა მოურავი ქაღალდზე, მოიქნია გოლიათმა ხმალი, წააგდებინა თავი და მერე ორმოში გა-დაუძახა.

ფლორენციელი ცას ეწია სიხარულით, რამდენ საინტერესო რამეს ვნახავ ფლორენციაში დაბრუნებამდეო. მაგრამ უცებ თავში გაუელვა, მღვდლის და მოურავის შემდეგ შენი გამწესების ჯერიც დადგება და ვის რას უამბობო.

როგორმე თავს უნდა ვუშველო, — თქვა თავისთვის ფლორენციელმა. ამის გაფიქრება და გოლიათის შემოსვლა ერთი იყო.

— ჯერ ვისადილებ, მერე კი შენც მოგაწყობ, ფლორენციელო, — უთხრა გოლიათმა.

მიუსხდნენ სუფრას. ისეთ დღეში იყო ფლორენციელი, სულ ჭირის ოფლს ასხამდა, როგორ გადაუვიდოდა ლუკმა ყელში. რა ვიღონო, როგორ დავუძვრე გოლიათს ხელიდანო, არ ასვენებდა ამის ფიქრი.

გოლიათი ცალი თვალით ბრმა იყო და სადილის შემდეგ ფლორენციელმა უთხრა:

— რა საწყენია, ბატონო ჩემო, რომ ასეთ ლამაზ ვაჟკაცს ცალი თვალი...

გოლიათს არ ეამა, თვალი რომ უხსენეს, აწრიალდა, ააფახულა, მოჭუტა ცალი თვალი.

— ერთი ისეთი სამკურნალო ბალახი ვიცი, ბრმას თვალის ჩინს უბრუნებს. თუ არა ვცდები, ამ თქვენს ბაღშიც ვნახე ის ბალახიო, — უთხრა ფლორენციელმა გოლიათს.

— ჩემს ბაღში? რას ამბობ! — წამოიძახა გოლიათმა. — წამო, ჩქარა დაგლიჯე და მიწამლეო.

გავიდნენ გოლიათი და ფლორენციელი ბაღში. მიდიოდა ფლორენციელი და აქეთ-იქით აცეცებდა თვალს, საით გავიქცეო. დაგლიჯა რაღაც ბალახი და შინ შებრუნდა. ჩადო ბალახი ქვაბში, დაასხა ზეითუნის ზეთი და ცეცხლზე შემოდგა.

— წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, ბატონო ჩემო, ამ წამალს რომ დაგადებთ, თვალები ძალიან გეტკინებათ. როგორ ფიქრობთ, არ გაინძრევით, გაუძლებთ ტკივილს?

— როგორც არ უნდა მეტკინოს, მოვითმენ, ოღონდ თვალი ამეხილოსო, — უპასუხა გოლიათმა.

— ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო. ამ ქვის მაგიდაზე მაგრად მიგაბამთ, რომ ტკივილით გამწარებული არ წამოხტეთ და წამლობაში ხელი არ შემიშალოთ. თუ გაინძრევით, წამალი ძალას დაკარგავსო, — უთხრა ფლორენციელმა გოლიათს.

გოლიათი მთელი სიცოცხლე თვალის ახელაზე ოცნებობდა და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერზე თანახმა იყო. დააბა ფლორენციელმა გოლიათი ქვის მაგიდაზე, მაგრად შეკოჭა, ასწია მდუღარე ზეთი, შიგ სახეში შეასხა, ორივე თვალი ამოუწვა და კისრისტეხით გაიქცა. გარბოდა თავქუდმოგლეჯილი და მაინც იმაზე ფიქრობდა, ქვეყანას გავაოცებ ჩემი თავგადასავალითო.

გამწარებულმა გოლიათმა ისე შებღავლა, კედლებმა ზრიალი გაიღეს. წამოხტა, აითრია ქვის მაგიდა და ფლორენციელს გამოუდგა. მაგრამ დროზე

მიხვდა, უსინათლო თვალხილულს ვერ დაეწეოდა და ისევ ეშმაკობას მიმართა:

— ფლორენციელო! ჰეი, ფლორენციელო! სადა ხარ, რად მიმატოვე. აკი დამპირდი, გიწამლებო. რა მოგცე, რომ თვალის ჩინი დამიბრუნო. გინდა, ამ ბეჭედს გაჩუქებო? — დაუყვირა, წაიძრო თითიდან ჯადოსნური ბეჭედი და ფლორენციელს გადაუგდო.

შენი გულისა! რა კარგია, გოლიათის ბეჭედს წავიღებ, ყველას ვუჩვენებ, მაშინაც არ დაიჯერებენ, რომ გოლიათს ვაჯობეო, — გაიფიქრა გახარებულმა ფლორენციელმა, დასწვდა ბეჭედს და თითზე წამოიცვა.

წამოიცვა თუ არა ბეჭედი, თითი გაუქვავდა, ისე დაუმძიმდა, რომ მიწისკენ დაზიდა, მკლავი, ბეჭი, მთელი ტანი გაუქვავდა, ადგილიდან ვეღარ დაიძრა, გოლიათი კი სწრაფად უახლოვდებოდა.

იძრო დანა ფლორენციელმა და ბეჭდიანი თითი ძირში წაიჭრა. წაიჭრა თუ არა თითი, საძრაობა დაუბრუნდა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

ისეთი გულამომჯდარი, ენაგადმოგდებული შეიჭრა ფლორენციაში, რომ მოგზაურობაც სამუდამოდ გადაავიწყდა და საინტერესო თავგადასავალიც. არავისთვის გაუმხელია თავისი ამბავი. თითი რად გაკლიაო, რომ ჰკითხავდნენ, ასე უპასუხებდა: ბალახს ვთიბავდი და წავიჭერიო.

პიზა

<u>ოხრახუშა</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ლამაზი სახლი ედგათ. მათი სახლის ფანჯარა კუდიანების ბაღს გადაჰყურებდა.

ქალი ფეხმძიმედ იყო. ერთხელ ოხრახუში მოუნდა, ფანჯრიდან კუდიანების ბოსტანში გადაიხედა, ოხრახუშის კვალი ბიბინებდა. დაუდარაჯდა ქალი და, როცა კუდიანები შინიდან წავიდნენ, ფანჯრიდან აბრეშუმის კიბე ჩაუშვა, ბოსტანში ჩავიდა, მადიანად შეექცა ოხრახუშს, მერე ისევ აბრეშუმის კიბით ავიდა შინ და ფანჯარა მიხურა.

მეორე, მესამე და მეოთხე დღესაც ეწვია ქალი კუდიანების ბოსტანს.

— იცით, რა ვქნათ? ხვალ ერთ-ერთი შინ დავრჩეთ, დავუდარაჯდეთ ბოსტანში და გავიგებთ, ვინ შემოეჩვია ჩვენს ოხრახუშსო, — თქვა უფროსმა კუდიანმა.

მეორე დღეს ფეხმძიმე ქალმა ისევ ჩაუშვა აბრეშუმის კიბე ფანჯრიდან, ჩავიდა ბოსტანში და ის იყო ოხრახუში უნდა მოეკრიფა, რომ კუდიანი ბუჩქიდან გამოვარდა და თავს წაადგა.

— აჰა, დაგიჭირე! აი, თურმე ვინ გაგვიჩანაგა ოხრახუშიო! — წამოიძახა კუდიანმა.

— ნუ გამიჯავრდები, ძალიან მინდოდა ოხრახუში, ხომ ხედავ, ფეხმძიმედ ვარ, — შეეხვეწა ქალი.

— კარგი, გაპატიებ, მაგრამ ერთი პირობით. თუ გოგო გაგიჩნდა, ოხრახუშა დაარქვი, თუ ბიჭი — ოხრახუში. ბავშვი რომ წამოიზრდება, ჩვენ უნდა მოგვცეო.

ატირებული ქალი შინ დაბრუნდა. ქმარს უამბო, ასე და ასე დამემართაო. ქმარი ძალიან გაუჯავრდა:

— აი, შე ღორმუცელავ, ეს რა გიქნიაო.

გავიდა ხანი. ქალს გოგო გაუჩნდა და ოხრახუშა დაარქვა.

დედ-მამას თანდათან დაავიწყდა კუდიანებისთვის მიცემული სიტყვა. გოგონა წამოიზარდა, უკვე სკოლაში დადიოდა. სკოლიდან შინ რომ ბრუნდებოდა, გზაზე კუდიანები დახვდებოდნენ ხოლმე და ეუბნებოდნენ:

— ოხრახუშავ, დედას გაახსენე, რომ ჩვენი რაღაც მართებს და მოგვცესო...

— დედი, — უთხრა ერთხელ სკოლიდან დაბრუნებულმა ოხრახუშამ ქალს, — კუდიანებმა შემოგითვალეს, მოგვეცი, რასაც დაგვპირდიო.

საწყალ ქალს კინაღამ გული წაუვიდა ამის გაგონებაზე, მაგრამ შვილს არაფერი გაუმხილა.

გავიდა ხანი და ოხრახუშამ ისევ უთხრა დედას:

— დედი, კუდიანებმა მითხრეს, ჩვენი ვალი აქვს დედაშენსო.

ქალი რაღაცაზე ჩაფიქრებული იყო და ანგარიშმიუცემლად უპასუხა შვილს:

— კარგი, კარგი, წაიღონ რაც მმართებსო.

მეორე დღეს ოხრახუშა სკოლაში წავიდა. კუდიანები გზაზე დახვდნენ და ჰკითხეს:

— ოხრახუშავ, რა გითხრა დედამ, ხომ არ დაავიწყდა დანაპირებიო?

— არა, დედამ დამაბარა, წაიღონ, რაც მმართებსო.

ჩაავლეს ხელი კუდიანებმა ოხრახუშას და გაიტაცეს.

უცადა ქალმა შვილს, უცადა, სკოლიდან რომ არ დაბრუნდა გოგო, აფორიაქდა. უცებ გაახსენდა, წინა დღით რა პასუხიც გასცა შვილს და ტირილი წასკდა:

— ეს რა დამემართა მე უბედურს, ვაი, ჩემო საწყალო გოგო, რაღა ვქნა, შინ ვეღარ დამიბრუნდებიო.

კუდიანებმა ოხრახუშა ერთ გაჭვარტლულ ოთახში შეაგდეს და უთხრეს:

— ოხრახუშავ, ხომ ხედავ ამ გაჭვარტლულ და ჩაშავებულ კედლებს? საღამომდე თუ თოვლივით არ გაათეთრებ ოთახს და ქვეყნად რა ჯურის ფრინველიც არის, კედლებზე არ დახატავ, შეგჭამთო.

წავიდნენ კუდიანები. დარჩა მარტო ოხრახუშა გაჭვარტლულ ოთახში. იჯდა, ტიროდა, ტიროდა, სულ ცრემლად იღვრებოდა.

უცებ კაკუნი შეესმა, ალბათ კუდიანები დაბრუნდნენ, დავიღუპე მე უბედური, ხელად შემახრამუნებენო. მაგრამ არა, თურმე კუდიანების ბიძაშვილი მემე აკაკუნებდა.

— ასე მწარედ რა გატირებს, გოგონა? — ჰკითხა მემემ.

— ჩემს ადგილზე თქვენც იტირებდით. აბა ერთი ეს გაჭვარტლული კედლები საღამომდე თოვლივით გაათეთრეთ და ზედ ათასნაირი ჯურის ფრინველი

დახატეთ. თუ ამ საქმეს საღამომდე ვერ გავაკეთებ, კუდიანები რომ დაბრუნ-დებიან, შემჭამენო.

— ერთი მაკოცნინე და მე გაგიკეთებ ყველაფერსო, — უთხრა მემემ. გოგონამ უპასუხა:

მირჩევნია კუდიანმა
წამითაც არ მაცოცხლოს,
ვიდრე ვიღაც მამაკაცი
მომეხვიოს, მაკოცოს.

— შენი პასუხი მომეწონა და ამ საქმეს მე გაგიკეთებო, — უთხრა მემემ.

მერე ჯადოსნური ჯოხი მოიქნია. თოვლივით გათეთრდა ოთახის კედლები და ათასნაირი ჯურის ფრინველით აჭრელდა. ყველაფერი გააკეთა, რაც კუდია-ნებმა ოხრახუშას დაავალეს.

მერე გამოემშვიდობა გოგოს და წავიდა. დაბრუნდნენ კუდიანები.

— აბა, ოხრახუშავ, გააკეთე, რაც დაგავალეთო? — ჰკითხეს.

— დიახ, შემობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთო! — უპასუხა ოხრახუ-შამ.

გაოცებულმა კუდიანებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მართალი თქვი, ოხრახუშავ, ჩვენი ბიძაშვილი მემე აქ ხომ არ იყოო.

ოხრახუშამ უპასუხა:

არ ყოფილა მემე ჩემთან,
და არც ჩემი ტკბილი დედა.

მეორე დღეს კუდიანებმა ერთიმეორეს ჰკითხეს, რა ვქნათ, რა შარი მოვდოთ ოხრახუშას, რომ შევჭამოთ? და გადაწყვიტეს, კუდიან მორგანასთან გაეგზავ-ნათ.

— ჰეი, ოხრახუშავ!

— რას მიბრძანებთ?

— ხვალ დილით კუდიან მორგანასთან წადი და ბელ-ჯულარიას ზარდახშა სთხოვეო.

— კარგით, ქალბატონებო, — უპასუხა ოხრახუშამ და მეორე დილით გზას გაუდგა.

გზაში კუდიანების ბიძაშვილი მემე შეხვდა და ჰკითხა, საით გაგიწევიაო.

— კუდიან მორგანასთან მივდივარ, ბელ-ჯულარიას ზარდახშა უნდა გამო-ვართვაო, — უპასუხა ოხრახუშამ.

— კუდიან მორგანასთან? მერე, ხომ შეგჭამს მორგანაო! — წამოიძახა მემემ.

— შემჭამოს, რაც მალე მოვკვდები, მით უკეთესიაო, — უპასუხა ოხრახუშამ.

— სულით ნუ დაეცემი, ოხრახუშავ, მე გიშველი, — დაამშვიდა მემემ, — აი, ეს ორი ქოთანი წაიღე, მორგანას კოშკთან რომ მიხვალ, უზარმაზარ ჭიშკარს დაინახავ. ვინც კი მორგანას ეზოში შევა, უკან ვეღარ გამოვა. შენ ქონით კარგად გაპოხე ჭიშკრის ანჯამები და უკან გამოგიშვებს. ეზოში რომ შეხვალ, ორი ქო-

ფაკი დაგხვდება, აი, ეს ერთი პური ერთს მიუგდე, მეორე — მეორეს. მერე ხარაზს დაინახავ. ის საცოდავი თმასა და წვერს იგლეჯს და თავისი ბალნით უკერავს მორგანას ფეხსაცმელს. ეს სადგისი და გასანთლული ძაფი მიეცი, უკან რომ გამობრუნდები, ხარაზი აღარ დაგიჭერს. მერე მზარეულ ქალს დაინახავ, საწყალს ნაცარი ხელით გამოაქვს ბუხრიდან. მიეცი ეს ცოცხი და აღარ დაგაკავებს. ოღონდ იცოდე, ოხრახუშავ, ყველაფერი თვალის დახამხამებაში უნდა გააკეთო. გაიგე, რაც გითხარიო? — ჰკითხა მემემ.

წაიღო ოხრახუშამ ქონი, პური, გასანთლული ძაფი, სადგისი და ცოცხი. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მემემ დაარიგა. ყველა მადლიერი დარჩა საჩუქრებისთვის. მივიდა ოხრახუშა მორგანას ციხე-კოშკთან და დააკაკუნა.

— ცოტა ხანი დამაცადე, გოგონა! — დაუძახა კუდიანმა მორგანამ.

ოხრახუშას კარგად ახსოვდა მემეს დარიგება, მარდად გააკეთე ყველაფერიო, აირბინა კიბე, შეიხედა კუდიანი მორგანას ოთახში, დაინახა ბელ-ჯულარიას ზარდახშა, დასტაცა ხელი და მოგეცეს ლხენა, იმან მოკურცხლა.

დაინახა კუდიანმა მორგანამ, რომ ოხრახუშამ ბელ-ჯულარიას ზარდახშა მოიტაცა, ფანჯარაში გამოყო თავი და დაიყვირა:

— ჰეი, მზარეულო, დაიჭი, არ გაუშვაო!

— რად დავიჭერ? ამდენი წელია ბუხრიდან ნაცარი ხელით გამომაქვს, მოვიდა ეს გოგო და ცოცხი მაჩუქაო.

— არიქა, ხარაზო, გაინძერი, არ გაუშვა ეგ გოგო!

— რად დავიჭერ? რამდენი წელია თმა-წვერს ვიგლეჯ და ფეხსაცმელს იმით გიკერავ. მოვიდა ეს გოგო, სადგისი და გასანთლული ძაფი მიბოძაო.

— აბა, ძაღლებო, თქვენ მინც არ მიღალატოთ, არ გაუშვათ ეგ გოგოო!

— რად დავიჭერთ? შიმშილით სული გვძვრებოდა, მოვიდა გოგო და დაგვაპურაო.

— ჭიშკარო, მიშველე, არ გაუშვა ეგ გოგო!

— რად დავიჭერ? რამდენი წელია ჩემი დაჟანგული ანჯამები ღრჭიალებს. მოვიდა გოგო და ქონით გამიპოხაო.

ასე დააღწია თავი საფრთხეს ოხრახუშამ.

გავიდა გზაზე, შიშით გული აღარ უფართხალებდა, მაგრამ ახლა ცნობისმოყვარეობამ არ მოასვენა: რა ლამაზი ზარდახშაა, ნეტა რა დევს შიგ? ბოლოს ვეღარ მოითმინა, ახადა სახურავი.

ახადა სახურავი და უცებ აუარებელი პაწაწინა კაცუნები ამოხტნენ ზარდახშიდან. თურმე მთელი ბრბო მჯდარა შიგ. ამოხტნენ, ჩამწკრივდნენ, წინ ორკესტრი გაიმძღვარეს და გაემართნენ. აწრიალდა ოხრახუშა, აქეთ ეცა, იქით ეცა, რა ქნას, როგორ ჩარეკოს კაცუნები ზარდახშაში. ვერაფერს რომ ვერ გახდა, მორთო ღრიალი. ამ დროს, სად იყო და სად არა, მემე გაჩნდა მის გვერდით.

— მეტისმეტი ცნობისმოყვარეობა სიკეთეს არ დაგაყრის. ხედავ, რა ჩაიდინეო? — გაკიცხა მემემ ოხრახუშა.

— მარტო გასინჯვა მინდოდა და... — შესჩივლა ოხრა-ხუშამ.

— ახლა რაღა ეშველება ამ საქმეს. თუმცა, ერთს თუ მაკოცნინებ, მოგეხმარებიო, — უთხრა მემემ.

გოგონამ უპასუხა:

მირჩევნია კუდიანმა
წამითაც არ მაცოცხლოს,
ვიდრე ვიღაც მამაკაცი
მომეხვიოს, მაკოცოს.

— მომწონს ეგ სიტყვა და გიშველიო, — უთხრა მემემ.

— ერთი კი მოიქნია ჯადოსნური ჯოხი და კაცუნები სულ პანტა-პუნტით ჩაცვივდნენ ბელ-ჯულარიას ზარდახშაში.

კუდიანებს ოხრახუშას კაკუნი რომ შემოესმათ, გაოცდნენ, რა მოხდა, ნუთუ მორგანამ არ შეჭამა ოხრახუშაო.

— დილა მშვიდობისა. აი, თქვენი ზარდახშაო, — უთხრა ოხრახუშამ.

— გმადლობთ, გმადლობთ, რა დაგაბარა მორგანამ? — ჰკითხეს კუდიანებმა.

— მოკითხვა შემოგითვალათ, მეტი არაფერი დაუბარებიაო.

— რაკი მორგანამ დაგვიბრუნა ოხრახუშა, ხვალ ჩვენ თვითონ შევჭამოთო, — წაუჩურჩულეს ერთმანეთს კუდიანებმა.

საღამოს მემე ეწვიათ.

— მემე, მორგანამ ოხრახუშა დაგვიბრუნა, ხვალ უნდა შევჭამოთო, — უთხრეს კუდიანებმა.

— ძალიან კარგს იზამთო, — მოუწონა მემემ.

— ხვალ დილით ოხრახუშა სახლს რომ მიალაგ-მოალაგებს, ცეცხლს დავანთებინებთ ჩვენი დიდი ქვაბის ქვეშ. წყალი რომ აჩუხჩუხდება, ქვაბში ჩავაგდებთ და მოვხარშავთო, — უთხრეს კუდიანებმა მემეს.

— ჩინებული აზრი მოგსვლიათო, — მოუწონა მემემ.

კუდიანები სადღაც წავიდნენ.

— ოხრახუშავ, — დაუძახა მემემ, — ხვალ მდუღარე წყალში გიპირებენ ჩაგდებას. შენ ქვაბს ცეცხლი შეუნთე, მერე კუდიანებს უთხარი, შეშა სამყოფი არ არის-თქო, და ფარდულში შედი, მე იქ დაგიხვდები და გიშველიო.

დილით კუდიანებმა ოხრახუშას უბრძანეს: ცეცხლი დაანთე და დიდი ქვაბით წყალი შედგი, თეთრეული უნდა გარეცხოო.

დაანთო ოხრახუშამ ცეცხლი და ცოტა ხნის შემდეგ კუდიანებს უთხრა:

— შეშა სამყოფი არ არისო.

— შედი ფარდულში და გამოიტანეო, — უპასუხეს კუდიანებმა.

წავიდა ოხრახუშა.

— ოხრახუშავ, ნუ გეშინია, აქა ვარო, — შემოესმა მემეს ხმა.

მემემ ხელი ჩაჰკიდა ოხრახუშას და ფარდულის ბნელ კუთხეში მიიყვანა.

— ხომ ხედავ, რამდენი სანთელი ანთია! ეს სულ კუდიანების სულებია. მოდი, ჩავაქროთო, — უთხრა მემემ.

მიჰყვნენ და ერთიმეორის მიყოლებით ჩააქრეს სანთლები. ჩააქრეს ერთი სანთელი — ერთმა კუდიანმა გააფრთხო სული; ჩააქრეს მეორე სანთელი — მეორე კუდიანმა გაფშიკა ფეხები. ბოლოს ერთი ყველაზე მსხვილი კელაპტარიღა დარჩა.

— ეს კუდიანი მორგანას სულია, — უთხრა მემემ ოხრახუშას.

შეუბერეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, და ის კელაპტარიც ჩააქრეს.

ოხრახუშას და მემეს დარჩა კუდიანების მთელი ქონება.

— ახლა კი ცოლად გამომყევიო, — უთხრა მემემ ოხრახუშას;

ოხრახუშამ გაიცინა და მემეს აკოცა.

მემე და ოხრახუშა კუდიანი მორგანას სასახლეში დასახლდნენ. ხარაზს ჰერცოგობა უბოძეს, მზარეულ ქალს — მარკიზობა, ძაღლებსაც სასახლეში მიუჩინეს კუთხე და ანჯამებს ყოველდღე პოხავდნენ ქონით.

და ცხოვრობდნენ კარგად, ტკბილად,
ყველა იყო ბედნიერი...
მეც იქ გახლდით, მაგრამ სულ არ
მიწყალობეს არაფერი.

ფლორენცია

<u>ბატი და მელა</u>

ერთხელ ბატების გუნდი მარემაში მიდიოდა კვერცხის დასადებად. ერთი ბატი შუა გზაზე გაჩერდა და ამხანაგებს უთხრა:

— დებო, უნდა დაგშორდეთ. კვერცხის დადების დრო დამიდგა, მარემამდე ვერ შევიკავებო.

— როგორმე შეიკავეო!

— როგორმე გამაგრდიო!

— მარტო როგორ დაგტოვოთო?! — შეწუხდნენ ბატები.

ბატს მოთმენა აღარ შეეძლო. შეიქნა ხვევნა-კოცნა. დაემშვიდობნენ ერთმანეთს, შეთანხმდნენ, უკან მობრუნებისას აქ შევხვდეთო. ბატი ტყეში შეფარფატდა. ბებერი მუხის ქვეშ, ხმელ ფოთლებში გაიკეთა ბუდე. პირველი კვერცხი დადო, მერე ბუდიდან ამოძვრა და საბალახოდ გასწია.

საღამო ხანს დაბრუნდა ბატი და დახეთ უბედურებას! ბუდეში კვერცხი აღარ იდო. დაღონდა ბატი, იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, მუხაზე ავალ, მეორე კვერცხს შტოებში ჩავმალავო. აფრინდა, დადო კვერცხი, ისევ ძირს ჩამოფრინდა და კმაყოფილი არხეინად წავიდა საბალახოდ. უკან რომ დაბრუნდა, მეორე კვერცხიც აღარ დახვდა.

‘ნამდვილად ამ ტყეში მელას აქვს სორო და ის წუწკი მპარავს კვერცხებს», — გაიფიქრა ბატმა.

ადგა ბატი, გასწია მახლობელ სოფელში, მიადგა ერთ მჭედელს და კარზე დაუკაკუნა.

— სინიორ მჭედელო, რკინის სახლი გამიკეთეთო! — სთხოვა ბატმა.

— ას წყვილ კვერცხს თუ დამიდებ, დიდი სიამოვნებით გაგიკეთებო, — უპასუხა მჭედელმა.

— კარგიო! — უთხრა ბატმა. — აქვე დამიდგით კალათი, ვიდრე თქვენ რკინის სახლს გამოჭედავთ, მე ას წყვილ კვერცხს დაგიდებთო.

ჩაჯდა ბატი კალათში. დაჰკრავს მჭედელი ჩაქუჩს, გამოაგდებს ბატი კვერცხს. დაჰკრავს კიდევ მჭედელი. კიდევ გამოაგდებს ბატი კვერცხს.

მეორასეჯერ რომ დაჰკრა მჭედელმა ჩაქუჩი, ბატმაც მეორასე კვერცხი გამოაგდო და კალათიდან ამოხტა.

— ბატონო მჭედელო, დანაპირები შეგისრულეთ, ინებეთ ასი წყვილი კვერცხიო.

— სინიორა ბატო, თქვენი რკინის სახლიც მზად გახლავთო, — უპასუხა მჭედელმა.

ბატმა მჭედელს მადლობა გადაუხადა, წამოიკიდა რკინის სახლი და ტყეში გასწია. შუაგულ ტყეში ჭალა იყო, სწორედ იმ ჭალაში ჩადგა ბატმა თავისი სახლი. საუცხოო ადგილია, ჩემს ჭუჭულებს ხასხასა ბალახიც ძღომაზე ექნებათ და საჭყუმპალაო წყალიცო.

გახარებული ბატი თავის სახლში შეძვრა, ახლა მაინც გულდამშვიდებით დავდებ კვერცხებსო.

ამ დროს მელა ტყეში დაცუნცულებდა, მიადგა მუხას, ეძებდა კვერცხს. ვერსად იპოვა კვერცხი, აქეთ ეცა, იქით ეცა, გაძვრა-გამოძვრა და ბოლოს ჭალაში ამოყო თავი. გაიხედა და რასა ხედავს: შუაგულ ჭალაში რკინის სახლი დგას.

ნამდვილად აქ შეძვრებოდა ბატიო, — გაიფიქრა მელამ და კარზე დააკაკუნა.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, მელა!

_ კვერცხებზე ვზივარ, კარს ვერ გაგიღებო.

— ბატუნიავ, გამიღე რა! — შეეხვეწა მელა.

— რას ამბობ, კარი როგორ გაგიღო, ხომ შემჭამო?

— არა, ბატუნიავ, პირს არ დაგაკარებ, ოღონდ კარი

გამიღეო!

— არა, არ გაგიღებო!

— იცოდე, ბატო, არ გამიღებ და მწარედ ინანებ, უფრო ცუდი დღე დაგადგებაო.

შენ გგონია, წავალ?
სახურავზე ავალ,
და ვიცეკვებ ისე
თავბრუ რომ დამესხას...
ო, სულელო ბატო,

სულ დავანგრევ შენს სახლს.
ბატმა უპასუხა:

ვიცი, არსად წახვალ,
სახურავზე ახვალ
და იცეკვებ ისე,
თავბრუ რომ დაგესხას,
მაგრამ მაინც არა,
ვერ დაანგრევ ჩემს სახლს.

მელა სახურავზე აძვრა და მოჰყვა ფეხების ბაკუნს. კუნტრუშებს ასეც, ისეც, მაგრამ, ნურას უკაცრავად, რაც მეტი იკუნტრუშა და იხტუნა, მით უფრო გამაგრდა რკინა. გაბრაზდა მელა, ჩამოხტა ძირს და უკანმოუხედავად მოუსვა. ბატმა კი იმდენი იცინა, იმდენი იცინა, კინაღამ მუცელზე გაიფხრიწა.

კარგა ხანს არ გამოჩენილა მელა. ბატი მაინც ფრთხილობდა. ამასობაში ჭუჭულებიც გამოჩეკა.

ერთ დღეს ისევ გაისმა კაკუნი.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, მელა.

— რა გნებავს, რისთვის გარჯილხარო?

— ხვალ ბაზრობაა, გინდა ერთად წავიდეთო?

— კარგი, წავიდეთ. რა დროს გამომივლიო?

— რა დროსაც გინდაო.

— მაშ ცხრა საათისთვის მოდი. ამაზე ადრე არ შემიძლია, ჭუჭულები უნდა დავაპუროო.

გულითადი მეგობრებივით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. მიდიოდა მელა, მიცუნცულებდა, თან ტუჩებს ილოკავდა; ხვალ ბატსაც შევჭამ და მის ჭუჭულებსაც შევახრამუნებო.

ბატი უთენია წამოდგა, დააპურა ჭუჭულები, სათითაოდ გადაკოცნა, დაარიგა, კარი არავის გაუღოთო და ბაზარში წავიდა.

რვა საათი არ იქნებოდა, მელა ბატის სახლს რომ მიადგა. კარზე დააკაკუნა:

— დედა შინ არ არისო, — დაუძახეს ჭუჭულებმა.

— კარი გამიღეთო, — უბრძანა მელამ.

— ვერ გაგიღებთ, დედამ აგვიკრძალაო, — უპასუხეს ჭუჭულებმა.

— თქვენ შეჭმას მერეც მოვასწრებო, — ჩაიდუდუნა მელამ და მერე ხმამაღლა ჰკითხა: — როდის წავიდა დედათქვენი ბაზარშიო?

— დილაადრიანად წავიდაო, — უპასუხეს ჭუჭულებმა.

მელასაც ეს უნდოდა, დაჰკრა ფეხი და ბაზრისკენ მოუსვა.

ბატი ბაზრიდან ბრუნდებოდა, ნავაჭრი მოჰქონდა. გაიხედა და თვალი მოჰკრა, ენაგადმოგდებული მელა მოცუნცულებდა მისკენ.

‘რაღა ვქნა, სად დავიმალო?» — აწრიალდა ბატი.

ბატმა ბაზარში დიდი ჯამი იყიდა. ჯამის სახურავი ძირს დადო, დაჯდა და ჯამი ზედ დაიმხო.

შედგა მელა.

— ეს რა კარგი სამლოცველოა. უნდა ვილოცოო, — თქვა.

დაიჩოქა ჯამის წინ, ილოცა, ოქროს მანეთიანი შესწირა სალოცავს და წაცუნცულდა.

ბატმა თავი გამოყო, აიტაცა ოქროს მანეთიანი, წამოიკიდა ჯამი და ჰერი! — შინისკენ.

ბევრი იწრიალა მელამ ბაზარში, ათვალიერა, ყნოსა, დახლების ქვეშ შეძვრა-გამოძვრა, მაგრამ ბატის კვალსაც ვერ მიაგნო. ‘ჯერ წასული არ იქნება, თორემ გზაში შემხვდებოდა», — გაიფიქრა და ისევ ძებნა დაუწყო. დამთავრდა ბაზრობა, ვაჭრებმა დარჩენილი საქონელი შეინახეს, აშალეს დახლები, ბატი კი არსად იყო. ‘ერთი იმას უყურეთ, ახლაც არ მომატყუა?» — გაივლო გულში მელამ.

შიმშილით მიმკვდარებული ბატის სახლთან მილასლასდა და დააკაკუნა.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, მელა. რატომ არ დამიცადე, ბატო?

— ცხელოდა და ვეღარ დაგელოდე. მეგონა, გზაში შევხვდებოდით ერთმანეთს.

— შენ რომელი გზით დაბრუნდი, ბატუნიავ?

— აქ მარტო ერთი გზაა, — უპასუხა ბატმა.

— მაშ, როგორ ამცდი? რატომ ვერ დაგინახეო?! — გაუკვირდა მელას.

— მე კი დაგინახე! იმ სამლოცველოში ვიჯექი, შენ რომ ილოცეო, — მოახსენა ბატმა.

გაბრაზდა მელა.

— ახლავე გამიღე კარი!

— არ შემიძლია. რომ გაგიღო, ხომ შემჭამო? — უპასუხა ბატმა.

— იცოდე, ბატო:

შენ გგონია, წავალ?
სახურავზე ავალ,
და ვიცეკვებ ისე,
თავბრუ რომ დამესხას...
ო, სულელო ბატო,
სულ დავანგრევ შენს სახლს.
ბატმა უპასუხა:

ვიცი, არსად წახვალ,
სახურავზე ახვალ
და იცეკვებ ისე,
თავბრუ რომ დაგესხას,
მაგრამ მაინც არა,

ვერ დაანგრევ ჩემს სახლს.

ახტა მელა სახლის სახურავზე, ჩაბუქნა და ჩაბუქნა, მაგრამ რკინის სახლს რას დააკლებდა!

გავიდა კარგა დიდი ხანი და ერთ დილას ისევ მიუკაკუნა მელამ ბატს.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, მელა, კარი გამიღე, ბატუნიავ!

— ვერ გაგიღებ, არა მცალია!

— შაბათს ბაზრობაა, ბატო, გინდა ერთად წავიდეთ?

— კარგი, გამომიარეო.

— მითხარი, რა დროს გამოგიარო, უწინდელივით გზაში რომ არ ავცდეთ ერთმანეთსო.

— შვიდ საათზე მოდი, ამაზე ადრე არ შემიძლიაო.

— კარგიო.

მელა და ბატი გულითადი მეგობრებივით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. შაბათ დილას უთენია წამოდგა ბატი, დავარცხნა ჭუჭულები, ხასხასა ბალახი დაუყარა, დაარიგა, არამც და არამც კარი არ გაუღოთ, ვინც უნდა მოვიდესო, და ბაზარში გასწია.

ექვსი საათიც არ იქნებოდა, მელა რომ მიცუნცულდა ბატის სახლთან. ჭუჭულებმა უთხრეს, დედა რა ხანია წავიდაო, და მელა ბატს გამოუდგა.

ბატი ნესვს ევაჭრებოდა, უცებ თვალი მოჰკრა მელას. აბა, სად წავიდოდა? სად დაიმალებოდა? ძირს ერთი უშველებლი ნესვი ეგდო. ეცა ბატი ამ ნესვს, ნისკარტით ამოღრუტნა და შიგ შეძვრა.

დარბოდა, დაძრწოდა, დაცუნცულებდა მელა, ეძებდა ბატს გამწარებული. ალბათ ჯერ არ მოსულაო, — გაიფიქრა. მერე გადაწყვიტა, წავალ, ნესვებს ჩავუვლი, ერთ კარგ ნესვს ამოვირჩევო და წავიდა. ჩაკბიჩა ერთი ნესვი, ჩაკბიჩა მეორე, არც ერთი არ მოეწონა, ყველა მწარე იყო. ბოლოს სწორედ ის დიდი ნესვი დაინახა, რომელშიც ბატი იჯდა.

'ეს კი ტკბილი იქნება», — გაიფიქრა და ჩაკბიჩა.

ბატს სწორედ იმ ადგილზე ჰქონდა ნისკარტი მიდებული და შიგ პირში შეაფურთხა მელას.

— ფუი, ეს რა საძაგლობაა, — დაიყვირა მელამ და ნესვი გადაისროლა.

დაგორდა ნესვი გორაკზე, დაენარცხა ქვას, გასკდა, გადმოხტა ბატი და, იცოცხლე, მოუსვა შინისკენ.

საღამომდე დაცუნცულებდა მელა ბაზარში, მერე ისევ ბატის სახლს მიაშურა.

— რად მომატყუე, ბატო? რატომ არ იყავი ბაზარშიო?

— სწორედაც რომ გახლდით. აი, იმ დიდ ნესვში ვიჯექი, შენ რომ ჩაკბიჩე და ძირს დაანარცხეო.

— მაშ, ისევ მაჯობე ეშმაკობაში? — გაბრაზდა მელა. — ახლავე გამიღე კარი, თორემ!..

— რას ამბობ, კარი რომ გაგიღო, ხომ შემჭამ?
— მიფრთხილდი, ბატო:
შენ გგონია, წავალ?
სახურავზე ავალ,
და ვიცეკვებ ისე,
თავბრუ რომ დამესხას...
ო, სულელო ბატო,
სულ დავანგრევ შენს სახლს.

ბატმა უპასუხა:

ვიცი, არსად წახვალ,
სახურავზე ახვალ
და იცეკვებ ისე,
თავბრუ რომ დაგესხას,
მაგრამ მაინც არა,
ვერ დაანგრევ ჩემს სახლს.

ჩაბუქნა და ჩაბუქნა მელამ. მაგრამ რამდენი არ იხტუნა და იკუნტრუშა, რკინის სახლს ვერა დააკლო რა.

გავიდა კარგა დიდი დრო და ისევ მიუკაკუნა ბატს კარზე.

— ბატუნიავ, მოდი, შევრიგდეთ. ძველი შუღლი დავივიწყოთ და ერთად ვივახშმოთო.

— კარგი და პატიოსანიო, — უპასუხა ბატმა, — მაგრამ მე რომ არაფერი გამაჩნია, რით გაგიმასპინძლდეო?

— ამის დარდი ნუ გაქვს, შენი საქმე კერძის გაკეთება და სუფრის გაშლაა. დანარჩენი მე მომანდეო.

გაიქცა მელა და ხელად ძეხვი მოაცუნცულა, მერე წვრილი ძეხვი მოიტანა, ახლა ყველიც მოაყოლა, ყველს — ქათამი, ქათამს სხვადასხვა, კიდევ სხვადასხვა და მალე ბატის სახლში იმდენი ხორაგი მოზიდა, რომ ტევა აღარ იყო.

დადგა ვახშმობის დროც. მელამ ორი დღე ლუკმა არ ჩაიდო პირში, უფრო მადიანად შევახრამუნებ ბატსა და მის ჭუჭულებსო. ძეხვი და ყველი ვიღას ახსოვდა.

მიცუნცულდა მელა ბატის სახლთან და დაიყვირა:

— ბატო, ვახშამი მზადა გაქვსო?

— მზად გახლავთ, — უპასუხა ბატმა, — შემობრძანდი. ოღონდ ფანჯრიდან მოგიწევს შემოძრომა, მაგიდა კარზეა მიდგმული, ვერ გაგიღებო.

— ჩემთვის სულ ერთია, ფანჯრიდანაც შემოვძვრები, მაგრამ ამ სიმაღლე ფანჯარაზე როგორ ამოვიდეო?

— თოკს ჩამოვუშვებ, მარყუჟში თავი გაყავი და მე აქედან ამოგწევო.

მელას სულ კბილები უკაწკაწებდა, ისე ეჩქარებოდა ბატის ჩახრამუნება, აღარაფერს დაერიდა, ხელად გაყო თავი მარყუჟში. ბატმა თოკს მოსწია, მარყუჟმა

ყელში წაუჭირა. აქეთ მოაწყდა მელა, იქით მიაწყდა, მაგრამ მარყუჟიდან თავი ვეღარ გამოყო, თვალები გადმოკარკლა, ენა გადმოაგდო და თქვენი ჭირი წაიღო.

იცადა ბატმა, იცადა, მერე თოკს ხელი გაუშვა და მკვდარმა მელამ მიწაზე ბრაგვანი გაადინა.

— აბა, ჩემო ჭუჭულებო, წავიდეთ, ხასხასა ბალახი მოვკორტნოთ და წყალშიც ვიჭყუმპალაოთო, — უთხრა ბატმა ჭუჭულებს და კარი გაუღო.

ძლივს ეღირსათ ჭუჭულებს კარში გამოსვლა. სიხარულით აღარ იცოდნენ, რა ექნათ. გაშალეს ფრთები, გაინავარდეს, დასდევდნენ ერთმანეთს.

მალე ბატის მეგობრების დაბრუნების დროც დადგა. ერთ მშვენიერ დღეს ბატს ფრთების ტკრციალი და სივილი შეესმა.

ნამდვილად ჩემი დები მოფრინავენო, თქვა, გავიდა გზაზე და დაინახა ბატების გუნდი, უკან პატარა ჭუჭულები მოჰყვებოდნენ. ისე გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა, ისე გაუხარდათ, ცას ეწივნენ სიხარულით.

ბატმა დებს უამბო, როგორ აჯობა მელას ეშმაკობაში. მის დებს ისე მოეწონათ რკინის სახლი, რომ წამოიშალნენ და მჭედელთან წავიდნენ, ჩვენც გაგვიკეთე რკინის სახლებიო, სთხოვეს.

იმ ჭალაში დღესაც არის ბატების სოფელი, — ისეთი მაგარი კოპწია რკინის სახლებია ჩამწკრივებული, რომ მსუნაგი მელა ცხვირსაც ვერ შეყოფს.

სიენა

ნეაპოლელი ჯარისკაცი

სამი ჯარისკაცი პოლკიდან გაიქცა. ერთი რომაელი იყო, მეორე ფლორენციელი, მესამე, ყველაზე უმცროსი კი — ნეაპოლელი. იარეს, იარეს ჯარისკაცებმა და შეღამებულზე ერთ ტყეს მიადგნენ. რომაელი ხნით სხვებზე უფროსი იყო და ამხანაგებს უთხრა:

— ბიჭებო, სამივემ ერთად რომ დავიძინოთ, არ ივარგებს. მოდი, რიგრიგობით ვუყარაულოთ ერთმანეთს. ჯერ თქვენ დაიძინეთ, მე დავდგები სადარაჯოზეო.

ფლორენციელმა და ნეაპოლელმა ზურგჩანთები ძირს დაყარეს, მიწვნენ და დაიძინეს.

ის იყო ამხანაგის გაღვიძებას აპირებდა რომაელი, რომ ტყიდან გოლიათი გამოვიდა, თავს წაადგა ჯარისკაცს და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებო?

რომაელმა ზედაც არ შეხედა, ისე მიახალა:

— რა შენი საქმეა, რას ვაკეთებო!

გოლიათი ჯარისკაცს დაეძგერა, მაგრამ რომაელი უფრო მარჯვე გამოდგა, იშიშვლა ხმალი, წააგდებინა თავი გოლიათს. მერე ცალი ხელით მისი თავი ას-

წია, მეორეთი — ტანი და ორმოში გადაუძახა. გაწმინდა ხმალი რომაელმა, ჩაა-
გო ქარქაშში, ამხანაგის გასაღვიძებლად წავიდა და გაიფიქრა: ‘ჩემს ამხანაგს არ
ვეტყვი, რაც გადამხდა, ფლორენციელია, ვაითუ შეეშინდეს და გაიქცესო».

ფლორენციელმა თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე ჰკითხა რომაელს:

— ხომ არაფერი მომხდარა შენი მორიგეობის დროსო?

— რა უნდა მომხდარიყო, არაფერი, არხეინად იყავიო, — უპასუხა რომაელ-
მა, დაწვა და დაიძინა.

ფლორენციელს უკვე ნეაპოლელი უნდა გაეღვიძებინა, რომ უცებ გოლიათი
თავს წაადგა და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებო?

— რა შენი საქმეა, რას ვაკეთებო! — მშვიდად უპასუხა ფლორენციელმა.

გოლიათი ფლორენციელს დაეძგერა, მაგრამ ფლორენციელი გოლიათზე
მარჯვე გამოდგა, იშიშვლა ხმალი, წააგდებინა გოლიათს თავი, მერე დაავლო
ხელი მის თავსა და ტანს და ორმოში გადაუძახა.

უმცროსი ამხანაგის გასაღვიძებლად რომ მივიდა ფლორენციელი, გაიფიქ-
რა: ‘მხდალ ნეაპოლელს თუ ვუთხარი, რაც გადამხდა, შეეშინდება და გაიქცე-
ვაო».

ნეაპოლელმა თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე ჰკითხა ამხანაგს, შენი მორი-
გეობის დროს ხომ არაფერი მომხდარაო.

— არაფერი, რა უნდა მომხდარიყო, არხეინად იყავიო, — უპასუხა ფლორენ-
ციელმა, დაწვა და დაიძინა.

დადგა ნეაპოლელი სადარაჯოზე, თითქმის მთელი საათი უყარაულა ამხა-
ნაგებს, ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მერე ფოთლების შრიალი შემოესმა, თით-
ქოს ვიღაც მოაბიჯებდა. გაიხედა ნეაპოლელმა და გოლიათი არ გამოეჭიმა წინ!

— აქ რას აკეთებო?

— რა შენი საქმეა, რას ვაკეთებო! — უპასუხა ნეაპოლელმა.

გოლიათმა ისე მძლავრად მოუქნია მუშტი, რომ მოხვედროდა ნეაპოლელს,
ლავაშივით გააბრტყელებდა. მაგრამ ნეაპოლელმა დაასწრო, დაჰკრა ხმალი, წა-
აგდებინა თავი, მერე დაავლო ხელი მის თავსა და ტანს და ორმოში გადაუძახა.

რიგით ისევ რომაელი უნდა გაეღვიძებინა ჯარისკაცს, მაგრამ დაინტერესდა,
ეს გოლიათი აქ საიდან გაჩნდა, უნდა წავიდე, ვნახოო და ტყის სიღრმეში შევი-
და. უცებ შუქს მოჰკრა თვალი. მიჰყვა სინათლეს, მივიდა პაწია ქოხთან და კა-
რის ჭუჭრუტანაში შეიჭვრიტა.

ცეცხლის პირას სამი დედაბერი მიმჯდარიყო და საუბ-რობდნენ.

— შუაღამე დადგა, ჩვენი ქმრები კი არა ჩანანო! — თქვა ერთმა.

— რამე უბედურება ხომ არ შეემთხვათო? — იკითხა მეორემ.

— ხომ არ წავიდეთ, გზაზე ხომ არ შევეგებოთ ქმრებსო? — თქვა მესამემ.

— ახლავე წავიდეთ, — თქვა პირველმა დედაბერმა და წამოდგა. — ჩემს ფა-
რანს თან წამოვიღებ. ხომ იცით, მის შუქზე ასი მილის მანძილზე ყველაფერი
ჩანსო.

— მე კი ჩემს ხმალს წამოვიღებ. ამ ხმლის ერთი მოქნევით მთელი ჯარის ამოჟლეტა შემიძლიაო, — დაურთო მეორე დედაბერმა.

— რაკი ასეა, მეც ჩემს თოფს წამოვიღებ. ამ თოფის ერთი გასროლით ხელმწიფის სასახლის ჭიშკართან დაბმულ ძუ მგელს მოვკლავ. აბა, გზას გავუდგეთო.

და კარი გააღეს.

ხმალშემართული ნეაპოლელი კარს უკან იდგა. გამოვიდა პირველი დედაბერი, ხელში ფარანი ეჭირა. მოუქნია ხმალი ნეაპოლელმა, კრინტის დაძვრა ვერ მოასწრო ჯადოქარმა, ისე გაადინა ბრაგვანი ძირს. გამოვიდა მეორე დედაბერი, ხელში ხმალი ეჭირა. დაჰკრა იმასაც ნეაპოლელმა და მიაწვინა. გამოვიდა მესამე ჯადოქარი, მოიქნია ხმალი ჯარისკაცმა და ისიც თავის დეზს მიაყოლა.

ნეაპოლელს დარჩა ჯადოსნების ფარანი, ხმალი და თოფი. ნეტავი დედაბრების ნათქვამი მართალი თუ არის, ახლავე უნდა გამოვცადო ამათი ძალაო, — თქვა ნეაპოლელმა და ფარანი ასწია.

ასწია ფარანი და რასა ხედავს: ასი მილის იქით გამოჩნდა კოშკი. კოშკის შესასვლელთან აბჯარასხმული ჯარი იდგა, ჭიშკართან კი ძუ მგელი ება, სიბნელეში ჩირაღდანივით უბრიალებდა თვალები.

— აბა, ვნახოთ, როგორ სჭრის ჩემი ხმალი, — თქვა ნეაპოლელმა. მოიქნია ხმალი. მერე ფარანი ასწია და კოშკს გახედა. ჯარისკაცები ძირს ეყარნენ, მათი დამსხვრეული აბჯარ-მუზარადი აქეთ-იქით იყო მიმოფანტული. ცხენები ამოწყვეტილიყო. ახლა თოფი მოიმარჯვა ნეაპოლელმა და გაისროლა. ძუ მგელმა იქვე გაფშიკა ფეხი.

წავალ, იმ კოშკს ახლო ვნახავო, — თქვა ნეაპოლელმა და გზას გაუდგა.

იარა, იარა და, როგორც იყო მიაღწია კოშკს. დააკაკუნა ჭიშკარზე. ხმა არავინ გასცა. დაუძახა, მასპინძელოო, ჩამიჩუმი არ ისმოდა. ადგა და ჭიშკარი შეაღო. შევიდა კოშკში, დაიარა ოთახები, ძეხორციელი არსად ჭაჭანებდა. ბოლოს ერთი ოთახის კარიც შეაღო და დიდებულ დარბაზში ამოყო თავი. ხავერდგადაკრულ სავარძელში მზეთუნახავს ეძინა, მარცხენა ფეხიდან ქოში წაძრობოდა და ძირს ეგდო.

მივიდა ნეაპოლელი, აიღო ქოში. ქალს არაფერი გაუგია. ქოში ჯიბეში ჩაიდო, აკოცა მზეთუნახავს და ფეხისწვერებზე გამოვიდა დარბაზიდან.

კარი გაიხურა თუ არა ჯარისკაცმა, მზეთუნახავმა თვალი გაახილა. მაშინვე უხმო სეფექალებს. სეფექალებს გვერდით ოთახში ეძინათ, მზეთუნახავის ძახილზე გაიღვიძეს და მიირბინეს მასთან.

— ეშმაკის გრძნეულებისგან გავთავისუფლდით, ეშმაკის გრძნეულებისაგან გავთავისუფლდით, გაიღვიძეთ! ხელმწიფის ასულმა გაიღვიძა. სად არის ჩვენი მხსნელი რაინდი, ვინ გვიხსნა ჯადოსგან, ვინ გვიხსნაო, — ყვიროდნენ სეფექალები.

— აბა, ჩქარა, ფანჯარაში გაიხედეთ, იქნებ თვალი მოჰკრათ ჩვენს მხსნელსო? — წამოიძახა მზეთუნახავმა.

მიცვივდნენ სეფექალები ფანჯარასთან და დაინახეს, რომ ჯარი სულ ერთიანად ამოეწყვიტათ, ჭიშკართან კი ძუ მგელი ეგდო.

— გაიქეცით მამაჩემთან და ჩვენი გადარჩენა ახარეთ. უთხარით, მოვიდა გულადი რაინდი, გაწყვიტა ჯარი, მოკლა ჩვენი დარაჯი ძუ მგელი და კოცნით გვიხსნა გრძნეულებისაგან-თქო.

მერე მზეთუნახავმა ფეხზე დაიხედა და წამოიძახა:

— რაინდს ჩემი ცალი ქოში წაუღიაო.

ხელმწიფემ რომ გაიგო ეს ამბავი, ცას ეწია სიხარულით და ბრძანა, გამოუცხადეთ ხალხს, ვინც უნდა იყოს ჩემი ასულის მხსნელი, წარჩინებული იქნება, თუ ღატაკი, ქალს მაინც მივათხოვებო.

ამასობაში ნეაპოლელი ისევ ტყეში დაბრუნდა და ამხანაგები გააღვიძა.

— აქამდე რატომ არ გაგვაღვიძე, რამდენი საათი იდექი სადარაჯოზეო, — ჰკითხეს ამხანაგებმა.

ნეაპოლელმა გაიფიქრა, არ ვეტყვი ამხანაგებს, რაც გადამხდაო, და უპასუხა:

— არ მეძინებოდა და ამიტომ არ გაგაღვიძეთო.

დღე დღეს მისდევდა, ღამე ღამეს, მზეთუნახავის მხსნელი რაინდი კი არ გამოჩნდა. ერთხელ ხელმწიფის ქალმა მამას უთხრა:P

— მამა, მოდი, ფუნდუკი გავხსნათ და ასეთი აბრა გავაკრათ: ‘აქ ღამეს ათევინებენ და უფასოდ აჭმევ-ასმევენ სამი დღე». ხალხი რომ შეიტყობს, ფუნდუკს მოაწყდება და რაინდის ამბავს აუცილებლად გავიგებთო.

მართლა გახსნეს ფუნდუკი. ხელმწიფის ასული დიასახლისობდა. ერთხელ იმ ქუჩაზე მხიარული სიმღერით ჩაიარეს ჩვენმა ჯარისკაცებმა და აბრა დაინახეს.

— ბიჭებო, შეხედეთ, აქ თურმე სამი დღე უფასოდ აჭმევ-ასმევენო, — წამოიძახა ნეაპოლელმა.

— როგორ არა, დავიჯერეთ. ვიცით მაგ აბრების ამბავი. ხალხის მასხარად ასაგდებად აკეთებენო, — უპასუხა ფლორენციელმა.

ამ დროს ხელმწიფის ასული გამოჩნდა კარში, ჯარისკაცები შეიპატიჟა, მობრძანდით, მართლა უფასოდ გაჭმევთო.

შევიდნენ ჯარისკაცები ფუნდუკში. დიასახლისმა დიდებული ვახშამი გაუწყო, თვითონაც მიუჯდა სუფრას და ჭაბუკებს საუბარი გაუბა:

— გეტყობათ, შორი გზა გამოგივლიათ. ალბათ ბევრს ნახავდით, ბევრი რამ გადაგხდებოდათ. მე ისეთ მიყრუებულ კუთხეში ვცხოვრობ, რომ ამ ქვეყნის არაფერი ვიცი, მიამბეთ თქვენი თავგადასავალიო.

— რა უფრო გაინტერესებთ, სინიორა დიასახლისო? — ჰკითხა რომაელმა და მერე უამბო, რაც ტყეში გადახდა, როცა მძინარე ამხანაგებს დარაჯობდა. დაწვრილებით აუწერა, როგორ წაადგა თავს გოლიათი და როგორ მარჯვედ გამოასალმა წუთისოფელს.

— უყურე ამას! — წამოიძახა ფლორენციელმა. — მეც სწორედ ასეთი ამბავი შემემთხვა იმ ღამეს, როცა შენ და ნეაპოლელს გეძინათო, — და იმანაც უამბო ქალს, როგორ შეება გოლიათს.

— თქვენ რაღას გაჩუმებულხართ? თქვენ არაფერი გადაგხდათ? — ჰკითხა ნეაპოლელს დიასახლისმა. რომაელმა და ფლორენციელმა გულიანად გადაიხარხარეს.

— ჩვენი ნეაპოლელი ცოტა მხდალია. ღამე ფოთოლმა რომ გაიშრიალოს, შიშით ისე მოკურცხლავს, ერთი კვირა რომ ეძებო, ვერ იპოვიო.

— რად დასცინით ამხანაგს? — გამოექომაგა ხელმწიფის ქალი ნეაპოლელს და მერე ჩააცივდა, თქვენი თავგადასავალი მიამბეთო.

— რაკი ასე დაჟინებით მთხოვთ, გიამბობთ, — უთხრა ნეაპოლელმა და დაიწყო: — იმ ღამეს მეც გამომეცხადა გოლიათი და როგორც ჩემი ამხანაგები გაუსწორდნენ, მეც ისე გავუსწორდიო.

რომაელი და ფლორენციელი სიცილით ჩაბჟირდნენ:

— აი, ეს კი დიდებულია. გოლიათისთვის თვალი რომ მოეკრა, ხომ იქვე გააფრთხობდა შიშით სულს. კარგია ერთი, გეყოფა ბაქიაობა, აღარ შეგვიძლია მეტი, წავალთ, დავიძინებთო, — თქვეს ჯარისკაცებმა, წამოდგნენ და მართლა წავიდნენ დასაძინებლად.

ნეაპოლელი და დიასახლისი მარტო დარჩნენ. დიასახლისი უსხამდა და უსხამდა ღვინოს, კარგად რომ შეათრო ნეაპოლელი, ყველაფერი ათქმევინა, როგორ მივიდა დედაბრების ქოხთან, რა გაიგონა, როგორ გამოასალმა წუთისოფელს კუდიანები, როგორ გაწყვიტა ჯარი, მოკლა ძუ მგელი, როგორ აკოცა მზეთუნახავს და მისი ქოშიც თან წაიღო.

— ის ქოში ხომ არ დაგიკარგავთო? — ჰკითხა დიასახლისმა.

— როგორ დავკარგავდი, სულ თან დამაქვს ჯიბითო, — უპასუხა ნეაპოლელმა და ქოში უჩვენა.

ხელმწიფის ქალი ცას ეწია სიხარულით, ვიპოვე ჩემი მხსნელიო, და მანამ ასვა ღვინო ჯარისკაცს, ვიდრე მაგრად არ დაათრო. ნეაპოლელს იქვე ჩაეძინა მაგიდაზე.

ნეაპოლელს რომ დაეძინა, ხელმწიფის ქალმა მსახურს უხმო და უბრძანა:

— ასწიე ეს კაცი და შეიყვანე მისთვის გამზადებულ ოთახში. ტანთ გახადე, ლოგინში ჩააწვინე, გვერდით სკამი დაუდგი და ზედ ხელმწიფის სამოსი დაულაგეო.

დილით გაიღვიძა ნეაპოლელმა და თვალს არ დაუჯერა: დიდებულ დარბაზში იწვა, ყველგან დიბა-ატლასი და ოქრო ბრწყინავდა. წამოიწია, ტანთ ჩაიცვამო, ჯარისკაცის ტანსაცმელი არსად იყო, მის ადგილზე ხელმწიფის სამოსი ელაგა. ყურის ბიბილოზე იჩქმიტა ჯარისკაცმა, სიზმარში ხომ არა ვარო. მერე გაიფიქრა: ჩემით ვერაფერს გავიგებო, — და ზარი დარეკა. შევიდა ორი მსახური, მდაბლად დაუკრეს თავი და ჰკითხეს:

— რას გვიბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ?

ნეაპოლელმა ყურს არ დაუჯერა.

— რამ გადაგრიათ? რის უდიდებულესობა, რა უდიდებულესობა! მომეცით ჩემი ტანსაცმელი, გეყოფათ მასხარაობაო.

— დამშვიდდით, თქვენო უდიდებულესობავ! ნება მიბოძეთ, გაგპარსოთ! ნება მიბოძეთ, დაგვარცხნოთო! — ეუბნებოდნენ მსახურები.

— ჩემი ამხანაგები სად არიან, სად წაიღეთ ტანსაცმელი?

— თქვენი ამხანაგები ახლავე გეახლებიან. ამ წუთს გავაჩენთ, რასაც გვიბრძანებთ, ჯერ კი ნება გვიბოძეთ, ტანთ ჩაგაცვათო.

ნეაპოლელმა გაიფიქრა: ამათ თუ ნებაზე დავყვები, უფრო მალე მოვიშორებ თავიდანაო.

გაპარსეს მსახურებმა ნეაპოლელი, დავარცხნეს, ხელმწიფის ტანსაცმელი ჩააცვეს, მიართვეს შოკოლადი, ტორტი, კამფეტები. ისაუზმა ჯარისკაცმა და მსახურებს ჰკითხა:

— სად არიან ჩემი ამხანაგები, არ მიჩვენებთო?

— ამ წუთში თქვენო უდიდებულესობავ!

გაიღო კარი და ზღურბლზე რომაელი და ფლორენციელი შედგნენ. ხელმწიფის სამოსში გამოწყობილი ნეაპოლელი რომ დაინახეს, სახტად დარჩნენ:

— ეს როგორ გამოპრანჭულხარ, მასკარადზე ხომ არ მიდიხარო?

— მეგონა, თქვენ მაინც იცოდით, რა ამბავია ჩემს თავს! თურმე თქვენც არაფერი გცოდნიათო!

— აბა, გაიხსენე, წუხელ დიასახლისს რამე ტყუილები ხომ არ მოუჩმახეო? — ჰკითხეს ამხანაგებმა.

— არა, მგონი, ზედმეტი არაფერი მითქვამსო! — უპასუხა ნეაპოლელმა.

— მაშ, რა მოხდაო?

— მე აგიხსნით ყველაფერს, — გაისმა ამ დროს ვიღაცის ხმა და ოთახში ხელმწიფე შემოვიდა. გვერდით ძვირფას კაბაში გამოწყობილი ქალი მოყვებოდა. — ჩემი ქალი მოჯადოებული იყო. ამ ყმაწვილმა ეშმაკის გრძნეულებისაგან გაათავისუფლა და ხელმწიფემ დაწვრილებით უამბო ჯარისკაცებს, როგორ მოხდა ყველაფერი. — ახლა ამ რაინდს ჩემი ასული ცოლად უნდა შევრთო და მემკვიდრეობაც დავუმტკიცო. არც თქვენ მოგაკლებთ წყალობას, ჰერცოგობას გიბოძებთ ორივეს. თქვენ რომ ის გოლიათები არ დაგეხოცათ, ჩემი შვილი დღესაც მოჯადოებული იქნებოდაო.

იქ რომ ქორწილი გადაიხადეს, ისეთ ქორწილს ენა ვერ აღწერს და თვალი ვერ ნახავს.

რომი

<u>პ ი რ თ ე თ რ ა - ლ ო ყ ა წ ი თ ე ლ ა</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უფლისწული. ერთხელ უფლისწული მაგიდას მიუჯდა საუზმის საჭმელად. ყველს რომ ჭრიდა, თითი გაიჭრა, სისხლის წვეთი ყველს დაეცა, დახედა უფლისწულმა ყველს და დედოფალს უთხრა:

— დედი, ისეთი ქალი უნდა შევირთო, რძესავით თეთრი იყოს და სისხლივით წითელი ლოყები ჰქონდესო.

— ჩემო შვილო, რაც თეთრია, წითელი არ არის, რაც წითელია, თეთრი არ არის... წადი, ეძიე, იქნებ იპოვო ასეთი ქალიო... — უპასუხა დედოფალმა.

წავიდა უფლისწული, იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა, გზაში ერთი ქალი შემოხვდა.

— საით მიდიხარ, ჭაბუკო? — ჰკითხა ქალმა.

— ვერა, სინიორა, თქვენ ვერ გეტყვით, საით მივდივარო.

ცოტა ხნის შემდეგ უფლისწულს ბერიკაცი შემოეყარა.

— საით გაგიწევია, ჭაბუკო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— მოხუცო, ჩემზე მეტი გიცხოვრია, ჩემზე მეტი იცი, რაღა დაგიმალო, რძესავით პირთეთრ, სისხლივით ლოყაწითელ ქალს ვეძებო, — უპასუხა უფლისწულმა.

— რაც თეთრია, შვილო, წითელი არ არის, რაც წითელია, თეთრი არ არის, — უთხრა ბერიკაცმა. — აი, გამომართვი. ეს სამი ბროწეული. მიდი ნაკადულის ნაპირას, გახლიჩე და ნახავ, აქედან რა ამოვაო.

მივიდა უფლისწული ნაკადულთან, გახლიჩა ბროწეული და უცებ მის წინ მზეთუნახავი წარდგა. ქალი რძესავით თეთრი იყო და სისხლივით წითელი ლოყები ჰქონდა. ქალმა სთხოვა:

ოქროსთმიანო ბატონიშვილო,
წყალი მწყურია, უნდა მიშველო.

დაიხარა უფლისწული, ამოიღო პეშვით წყალი და მზეთუნახავს გაუწოდა. მაგრამ ქალმა უკვე სული დალია.

გახლიჩა უფლისწულმა მეორე ბროწეული, ისევ წარუდგა მზეთუნახავი და სთხოვა:

ოქროსთმიანო ბატონიშვილო,
წყალი მწყურია, უნდა მიშველო.

დაიხარა უფლისწული, ამოიღო პეშვით წყალი, გაუწოდა მზეთუნახავს, მაგრამ დააგვიანა, იმანაც სული დალია.

გახლიჩა მესამე ბროწეული, ამ ორ ქალზე უფრო მშვენიერი, დედიშობილა მზეთუნახავი წარდგა მის წინ, ახლა კი აღარ დაუცადა უფლისწულმა, ვიდრე ქალი წყალს სთხოვდა, დაიხარა, პეშვით წყალი ამოიღო და პირზე შეასხა მზეთუნახავს, გადარჩა ქალი. გაიხადა უფლისწულმა ლაბადა, მოახვია ქალს და უთხრა:

— ამ ხეზე ადი. მე წავალ, კარეტას მოვიყვან და ტანსაცმელს მოგიტან, რომ სასახლეში წაგიყვანოო.

ქალი ხეზე ავიდა, უფლისწული კი შინ გაეშურა.

ერთი საზიზღარი სარკინოზი ქალი ყოველდღე ჩამოდიოდა წყალზე. მზეთუნახავი ხეზე რომ აძვრა, მივიდა სარკინოზი, ჩადგა კოკა წყალში, დაიხარა და, რა დაინახა: წყლიდან მზეთუნახავი შემოჰყურებდა.

უცნაური რამ არის, მაკვირვებს და მაოცებს,
ლამაზი ვარ, კარგი ვარ, რად მგზავნიან წყაროზე?
გაბრაზდა სარკინოზი ქალი, დაახეთქა კოკა ქვებზე, მიამსხვრია და შინ ხელცარიელი წავიდა.
ქალბატონმა ხელცარიელი ქალი რომ დაინახა, გაუჯავრდა:
— შე საზიზღარო სარკინოზო, კოკა რა უყავი, უწყლოდ როგორ მოხვედიო.
მისცა მეორე კოკა და ისევ გაგზავნა წყალზე.
მივიდა სარკინოზი ქალი, ჩადგა კოკა წყალში, დაიხარა და დაინახა: წყლიდან მზეთუნახავი შემოჰყურებდა. გაბრაზდა სარკინოზი:
უცნაური რამ არის, მაკვირვებს და მაოცებს,
ლამაზი ვარ, კარგი ვარ, რად მგზავნიან წყაროზე?

დაახეთქა კოკა ძირს, მიამსხვრია და შინ ხელცარიელი დაბრუნდა.
გაუჯავრდა ქალბატონი სარკინოზს, მისცა მესამე კოკა და ისევ წყალზე გაგზავნა.
მივიდა სარკინოზი ნაკადულთან, ჩადგა კოკა წყალში, დაიხარა და დაინახა: წყლიდან მზეთუნახავი შემოჰყურებდა. ასწია კოკა, დაანარცხა ქვებზე და მიამსხვრია. ხეზე მჯდარი მზეთუნახავი ყველაფერს ხედავდა. მესამე კოკა რომ მიამსხვრია სარკინოზმა, სიცილი წასკდა. აიხედა ზევით სარკინოზმა და ხის ტოტზე შემომჯდარი მშვენიერი ქალი დაინახა.
— შენი გულისთვის დავამტვრიე კოკები. რა კარგი ხარ, რა მშვენიერი. ჩამოდი ძირს, თმას დაგვარცხნიო, — უთხრა სარკინოზმა მზეთუნახავს.
მზეთუნახავს არ უნდოდა ჩამოსვლა, სარკინოზი კი არ მოეშვა:
— ჩამოდი, თმას დაგვარცხნი და კიდევ უფრო დამშვენდებიო.
ჩამოვიდა მზეთუნახავი, გაუშალა თმა სარკინოზმა მზეთუნახავს, გამოაძრო თმის სარჭები და ყურში უჩხვლიტა. სისხლის ერთი წვეთი მიწაზე დაეცა, ქალმა კი იქვე სული დალია. სისხლის წვეთი მტრედად იქცა, გაშალა ფრთა და აიჭრა ცაში, სარკინოზი კი უფლისწულის ლაბადაში გაეხვია და ხეზე აძვრა.
მალე უფლისწულიც მოგრიალდა კარეტით. აიხედა ზევით და სარკინოზი ქალი კი შერჩა.
— რძესავით თეთრი იყავი, სისხლივით წითელი ლოყები გქონდა, ასე უცებ როგორ გაშავდი და დამახინჯდიო?
გონჯმა სარკინოზმა კი უპასუხა:

მზეზე ვიჯექ მწუხარებით სავსე
და ამიტომ გავირუჯე ასე.
— ხმაც გამოგცვლიაო, — გაუკვირდა უფლისწულს.

დაუბერა ჩრდილოეთის ქარმა
და რატომღაც შემიცვალა ხმა მან,
— უპასუხა სარკინოზმა.

— რა მშვენიერი იყავი, ახლა კი საზიზღარი ხარ! — უთხრა უფლისწულმა.

გვერდზე სიომ ჩამიქროლა,
სილამაზე წაიყოლა,
— უპასუხა სარკინოზმა.

ჩაისვა უფლისწულმა სარკინოზი ეტლში და სასახლეში მიიყვანა.

მას მერე, რაც უფლისწულმა სარკინოზ ქალზე ჯვარი დაიწერა, ერთი მტრედი შემოეჩვია სასახლეს. მიფრინდებოდა ყოველ დილა, შემოჯდებოდა სამზარეულოს ფანჯარაზე და მზარეულს ჰკითხავდა:

მზარეულო, მზარეულო,
გთხოვ, ტყუილი არ თქვა:
რას აკეთებს ჩვენი მეფე
იმ სარკინოზ ქალთან?
— სჭამენ, სვამენ და სძინავთო, — უპასუხებდა მზარეული.

პურის დამბალი ქერქები,
გთხოვ, დამიყარე სარკმელთან,
ღიმილიც გადმომაშუქე,
მე კი ოქროს ფრთას გაჩუქებ.

აკენკავდა მტრედი პურის ნამცეცებს, დაუტოვებდა მზარეულს ოქროს ფრთას და გაფრინდებოდა.

მზარეულმა გადაწყვიტა, უფლისწულს მოვახსენებ მტრედის ამბავსო, და მოახსენა კიდეც. ასე და ასეაო. უფლისწულმა სთხოვა:

— ხვალ მტრედი რომ მოფრინდება, დაიჭირე და მომგვარე, უნდა მოვიშინაურო.

სარკინოზი ქალი იქვე იყო დამალული, ყურს უგდებდა უფლისწულის და მზარეულის ლაპარაკს და გადაწყვიტა: რაღაც საეჭვო ამბავია, ეს მტრედი კარგს არაფერს მიქადისო.

მეორე დილით მოფრინდა მტრედი, შემოჯდა თუ არა სამზარეულოს ღია ფანჯარაზე, ეცა სარკინოზი ქალი, უჩხვლიტა შამფური და მოკლა.

მოკვდა მტრედი, სისხლის ერთი წვეთი ბაღში დაეცა, იმ ადგილზე ბროწეულის ხე ამოვიდა. ხემ ნაყოფი მოისხა, მაგრამ უბრალო ნაყოფი კი არა, მომაკვდავს რომ შეაჭმევდნენ ერთ ბროწეულს, ხელად ფეხზე დადგებოდა.

მოაწყდა ხალხი სასახლეს, დადგა რიგი, თხოულობდნენ ავადმყოფისთვის უკვდავების ხილს. გონჯი სარკინოზი ყველას ურიგებდა ბროწეულს. ბოლოს ერთი დიდი ბროწეულიღა შერჩა ხეს.

‘ამას კი ჩემთვის შევინახავო», — გადაწყვიტა ქალმა.

ამ დროს ერთი დედაბერი მოვიდა და შეეხვეწა:

— დედაშვილობას, ქმარი მიკვდება, მომეცი ბროწეულიო.

—ხომ ხედავ, ერთი ბროწეულიღა შერჩა ხეს, ჩემთვის მინდა, ამას ვერ მოგცემო, — უპასუხა სარკინოზმა.

უფლისწულმა გაიგონა, რას თხოულობდა დედაბერი და სარკინოზს უთხრა:

— ქალს ქმარი უკვდება და უარს როგორ ეუბნები, ახლავე მიეცი ბროწეულიო.

წაიღო დედაბერმა ბროწეული, მაგრამ ქმარი მკვდარი დახვდა.

— რა გაეწყობა, ამ ბროწეულს მაინც შევინახავო, — თქვა დედაბერმა.

დედაბერი ყოველ დილით საყდარში მიდიოდა. საყდრიდან რომ ბრუნდებოდა, კერძი გამზადებული დახვდებოდა ხოლმე, სახლი მილაგებული. უკვირდა, ვინ მიკეთებს საქმეს, ვინ არის ასეთი ღვთისნიერიო. რა იცოდა დედაბერმა, რომ ბროწეულიდან გამოდიოდა მშვენიერი ქალი, ალაგებდა იქაურობას, ამზადებდა კერძს, მერე ისევ ბროწეულში იმალებოდა.

ერთ დღეს დედაბერი მოძღვართან წავიდა აღსარების სათქმელად და უამბო, ვიღაც სახლს მილაგებს, კერძს მიკეთებს, ვერ გამიგია ვინ არისო.

— ხვალ დილით ჩვეულებრივად გამოდი სახლიდან, იქვე კარს უკან დაიმალე და უთვალთვალე. ხელად გაიგებ, ვინ დიასახლისობს შენს ოჯახშიო, — დაარიგა მოძღვარმა დედაბერი.

ადგა დილით დედაბერი, დაიბანა ხელ-პირი, გამოეწყო, გავიდა შინიდან და კარს ამოეფარა. უცებ ბროწეული გაიპო, გამოვიდა კალმით ნახატი ქალი და დატრიალდა. შევარდა დედაბერი, ქალმა ვერ მოასწრო ბროწეულში დამალვა.

— აქ საიდან გაჩნდიო?

— მშვიდობა შენდა, კეთილო, ქალო, ოღონდ ნუ მომკლავ და ყველაფერს გეტყვიო, — უთხრა პირთეთრამ.

— შენ მოკვლას არ ვაპირებ, მე მარტო ის მინდა გავიგო, საიდან გაჩნდი აქ, ვინა ხარ, სადაურიო, — მიუგო დედაბერმა.

— მე ბროწეულიდან გამოვედი, — უთხრა ქალმა და თავისი თავგადასავალი უამბო.

დედაბერი გლეხის ქალი იყო, გამოაწყო პირთეთრა სოფლის ქალის ტანსაცმელში და კვირა დილას საყდარში წაიყვანა წირვაზე. უფლისწულიც ესწრებოდა წირვას, დაინახა ქალი და სახტად დარჩა:

— ღმერთო დიდებულო! ეს ხომ ის ქალია, ხეზე რომ დავტოვე წყლის პირასო, — წამოიძახა გაოცებულმა.

წირვა რომ დამთავრდა, უფლისწულმა დედაბერი გააჩერა და ჰკითხა:

— ეგ ქალი ვინ არის, შენ რომ გახლავსო.

— ნუ დამღუპავო, — შეეხვეწა დედაბერი.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა უფლისწულმა, — არაფერს გავნებ, ოღონდ გამაგებინე ეგ ქალი ვინ არის, სადაურიაო.

— თქვენ რომ ბროწეული მიწყალობეთ, იმ ბროწეულიდან გამოვიდა ეს ქალიო, — მიუგო დედაბერმა.

— რაო, ესეც ბროწეულიდან გამოვიდაო? — გაუკვირდა უფლისწულს და ქალს მიუბრუნდა.:

— მითხარი, ბროწეულში როგორ მოხვდიო?

ქალმა ყველაფერი უამბო უფლისწულს.

მოჰკიდა უფლისწულმა ქალს ხელი, წაიყვანა სასახლეში, დაუძახა სარკინოზ ქალს და მის წინ გაამეორებინა პირთეთრას თავისი ამბავი. როცა პირთეთრამ სათქმელი დაამთავრა, უფლისწულმა სარკინოზს უთხრა:

— ხომ გაიგონე, რა თქვა. მე არ მინდა სიკვდილი მოგისაჯო, შენ თვითონ აირჩიე შენი საკადრისი სასჯელიო.

მიხვდა სარკინოზი, სასჯელს ვერ ასცდებოდა და უფლისწულს უთხრა:

— უბრძანეთ, კუპრი წამისვან, მოედანზე გამიყვანონ და დამწვანო.

დასწვეს სარკინოზი ქალი. უფლისწულმა პირთეთრა-ლოყაწითელაზე ჯვარი დაიწერა და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

აბრუცი

<u>მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ცამეტი ვაჟი, გაუჩნდათ კიდევ ერთი ბიჭი და მეთოთხმეტე დაარქვეს. სხვა თუ თვეობით იზრდებოდა, მეთოთხმეტე საათობით იზრდებოდა, ძალიან მალე აიყარა ტანი და დავაჟკაცდა.

ერთხელ დედამ მეთოთხმეტეს უთხრა:

— კარგს იზამ, თუ შენს ძმებს ყანის თოხნაში მიეხმარები, აიღე, შვილო, ეს კალათი და ძმებს საუზმე წაუღეო.

დაავლო ხელი მეთოთხმეტემ კალათს და წავიდა. კალათში თოთხმეტი პური, თოთხმეტი კვერი ყველი და თოთხმეტი ბოთლი ღვინო იდო. იარა, იარა მეთოთხმეტემ და მოშივდა. ჩამოჯდა გზის პირას, შეჭამა თოთხმეტი პური, შეატანა თოთხმეტი კვერი ყველი და თოთხმეტი ბოთლი ღვინო დააყოლა.

ძმები ხახამშრალები დარჩნენ, რაღას იზამდნენ, მაგრად შემოიჭირეს ქამრები და მეთოთხმეტეს უთხრეს:

— ბიჭო, ჭამაში რომ მარჯვე ხარ, აბა, შრომაში როგორ ფხას გამოიჩენ, ესეც ვნახოთ. აიღე თოხი და ხელი გაანძრიეო.

— ხელს კი გავანძრევ, ძმებო, მაგრამ ეს თოხი მე არ გამომადგება, თუ გინდათ, მხარში ამოგიდგეთ, თოთხმეტგირვანქიანი თოხი მომეცითო.

მისცეს ძმებმა თოთხმეტგირვანქიანი თოხი.

— ახლა ვნახოთ, პირველი ვინ გავა ყანის ბოლოსაო, — დაექადნა ძმებს მეთოთხმეტე.

შეუდგნენ საქმეს, მეთოთხმეტემ ხელად უკან ჩამოიტოვა ძმები და პირველი გავიდა ყანის ბოლოს.

იმ დღიდან მოყოლებული მეთოთხმეტე ძმებთან ერთად მუშაობდა ყანაში. თოთხმეტი კაცის საქმესაც აკეთებდა და თოთხმეტი კაცის არჩივსაც ჭამდა.

დაიმშნენ ძმები, ისე გახდნენ, ისე ჩამოხმენ, რომ ყბა ყბაზე გაეკრათ.

დაღონდნენ მშობლები და მეთოთხმეტეს უთხრეს:

— წადი, შვილო, ქვეყანა მოიარე, გაიხედ-გამოიხედე, ნახე, ხალხი როგორ ცხოვრობსო.

გამოემშვიდობა მეთოთხმეტე დედ-მამას და ძმებს, გაუდგა გზას. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ სოფელში მივიდა. იმ სოფელში ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა, გაიგო მეთოთხმეტემ, რომ იმ მდიდარ კაცს თხუთმეტი მუშა სჭირდებოდა ყანის გასათოხნად. მივიდა და უთხრა:

— მე თოთხმეტი კაცის საქმეს ვაკეთებ, თოთხმეტი კაცის სამყოფს ვჭამ, გასამრჯელოც თოთხმეტი კაცის მომეცი და ყანას გაგითოხნიო.

ეს ბიჭი უნდა გამოვცადო, მართლა ასეთი ყოჩაღია, თუ იკვეხნისო, —გაიფიქრა კაცმა. ერთ მუშას კიდევ გაურიგდა და ყანაში წავიდნენ. მეორე მუშა ერთხელ რომ დაჰკრავდა თოხს, მეთოთხმეტე თოთხმეტჯერ დაჰკრავდა. ხელად გათოხნა ყანა.

ამ ბიჭს თოთხმეტი კაცის გასამრჯელო როგორ მივცეო, — დაენანა ყანის პატრონს და გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებია მეთოთხმეტე.

— ერთი საქმე კიდევ უნდა გამიკეთო. აი, მანდ შვიდი ხარი დგას, თოთხმეტი ტომარა აქვთ გადაკიდებული. გაირეკე ეგ ხარები, ჩადი ჯოჯოხეთში, ლუციფერს ეახელი, ტომრები ოქროთი გაავსე და მომიტანეო, — უთხრა ყანის პატრონმა მეთოთხმეტეს.

— კეთილი და პატიოსანი, — უპასუხა მეთოთხმეტემ, — ოღონდ თოთხმეტგირვანქიანი მარწუხი უნდა მომცეო.

მისცა მდიდარმა თოთხმეტგირვანქიანი მარწუხი, გადაუჭირა მეთოთხმეტემ ხარებს სახრე და ჯოჯოხეთში წავიდა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა, ჯოჯოხეთის კარს მიადგა და დააკაკუნა. გამოიხედეს სადარაჯოზე მდგარმა ეშმაკებმა.

— მე თვით ლუციფერთან მაქვს საქმეო, — შეუყვირა ეშმაკებს მეთოთხმეტემ.

— ვინა ხარ, რა საქმე გაქვს ჩვენს მბრძანებელთანო? — ჰკითხეს ეშმაკებმა.

მეთოთხმეტემ მდიდარი კაცის წერილი გაუწოდა ეშმაკებს, კაცი სწერდა, თოთხმეტი ტომარა ოქრო გამომიგზავნეო.

— კარგი, შემოდიო, — უთხრეს ეშმაკებმა.

შეაღო მეთოთხმეტემ ჯოჯოხეთის კარი, ეძგერა კბილებდახრჭენილი თოთხმეტი ეშმაკი, შეიქნა ბრძოლა, მაგრამ რას დააკლებდნენ მეთოთხმეტეს. ეცა ერთს თავისი მარწუხით, ამოგლიჯა ენა, ეცა მორეს, ამოგლიჯა ენა, მერე _ მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს და მალე ყველა საიქიოს გაისტუმრა. ეშმაკების უფროსი ლუციფერიღა დარჩა.

— ეს რა ჰქენი, სულ რჩეული ეშმაკები დამიხოცე. ახლა როგორ გაგივსო ტომრები ოქროთიო? — ღრიალებდა ლუციფერი.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, მე თვითონ კარგად მოვაბამ ამ საქმეს თავსო, — უპასუხა მეთოთხმეტემ, დატრიალდა, ხელად გაავსო თოთხმეტი ტომარა ოქროთი, გადაჰკიდა ხარებს და ლუციფერს მიუბრუნდა:

— კარგად ბრძანდებოდე, მივდივარო.

— ვერსადაც ვერ წახვალო! — დაიღრიალა ლუციფერმა, დააღო პირი და, ის იყო, უნდა გადაეყლაპა მეთოთხმეტე, რომ მეთოთხმეტემ თავისი მარწუხი ჩაავლო წითელ ენაში, ასწია, მხარზე მოიგდო ლუციფერი, გადაუჭირა ხარებს სახრე და გაირეკა. მივიდა მდიდარი კაცის სახლში, შეათრია ლუციფერი სამზარეულოში და მაგიდის ფეხზე მიაბა.

— მეთოთხმეტევ, რაც გინდა მთხოვე, ოღონდ ისევ ჯოჯოხეთში გამიშვიო! — შეეხვეწა ლუციფერი.

მეთოთხმეტემ ჩაიცინა:

— კარგი, წაიყვანე ჩემი პატრონი და აქედან დაიკარგეო.

ასე დარჩა მეთოთხმეტეს მდიდარი კაცის სახლ-კარი, საქონელი და ოქროთი სავსე ტომრები.

მარკე

<u>კუზიანი, კოჭლი და კისერმოღრეცილი</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ხელმწიფეს ძალიან უყვარდა სეირნობა. გავიდოდა ქუჩაში, ხან გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა, ხან მერცხლებს შეჰყურებდა, ხან კი სხვის ფანჯრებში იცქირებოდა. ერთხელ ხელმწიფეს გზაზე დედაბერი შემოეყარა. ქალი სადღაც მიიჩქაროდა თავის საქმეზე და ხელმწიფე ყურადღებას არც კი მიაქცევდა, ძალიან მახინჯი რომ არ ყოფილიყო. დედაბერი კოჭლიც იყო, კუზიანიც და კისერმოღრეცილიც.

— კუზიანი, კოჭლი და კისერმოღრეცილი ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — გადაიხარხარა ხელმწიფემ.

ის გონჯი დედაბერი, თურმე ფერია არ იყო! მიუბრუნდა ხელმწიფეს, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— იცინე, იცინე, ხელმწიფევ, ვნახოთ, ხვალ როგორ გაიცინებო.

ხელმწიფე მთლად ჩაბჟირდა სიცილით.

ხელმწიფეს სამი ქალი ჰყავდა, სამივე მზეთუნახავი. მეორე დილით ვიდრე სასეირნოდ წავიდოდა, შვილებს დაუძახა. ჯერ უფროსი ქალი ეახლა. ქალს ერთ ღამეში კუზი ამოზრდოდა.

— კუზი?! — გაოცდა ხელმწიფე. — საიდან გაგიჩნდა კუზიო?

— ეჰ, მამა, მოახლეს ლოგინი კარგად არ აუპენტია და კუზი ამომივიდაო, — შესჩივლა ქალმა მამას.

შეწუხდა ხელმწიფე, ბოლთას სცემდა ოთახში გამწარებული. შუათანა ქალი მოვიდესო, ბრძანა. ეახლა შუათანა ქალი, შეხედა ხელმწიფემ: ქალს კისერი მოღრეცოდა.

— შენ რაღა დაგემართა, კისერი რამ მოგიღრიცაო? — წამოიძახა ხელმწიფემ.

— რა ვიცი, მამა, მოახლე მვარცხნიდა, მაგრად ჩამომწია თმა და კისერი მომეღრიცაო, — უპასუხა ქალმა.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, უმცროსი ქალი შემოვიდა. საწყალი საცოდავად მოჩლახუნობდა.

— რა მოხდა! რატომ კოჭლობო? — შეჰყვირა ხელმწიფემ.

— ამ დილით ბაღში გავედი. მოახლემ ჟასმინი მოწყვიტა და გადმომიგდო. ყვავილი ფეხზე დამეცა და დავკოჭლდიო, — უპასუხა უმცროსმა ქალმა.

— ვინ არის ის ბრიყვი, ახლავე აქ მომგვარეთო! — გაცეცხლდა ხელმწიფე.

უხმეს მოახლეს, მაგრამ ვერაფრით ვერ შეიყვანეს ხელმწიფესთან. კუზიანიც ვარ, კოჭლიც და კისერმოღრეცილიც, მრცხვენიაო, იძახდა. ბოლოს პოლიციელები გაგზავნეს ქალის მოსაყვანად. პოლიციელებმა ძალით შეათრიეს მოახლე ხელმწიფის დარბაზში. შეხედა ხელმწიფემ მოახლეს და გაშრა. სწორედ ის დედაბერი იდგა მის წინ, რომელსაც წინადღით დასცინა.

— ახლავე გაიყვანეთ ეს ქალი და კუპრი წაუსვითო! — ბრძანა ხელმწიფემ.

მაგრამ დედაბერი უცებ დაპატარავდა, თავი მიხაკის ოდენა გაუხდა, გაილია, კედელში პატარა ხვრელი იყო, შეძვრა იმ ხვრელში და გაქრა.

გაქრა დედაბერი, მაგრამ მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩა. აბა, რა დაავიწყებდათ დედაბერს, ვიდრე ხელმწიფის კუზიანი, კოჭლი და კისერმოღრეცილი ქალები ცოცხლობდნენ.

აბრუცი

<u>კ ა ტ ი ს კ ნ უ ტ ე ბ ი</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაკაცი. ღვიძლი შვილიც ჰყავდა იმ ქალს და გერიც. გერი ისე ეჯავრებოდა, რომ შრომაში დღე და ღამეს ასწორებინებდა, სულსა ჰხდიდა.

ერთხელ დედინაცვალმა გერი ვარდკაჭაჭას დასაკრეფად გაგზავნა. წავიდა გოგო, იარა, იარა, ვერსად ნახა ვარდკაჭაჭა, ერთი დიდი თავი ყვავილოვანი კომბოსტო დაინახა, ამას მაინც ამოვგლეჯო, თქვა და მოეჭიდა. ეწეოდა, ეწეოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძლივძლივობით ამოგლიჯა. ამოგლიჯა და დაინახა, რომ კომბოსტოს ძირში ჭა იყო, ჭაში კიბე ჩადიოდა.

ჩაჰყვა კიბეს გოგო და უცებ კატის კნუტებით სავსე სახლში ამოყო თავი. კნუტები გაცხარებულ მუშაობაში იყვნენ: ერთი სარეცხს რეცხავდა, მეორეს წყალი მოჰქონდა, მესამე კერავდა, მეოთხე ჭურჭელს რეცხავდა, მეხუთე ცომს ზელდა... ისე მარჯვედ, ისე ცქვიტად და ხალისიანად ტრიალებდნენ კნუტები, რომ გოგო სახტად დარჩა. მერე ერთ კნუტს ცოცხი გამოართვა, ოთახი დაგავა, მეორეს სარეცხის რეცხვაში მიეშველა, მესამეს ჭიდან წყალი ამოაღებინა, მეოთხეს ღუმელში ფუნთუშების შეწყობა უშველა.

შუადღე რომ მოახლოვდა, მობრძანდა დედა კატა და ზარი დარეკა:

დილინ-დონ და დილინ-დონ!

ჩემი გულის გასახარად,
ფისუნებო, პატარებო,
შინისაკენ ჩქარა, ჩქარა!
ვინც იშრომა, — მან მიირთვას სადილი,
ზარმაცისთვის აღარა მაქვს ადგილი.

— დედი, ყველამ ვიმუშავეთ, ამ გოგომ კი ჩვენზე მეტი საქმე გააკეთაო, _ უთხრეს კნუტებმა დედას.

— აი, ყოჩაღ. ახლა დაჯექი და ჩვენთან ერთად ისადილეო, — მიიწვია კატამ გოგო სუფრასთან.

მიუსხდნენ მაგიდას. კატამ გოგოს შემწვარი წიწილა, შემწვარი ხორცი და მაკარონი მიართვა. თავის კნუტებს კი მარტო ლობიო დაუდგა წინ. გოგოს შეეცოდა კნუტები და ყველას გაუნაწილა შემწვარი ხორცი და წიწილა.

სადილის შემდეგ გოგომ სუფრა აალაგა, ჭურჭელი დარეცხა, ოთახი დაგავა, ყველაფერი მიალაგ-მოალაგა და კატას უთხრა:

— მადლობელი ვარ, სინიორა კატავ, ახლა კი შინ წავალ, თორემ დედინაცვალი შავ დღეს დამაყრისო.

— მოიცა, შვილო, საჩუქარს მოგცემო, — უთხრა კატამ გოგოს.

კატებს საკუჭნაო ჰქონდათ. ერთ კუთხეში სულ აბრეშუმის კაბები, ხავერდის ფეხსაცმელები ეწყო, მეორე კუთხეში კი შინნაქსოვი ტილოს კაბები, წინსაფრები, ჩითის მოსახვევები და მეშის ფეხსაცმელები.

კატამ გოგო საკუჭნაოში შეიყვანა და უთხრა:

— ამოირჩიე, შვილო, რაც გინდაო.

გოგოს ახალი კაბა და ფეხსაცმელი თავის დღეში არა სცმია, მისი დღე და მოსწრება სულ დაკონკილი კაბა ეცვა და ფეხშიშველი დადიოდა. ამიტომ უთხრა კატას:

— შინნაქსოვ ტილოს კაბას, მეშის ფეხსაცმელს და ჩითის მოსახვევს წავიღებ, თუ მიბოძებთო.

— არაო, — უპასუხა კატამ, — შენ რომ ჩემი კნუტები შეგეცოდა და საქმეში ხელი შეაშველე, კარგად უნდა დაგასაჩუქროო.

ამოარჩია აბრეშუმის ძვირფასი კაბა, რბილი ტყავის ფეხსაცმელი, ყველაზე ლამაზი მოსახვევი, გამოაწყო გოგონა და უთხრა:

— გარეთ რომ გახვალ, კედელში ხვრელებს დაინახავ. შეყავი იმ ხვრელებში თითები და მერე თავი მაღლა ასწიეო.

შეყო გოგომ თითები ხვრელებში, მერე უკან გამოიღო. თითებზე სულ ძვირფასი ბეჭდები წამოეცვა. ასწია თავი და შუბლზე ვარსკვლავი დაეცა. შინ ისე კოხტად გამოწყობილი და გაბრწყინებული დაბრუნდა, დედოფალს ჰგავდა.

— ვინ მოგცა ასეთი ძვირფასი ტანსაცმელი და სამკაულებიო? — ჰკითხა დედინაცვალმა.

— კატების ოჯახში მოვხვდი, კნუტებს საქმეში ხელი შევაშველე და იმათ დამასაჩუქრესო, — უპასუხა დედინაცვალს გოგომ და დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

ვეღარ მოისვენა დედინაცვალმა, ერთი სული ჰქონდა, ვიდრე კატების სახლში თავის შვილს გაგზავნიდა.

ინათა თუ არა, წამოაგდო შვილი ლოგინიდან.

— წადი, შვილო, კატების სახლში და შენც ისე დაგასაჩუქრებენ, როგორც შენი და დაასაჩუქრესო, — უთხრა შვილს.

— არ მინდა, არსადაც არ წავალ, მეძინება: გარეთ ცივა, ღუმელთან მირჩევნია ჯდომაო, — აწუწუნდა ზარმაცი.

გაბრაზდა დედა, წამოავლო ჯოხს ხელი და შვილი შინიდან გააგდო.

წაჩანჩალდა ზარმაცი მინდვრისკენ, იპოვა ყვავილოვანი კომბოსტო, ამოგლიჯა, ჩაჰყვა კიბეს, შევიდა კატების სახლში და კნუტებს დაერია. ერთი კუდით დაითრია, მეორეს ყურები დააგლიჯა, მესამეს ულვაში დააწიწკნა, მეოთხეს ნემსი გაუტეხა, მეხუთეს სათლი ჭაში ჩაუგდო. მთელი დილა აწვალებდა კნუტებს. ისე კნაოდნენ ის საცოდავები, ისე კნაოდნენ, რომ მათი ცოდვით ქვა ატირდებოდა.

შუადღე რომ მოახლოვდა, დედა კატა მობრძანდა და ზარი დარეკა:

დილინ-დონ და დილინ-დონ!
ჩემი გულის გასახარად,
ფისუნებო, პატარებო,
შინისაკენ ჩქარა, ჩქარა!
ვინც იშრომა — მან მირთვას სადილი,
ზარმაცისთვის აღარა მაქვს ადგილი.

— დედა, ჩვენ ვმუშაობდით, მოვიდა ეს გოგო და შავი დღე დაგვაყარა. ვინ კუდით დაგვითრია, ვის ყურები დაგვაგლიჯა, ვის ულვაში დაგვაწიწკნა, მთელი დილა გვაწვალებდაო, — შესჩივლეს კნუტებმა დედას.

— უყურე ამას! ხედავ რა მომხდარა! — ჩაილაპარაკა დედა კატამ. — კარგით, შვილებო, მოდით და ისადილეთო.

გოგოს ძმარში დამბალი ქერის პური დაუდო წინ, თავის კნუტებს კი ხორციანი მაკარონი. გოგო კნუტებს თეფშიდან სტაცებდა ხორციან მაკარონს. მერე ადგა, არც სუფრა აალაგა, არც ოთახი დაგავა, არც ჭურჭელი დარეცხა, მიუბრუნდა კატას და უთხრა:

— ახლა მეც მომეცით, რაც ჩემს დას უბოძეთო.

შეიყვანა კატამ ზარმაცი საკუჭნაოში და ჰკითხა, რა გინდაო.

— ყველაზე ლამაზი, ყველაზე ძვირფასი კაბა მინდა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიო.

— არაო, — უთხრა კატამ. — აი, ეს დალაქავებული და დასვრილი შინნაქსოვი ტილოს კაბა ჩაიცვი და ეს დაგლეჯილი, ლურსმნებამოჩრილი ფეხსაცმელიო, — მერე დაფხრეწილი ხილაბანდი მოახვია და გარეთ გააგდო.

— ემანდ კედელში ხვრელებია, შეყავი თითები შიგ და მერე თავი მაღლა ასწიეო, — უთხრა ზარმაცს.

მივიდა ზარმაცი კედელთან, შეყო თითები ხვრელებში და უცებ მატლები დაეხვია. იგლეჯდა მატლებს, იგლეჯდა, მაგრამ რაც მეტს იგლეჯდა, მით უფ-

რო მაგრად ეწებებოდნენ. ასწია გოგომ თავი, დაეცა ტუჩზე წურბელა, ისე მიეწება, ვერაფრით ვერ მოიწყვიტა. ადგა და ჩაკვნიტა წურბელა. მთელი გზა კვნეტდა და კვნეტდა.

მივიდა ზარმაცი შინ. საშინელი სანახავი იყო. დაინახა დედამ, როგორც შეემკოთ მისი შვილი და ჯავრისაგან თქვენი ჭირი წაიღო.

მალე ზარმაციც მიჰყვა დედას. აბა, რა სიკეთეს დააყრიდა წურბელის კვნეტა. კეთილი, გამრჯე გოგო კი მშვენიერ ჭაბუკს გაჰყვა ცოლად და ბედნიერად ცხოვრობდა.

მარკე

ხელმწიფის ქალების ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ოთხი შვილი: სამი ქალი და ერთი ვაჟი. დაბერდა ხელმწიფე, იგრძნო სიკვდილის მოახლოება, მოიხმო ვაჟი და უთხრა:

— ვკვდები, შვილო, და მინდა ჩემი უკანასკნელი სურვილი შეასრულო. როცა შენს დებს გათხოვების დრო დაუდგება, პირველ ბედს ნუ დაუკარგავ. გადი აივანზე და, ვისაც კი თვალს მოჰკრავ, თავადი იქნება, ხელოსანი, თუ უბრალო გლეხი, უბრძანე, შენი და ცოლად შეირთოსო.

გამოხდა ხანი, დადგა უფროსი ქალის გათხოვების დრო. გავიდა ჭაბუკი ხელმწიფე აივანზე, გაიხედა: ფეხშიშველი მაწანწალა მოდიოდა.

— ჰეი, მეგობარო, ერთი წუთი მოიცადეო! — დაუძახა ხელმწიფემ მაწანწალას.

— რით შემიძლია ვემსახურო თქვენს მეფურ უდიდებულესობას? — ჰკითხა მაწანწალამ. — ნება მიბოძეთ ჩემი გზით წავიდე, თორემ ღორები უჭმელი მყავს, ძალიან მეჩქარებაო.

— მოდი აქ, საქმე მაქვს შენთან. ჩემი უფროსი და ცოლად უნდა გაგატანოო, — უთხრა ხელმწიფემ.

— რად დამცინით, თქვენო უდიდებულესობავ, სად მე, სად თქვენი და? ერთი ღარიბი მეღორე ვარ! — უპასუხა გამვლელმა.

— ასეა თუ ისე, ჩემი და მაინც უნდა შეირთო ცოლად. ასეთია მამაჩემის უკანასკნელი ნებაო, — უთხრა ხელმწიფემ.

დაიწერა მეღორემ ხელმწიფის ქალზე ჯვარი და წაიყვანა.

დადგა შუათანა დის გათხოვების დრო. გავიდა ჭაბუკი ხელმწიფე აივანზე და პირველ გამვლელს დაუძახა.

— მეჩქარება, თქვენო უდიდებულესობავ, კაკანათები მაქვს დადგმული, უნდა მივხედო, ვინ იცის, იქნებ ფრინველი უკვე გაებაო, — უპასუხა გამვლელმა.

— მაგას მერეც მოასწრებ, ჯერ აქ მოდი, სიტყვა მაქვს სათქმელიო!

მივიდა მონადირე ხელმწიფესთან.

— ჩემი და ცოლად უნდა შეირთოო, — უთხრა ხელმწიფემ.

— ერთი საწყალი მონადირე ვარ, სად მე და სად თქვენი და? არ გახლავართ თქვენი მოყვრობის ღირსიო, — უპასუხა მონადირემ.

— ასე ბრძანა მამაჩემმა, მე მის ნებას ვასრულებო!

დაიწერა ჯვარი მონადირემ ხელმწიფის შუათანა ქალზე და სასახლიდან წაიყვანა.

დადგა უმცროსი ქალის გათხოვების დროც. გავიდა ხელმწიფე აივანზე. გაიხედა: გზაზე მესაფლავე მოდის. ხელმწიფეს ძალიან უყვარდა უმცროსი და, გული ეტკინა, მესაფლავეს როგორ გავატანოო, მაგრამ მამის ნებას ვერ გადავიდოდა და მიათხოვა.

დარჩა ახალგაზრდა ხელმწიფე მარტოდმარტო უზარმაზარ სასახლეში და მოიწყინა: ‘მოდი, მეც ჩემი დებივით ოჯახს მოვეკიდები, რა მიშლის ხელს, რატომ ცოლს არ შევირთავ», — გაიფიქრა ჭაბუკმა. გავიდა აივანზე, გაიხედა: სასახლის წინ აჩქარებით მიდის მრეცხავი დედაბერი.

— ჰეი, დედი! მოიცადე ერთი წუთიო! — დაუძახა ხელ- მწიფემ.

— რა გინდაო? — შემობრუნდა დედაბერი.

— აქ მოდი, ერთ მნიშვნელოვან საქმეზე უნდა მოგელაპარაკოო.

— ნეტა ისეთი რა საქმე გაგიჩნდა? აი, საქმე მე მაქვს: წყალზე მიმეჩქარება, თეთრეული მაქვს გასავლებიო, — უპასუხა დედაბერმა.

— ახლავე აქ მოდი, გიბრძანებო!

მაგრამ დედაბერმა ხელმწიფის ბრძანება აინუნში არ ჩააგდო, ზურგი შეაქცია ჭაბუკს და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— თუ ვაჟკაცი ხარ, წადი და მზეთუნახავი ფიორიტა იპოვეო.

წავიდა დედაბერი. ხელმწიფე უცებ ცუდად გახდა, ისე აკანკალდა, რომ მოაჯირს მოეჭიდა, არ წავიქცეო. რაღაც საშინელი ნაღველი შემოაწვა. ჩემი დები ხომ არ მომენატრაო, — გაიფიქრა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ სულ სხვა რამ აწუხებდა. თურმე მზეთუნახავი ფიორიტა ჩაუვარდა გულში. წავალ, ქვეყანას მოვივლი, სანამ მშვენიერ ფიორიტას არ ვიპოვი, უკან არ მოვიხედავო, — გადაწყვიტა ხელმწიფემ და გზას გაუდგა.

იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა, მაგრამ მზეთუნახავი ფიორიტა ვერსად ნახა, ვერც მისი ასავალ-დასავალი გაიგო. სამი წელი კი დაილია მის ძებნაში. ერთხელ ხელმწიფემ მინდორზე ღორების კოლტი დაინახა, გაიარა ცოტა კიდევ, ახლა სხვა კოლტი მოდის, ზღვასავით მოდებოდა იქაურობას უთვალავი ღორი, შეერია ხელმწიფე კოლტში, იარა, იარა, და ერთ საუცხოო სასახლეს მიადგა. დააკაკუნა ჭიშკარზე.

— ჰეი, მასპინძელო! ღამე გამათევინეთ მოგზაურსო, — დაიძახა.

უცებ ჭიშკარი გაიღო, დიასახლისი გამობრძანდა, შეხედა ხელმწიფეს და კისერზე შემოეჭდო.

— ძმაო, ძმაო! — იძახდა ქალი.

ხელმწიფემ იცნო თავისი უფროსი და, ღორის მწყემსს რომ მიათხოვა.

— ჩემო დაო! — შესძახა გახარებულმა.

მალე სიძეც დაბრუნდა. მაწანწალა აღარ იყო, ნამდვილი დიდებულივით გამოწყობილიყო. დამ და სიძემ ხელმწიფეს თავისი მშვენიერი სასახლე დაათვალიერებინეს და უმცროსი დების ამბავიც უამბეს. ისინი ჩვენზე უკეთ ცხოვრობენო.

ხელმწიფემ დას და სიძეს გაუმხილა თავისი დარდი:

— მზეთუნახავ ფიორიტას ვეძებო.

— მშვენიერ ფიორიტაზე არაფერი გაგვიგიაო, — უპასუხა უფროსმა დამ, — იქნებ უმცროს დებს ჰქონდეთ რამე გაგონილი, წადი, მოინახულე და ამბავიც გამოჰკითხეო.

— თუ როდისმე გაგიჭირდეს, — უთხრა სიძემ, ოდესღაც უბრალო მეღორე რომ იყო, — აი, ეს სამი ღერი ღორის ჯაგარი ძირს დაყარე, და რა ხიფათიც უნდა გელოდეს, გადარჩებიო.

წავიდა ხელმწიფე. იარა, იარა და ერთ უღრან ტყეში შევიდა. იმდენი ფრინველი იყო ტყეში, იმდენი, ცა დაეფარათ, ხეებზე ახუნძლულიყვნენ, დაფრინავდნენ, ჟღურტულებდნენ, იქაურობას იკლებდნენ, შუაგულ ტყეში კი ისეთი სასახლე იდგა, რომ უფროსი დის სახლი სახსენებელიც არ იყო იმასთან. იქ ცხოვრობდა ხელმწიფის შუათანა და. ღატაკი მონადირე გამდიდრებულიყო და დოვლათით ავსილიყო.

მივიდა ხელმწიფე დასთან და სიძესთან, გაუმხილა თავისი დარდი, მაგრამ დამ და სიძემ მზეთუნახავ ფიორიტაზე არაფერი იცოდნენ. უმცროს დასთან წადი, იქნებ იმან იცოდეს რამეო.

გამომშვიდობებისას სიძემ ხელმწიფეს ჩიტის სამი ფრთა მისცა და უთხრა: როგორც კი ძირს დაყრი ამ ფრთებს, რა გასაჭირიც უნდა გადგეს, გიხსნისო.

გაუდგა გზას ხელმწიფე, რაც მეტს მიიწევდა წინ, მით უფრო მეტი საფლავები ხვდებოდა. მთელი მიდამო ჯვრებით იყო დაფარული. ბოლოს, როგორც იყო, მიაღწია თავისი საყვარელი უმცროსი დის სასახლეს. უმცროს დას უფრო მდიდრული და ლამაზი სასახლე ედგა.

— მე ვიცი, რომელ ქალაქში ცხოვრობს ფიორიტა, — უთხრა უმცროსმა დამ ხელმწიფეს, — შენ ჯერ ერთ საწყალ დედაბერს უნდა მიაკითხო. ოდესღაც გაჭირვებაში ხელი გავუმართე, დიდი მადლიერია ჩემი, მიდი იმასთან, რითაც შეიძლებს დაგეხმარებაო.

სიძემ კი გამომშვიდობებისას ადამიანის ძვალი მისცა ხელმწიფეს და უთხრა:

— თუ როდისმე გაგიჭირდეს, ეს ძვალი ძირს დაანარცხე და ყოველგვარი საფრთხისაგან გიხსნისო.

მივიდა ჭაბუკი ხელმწიფე იმ ქვეყანაში, სადაც მზეთუნახავი ფიორიტა ცხოვრობდა. იპოვა უმცროსი დის ნაცნობი დედაბრის სახლი. დედაბერმა რომ გაიგო, ვინ ეწვია, სიხარულით მიიღო და დააბინავა. თურმე ფიორიტას მამაც ხელმწიფე იყო. დედაბრის სახლის ფანჯარა პირდაპირ გასცქეროდა ფიორიტას სასახლის აივანს და ამ ფანჯრიდან ხელმწიფეს შეეძლო ფიორიტას მზერით დამტკბარიყო. ფიორიტა გარიჟრაჟზე დგებოდა და მოსასხამში გახვეული აი-

ვანზე გამოდიოდა. ერთ დილას ფიორიტა აივანზე გამოვიდა, დაინახა ხელმწიფემ და ისე მოიხიბლა, ისე გაოგნდა მისი სილამაზით, დედაბერს ხელი რომ არ ეტაცნა, ალბათ ფანჯრიდან გადავარდებოდა და დაიმტვრეოდა.

— ფიორიტას თხოვა არც იფიქრო, შვილო. მამამისი ერთი ღვთისრისხვა კაცია. ვინც კი ქალის თხოვნა გაუბედა, სამი დავალება მისცა. ვერავინ შეძლო იმ დავალებების შესრულება და ყველას თავი წააგდებინაო, — უთხრა დედაბერმა ხელმწიფეს.

ხელმწიფე არ შეშინდა, მივიდა ფიორიტას მამასთან და უთხრა, თქვენი ასული მომათხოვეთო.

ხელმწიფემ ჭაბუკი ვაშლითა და მსხლით სავსე ერთ დიდ სარდაფში ჩააკეტინა და უთხრა:

— შეჭამ დილამდე ამ ხილს, ხომ კარგი, არადა, თავს მოგჭრითო.

მარტო რომ დარჩა ხელმწიფე, მეღორე სიძის საჩუქარი გაახსენდა, ამოიღო ჯაგარი, დაყარა ძირს თუ არა, იმ წუთს სარდაფის ყოველი კუთხიდან გაისმა ღორების ღრუტუნი. თვალისდახამხამებაში შეთქვლიფეს მთელი ხილი და სარდაფი მოაცარიელეს.

— ბარაქალა, — მოუწონა დილით ფიორიტას მამამ, — ერთ დავალებას კიდევ მოგცემ. ქორწილის ღამეს ტკბილად მომღერალი ჩიტების გალობით უნდა დააძინო ჩემი ქალი. ვერ შეასრულებ ამ დავალებას და თავს მოგკვეთავო.

გაახსენდა ხელმწიფეს მონადირე სიძის საჩუქარი, ამოიღო ჯიბიდან ფრთები, დაყარა ძირს. წამოვიდა და წამოვიდა ათასნაირი ჭრელ-ჭრელი ჩიტი, შემოსხდნენ ხეებზე, სახლის სახურავზე, საყდრის ზარებზე და ისე იწყეს გალობა, რომ ფიორიტას ტკბილად ჩაეძინა.

— ძალიან კარგი. რაკი იქორწილე, ხვალ დილითვე შვილი უნდა გაგიჩნდეთ. ბალღმა ხვალვე ‘დედა, მამა» უნდა თქვას, თორემ თავს მოგკვეთავო, — უთხრა ფიორიტას მამამ ხელმწიფეს.

— ხვალამდე დიდი დროა! — უპასუხა ხელმწიფემ, ღამე მშვიდობისა უსურვა სიმამრს და მზეთუნახავ ფიორიტას საწოლ ოთახში შევიდა.

მეორე დილას ჭაბუკმა ხელმწიფემ მესაფლავე სიძის საჩუქარი ამოიღო, დაანარცხა ძირს და უცებ ძვალი მშვენიერ ბავშვად იქცა. ბავშვს ოქროს ვაშლი ეჭირა ხელში და ტიტინებდა: ‘დედა, მამა».

როცა ფიორიტას მამა შვილის საწოლ ოთახში შევიდა, ბავშვი მუხლებზე შეაღოღდა, კალთაში ჩაუჯდა და გვირგვინს წაეტანა, უნდოდა ოქროს ვაშლი წამოეცვა ზედ. აკოცა შვილიშვილს ხელმწიფემ, დალოცა ახალგაზრდები, მოიხსნა გვირგვინი და სიძეს დაადგა თავზე. ჭაბუკი ორი სახელმწიფოს მბრძანებელი გახდა.

მერე დიდებული ქორწილი გადაიხადეს. ქორწილში მეღორე, მონადირე და მესაფლავე ცოლებიანად ჩამოვიდნენ.

პალერმო

ბრძენი კატერინა

პატივცემულო სინიორებო, მინდა გიამბოთ ერთი მდიდარი ვაჭრისა და მისი ქალის ამბავი. ის ვაჭარი ოდესღაც პალერმოში ცხოვრობდა და თურმე ისეთი გოგო ჰყავდა, ძუძუს მოწყვიტეს თუ არა, იმ დღიდან უკვე საზრიანად და გონივრულად მსჯელობდა ყველაფერზე, რასაც კი ხედავდა და ესმოდა. ასეთი ჭკვიანი რომ იყო, მამამ 'ბრძენი კატერინა» შეარქვა. კატერინასთანა ნაკითხსა და განათლებულ ქალს იმ ქვეყანაში მეორეს ვერ ნახავდით.

თექვსმეტი წლის რომ შესრულდა, დედა გარდაეცვალა. ისე წუხდა, ისე დარდობდა დედის დაკარგვას, რომ თავის ოთახში ჩაიკეტა, გარეთ აღარ გამოდიოდა. მისთვის აღარც თეატრი იყო, არც სეირნობა და სხვა რამ გასართობი.

დაღონდა ვაჭარი, აღარ იცოდა, როგორ ენუგეშებინა შვილი. იფიქრა, იფიქრა, რა ვიღონოო და ბოლოს გადაწყვიტა, ჭკვიან ხალხს ვკითხავ რჩევასო. ადგა და პალერმოელი წარჩინებული სინიორები მოიწვია (მართალია, ვაჭარი იყო, მაგრამ დიდებულებთან მეგობრობდა). შეიკრიბნენ დიდებულები და ვაჭარმა შესჩივლა მათ: — სინიორებო! ყველამ კარგად იცით, რომ ჩემს ერთადერთ ქალს თვალისჩინივით ვუფრთხილდები. მას მერე, რაც დედა გარდაეცვალა, კატერინა დარდით აღარ არის, ჩაიკეტა თავის ოთახში და გარეთ ცხვირს აღარ ჰყოფს. მეშინია, ჯავრს არ გადაჰყვესო.

— მთელმა ქვეყანამ იცის, როგორი ბრძენი ქალიც გყავთ. გახსენით სკოლა, ასწავლოს ახალგაზრდებს, იქნებ ამას გადაყოლოს გულიო, — ურჩიეს ვაჭარს დიდებულებმა.

— კარგი აზრია, — თქვა ვაჭარმა და შვილს დაუძახა: — ყური მიგდე, შვილო, ვხედავ, დარდით აღარ ხარ, არანაირი გასართობი არ გიტაცებს. რას იტყვი, სკოლა რომ გავხსნათ და ახალგაზრდებს ასწავლოო?

კატერინას მოეწონა მამის გადაწყვეტილება. მალე გახსნეს სკოლა და ქალი საქმეს შეუდგა. სკოლის კარზე ასეთი აბრა გააკეთებინა: 'ვისაც ბრძენ კატერინასთან უნდა სწავლა, მისთვის სკოლის კარი ღიაა».

მოაწყდა სკოლას ახალგაზრდობა. კატერინამ მოწაფეები მერხებზე დასხა.

— მენახშირის ბიჭი როგორ მიუსვით დიდებულის ქალს გვერდითო? — ჰკითხეს კატერინას.

— მერე რა, რომ დიდებულის ქალია. ჩემთვის კარგი ის არის, ვინც ბეჯითია და სწავლა უნდაო, — უპასუხა კატერინამ.

შეუდგნენ მეცადინეობას. კატერინას მათრახის წვერზე ლურსმანი ჰქონდა დამაგრებული, ვინც გაკვეთილს არ ისწავლიდა, ხელად იწვნევდა მისი მათრახის გემოს.

ხმა გავარდა, ბრძენმა კატერინამ ასეთი და ასეთი სკოლა გახსნაო. ხელმწიფის სასახლეშიც გაიგეს ეს ამბავი. უფლისწულმა გადაწყვიტა, კატერინას სკოლაში უნდა შევიდეო. გამოეწყო და ერთ მშვენიერ დღეს მიადგა კატერინას

სკოლის კარს. კატერინამ მიიღო უფლისწული, მაგრამ სხვა მოწაფეებში არ გამოურჩევია, მათ გვერდით დასვა.

ერთხელ კატერინამ უფლისწული დაფასთან გაიძახა, ამოცანა მისცა ამოსახსნელად. უფლისწულმა ვერ ამოხსნა, მიუბრუნდა კატერინა და ისეთი სილა სტკიცა, რომ უფლისწულს დღესაც ეწვის ლოყა.

უფლისწული რისხვით აენთო, მოწყდა ადგილს, გაიქცა, მიირბინა ხელმწიფესთან და უთხრა:

— თქვენო უდიდებულესობავ! ცოლის შერთვა მინდა. ბრძენ კატერინაზე დამწერეთ ჯვარიო.

ხელწიფემ ვაჭარი დაიბარა. ეახლა ვაჭარი და ჰკითხა:

— ბრძანეთ, რა გნებავთო.

— ჩემს ვაჟს თქვენი ქალი შეუყვარდა. რა ვქნათ, უნდა დავაქორწინოთო.

— როგორც თქვენი უდიდებულესობა ინებებს. ჩვენ უბრალო ვაჭრები ვართ, თქვენი ვაჟი კი — მეფური სისხლისააო, — უპასუხა ვაჭარმა.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, რაკი ჩემს ვაჟს თქვენი ქალი შეუყვარდა.

ვაჭარი შინ დაბრუნდა და კატერინას უთხრა:

— შვილო, კატერინა, უფლისწულს შენი შერთვა უნდა. რას იტყვი, წაჰყვებიო?

— რა თქმა უნდა, წავყვებიო, — უპასუხა კატერინამ.

ტანსაცმელი და თეთრეული კატერინას ბლომად ჰქონდა, ლოგინიც გამოუწყვეს და ერთ კვირაში ყველაფერი მზად იყო. უფლისწულმა კატერინას თორმეტი დიდგვაროვანი ქალი აახლა ამალად. გააღეს სასახლის ეკლესიის კარი და უფლისწულმა კატერინაზე ჯვარი დაიწერა.

ქორწილის შემდეგ დედოფალმა მხევლებს უბრძანა, პატარძალს ტანთ გახადეთ და ლოგინში ჩააწვინეთო.

— არც ჩაცმაში გვინდა მოხმარება, არც გახდაში, ნურც გუშაგებს დაგვიყენებთ საწოლი ოთახის კართანო, — უთხრა უფლისწულმა დედოფალს.

დარჩნენ მარტო უფლისწული და ბრძენი კატერინა.

— კატერინა, გახსოვს სილა რომ გამაწანი? მითხარი, ნანობ თუ არაო?

— ვნანობ? თუ გნებავთ, ერთხელ კიდევ გაგაწნავთ სილასო.

— როგორ? მართლა არა ნანობო?

— ესღა მაკლიაო!

— მაშ, პატიებას არა მთხოვო?

— ფიქრადაც არ მომივა ასეთი რამო!

— კარგი, თუ ასეა, ახლავე მოგარჯულებ, — დაემუქრა უფლისწული და თოკს წამოავლო ხელი. — მოინანიებ შენს საქციელს, კატერინა, ხომ კარგი, არადა ქვესკნელში ამოგაყოფინებ თავსო!

— იქ უფრო გრილად ვიქნებიო!

სტაცა ხელი უფლისწულმა კატერინას, შემოუჭირა თოკი წელზე, ასწია საძვრომის კარი და ქვესკნელში ჩაუშვა. იჯდეს იქ მარტოდმარტო, სკამი, მაგიდა,

დოქით წყალი და პურის ნაჭერი გაუწევენ ამხანაგობასო, — თქვა უფლისწულმა.

მეორე დილით მეფე-დედოფალი, როგორც წესი და რიგია, ახალგაზრდების სანახავად მივიდნენ, მაგრამ უფლისწულმა თავის ოთახში არ შეუშვა დედ-მამა.

— კატერინა შეუძლოდ არის, ჩვენთან ნუ შემოხვალთო.

მერე ასწია საძვრომის კარი და კატერინას ჩასძახა:

— ღამე როგორ გაატარეო?

— ჩინებულად, საამური სიგრილეა აქ!

— ფიქრობ იმ სილაზე, მაშინ რომ გამაწანიო?

— მე იმ სილაზე ვფიქრობ, კიდევ რომ გაგაწნავთო!

გავიდა ორი დღე. შიმშილმა ძალიან შეაწუხა კატერინა. ადგა და კორსეტიდან ძვლის ჩხირი გამოიძრო, დაიწყო კედლის თხრა. მთელი ღამე თხრიდა და თხრიდა შეუსვენებლად. მეორე დღეს ხვრელში სინათლის წვრილი სვეტი შეიჭრა. გამხნევდა ქალი და მეტი ხალისით განაგრძო საქმე. კარგად რომ გააფართოვა ხვრელი, თვალით ზედ მიეკრა. უცებ, თავისი მამის მდივანს მოჰკრა თვალი.

— დონ ტომაზო! ეი, დონ ტომაზო! — დაუძახა კატერინამ.

დონ ტომაზო შედგა, მიიხედ-მოიხედა, არავინ ჩანდა. ვერ გაიგო, საიდან მოდიოდა ხმა.

— დონ ტომაზო, მე ვარ, ბრძენი კატერინა. მამას გადაეცით, რომ მასთან ლაპარაკი მინდა და ახლავე აქ გაჩნდეს.

დონ ტომაზომ ხელად მიიყვანა ვაჭარი იმ ადგილას, საიდანაც ქალის ხმა შეესმა.

— ხედავთ, მამა, როგორი ბედი მქონია. ქვესკნელში ჩამაგდეს. ჩვენი სახლის სარდაფიდან აქამდე საჩქაროდ გამოაყვანინეთ მიწისქვეშა გზა. ყოველ ოც ნაბიჯზე სამაგრები გააკეთებინეთ და ლამპარი ჩამოაკიდებინეთ. მერე მე ვიცი, რასაც ვიზამო.

დატრიალდა ვაჭარი, მაგრამ ვიდრე თავისი სარდაფიდან ქალის დილეგამდე მიწისქვეშა გზას გაიყვანდა, შვილს საჭმელს იმ პატარა ხვრელიდან აწვდიდა, კატერინამ რომ გამოთხარა ძვლის ჩხირით. ბრძენ კატერინას არაფერი არ აკლდა, ქათმის ხორციც ჰქონდა და ნამცხვარიც.

უფლისწული დღეში სამჯერ ახდიდა საძვრომის კარს, ჩაიხედავდა და ეკითხებოდა კატერინას:

— ნანობ თუ არა, კატერინა, სილა რომ გამაწანიო?

— სინანული რა სათქმელია. გიჯობთ, იმ სილაზე იფიქროთ, კიდევ რომ გაგაწნავთო.

ხელოსნები მუშაობდნენ, გაჰყავდათ მიწისქვეშა გზა, აკეთებდნენ სამაგრეებს და ყოველ ოც ნაბიჯზე ლამპარს ჰკიდებდნენ. მალე მოათავეს გზის გაყვანა. დაელაპარაკებოდა თუ არა უფლისწული, კატერინა მაშინვე მიწისქვეშა გზით შინ მიდიოდა.

ასე გაიარა რამდენიმე დღემ. უფლისწულს მობეზრდა ეს ამბავი, ასწია ერთხელ საძვრომის კარი და კატერინას ჩასძახა:

— კატერინა, ნეაპოლში მივდივარ, ხომ არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელიო?

— წარმატებას გისურვებთ, მხიარულ დროს ტარებას. უკან დაბრუნებას რომ დააპირებთ, უსათუოდ წერილი გამომიგზავნეთო.

— მაშ ასე, მივდივარ, კატერინა.

— კიდევ აქა ხართ, რაღას უყურებთ, რატომ არ მიდიხართო?

დახურა თუ არა უფლისწულმა საძვრომის კარი, კატერინა ქარივით გაფრინდა მამასთან.

— მამა, თქვენ მეტი ვერავინ მიშველის. სასწრაფოდ აიყვანეთ მსახურები, მოახლე ქალები, დატვირთეთ გემი ავეჯით, ძვირფასი ტანსაცმელით, ჩასხით მსახურები, გაემგზავრეთ ნეაპოლში, ხელმწიფის სასახლის წინ დაიქირავეთ სახლი და ჩემ ჩამოსვლას დაელოდეთ. ვიდრე გაემგზავრებით, ჩემთვის ერთი სწრაფმავალი ბრიგანტინა[1] ააგებინეთ.

ვაჭარმა ხელად ააგებინა სწრაფმავალი ბრიგანტინა. უფლისწულისთვის კი დიდ სამხედრო ფრეგატს ამზადებდნენ. მალე უფლისწული იმ ფრეგატით გაემგზავრა ნეაპოლში.

კატერინამ თავისი სახლის აივნიდან დაინახა, როგორ დაიძრა უფლისწულის ფრეგატი ნეაპოლისკენ. მაშინვე ჩაჯდა სწრაფმავალ ბრიგანტინაში და უფლისწულს ჩაასწრო ნეაპოლში. ყველას კარგად მოეხსენება, რომ პატარა გემი დიდ გემზე სწრაფმავალია.

კატერინას მამას უკვე დაექირავებინა სასახლის წინ სახლი. გამოეწყობოდა კატერინა ყოველდღე ძვირფას კაბაში და აივანზე გამოდიოდა.

— ღმერთო ჩემო! როგორ ჰგავს ეს ქალი ბრძენ კატერინას! — წამოიძახა უფლისწულმა, როცა აივანზე თვალი მოჰკრა ქალს. თვალი მოჰკრა და მაშინვე შეუყვარდა. ბევრი არ უფიქრია, ხელად მიუგზავნა მოციქული.

— უფლისწულს სადარბაზოდ უნდა თქვენთან მოსვლა, — მოახსენა მოციქულმა კატერინას, — საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათო?

— ნება მისია, როგორც უნდა, ისე მოიქცესო, — უპასუხა ბრძენმა კატერინამ მოციქულს.

გამოეწყო უფლისწული ძვირფას სამოსში, მოიკაზმა, ეწვია კატერინას და დიდის ამბით, დიდი ცერემონიით მიესალმა.

მერე დასხდნენ და საუბარი გააბეს.

— სინიორა, გათხოვილი ბრძანდებითო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— არა. თქვენ, ცოლიანი ხართო?

— უცოლო გახლავართ. სწორედ ამაზე მინდოდა თქვენთან ლაპარაკი. სინიორა, რომ იცოდეთ, როგორ ჰგავხართ ერთ პალერმოელ ქალს, რომელიც მე ოდესღაც მომწონდა. გამომყევით ცოლადო?

—ოო, ამით თქვენ დიდი პატივი დამდეთ!

ერთ კვირაში ჯვარი დაიწერეს.

ცხრა თვის თავზე კატერინას ბიჭი შეეძინა.

— რა დავარქვათ ჩვენს ბიჭსო? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ნეაპოლიო, — უპასუხა კატერინამ.

დაარქვეს ბიჭუნას ნეაპოლი.

გავიდა ორი წელი. უფლისწულმა ახლა გენუაში დააპირა წასვლა. კატერინა ეუბნებოდა, ნუ წახვალთო, მაგრამ უფლისწულმა მაინც თავისი გაიტანა. გამგზავრების წინ ქმარმა ცოლს ქაღალდი დაუტოვა. ქაღალდში ეწერა, რომ ნეაპოლი უფლისწულის პირმშოა, ტახტის მემკვიდრე.

წავიდა თუ არა უფლისწული, კატერინამ მამას წერილი გაუგზავნა. სასწრაფოდ დატვირთეთ გემი ავეჯით, ტანსაცმლით, აიყვანეთ მსახურები და მოახლეები, გაემგზავრეთ გენუაში, ხელმწიფის სასახლის წინ დაიქირავეთ სახლი და დამელოდეთო. ვაჭარმა სასწრაფოდ დატვირთა გემი და გენუაში გაგზავნა.

ვაჭრის ქალი თავისი ბრიგანტინით უფლისწულზე ადრე ჩავიდა გენუაში და დიდებულ სახლში დაბინავდა.

დაინახა უფლისწულმა მდიდრულად გამოწყობილი, ძვირფასი სამკაულებით მორთული მშვენიერი ახალგაზრდა ქალი და სახტად დარჩა.

— ღმერთო, დიდებულო! როგორ ჰგავს ეს ქალი ბრძენ კატერინას და ჩემს ნეაპოლელ ცოლსო, — წამოიძახა გაოცებულმა.

ხელად აფრინა მსახური მეზობელ ქალთან.

ქალმა მსახურს უთხრა, სიამოვნებით მივიღებ უფლისწულსო.

ეწვია უფლისწული ქალს, დასხდნენ და საუბარი გააბეს.

— გათხოვილი ბრძანდებით, სინიორა? — ჰკითხა უფლისწულმა.

— ქვრივი გახლავართ, თქვენო ბრწყინვალებავ, — უპასუხა ქალმა, — თქვენ ცოლიანი ბრძანდებითო?

— მეც ქვრივი ვარ, — ამოიოხრა უფლისწულმა, — ერთი ვაჟი მყავს. საკვირველი ის არის, სინიორა, რომ თქვენ გაჭრილი ვაშლივით ჰგავხართ ერთ პალერმოელ და ერთ ნეაპოლელ ქალსო.

— ეგ რა გასაკვირია. ვინ მოთვლის ქვეყნად რამდენია ერთიმეორის მსგავსი ადამიანი. აქამდე არ იცოდით ეს? — ღიმილით უპასუხა ქალმა.

ერთ კვირაში ჯვარი დაიწერეს უფლისწულმა და გენუელმა ქალბატონმა. ცხრა თვის თავზე მშვენიერი ბიჭი შეეძინათ. უფლისწული ბედნიერი იყო.

— რა დავარქვათ ბიჭსო? — ჰკითხა უფლისწულმა ცოლს.

— გენუა, — უპასუხა ქალმა.

დაარქვეს ბიჭს გენუა.

გავიდა ორი წელი. უფლისწულს ისევ მოუნდა სხვაგან წასვლა.

— მიდიხართ, ჩვილი ბავშვის პატრონს მარტო მტოვებთო? — უსაყვედურა ცოლმა.

—ქაღალდს დაგიტოვებთ, რომ გენუა ჩემი შვილია, ხელმწიფის ჩამომავალიო, — უთხრა უფლისწულმა.

ვიდრე უფლისწული ვენეციაში წასასვლელად ემზადებოდა, კატერინამ მამას წერილი გაუგზავნა. სთხოვა, დატვირთეთ გემი ოჯახისთვის საჭირო ნივთებით, ძვირფასი ტანსაცმელით, ჩასხით შიგ მსახურები და ვენეციაში, ხელ-

მწიფის სასახლის წინ დაიქირავეთ სახლიო. ვენეციისკენ ერთდროულად გავიდა ორი ხომალდი. ერთი პალერმოდან, რომელიც კატერინას მამამ დატვირთა, მეორე კი გენუიდან, უფლისწულის სამხედრო ფრეგატი, კატერინამ ისევ გაასწრო ქმარს, ვენეციაში იმაზე ადრე ჩავიდა.

— მამაზეციერო! — წამოიძახა უფლისწულმა, მეზობელ სახლის ფანჯარაში მშვენიერ ქალს რომ მოჰკრა თვალი, — როგორ ჰგავს ეს ქალი ჩემს გენუელ ცოლს, ნეაპოლელ ცოლს და ბრძენ კატერინას. კატერინა პალერმოშია, სარდაფში, ნეაპოლელი ქალი —ნეაპოლში, გენუელი — გენუაში, ეს კი აქ არის, ვენეციაშიო.

უცნობ ქალს მსახური მიუგზავნა და მალე თვითონაც ეწვია.

— საოცარია, სინიორა, როგორ ჰგავხართ ჩემს ნაცნობ ქალებს, ერთი მათგანი პალერმოშია, მეორე _ ნეაპოლში, მესამე — გენუაში.

— ვინ მოსთვლის, ქვეყნად ერთიმეორის მსგავსი ადამიანი რამდენია, — უპასუხა ქალმა და გაიბა საუბარი.

— გათხოვილი ბრძანდებით?

— ქვრივი გახლავართ, თქვენ?

— მეც ქვრივი ვარ, ორი შვილი მყავს.

ერთ კვირაში დაიწერეს ჯვარი, გამოხდა ხანი და კატერინას მზის და მთვარის სადარი გოგო გაუჩნდა.

— რა დავარქვათო? — ჰკითხა უფლისწულმა ცოლს.

— ვენეციაო, — უპასუხა ქალმა და გოგონას მართლა ვენეცია დაარქვეს.

გავიდა ორი წელი, ერთხელ უფლისწულმა ცოლს უთხრა:

— პალერმოში უნდა დავბრუნდე. ქაღალდს დაგიტოვებთ, რომ ვენეცია ჩემი შვილია, ხელმწიფის ჩამომავალიო.

გაემგზავრა უფლისწული პალერმოში, მაგრამ ახლაც დაასწრო კატერინამ და პირველი ჩავიდა სამშობლოში. ჯერ მამის სახლში მივიდა, იქიდან კი მიწისქვეშა გზით თავის საპყრობილეში გაჩნდა.

შევიდა თუ არა უფლისწული საწოლ ოთახში, იმ წუთს ასწია საძვრომის კარი.

— კატერინა, როგორ ხარ, რასა იქ?

— ძალიან კარგადა ვარ!

— ნანობ თუ არა, სილა რომ გამაწანი?

— გირჩევნიათ იმ სილაზე იფიქროთ, კიდევ რომ გაგაწნავთ!

— მოინანიე, კატერინა, მოინანიე, თორემ ავდგები და სხვა ქალს შევირთავ.

— შეირთეთ, ვინ გიშლით?

— თუ მოინანიებ, შეგირიგდები!

— არა!

გაბრაზდა უფლისწული, გამოაცხადა, ცოლი მომიკვდა, დავქვრივდი, სხვა ქალი უნდა შევირთოო. დაგზავნეს შიკრიკები სხვა სახელმწიფოებში, ხელმწიფის ქალების სურათების ჩამოსატანად. იმ სურათებით უფლისწულს ყველაზე

მეტად ინგლისის მეფის ქალი მოუვიდა თვალში. მაშინვე მოიპატიჟა და ხელად გადაწყდა ქორწილის საქმე.

ქორწილის წინა დღეს ინგლისის მეფე მთელი ოჯახით ჩავიდა პალერმოში.

რა ჰქნა ბრძენმა კატერინამ?

გამოაწყო ბავშვები ძვირფას ტანსაცმელში, როგორც ხელმწიფის შვილებს შეეფერება, თვითონაც დედოფალივით შეიმოსა (დედოფალი იყო და დედოფალივით უნდა შემოსილიყო), ძვირფას კარეტაში ჩაჯდა, შვილები გვერდით მოისხა და სასახლეს მიაშურა.

გამოჩნდა საქორწილო კორტეჟი, რომელიც ინგლისის მეფის ასულს და უფლისწულს მოჰყვებოდა.

—ნეაპოლო, გენუავ, ვენეციავ, გაიქეცით, მამას ხელზე ეამბორეთო, — უთხრა კატერინამ შვილებს.

გაიქცნენ ბავშვები, მიირბინეს მამასთან და ხელზე აკოცეს. უფლისწული ყველაფერს მიხვდა, დაინახა, რომ კატერინამ აჯობა.

— აი, თურმე როგორ სილას მიმზადებდი, კატერინა! — წამოიძახა გაოცებულმა, გადაეხვია შვილებს და გადაკოცნა.

ინგლისის მეფის ქალი პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდა თავის სამშობლოში. წინ წყალი, უკან მეწყერი.

კატერინამ ქმარს უამბო, როგორ ხვდებოდა ის სხვადასხვა ქალაქში ერთიმეორის მსგავს ქალებს.

უფლისწულმა პატიება სთხოვა ბრძენ კატერინას.

და ცხოვრობდნენ კარგად, ტკბილად,
ყველა იყო ბედნიერი,…
მეც იქ გახლდით, მაგრამ სულ არ
მიწყალობეს არაფერი.

პალერმო

<u>თევზკაცა კოლა</u>

ძველად, მესინაში ერთი ქალი ცხოვრობდა. ერთი ვაჟის მეტი არავინ დადიოდა ამ ქალის ბარობაზე. კოლას ეძახდნენ ვაჟს. კოლა მთელ დღეს ზღვაზე აღამებდა. მივიდოდა დედა ზღვის ნაპირას და ეძახდა შვილს:

— კოლა, კოლა, გეყოფა, ბიჭო, ამოდი წყლიდან, თევზი ხომ არა ხარ!

კოლა დედის ძახილს ყურადღებას არ აქცევდა, დღითი დღე უფრო შორს მიცურავდა ზღვაში. ქალს გამუდმებული ძახილისაგან გვერდები სტკიოდა. ერთხელ იმდენი უძახა და უყვირა გაუგონარ შვილს, რომ მოთმინება დაკარგა და გამწარებულმა წამოიძახა:

— ისემც მოგსვლია, თევზად ქცეულხარო.

ალბათ იმ დროს ცის კარი გახსნილი იყო, დედის წყევლა ისმინეს და კოლა თვალის დახამხამებაში თევზკაცად იქცა. თითები აპკებით შეეზარდა ერთმანეთს, ყელი ბაყაყის ყელივით გაუხდა. ის დღე იყო და ის, მის მერე კოლა მიწაზე აღარ დაბრუნებულა.

უცადა დედამ, უძახა და, როცა დარწმუნდა, შვილი აღარ დამიბრუნდებაო, ჯავრმა მოინელა.

ხელმწიფის ყურამდე მიაღწია ხმამ, მესინასთან, ყურეში, თევზკაცა ცურავსო. დაავალა ხელმწიფემ მეზღვაურებს, თუ ვინმე თევზკაცას თვალს მოჰკრავთ, უთხარით, რომ მასთან ლაპარაკი მინდაო.

ერთმა მეზღვაურმა ძალიან შორს შეცურა ზღვაში. დაინახა თევზკაცა კოლა და დაუძახა:

—ჰეი, კოლა! მესინას[1] ხელმწიფე გიბარებს, შენთან ლაპარაკი უნდაო.

კოლა მაშინვე მიცურდა სასახლესთან. ხელმწიფემ ალერსიანად გაუღიმა კოლას და უთხრა:

— თევზკაცავ, შენ ისეთი კარგი ცურვა იცი, რომ ჩემი დავალების შესრულება არ გაგიჭირდება. ჩადი ზღვის ფსკერზე, შემოუარე სიცილიას, დაბრუნდი და მომახსენე, სადაა ზღვა უფრო ღრმა და სხვა, რასაც ნახავო.

ჩაყვინთა კოლამ, იცურა, იცურა, შემოუარა სიცილიას, ისევ ხელმწიფის სასახლესთან მიცურდა და მოახსენა: — ზღვის ფსკერზე საოცარი თევზები, მთები და გამოქვაბულები ვნახე. ერთ ადგილას დიდი შიშიც ვჭამე. ფოროს კონცხთან რომ მივცურდი, ზღვას ფსკერი ვერ მოვუსინჯეო.

— რას ამბობ, კოლა! აბა, რაზე დგას მესინა? — გაუკვირდა ხელმწიფეს. — ჩაყვინთე ისევ და გულდასმით დაათვალიერე, რაზე დგას ჩემი ქალაქიო.

ჩაყვინთა კოლამ, მთელი დღე არ გამოჩენილა და როცა ზევით ამოვიდა, ხელმწიფეს ასე მოახსენა:

— მესინა კლდეზე დგას. იმ კლდეს სამი სვეტი იმაგრებს. ერთი სვეტი მაგარია, მეორე გაბზარული გახლავთ, მესამე ჩანგრეულაო.

ო, მესინა, მესინა,
ნეტავ ჩემთვის გესმინა,
ერთი ხელის აღებით
ჩაგყლაპავენ ტალღები.

ხელმწიფეს ამ ამბავმა თავზარი დასცა. სთხოვა კოლას, ახლა ნეაპოლში მიცურდი და დაათვალიერე, ვულკანების ქვეშ რა ხდებაო.

ჩაყვინთა კოლამ ნეაპოლის ახლოს და უკან რომ დაბრუნდა, ხელმწიფეს მოახსენა: — ჯერ ცივი წყლის ნაკადი შემხვდა, მერე ცხელი წყლის, ზოგ ადგილას მტკნარი წყალიც იყოო.

ხელმწიფემ არ დაიჯერა. კოლამ სთხოვა, მომეცით ორი მათარაო. ისევ ჩაყვინთა, ერთი მათარა ცხელი წყლით გაავსო, მეორე მტკნარი წყლით და ხელმწიფეს მიართვა.

ხელმწიფეს იმის ფიქრი არ ასვენებდა, რომ ფოროს კონცხთან ზღვას ფსკერი არა ჰქონდა. ისევ დაიბარა კოლა მესინაში და უთხრა:

— კოლა, ფოროს კონცხთან რა სიღრმე აქვს ზღვას, დაახლოებით მაინც უნდა გამიგოო.

ჩაყვინთა კოლამ, ორი დღე წყალქვეშ იყო, ზევით რომ ამოვიდა, ხელმწიფეს ასე მოახსენა: — ბევრი ვეცადე, მაგრამ ფსკერს მაინც ვერ მივაღწიე, ქვემოდან კვამლის ბოლქვები ამოდიოდა და წყალს ამღვრევდაო.

ხელმწიფეს ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა.

— წადი ფოროს კონცხთან, შუქურაზე ადი და იქიდან გადახტი ზღვაშიო, — უთხრა კოლას.

შუქურა კონცხის წვერზე იყო. ოდესღაც იმ კონცხის წვერზე გუშაგი იდგა, საყვირს აბღავლებდა, ალამს იქნევდა და გემებს ანიშნებდა, საშიშ ნაკადებს უახლოვდებითო.

ავიდა თევზკაცა კონცხის წვერზე და ზღვაში გადაეშვა.

ერთი დღე ელოდა ხელმწიფე თევზკაცას, ორი დღე ელოდა, სამი დღე, თევზკაცა კი არა ჩანდა და არა. ბოლოს, როგორც იყო, გამოჩნდა, მაგრამ ისეთი იყო, მკვდრის ფერი ედო.

— რა იყო, კოლა, რა ნახეო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— იცით, რა შიში ვჭამე? ერთი ისეთი თევზი მოცურავდა ზღვაში, ხახაში უზარმაზარ ხომალდს დაიტევდა, ის რომ დავინახე, სვეტს ამოვეფარე, თორემ მის ხახაში ამოვყოფდი თავსო.

ხელმწიფე პირდაღებული უსმენდა, მაგრამ თევზკაცა იმაზე არაფერს ეუბნებოდა, რის გასაგებადაც ჩაგზავნეს ზღვის ფსკერზე: რა სიღრმე აქვს ფოროს კონცხთან ზღვას? წყეული ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა ხელმწიფეს.

— ვერა, თქვენო უდიდებულესობავ, ვეღარ ჩავყვინთავ, მეშინიაო, — უთხრა თევზკაცამ ხელმწიფეს.

დაინახა ხელმწიფემ, რომ თევზკაცას ვეღარ ჩააგზავნიდა ზღვის ფსკერზე. ადგა, მოიძრო ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს გვირგვინი, მოიქნია და ზღვაში გადაისროლა.

— კოლა, ამომიტანე გვირგვინიო! — უთხრა თევზკაცას.

— ეს რა ჰქენით, თქვენო უდიდებულესობავ! თქვენი სახელმწიფოს გვირგვინი როგორ გადააგდეთო?

— კოლა, მაგის ფასი ქვეყნად მეორე არ მოიპოვება, ჩაყვინთე და ამომიტანე გვირგვინიო, — უბრძანა ხელმწიფემ თევზ-კაცას.

— ნება თქვენია, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ გული მიგრძნობს, უკან ვეღარ დავბრუნდები. უთხარით, ერთი მუჭა ოსპი მომიტანონ. თუ ძალა მეყო, ხომ კარგი, დავბრუნდები, თუ ოსპი ამოტივტივდეს, ნუღარ დამელოდებითო, — უთხრა თევზკაცამ ხელმწიფეს.

ჩაბღუჯა კოლამ ოსპი და ჩაყვინთა. უცადეს, უცადეს თევზ-კაცას, მაგრამ ამაოდ. კარგა ხნის შემდეგ ზღვის ზედაპირზე ოსპი ამოტივტივდა.

თურმე დღესაც უცდიან თევზკაცა კოლას.

პალერმო

ქარიყლაპია ქალი

ოდესღაც მესინაში ერთი ძალიან მდიდარი უფლისწული ცხოვრობდა. ისეთი ძუნწი იყო უფლისწული, ისეთი წუწურაქი, იმისთანა პურადძვირი ქვეყნად მეორე არ მოიძებნებოდა. დღეში ორჯერ მიუჯდებოდა მაგიდას, სიფრიფანა ნაჭრებად დაჭრიდა ძეხვს, პურს შეატანდა, წყალს დააყოლებდა, ეს იყო და ეს მისი საკვები. ერთადერთი მსახური ჰყავდა, იმასაც სულსა ხდიდა შიმშილით. ორ ტარის, ერთ კვერცხსა და შავი პურის ისეთ პატარა ნაჭერს აძლევდა, რომ კვერცხის შესატანებლად ჰყოფნოდა. ამიტომ არც ერთი მსახური კვირაზე მეტს არ უჩერდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს უფლისწულმა ახალი მსახური აიყვანა, სორ[1] ჯუზეპე ერქვა სახელად. დიდი გაქნილი და გაიძვერა იყო ჯუზეპე. რაკი შეატყო, რა ქვაწვიას ხელში ჩავარდა, ერთ შეძლებულ მენახშირე დედაკაცთან მივიდა. მენახშირეს სწორედ უფლისწულის სასახლის პირდაპირ ჰქონდა ნახშირის დუქანი.

— ქალს არ გაათხოვებთო? — უთხრა ჯუზეპემ.

მენახშირეს კალმით ნახატი ქალი ჰყავდა.

— ღმერთმა კარგი საბედო გამოუჩინოს და რატომაც არ გავათხოვებო, — უპასუხა ჯუზეპეს მენახშირემ.

—რას იტყვით, უფლისწული დასაწუნი საბედოაო?

— რაო? წუწურაქი? ეგ ხომ უწინ თვალებს დაითხრის, ვიდრე გროშს დახარჯავსო.

— თუ ისე მოიქცევით, როგორც დაგარიგებთ, თქვენს ქალს საჭმელიც თავსაყარი ექნება და ქონებაც. ხმა დაყარეთ, თითქოს თქვენი ქალი ქარით ძღება, საჭმელს პირს არ აკარებს, დანარჩენი ჩემზე იყოსო, — უთხრა ჯუზეპემ.

მერე ჯუზეპე შინ წავიდა და უფლისწულს გაესაუბრა:

— თქვენო მოწყალებავ, აქამდე ცოლი რატომ არ შეირთეთ? დრო მიდის, ვეღარ დააბრუნებთო.

— ჯუზეპე, ჩემი სიკვდილი ხომ არ გინდა? ცოლი რომ შევირთო, ხელად გამინიავებს ფულებს. დღეს ნაირ-ნაირი ქუდი მოუნდება, ხვალ — აბრეშუმის კაბები, ზეგ — კარეტები, თეატრი და, ვინ მოთვლის, კიდევ რა. არა, ჩემო ჯუზეპე, ამის გაგონებაც არ მინდაო, — წამოიძახა უფლისწულმა.

— თქვენო მოწყალებავ, ყველა ერთნაირი ხომ არ არის. ქვეყნად ათასნაირი ქალია. აი, მაგალითად, ჩვენი მენახშირის ქალი. კალმით ნახატი ხომ არის და არის, ფულებიც ბლომადა აქვს, არც საჭმელს ეკარება, ქარით ძღება. გართობას, ფუფუნებას და ამისთანებს ჩვეული არ გახლავთ და არც უყვარსო.

— კარგია, რომ ლამაზია და ფუფუნებას არ არის ჩვეული, მაგრამ შენ ეს მითხარი, ჯუზეპე, ქარით როგორ გაძღება ადამიანი?

— დღეში სამჯერ მარაოს ინიავებს და ამით ძღება. მისი შემხედვარე არც დაიჯერებს, თუ ყოველდღე შემწვარ-მოხრაკულებს არ შეექცევა, ისეთი ჩაპუტკუნებული და ფერიანიაო.

— მართლა ასეა, ჯუზეპე? ურიგო არ იქნება მისი ნახვაო, — თქვა უფლისწულმა.

ჯუზეპემ მალე დაიყოლია უფლისწული და ერთ კვირაში ქორწილი გადაიხადეს. მენახშირის ქალი უფლისწულის ცოლი გახდა.

სუფრას რომ მიუჯდებოდა ცოლ-ქმარი, ქალი მარაოს გაშლიდა და ინიავებდა. საჭმელს ზედაც არ უყურებდა. უფლისწული სიხარულით აღარ იყო. სუფრას რომ აალაგებდნენ, გავიდოდა უფლისწულის ცოლი და ქმრის მალულად ჯუზეპესთან ერთად შეექცეოდა დედის გამოგზავნილ წიწილებსა და კატლეტებს.

ასე გაიარა ერთმა თვემ. აბა, მენახშირეს სადა ჰქონდა იმდენი ფული, რომ თავისი ქალის გარდა ჯუზეპეც შეენახა და მოჰყვა ქალი წუწუნს:

— კიდევ დიდხანს მომიწევს თქვენი რჩენა? გამაგებინე, ის შენი წუწურაქი უფლისწული გაიმეტებს რამეს, თუ არაო? — ჰკითხა ქალმა ჯუზეპეს.

ჯუზეპემ უფლისწულის ცოლს უთხრა:

— იცი, რა უნდა ჰქნა? (სხვებთან, თქვენო მოწყალებავ, თქვენო ბრწყინვალებავო, ასე მიმართავდა. მარტო რომ დარჩებოდნენ, შენობით ელაპარაკებოდა) უფლისწულს უთხარი, ისე, უბრალოდ მაინტერესებს შენი სიმდიდრის ნახვა-თქო. თუ შეეშინდა, ოქროს ფული ფეხსაცმლის ძირს არ მიეკრასო, დაჰპირდი, ფეხთ გავიხდი და ისე ჩამოვალ საგანძურში-თქო.

ქალი ისე მოიქცა, როგორც ჯუზეპემ დაარიგა.

უფლისწულმა ყური მოიყრუა. ბევრი უჩიჩინა ქალმა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ქალი მაინც არ მოეშვა, სანამ ქმარი არ დაჰპირდა, კარგი, გიჩვენებო.

მაშინ ჯუზეპემ მენახშირის ქალს უთხრა:

— კაბის კალთაზე წებო წაისვიო.

ქალმა ესეც შეასრულა.

უფლისწულმა მაგიდა განზე გადადგა, ფარული ჩასაშვები კარი ასწია და კიბეს ჩაჰყვა. ცოლი ფეხდაფეხ მისდევდა. ჩავიდნენ სარდაფში. გაოცებული ქალი ერთ ადგილზე გაქვავდა. მიწაზე ოქროს დუკატების ზვინები იდგა. ბევრ ხელმწიფეს არ ექნებოდა იმის ნახევარი სიმდიდრე. ქალი საგანძურს ათვალიერებდა და ვითომ უნებურად წრიალებდა, კაბის კალთას იქნევდა. კაბის ოქრომკედით მოსირმული კალთა სულ ოქროს დუკატებით დაიფარა.

ზევით რომ ავიდნენ, ქალი თავის ოთახში შევიდა და მთელი მუჭა ოქროს დუკატები ჩამოიკრიფა წებოწასმულ კალთიდან. ჯუზეპე მაშინვე მენახშირე დედაკაცთან გაიქცა და ფული მისცა. მენახშირე ძველებურად უზიდავდა შვილსა და ჯუზეპეს შემწვარ-მოხრაკულებს, უფლისწული კი, რაც დრო გადი-

ოდა, მით უფრო მშვიდდებოდა, მით უფრო ბედნიერი იყო, რაკი ხედავდა, რომ მისი ცოლი ქარით ძღებოდა.

ერთხელ უფლისწულმა ცოლი სასეირნოდ წაიყვანა. გზაში ძმისწული შეხვდა. ქალი არ იცნობდა უფლისწულის ძმისშვილს.

— პეპინო, იცნობ ამ სინიორას? ჩემი მეუღლე გახლავთო.

— ბიძაჩემო, აქამდე არ გამიგია, რომ ცოლი შეირთეთო!

— ახლა ხომ გაიგე, იმკვირია სადილად მეწვიეო, — დაპატიჟა ნათესავი უფლისწულმა.

დაპატიჟა ნათესავი და მოსვენება დაკარგა. ეს რა მომივიდა, რად დავპატიჟე. ახლა ვინ იცის, რამდენი დამიჯდება ძმისწულის სტუმრობა. მაგრამ რაღა გაეწყობა, რაკი დავპატიჟე, კიდეც უნდა შევუკვეთო სადილიო.

— სადილისთვის ხორცის ყიდვა არ ღირს, ძალიან ძვირია, — უთხრა ცოლს უფლისწულმა. — ღვთის მადლით თოფი კი მაქვს, წავალ სანადიროდ და იმდენ ფრინველს დავხოცავ, ათ კაცს ეყოფაო.

— დიახ, დიახ, დიდებული აზრიაო, — კვერი დაუკრა ცოლმა.

წავიდა თუ არა უფლისწული სანადიროდ, მისმა ცოლმა ჯუზეპე მჭედელთან აფრინა. მოიყვანეს მჭედელი.

— ამ კარის გასაღები დავკარგე, უნდა გამიკეთოთო, — უთხრა უფლისწულის ცოლმა მჭედელს.

მეორე დილით გასაღები მზად იყო,

საიდუმლო კარი მშვენივრად იღებოდა და იკეტებოდა. ადგა ქალი, ჩავიდა სარდაფში და რამდენიმე პარკი სულ ოქროს დუბლონებით[1] გაავსო. რა არ იყიდა იმ ფულით: ავეჯი, ხალიჩები, სავარძლები, ჭაღები, მეკარეც არ დაივიწყა, ბუნიკიანი ჯოხი და ლივრეა უყიდა.

დაბრუნდა უფლისწული და ელდა ეცა.

— ეს რა არის, ეს სადა ვარ? — წამოიძახა გაოცებულმა, — ვისია ეს სახლი. — თვალზე ხელი მოისვა, მერე გარეთ გამოვარდა, ისევ შევარდა, — სადაა ჩემი სახლიო? — ხან შინ შევიდოდა, ხან გარეთ გავარდებოდა.

— რა მოგივიდათ, თქვენო მოწყალებავ, რატომ არ შედიხართ სასახლეშიო? — ჰკითხა მეკარემ.

— განა ეს ჩემი სახლიაო? — შეუყვირა მეკარეს უფლისწულმა,

— თქვენია, აბა ვისი იქნება!

— ღმერთო დიდებულო! ღმერთო ძლიერო! დაიღუპა ჩემი საქმე, განიავდა ჩემი ქონებაო! — წამოიძახა უფლისწულმა და შუბლში ხელი იტკიცა.

ავარდა კიბეზე, ვეღარ იცნო კიბე, მარმარილოთი მოეპირკეთებინათ, კედლებზე ძვირფასი ხალიჩები ეკიდა.

— ვაი, ეს რა მიყო ცოლმა. ვაი, მთელი ქონება ქარს გაატანაო!

მიიხედ-მოიხედა, ახლა ძვირფასი სავარძლები, სარკეები, სარკის დასადგმელები ეცა თვალში. შევარდა თავის ოთახში და მკვდარივით მიეგდო საწოლზე.

— ოჰ, ჩემმა ცოლმა მთელი ქონება ქარს გაატანაო.

— რა მოგვიდათ, თქვენო მოწყალებავო? — ჰკითხა ცოლმა.

— ოჰ, — ძლივს გასაგონად ამოიგმინა უფლისწულმა, — მთელი ჩემი...

მოსაზრებულმა ქალმა მაშინვე ნოტარიუსთან აფრინა ჯუზეპე, თან დააბარა, ოთხი მოწმეც მოიყვანეო.

— რა მოგვიდათ, თქვენო მოწყალებავ, ანდერძი გინდათ დაწეროთო? — ჰკითხა ნოტარიუსმა უფლისწულს.

— მთელი ფული... ჩემი ცოლი...

— რაო, რა ბრძანეთ?

— ყველაფერი. ჩემი ცოლი, — ლუღლუღებდა უფლისწული.

ვიდრე ნოტარიუსი ანდერძს ადგენდა, უფლისწულმა ერთხელ კიდევ ამოიხრიალა:

— ყველაფერი... ჩემი ცოლი... _ და სული განუტევა.

უფლისწულის ქონება მენახშირის ქალს დარჩა და გლოვის ვადა რომ გაუვიდა, ჯუზეპეს გაჰყვა ცოლად.

ასე იგდო ხელთ წუწურაქის ქონება გაქნილმა და გაიძვერა კაცმა.

პალერმო

<u>გრაფის წვერი</u>

პოკაპალია ისეთ ციცაბო კალთებიან ბორცვზე იყო შეფენილი, რომ იქაურები დედლებს კურტუმქვეშ პარკს ჰკიდებდნენ, კვერცხს რომ დადებს, ემანდ ბუჩქებში არ ჩაგორდეს და არ დაიკარგოსო.

ეტყობა, პოკაპალიელები არც ისეთი ლენჩები იყვნენ, როგორი სახელიც ჰქონდათ და ეს ანდაზა:

ყველამ იცის, რა ხალხია პოკაპალიაში,
თქვენი თვალით თუკი ნახავთ, დარწმუნდებით მაშინ,
უჩვეულო ამბავი აქვთ ყველგან — შინ და გარეთ:
აქ ვირი სტვენს, პატრონები ყროყინებენ მწარედ.

— მათი მეზობლების შეთხზული იყო. ძალიან უწყინარები და მშვიდები იყვნენ პოკაპალიელები, ჩხუბი არავისთან ჰქონდათ და დავა.

— კარგი, დაგვაცადეთ, ჩამოვა მაზინო და ვნახავთ, ვინ ყროყინებს, ჩვენ თუ თქვენო, — იტყოდნენ ხოლმე ამ უშნო ხუმრობის გაგონებაზე პოკაპალიელები.

მთელ პოკაპალიაში მაზინოსთანა გულადი მეორე არ მოიძებნებოდა, ამიტომაც უყვარდა ყველას. მართალია, მაზინო შნოიანობას მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ დიდი ეშმაკი კი იყო. მაზინო რომ გაჩნდა, დედამისს ისეთი სუსტი ეჩვენა თურმე, რომ გადაწყვიტა, თბილ ღვინოში ებანავებინა, ბიჭს ღვინო ძალას შემატებსო. მაზინოს მამამ გავარვარებული ნალი ჩადო ღვინოში,

ასე გაათბეს ღვინო და ასე გაუჯდა ძარღვებში მაზინოს ღვინის ძალა და რკინის სიმაგრე. მერე დედამ აკვანში წაბლის მწვანე ხეჭო ჩაუდო შვილს. ხეჭოს სიმწარე ბავშვს გონებას გაუმახვილებსო.

ჰოდა, სწორედ იმ ხანებში, როცა პოკაპალიელები მაზინოს დაბრუნებას მოუთმენლად ელოდნენ, — მაზინო კი იმ დღიდან, რაც სალდათად წავიდა, თვალით არავის ენახა, უთუოდ აფრიკაში თუ იბრძოდა, — პოკაპალიაში ფრიად უცნაური ამბები ხდებოდა. ყოველ საღამოს საძოვრიდან შინისკენ რომ წამოასხამდნენ საქონელს გლეხები, დაეცემოდათ ჯადოქარი მიჩილინა და პირუტყვს იტაცებდა. ის წყეული სოფლის მახლობლად, ბუჩქნარში ჩაუსაფრდებოდათ, ერთს შეუბერავდა სულს და თვალის დახამხამებაში გააქრობდა ძროხას ან ხარს.

საღამო ხანს, როგორც კი ბუჩქებში გაიფაჩუნებდა რამე, აკანკალებული გლეხები მოცელილებივით ძირს ეცემოდნენ.

აი, როგორ აღწერდნენ ამ ამბავს:

მიჩილინა ჯადოქარი ასე კუშტი რატომ არი?
შემოგხედავს ელამ თვალით,
დაეცემი ცოცხალ-მკვდარი.
ნეტავ ჩვენგან რა სურს, ოხერს,
ყოველდღე რომ გვპარავს ძროხებს?

ბინდი ჩამოწვებოდა თუ არა, გლეხები კოცონს გააჩაღებდნენ. ჯადოქარი ცეცხლს შეუშინდება და ბუჩქნარიდან თავს ვეღარ გამოყოფსო. მაგრამ ვერც ამით დააფრთხეს მიჩილინა. უჩუმრად მიიპარებოდა რომელიმე კოცონთან და თვალის ერთი შევლებით დააძინებდა გლეხს. დილით გაიღვიძებდა გლეხი, სადღაა მისი საქონელი, აღარც ძროხებია, აღარც ხარები. ყველას ესმოდა, როგორ მოთქვამდა გამწარებული გლეხი, როგორ იშენდა თავში ხელს.

გლეხები ბუჩქნარს შეესეოდნენ, ეძებდნენ საქონლის კვალს, მაგრამ მარტო ჯადოქრის ფეხის ნაკვალევი ჩანდა, ძირს ეყარა თმის სარჭები, აქა-იქ კი, ბუჩქებზე ჯადოქრის თმა იყო შერჩენილი.

დაშინდა ხალხი, ვეღარ ბედავდა საქონლის გარეკვას საბალახოდ, აღარც ტყეს ეკარებოდნენ და ტყეში სოკომ ისე აიყარა ტანი, რომ მთლად ქოლგის ხელა სოკოებით დაიფარა იქაურობა.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ბოსელში გამომწყვდეული საქონელი გახდა, ხორცი დაყარა, ისე გაძვალტყავდა, რომ სამურველის ნაცვლად ფოცხით აურვებდნენ. ფოცხის კბილები პირუტყვის ნეკნებშუა თავისუფლად გადი-გამოდიოდა.

მიჩილინას მარტო პოკაპალიელები ჰყავდა ამოჩემებული, სხვა სოფლის გლეხებს როდი სტაცებდა საქონელს. იცოდა ალქაჯმა, რომ პოკაპალიელებისთანა მშვიდი და უწყინარი ხალხი არსად იყო იმ არემარეში.

საცოდავი გლეხები ყოველ საღამოს შეიყრებოდნენ სოფლის მოედანზე, დაა-გუზგუზებდნენ დიდ კოცონს, ქალები და ბავშვები შინ იყვნენ შეკეტილები,

გარეთ ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდნენ. კაცები შემოუსხდებოდნენ კოცონს, თავს იქექავდნენ და ვიშვიშებდნენ. ერთი დღე ივიშვიშეს, მეორე დღე ივიშვიშეს და ბოლოს გადაწყვიტეს, გრაფთან წავიდეთ, შევჩივლოთ ჩვენი უბედურება და დახმარება ვთხოვოთო.

გრაფს მთაზე ედგა სასახლე, ქვის მაღალი გალავანი ერტყა სასახლეს, გალავანაზე კი შუშის ნამსხვრევები იყო მოყრილი.

ერთ კვირა დილას გლეხები გრაფის სასახლეს მიადგნენ. ძალიან ღელავდნენ, ქუდს ხელში ჭმუჭნიდნენ. ბოლოს, როგორც იყო, გაბედეს და ჭიშკარზე დააკაკუნეს. გაიღო ჭიშკარი, გლეხები გრაფის ეზოში შევიდნენ, მრგვალი სასახლის ფანჯრები დახურული იყო. რკინის გისოსები ეკეთა. ეზოში გრაფის სალდათები ისხდნენ, ულვაშზე ქონს ისვამდნენ, რომ ულვაშს ებზინა და კუშტად უყურებდნენ გლეხებს.

ეზოს სიღრმეში ხავერდგადაკრულ სავარძელში გრაფი იჯდა, აქეთ-იქით ოთხი სალდათი ამოდგომოდა და ოთხი სავარცხლით გრძელზე უგრძეს შავ წვერს უვარცხნიდნენ.

ერთმა, ყველაზე ხნიერმა გლეხმა, როგორც იყო, გამბედაობა მოიკრიბა და გრაფს მიმართა:

— მოგვიტევეთ, სინიორ, რომ თქვენი ბრწყინვალების შეწუხება გავბედეთ. ჩვენი უბედურება უნდა შემოგჩივლოთ... საქონელი მუდამ ტყეში დაგვყავდა საბალახოდ... ბოლო ხანებში შემოგვეჩვია ჯადოქარი მიჩილინა... გვტაცებს პირუტყვს... — ასე ოხვრა-ვიშით უამბო გრაფს მოხუცმა თავიანთი გასაჭირი. სხვა გლეხები კი ჩუმად ანიშნებდნენ მოხუცს, უფრო თამამად ილაპარაკეო.

გრაფი დუმდა. ბერიკაცმა ისევ წამოიწყო:

— ასეთ უბედურ დღეში რომ არ ვიყოთ, სინიორ, თქვენ შეწუხებას როდი გავბედავდით. თუ თქვენი მოწყალება დაგვეხმარება და სალდათებს გამოგვიგზავნის მცველად, ისევ გავრეკავთ საქონელს ტყეშიო.

გრაფმა თავი გადააქნია:

— ჩემი სალდათები რომ გამოგიგზავნოთ, კაპიტანიც თან უნდა გამოვაყოლოო.

გლეხებს იმედი მიეცათ.

— ჰოდა, თუ კაპიტანი სალდათებს გამოჰყვება, საღამოობით ვიღას ვეთამაშო ლოტო?

გლეხები ფეხებში ჩაუვარდნენ გრაფს და შეევედრნენ:

— შეგვიბრალეთ, სინიორ გრაფო, წყალობა მოიღეთო.

სალდათები იდგნენ, ზანტად ამთქნარებდნენ და ულვაშზე ქონს ისვამდნენ.

გრაფმა ისევ გადააქნია თავი და თქვა:

მე გრაფი ვარ, მძლავრზე მძლავრი
და გულწრფელად მჯერა ასე,
რომ არარა ჯადოქარი
არ არსებობს ქვეყანაზე!

ამ სიტყვებზე სალდათებმა მთქნარება-მთქნარებით მოიმარჯვეს ხიშტიანი თოფები და ზანტი ნაბიჯით წამოვიდნენ გლეხებისკენ, რომ ეზოდან გაერეკათ.

ნირწამხდარი, იმედგაცრუებული გლეხები თავის მოედანზე დაბრუნდნენ, მთლად გადაუწყდათ იმედი, აღარ იცოდნენ, რა გზას დადგომოდნენ. ამ დროს იმ ბერიკაცმა, ცოტა ხნის წინათ გრაფს რომ სთხოვა დახმარება, წამოიძახა:

— მაზინო უნდა დავიბაროთ, სხვა გზა არა გვაქვსო!

დასხდნენ, დაწერეს წერილი და აფრიკაში გაგზავნეს. ჰოდა, ერთ მშვენიერ საღამოს, გლეხები ჩვეულებრივად რომ შეიყარნენ მოედანზე და კოცონი დააგუზგუზეს, მაზინოც გამოჩნდა. გლეხები, როგორც ადათი და წესია, მიესალმნენ მაზინოს, გადაეხვივნენ და მოიკითხეს. სანელებლებით შეზავებული, შემთბარი ღვინო პირდაპირ კარდალებით გადაჰკრეს და უთხრეს მაზინოს: გვიამბე, სად იყავი, რა ნახეო. ბოლოს შესჩივლეს, იცი, რა უბედურ დღეში ვართო!

მაზინომ ყურადღებით მოუსმინა მეზობლებს და დაიწყო:

— სად არ ვიყავი, რა არა ვნახე. აფრიკაში ისეთ კაციჭამიებს გადავეყარე, ადამიანს რომ ვერა ჭამდნენ და ქინქლებით იკვებებოდნენ. უდაბნოში ერთ გიჟს შევხვდი, თორმეტი მეტრის სიგრძე ფრჩხილები ჰქონდა და იმ ბრჭყალებით თხრიდა მიწას, წყალს უნდა მივაგნოო. ზღვაში ერთი თევზი ვნახე, ქოშიც ჰქონდა და ხამლიც. აქაოდა, თევზებში ჩემ მეტს არავის აქვს ქოში და ხამლიო, თევზების დედოფლად აცხადებდა თავს. სიცილიაში ერთი ქალი შემხვდა, სამოცდაათი ბავშვი ჰყავდა და ერთადერთი ქვაბი ჰქონდა. ნეაპოლში ზღვა ხალხი მიედინებოდა ქუჩაში, თურმე ნაცნობ-მეგობრების ჭორიკანობა მიერეკებოდა იმ ხალხს წინ. შავკანიანიც ბევრი ვნახე, უთვალავი თეთრკანიანიც, მხდალები ხომ, ვინ მოთვლის, რამდენი შემხვედრია, მაგრამ ისეთ თვინიერებსა და მშიშრებს, როგორიც პოკაპალიელები ხართ, პირველად ვხედავო.

დარცხვენილმა გლეხებმა თავი ჩაქინდრეს, მწარედ მოხვდათ გულზე მაზინოს სიტყვები, მაგრამ მაზინოს მეზობლების შეურაცხყოფა არც უფიქრია. ერთხელ კიდევ დაწვრილებით მიამბეთ ჯადოქარი მიჩილინას ამბავიო, სთხოვა მეზობლებს, და მერე უთხრა:

— ახლა სამ კითხვაზე მიპასუხეთ. შუაღამე რომ დადგება, ტყეში წავალ და იმ თქვენს მიჩილინას აქ მოგგვრითო.

— ბრძანე, გვკითხე, მაზინო! — გამოცოცხლდნენ პოკაპალიელები.

— ჯერ შენ მიპასუხე, დალაქო. ამ ერთ თვეში ბევრი მუშტარი გყავდა, თუ არა?

— დალაქმა უპასუხა:

მოდიოდა ჩემთან ხალხი ბევრი,
ყველას ჰქონდა ჯაგარივით წვერი,
ხოლო თმები,
თმები ჟანგისფერი
ამ მაკრატლით კოხტად შევაჭერი.

— ახლა შენი ჯერია, ხარაზო. ბევრი ფეხსაცმელი დააკერე ამ ერთ თვეში?

— ვაგლახ! — უპასუხა ხარაზმა:

ნელ-ნელა პაწაწინა ლურსმნებს
ვაჭედებდი ფეხსაცმელებს ქუსლზე,
ქალიშვილებს სიამით და ლხენით
გულს უვსებდა ნახელავი ჩემი,
ახლა სოფლად ფული არსად არი,
მწუხარებამ დამიკეტა კარი.

— მესამე კითხვაზე შენ გამეცი პასუხი, მაზმანო. როგორი ვაჭრობა გქონდა ამ ერთ თვეში?

მაზმანმა უპასუხა:

მართალი ვთქვა, ამ თვეს
მე ვივაჭრე კარგად,
ამდენი ხნის შრომა
როდი დამიკარგავს,
ღარიბი ვარ, ვიცი,
ასეც ფიქრობს ზოგი,
განთქმულია ჩემი
ნახელავი თოკი,
აბა, კი არ ვგავარ
უქნარას და ლაჩარს —
ერთი თოკი რაა,
ისიც აღარ დამრჩა……

— აჰა, გასაგებია, — ჩაილაპარაკა მაზინომ და კოცონთან წამოწვა. — ცოტას წავიძინებ, ძალიან დაქანცული ვარ, შუაღამისას გამაღვიძეთ, ჯადოქრის დასაჭერად წავალო, — თქვა, სახეზე ქუდი ჩამოიფხატა და ტკბილი ფშვინვა ამოუშვა.

ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი, ისე გაიტრუნენ პოკაპალიელები. შუაღამემ რომ მოატანა, მაზინომ გვერდი ინაცვლა, დაამთქნარა, ერთი კარდალა შემთბარი ღვინო გადაჰკრა, სამჯერ შეაფურთხა ცეცხლს, წამოდგა და ისე გასწია ტყისკენ, არავისთვის არ შეუხედავს.

გლეხები გასუსულები ისხდნენ, ცეცხლს მისჩერებოდნენ. კარგა დიდი დრო გავიდა, მოგუზგუზე კოცონი ჩანაღვერდლდა, ნაღვერდალი ჩანავლდა, დოყლაპიები კი ისევ ისე გაუნძრევლად ისხდნენ და ელოდნენ მაზინოს დაბრუნებას. ბოლოს, როგორც იყო, გამოჩნდა მაზინო, გრძელ წვერში ჩაფრენოდა და მოედნისკენ მოაჩანჩალებდა, იცით ვის? თვით სინიორ გრაფს, გრაფი ეველრებოდა, შემიბრალეო.

— ესეც თქვენი ჯადოქარი მიჩილინა! — წამოიძახა მაზინომ და მაშინვე დაუმატა: —აბა, შემთბარი ღვინო სადღაა?

გაშტერებული გლეხების წინ გრაფმა მიწაზე ბრაგვანი მოადინა, აცახცახდა, მოიკუნტა, მთლად გაილია.

— ვიცოდი, რომ ვერც ერთი თქვენგანი ამას ვერ ჩაიდენდა. — დაიწყო მაზინომ, — რაკი ყველა დადიოდით დალაქთან, ბუჩქებზე აქა-იქ შერჩენილი თმა თქვენი არ იყო. ტყეში დიდი, მძიმე ფეხსაცმლის ნაკვალევი ჩანდა, თქვენ კი ფეხშიშველი დადიხართ. არც უწმინდური ერია ამ საქმეში. განა ჯადოქარს თოკის ყიდვა სჭირდება მოტაცებული საქონლის გასარეკად? თბილი ღვინო სადღაა-მეთქი?

აცახცახებული გრაფი თავის გრძელ წვერში ცდილობდა გახვევას. იცოცხლე, ის გრძელი წვერი მაზინომ ლაზათიანად აუბურდა და დააგლიჯა, როცა ბუჩქნარიდან გამოათრია.

— არა, ეს შეჩვენებული, თვალის ერთი შევლებით როგორ გვაძინებდაო? — წამოიძახა ერთმა გლეხმა.

— ამ ვაჟბატონს კომბლის თავზე აბრეშუმის ნაჭერი შემოუკერებია. ვისაც თავში ჩაჰკრავდა იმ კომბალს, ქარის სტვენის მეტი არა ესმოდა რა, არც ნიშანი დააჩნდებოდა, თავი სტკიოდა მხოლოდ.

— ის თმის სარჭები რაღა ჯანდაბად უნდოდაო? — ჰკითხა მეორე გლეხმა მაზინოს.

— იმ სარჭებით გრაფი თავზე წვერს იმაგრებდა, როგორც ქალები თმას იმაგრებენ ხოლმეო, — აუხსნა მაზინომ.

გლეხები ხმას არ იღებდნენ, მაგრამ როცა მაზინომ ჰკითხა:

— აბა, ძმებო, რა ვუყოთ ამ ვაჟბატონსო? — აყვირდნენ:

— დავწვათო!

— ტყავი გავაძროთო!

— კასრში ჩავსვათ და დავაგოროთო!

— სამარცხვინო ბოძზე გავაკრათო!

— ძაღლებთან და კატებთან ჩავაგდოთ ტომარაშიო!

— შემიბრალეთ! შემიბრალეთო! — ევედრებოდა გრაფი პოკაპალიელებს მისუსტებული ხმით.

— მოდი, ასე გავაკეთოთ, — ურჩია მაზინომ მეზობლებს. — ამ ვაჟბატონმა საქონელი დაგიბრუნოთ და ბოსლები გამოგისუფთაოთ. თუ ღამღამობით ბუჩქებში ძრომას ვერ მოიშლის, გაუშვით, იაროს და თქვენთვის მოაგროვოს ფიჩხი. თმის სარჭებზე კი, იცით, რას გეტყვით? ბალღებს დაუშალეთ, ნუღა აკრეფენ იმ სარჭებს, თორემ სულ თუ დაკარგა მიჩილინამ სარჭები, რიღათი დაიმაგრებს წვერსა და ბანჯგვლსო.

როგორც მაზინომ ურჩია, ისე მოიქცნენ.

მერე მაზინო დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ წავიდა. ბევრ ხანგრძლივ ომში მონაწილეობდა. ჰოდა, მას აქეთ გავრცელდა ეს ზღაპრისთავი:

ჰეი, ჯარისკაცო, ყველაფერი ნათელია —
ცოტასა ჭამ, ცოტა გძინავს,

ზეზე დგები გამთენია
და ვეება ზარბაზანი
ეჭიდება ცას ზანზარით,
თითქოს ჭექს და ქუხს —
ბუხ-ბუხ!

ყარიბი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვრივი ქალი. ჰყავდა ორი გოგო და ერთი ბიჭი. ბიჭს პეპი ერქვა.

პეპი ძალიან გამრჯე იყო, წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ პურიც კი არ ჰქონდათ საძღომად.

ერთხელ დედა და დები დგიმს უსხდნენ და საქსოვს ჩაჰკირკიტებდნენ. ამ დროს პეპიმ უთხრა:

— მოდი, გამიშვით, საშოვარზე წავალ, სხვაგან ვცდი ბედსო.

გამოეთხოვა დედასა და დებს და გზას გაუდგა.

იარა, იარა პეპიმ, ერთ ფერმას მიადგა და იკითხა:

— მუშა ხომ არ გჭირდებათო.

— ძაღლები მიუსიეთ მაგ მაწანწალასო! — დაიყვირა ფერმის პატრონმა.

გამოცვივდნენ ძაღლები. პეპი ცივად შეტრიალდა. იარა და საღამო ხანს მეორე ფერმას მიადგა.

— დიდება ქალწულ მარიამსო, — ჩაილაპარაკა პეპიმ ჭიშკართან.

— ჭეშმარიტად! რომელი ხარო? — შემოესმა პეპის კაცის ხმა.

— მუშა ხომ არ გჭირდებათო? — ჰკითხა პეპიმ.

— შემოდიო, — უპასუხა ერთმა მწყემსმა. — მგონი, ხარების მწყემსი წასვლას აპირებს, პატრონს ვკითხავ, იქნებ შენ აგიყვანოსო.

წავიდა მწყემსი ფერმის პატრონთან და უთხრა, ასე და ასეა საქმეო.

— ვახშამი აჭამეთ, მერე ჩამოვალ და თვითონ მოველაპარაკებიო, — უპასუხა ფერმის პატრონმა.

ვახშმად პური და ყველი მისცეს პეპის. ჩამოჯდა იქვე და ჭამა დაიწყო. ამ დროს ფერმის პატრონმა ხარების მწყემსი დაინახა და ჰკითხა:

— მაშ, არ იშლი, მიდიხარ, არა?

— მივდივარ, სინიორ, — წაიბუტბუტა მწყემსმა.

— კარგი. აბა, ხვალ შენ გარეკე ხარები საბალახოდ, — მიუბრუნდა პეპის ფერმის პატრონი, — ოღონდ იცოდე, ყმაწვილო, საჭმელის მეტს ჩემგან ვერაფერს მიიღებო.

— რა გაეწყობა, სინიორ, იყოს ნება ღვთისა, — უპასუხა პეპიმ.

გარიჟრაჟზე წამოდგა პეპი, ყველი და პური აიღო და ხარები საბალახოდ წაასხა.

მთელ დღეს მინდორში აღამებდა, მხოლოდ შებინდებულზე მორეკავდა ხოლმე ხარებს შინ.

ყველიერი მოახლოვდა. პეპი საღამოობით ნაღვლიანი ბრუნდებოდა შინ. ერთმა მწყემსმა უგუნებობა შეატყო.

— პეპი!

— რა იყო?

— რა დაგემართა?

— არაფერი.

დილით დაღვრემილი პეპი ხარებს მიერეკებოდა, გზაზე ფერმის პატრონი შემოხვდა.

— პეპი!

— რა გნებავთ?

— რა დაგემართა?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი. მაშ, რად ჩამოგტირის ცხვირ-პირი, რატომ არ მეუბნები სიმართლესო? — ჰკითხა ფერმის პატრონმა.

— აბა, რა გითხრათ. აგერ, ყველიერი კარზე მოგვადგა, თქვენ კი ერთ სოლდოსაც არ მაძლევთ, რომ შინ წავიდე და დებთან და დედასთან გავატარო დღესასწაულიო, — შესჩივლა პეპიმ.

— ეეჰ, პეპი! რაც გინდა მთხოვე, ოღონდ ფულზე კრინტი აღარ დაძრა. პური რამდენიც გინდა წაიღე, ფულს კი ნუღარ მიხსენებო.

— ვთქვათ და ხორცი დამჭირდა. მაშინ რაღა ვქნა, საიდან მოვიტანო?

— პეპი, პირობა აღარ გახსოვს? მეტი ჩვენ სალაპარაკო არაფერი გვაქვსო, — უთხრა ფერმის პატრონმა.

მზე უკვე ამოიწვერა, რაღას იზამდა, გაირეკა პეპიმ ხარები და წავიდა საძოვრისკენ, მინდორზე მიიყვანა ხარები, თვითონაც იქვე ჩამოჯდა, მწარე ფიქრები კი არ ასვენებდნენ და არა.

— პეპი! — გაისმა უცებ სიწყნარეში.

მიიხედ-მოიხედა პეპიმ. არავინ ჩანდა. ალბათ ჩემი დარდის ხმა შემესმაო, გაიფიქრა.

— პეპი, პეპი! — გაისმა ისევ.

—რომელი ხარ? — იკითხა გაკვირვებულმა პეპიმ.

— მე ვარ! — თავი მისკენ მიაბრუნა ბებერმა ხარმა.

— რაო, ლაპარაკი იციო?

— ჰო, პეპი, მითხარი, რა მოგივიდა, კარგა ხანია, გაკვირდები და ვხედავ, რაღაც გაწუხებს, რაღაც საზრუნავი გულს გილევსო, — უთხრა ბებერმა ხარმა.

— რა გამახარებს! ყველიერი კარზე მოგვაგდა, პატრონი კი ერთ სოლდოსაც არ მაძლევსო, — შესჩივლა პეპიმ.

— იცი, რას გეტყვი? საღამოს მიდი პატრონთან და უთხარი: — აი, ეს ბებერი ხარი მომეცი-თქო. მუშაობა აღარ შემიძლია, პატრონს ჭირივით შევძულდი და

დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით დაგითმობს ჩემ თავს. ხომ გაიგე, პეპი, რაც გითხარიო?

საღამოს პეპი უფრო მოღუშული და დაძმარებული დაბრუნდა ფერმაში.

— რა დაგემართა, პეპი, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირიო? —ჰკითხა ისევ ფერმის პატრონმა.

— ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. აი, ეს გადამღრძვალი ხარი მაჩუქეთ. შინ წავიყვან, დავკლავ და მის ძარღვიან ხორცს, როგორმე დავარბილებო.

— კარგი, პეპი, მიჩუქნია შენთვის ეგ ხარი. თოკსაც მოგცემ მაგის წასაყვანადო, — უთხრა პატრონმა.

უთენია წამოდგა პეპი, პატრონმა რვა პური მისცა. პეპიმ პურები შულდაკში ჩააწყო, ქუდი დაიხურა და გზას გაუდგა.

იარეს, იარეს პეპიმ და ბებერმა ხარმა, უცებ დაინახეს, რომ მათკენ ორი გლეხი მოაგელვებს ცხენებს.

— თავს უშველეთ! თავს უშველეთ! ცოფიანი ხარი. ცოფიანი ხარიო! — ყვიროდნენ მხედრები.

— ჰკითხე მაგათ, ეგ ცოფიანი ხარი რომ დავიჭირო, მაჩუქებთ, თუ არა-თქო, — უჩურჩულა ბებერმა ხარმა პეპის.

პეპიმ გლეხებს ჰკითხა, რაც ხარმა დაავალა.

— ჩუქებით კი გაჩუქებთ, მაგრამ განძრევას ვერ მოასწრებთ შენ და შენი ხარი, ისე გადაგქელავთ ორივეს გაცოფებული პირუტყვიო, — უპასუხეს გლეხებმა.

— ნუ გეშინია, პეპი. მე ამომეფარე, — უჩურჩულა ბებერმა ხარმა.

ამ დროს მოვარდა კიდეც ნესტოებდაბერილი ცოფიანი ხარი და ბებერ ხარს დაეძგერა. შეერკინნენ ერთმანეთს, ხათქათუქი გაჰქონდა მათ რქებს. ბებერი ხარი ძარღვიანი და ღონიერი იყო, აჯობა ცოფიანს.

— ჩქარა, თოკი აიღე და ეს ხარი რქებზე გამომაბიო, — უთხრა ბებერმა ხარმა პეპის.

გამოაბა პეპიმ ცოფიანი ხარი რქებზე თავის ბებერ ხარს. გამოემშვიდობა გლეხებს და გზას გაუდგა.

იარა პეპიმ, იარა და ერთ ქალაქში შევიდა. უცებ გზირის ხმა შეესმა:

— ვინც ერთ დღეში სალმა[1] მიწას გადახნავს, ხელმწიფე თავის ქალს ცოლად გაატანს და მზითვად ორ ტომარა ოქროს მისცემს. თუ ვინმე დაიწყებს ხვნას და ვერ მოასწრებს, თავს მოსჭრიანო, — ყვიროდა გზირი.

პეპიმ ხარები ბაკში დააბინავა და სასახლეში წავიდა. გუშაგებმა დაიფრინეს, აქ რა გინდა, შე დაკონკილოო. ამ დროს ხელმწიფემ ფანჯრიდან გადმოიხედა და ბრძანა: — ახლავე გამოუშვით ეგ კაცი ჩემთანო.

წარუდგა პეპი ხელმწიფეს და მიესალმა:

— მდაბლად თავს გიკრავთ, თქვენო უდიდებულესობავ!

— რა გინდა, რისთვის გარჯილხარო? — ჰკითხა ხელ-მწიფემ.

— გავიგონე, რაც გამოაცხადა თქვენმა გზირმა. ორი ხარი მყავს და მინდა, ბედი ვცადოო, — უპასუხა პეპიმ.

— კარგად კი გაიგე, რა მოელის იმას, ვინც ხელს მოჰკიდებს ამ საქმეს და ვერ შეასრულებსო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— როგორ არა, გავიგე, თუ ერთ დღეში ვერ მოვხნავ სალმა მიწას, თავს წამაგდებინებენ. უბრძანეთ, გუთანი და ცოტა თივა მომცენ ხარებისთვის, ამ ქალაქში შემთხვევით მოვხვდი და პირუტყვი მშიერი მყავსო.

— ხარები ჩემს ბოსელში დააბი და რაც დაგჭირდება, ყველაფერს მიიღებო, — უთხრა ხელმწიფემ.

პეპიმ ხარები ბოსელში შერეკა.

— ამ ხარს ერთი ხელეული თივა დაუდე, მე კი ნახევარიო, — დაარიგა პეპი ბებერმა ხარმა.

სისხამ დილით წამოდგა პეპი, აიღო გუთანი, ოთხი ხელეული თივა, გავიდა მინდორში, იკითხა საიდან დავიწყო ხვნაო, და საქმეს შეუდგა.

კარისკაცებმა სასახლის აივანზე მოიყარეს თავი და იქიდან თვალს ადევნებდნენ პეპის.

— თქვენო უდიდებულესობავ! ის ჭაბუკი აღარა ხუმრობს, თითქმის მთელი მინდორი გადახნა. რას აპირებთ, მართლა გაატანთ ასეთ ტეტიას თქვენს ქალსო?

— მაშ, რა ვქნაო? — იკითხა ხელმწიფემ.

— უბრძანეთ, შუადღისას საუზმე მიუტანონ. შემწვარი წიწილა, ქორფა ოხრახუში და ღვინო. ღვინოში ბანგი შეურიონო.

მართლა გაგზავნეს მოახლე და სამხარი გაატანეს.

— ჭამეთ და დაისვენეთო, — უთხრა პეპის მოახლემ.

პეპის მღვდლის ქუდის ხელა, სამკუთხედი ნაკვეთიღა დარჩა მოსახნავი, რა უშავსო, გაიფიქრა, დავნაყრდები და ამასაც მოვხნავო.

დაუყარა ხარებს თივა. ბებერ ხარს ნახევარი ხელეული, მეორეს მთელი ხელეული. ჩამოჯდა და ნელ-ნელა შეექცა შემწვარ წიწილას, მწვანილს და ღვინოც დააყოლა. მერე იქვე მიწვა და დაიძინა. ბებერ ხარს არ დაუნახავს, რომ პეპიმ დაიძინა. მოათავა ნახევარი ხელეული თივა და მეორე ხარს დაუწყო ლოდინი. მოათავა მეორე ხარმაც თივა. მივიდა ბებერი ხარი პეპისთან, წაჰკრა და წაჰკრა ჩლიქები.

— მმმ, — ბურტყუნებდა პეპი.

— ადექი, თორემ ძვირად დაგიჯდება ნებივრობა, ხვალ დილით თავს წაგაცლიანო, — ჩასძახა პეპის ბებერმა ხარმა.

წამოხტა პეპი, შეისხა პირზე წყალი, კარგად ვერ გამოფხიზლდა, მაგრამ მაინც გადახნა დარჩენილი ნაკვეთი და ხელმეორედ შეუდგა ხვნას.

— ეს რა უბედურება დაგვემართა, ეტყობა, ბანგი ცოტა მოგვივიდაო, — წამოიძახეს კარისკაცებმა.

პეპი უფრო ხალისიანად დატრიალდა და ღამის ათი საათისთვის მეორედ გადახნა მთელი სალმა მიწა. სრულ ათ საათზე სასახლეში დაბრუნდა, ხარებს თივა დაუყარა, ეახლა ხელმწიფეს და მოახსენა:

— მამავ, დამლოცეთო!

— რაო, უკვე მოხანი სალმა მიწა?! ახლა რა გინდა? ალბათ ორი ტომარა ოქრო, არა?

— უცოლო გახლავართ, ოქრო რად მინდა. ჯერ ცოლი უნდა შევირთოო, — უპასუხა პეპიმ.

მოჰკიდეს მსახურებმა პეპის ხელი, წაიყვანეს აბანოში, დაბანეს, გამოაწყვეს ძვირფას ტანსაცმელში, საათიც კი გაუკეთეს მაჯაზე და ვაჟი საქორწილოდ მოამზადეს.

— ესეც ასე, პეპი. ხომ შეგრთე ხელმწიფის ქალი. ახლა მე დამკალი, ჩემი ძვლები კალათში ჩააწყვე, გაიტანე იმ შენ მოხნულ მიწაზე და ხის ნერგებივით სათითაოდ ჩარგე. მარტო ერთი ფეხი შეინახე შენი ლეიბის ქვეშ. მზარეულს უთხარი, რომ ჩემი ხორციდან ყველაფრის გაკეთება შეიძლება: უნდა ქათმად მაქცევს, უნდა კურდღლად, ინდაურად, თუ თევზად. რასაც მოიწადინებს, იმად იქცევა ჩემი ხორციო.

პეპიმ სიმამრს უთხრა, ხარი უნდა დავკლაო. ხელმწიფე ისე შეეჩვია ბებერ ხარს, რომ დასაკლავად დაენანა. მაგრამ პეპიმ მაინც დაიყოლია ხელმწიფე.

— დავკლათ ეს ხარი, ქორწილისთვის ხორცი საყიდი არ გვექნებაო, — უთხრა სიმამრს და მერე მზარეულთან წავიდა:

— რასაც ჩაუთქვამ, იმად იქცევა ამ ხარის ხორცი: ქათამი გინდა, ინდაური, კურდღელი თუ თევზიო.

მართლაც, მზარეულმა სულ ნაირ-ნაირი კერძი დაამზადა. სტუმრებს ძალიან მოეწონათ ყველაფერი და წამდაუწუმ გაისმოდა:

— რა გემრიელია კურდღლის ხორცი!

— ქათმის ხორცი გასინჯეთ, თითებს ჩაიკვნეტთ!

— ხბოს ხორცი ისეთია, პირში დნებაო!

ღამე პატარძალმა დაიძინა. პეპიმ ხარის ფეხი ლეიბქვეშ ამოდო, კალათი მხარზე შეიდგა, გავიდა მინდორში და როგორც ბებერმა ხარმა დაარიგა, სათითაოდ ჩარგა მიწაში მისი ძვლები. მერე ჩუმად შეიპარა საწოლ ოთახში, მაგრამ პატარძალს გაღვიძებოდა და პეპის უთხრა:

— რომ იცოდე, რა კარგი სიზმარი ვნახე! ვითომ ვარდის და ჟასმინის ბუჩქებში ვიდექი. მწიფე ვაშლის და ალუბლის ტოტები სახეზე მელამუნებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას ის საუცხოო ბაღიო. — მერე ხელი გაუწვდინა და მწიფე ვაშლი მოწყვიტა. — არა, ეს სიზმარი არ ყოფილა, აი, შეხედე, ნამდვილი ვაშლი მიჭირავს ხელშიო.

— ჰო, სიზმარში არა ხარ. აჰა, ალუბალიც ინებეო, — უპასუხა პეპიმ და ალუბალი მოწყვიტა.

დილით ხელმწიფე შვილის და სიძის სანახავად რომ შევიდა, მათი ოთახი სურნელოვანი ხილით და ყვავილებით იყო სავსე.

კარისკაცები აივანზე გავიდნენ. გახედეს პეპის გადახნულ მინდორს და თვალწინ მსხმოიარე ხილის ბაღი გადაეშალათ.

კარისკაცებმა ხელმწიფეს სთხოვეს:

— გამობრძანდით, თქვენო უდიდებულესობავ, ერთი შეხედეთ, გუშინ პეპიმ მიწა რომ მოხნა, სულ ხეხილით დაფარულაო.

ხელმწიფემ თვალი მოჭუტა:

— ბაღი და მერე რა ბაღიო!

— წავიდეთ, ახლოს ვნახოთო, — თქვეს, ჩასხდნენ კარეტებში და ბაღში გასწიეს.

რა გინდა სულო და გულო, იმ ბაღში რომ არ ყოფილიყო: ლიმონი, მსხალი, ყურძენი, ნაყოფის სიმძიმით ტოტებდაზნექილი ხეები. ხელმწიფემ და კარისკაცებმა ყველანაირი ხილი მიირთვეს და დიდად ნასიამოვნები დაბრუნდნენ სასახლეში.

ხელმწიფეს პეპის ცოლის გარდა ჰყავდა კიდევ ორი ქალი, ორივე უფლისწულზე იყო გათხოვილი. მივიდნენ ხელმწიფის უფროსი ქალები პეპის ცოლთან და ჰკითხეს:

— დაო, ეს სასწაული მართლა შენმა ქმარმა მოახდინაო?

— მე რა ვიციო! — უპასუხა პეპის ცოლმა.

— რა სულელი ხარ. ჰკითხე შენს ქმარს და ყველაფერს გაიგებო.

— კარგით, ამ საღამოს გამოვკითხავ ყველაფერსო, — დაჰპირდა პეპის ცოლი დებს.

— ძალიან კარგი. რასაც გეტყვის, მერე ყველაფერი ჩვენ გვიამბეო, — უთხრეს დებმა.

მართლაც, საღამოს ცოლმა პეპის გამოკითხვა დაუწყო. პეპის ეძინებოდა, თუ არ ვეტყვი, არ მომასვენებს, აღარ დამაძინებსო, გაიფიქრა და ყველაფერი უამბო. მეორე დილით ხელმწიფის ქალებმა პეპის ცოლს ჰკითხეს, რა გითხრა ქმარმაო, გაიგეს რა როგორ მოხდა და თავის ქმრებს უამბეს. ხელმწიფის დარბაზში რომ შეიკრიბა მთელი ოჯახი, ქვისლებმა პეპის უთხრეს:

— სიძევ, მოდი დავნაძლევდეთ!

— რაზეო? — ჰკითხა პეპიმ.

— ჩვენ ვიცით, როგორ გაჩნდა აქ ეს მშვენიერი ბაღიო.

— კარგი, დავნაძლევდეთ, მაგრამ რაზეო?

— თუ გამოვიცნობთ, შენ უნდა მოგვცე, რაც აქ მიიღე. ვერ გამოვიცნობთ და, რაც გვაბადია, შენთვის დაგვილოცნიაო.

წავიდნენ ნოტარიუსთან და პირობას ხელი მოაწერეს. მერე ქვისლებმა პეპის უამბეს, რაც ცოლებისგან გაიგეს. პეპის ძალიან სჯეროდა თავისი ცოლის, რას იფიქრებდა, რომ ქალი გაამხელდა მის საიდუმლოს.

ნეტა როგორ გაიგეს ეს ამბავი, ნუთუ მზემ უამბო, — ფიქრობდა პეპი.

წააგო პეპიმ სანაძლეო. მისცა ქვისლებს, რაც სასახლეში მიიღო და ისევ ისეთი ღატაკი გახდა, როგორც იქ მისვლამდე იყო. ჩაიცვა თავისი დაკონკილი ტანისამოსი, გადაიკიდა გუდა და მშიერ-მწყურვალი დაადგა გზას. იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა, ერთ დანგრეულ ქოხს მიადგა და დააკაკუნა.

— რომელი ხარ? — გაისმა ქოხიდან.

— მე ვარ, წმიდა მამაო!

— რას დაეძებ?

— თუ შეიძლება, მიმასწავლეთ მზე საიდან ამოდისო, — სთხოვა პეპიმ.

— შემოდი, შვილო, ამაღამ აქ დარჩი. დილით კი გზას გასწავლი. მიდი ერთ ჩემზე ხნიერ განდეგილთან, იქნებ ის დაგეხმაროსო.

გარიჟრაჟზე განდეგილმა პეპის პური მისცა. გამოემშვიდობა პეპი გულკეთილ მასპინძელს და გზას დაადგა. იარა, იარა, დიდი გზა გაიარა და მეორე განდეგილის ქოხთან მივიდა. ღრმად მოხუც განდეგილს თეთრი წვერი მუხლებამდე სცემდა.

— მშვიდობა თქვენდა, წმიდა მამაო! — მიესალმა პეპი.

— რისთვის გარჯილხარ, შვილო?

— იმ ადგილს ვერ მიმასწავლით, საიდანაც მზე ამოდისო? — ჰკითხა პეპიმ.

— წადი, შვილო, და მანამდე იარე, სანამ ჩემზე ხნიერ განდეგილს არ იპოვიო, — უპასუხა განდეგილმა.

პეპიმ სთხოვა, გზა დამილოცეთო. დაულოცა განდეგილმა გზა და პეპი წავიდა.

მესამე განდეგილის სადგომს რომ მიაღწია, ქოხში შევიდა, ხელზე ემთხვია მოხუცს და უთხრა:

— მშვიდობა თქვენდა, წმიდა მამაო!

— რას დაეძებო? — ჰკითხა განდეგილმა.

— იმ ადგილს ვერ მიმასწავლით, საიდანაც მზე ამოდის?

— ჩემო შვილო, იქნებ მართლა მიაღწიო იმ ადგილამდე. გამომართვი ეს ქინძისთავი და კარგად დაიხსომე რასაც გეტყვი: ამ გზას დაადექი და მანამ იარე, ვიდრე ლომის ბუხუნი არ შემოგესმება. ლომის ბუხუნს რომ გაიგონებ, დაიძახე: ნათლიმამა განდეგილმა მოკითხვა შემოგითვალათ, ქინძისთავი გამომატანა, რომ თათიდან ხიჭვი ამოგიღოთ. თქვენ კი ამის სამადლობელოდ მზესთან დამალაპარაკეთ-თქო.

წავიდა პეპი, ნახა ლომი და თათიდან ხიჭვი ამოუღო.

— დიდი სატკივარი მომაშორეო, — უთხრა ლომმა.

— ჰოდა, დამეხმარე, მზესთან დამალაპარაკეო, — შეეხვეწა პეპი.

ლომმა პეპი შავად მოლივლივე ზღვის პირას მიიყვანა.

— პეპი, აი, აქედან ამოდის მზე. ჯერ გველეშაპი გამოვა ზღვიდან. როგორც კი გველეშაპს დაინახავ, მაშინვე დაუძახე: ნათლიმამა გველეშაპო, ნათლიმამა ლომმა მოკითხვა შემოგითვალათ და გთხოვათ, მზესთან დამალაპარაკოთ-თქო.

ლომი თავის ბუნაგს დაუბრუნდა. დარჩა პეპი მარტო. უცებ გაიპო ტალღები, ამოვიდა წყლიდან გველეშაპი. პეპიმ უთხრა, რაც ლომმა დააბარა.

— აბა, მარდად ჩახტი ზღვაში და ჩემს ფრთას ამოეფარე, რომ მზემ არ დაგწვასო, — უთხრა გველეშაპმა.

ის იყო ჩახტა პეპი ზღვაში და გველეშაპის ფრთას ამოეფარა, რომ მზეც ამოიწვერა.

— ჩქარა სთხოვე, რაც გინდა, თორემ მზე მალე წავაო, — უთხრა გველეშაპმა.

— ჰოი, მზეო! — შესძახა პეპიმ. — რად გამეცი, რად გაუმხილე ჩემი საიდუმლო სხვებს. შენ მეტმა არავინ იცოდა ჩემი ამბავიო.

— მე გავამხილე შენი საიდუმლო? რას ამბობ, პეპი? იცი, ვინ გაგცა? შენმა ცოლმა. დაგავიწყდა, ღამე რომ უამბე ყველაფერიო? — უპასუხა მზემ.

— თუ ასეა, მაპატიე, მზეო! შენს გარდა არავის შეუძლია ჩემი შველა. გთხოვ, გემუდარები, ამ საღამოს დროზე ნუ ჩახვალ, შუაღამის მერე ჩაესვენე და რაც დავკარგე, ყველაფერს უკან დავიბრუნებო, — შეეხვეწა პეპი.

— კარგი, პეპი, სიამოვნებით შეგისრულებ თხოვნასო, — დაჰპირდა მზე.

პეპიმ მადლობა გადაუხადა მზეს, გველეშაპს, ლომს, ყველას, ვინც კი დაეხმარა და შინისკენ გასწია. ცოლმა პეპი რომ დაინახა, წამოხტა და სუფრა გაუშალა.

პეპი დანაყრდა, მერე ბაღში გავიდა, ჩრდილში წამოწვა მოსასვენებლად. ამ დროს მისმა ქვისლებმა გამოიარეს.

— ქვისლებო, მოდი დავნაძლევდეთო, — უთხრა პეპიმ.

— სულს იქით არა გაბადია რა, რაზე უნდა დავნაძლევდეთო? — ჰკითხეს ქვისლებმა.

— მე თავს დავდებ, თქვენ კი რაც მომიგეთ, ის დადეთო, — უპასუხა პეპიმ.

— კარგი, ეგრე იყოს, შენ ოღონდ თავი დადე და მარტო შენს ფულს კი არა, რაც გვაბადია, ყველაფერს ზედ დავურთავთ. რაზე დავნაძლევდეთო? — ჰკითხეს ქვისლებმა.

— აბა, მითხარით, მზე რომელ საათზე ჩადისო? — თავის მხრით ჰკითხა პეპიმ.

— რა დაემართა, ხომ არ შეიშალა, რას გვეკითხება, განა არ იცის, რომელ საათზე ჩადის მზე? — გადაუჩურჩულეს ერთმანეთს ქვისლებმა. — მზე ათის ნახევარზე ჩადის, პეპი!

— არაფერიც. მზე ღამის თორმეტი საათის მერე ჩადისო, — უპასუხა პეპიმ.

წავიდნენ ნოტარიუსთან, ხელი მოაწერეს პირობას და მზეს მიაჩერდნენ. ათის ნახევარზე მზე გადაიწვერა. პეპის შეეშინდა და დაუყვირა:

— ჰეი, მზევ, პირობა, პირობაო!

გაახსენდა მზეს თავისი დაპირება და შეჩერდა. ნება-ნება, ტაატით მიჰყვებოდა ცის კამარას და შუაღამემდე ანათებდა ქვეყანას.

— მართალი ვყოფილვარ, თუ არაო? — ჰკითხა პეპიმ ქვისლებს.

— მართალი ხარ, პეპი, — დაეთანხმნენ ქვისლები და პირობის თანახმად, პეპის მისი ოქროც დაუბრუნეს და მთელი თავისი ქონებაც ჩააბარეს.

— ახლა მე თქვენ გიჩვენებთ, როგორი გული აქვს გლეხსო (უფლისწულები დასცინოდნენ, გლეხუჭას უძახდნენ), — უთხრა ქვისლებს პეპიმ და მთელი მოგებული ქონება უკან დაუბრუნა.

ხელმწიფემ რომ გაიგო ეს ამბავი, გვირგვინი მოიხადა და პეპის დაადგა თავზე. ქვისლები გადაეხვივნენ პეპის, ულოცავდნენ, გული კი ბოღმით ჰქონდათ სავსე, მაგრამ პეპის არ უჩვენებდნენ.

მეორე დღეს დიდი ნადიმი გამართეს, მთელი ნათესაობა შეიკრიბა, იმხიარულეს, სულ ერთი მეორეზე უკეთესი კერძი მოჰქონდათ სუფრაზე. ბოლოს ყავა და კასატა[1] ჩამოარიგეს.

ასე მიიღო პეპიმ, ხარების მშიერმა მწყემსმა, მეფის გვირგვინი.

სალაპარუტა

<u>მ ა რ თ ა ლ ი მ ა ს ა რ ო</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ხელმწიფეს თხა, კრავი, ცხვარი და ხბო ჰყავდა. ძალიან უყვარდა თავისი პირუტყვები, ყველაზე მეტად კი ხბო. ჰოდა, გადაწყვიტა ხელმწიფემ, საიმედო კაცისთვის ჩაებარებინა სამწყემსავად თავისი საქონელი. მის ნაცნობებში ყველაზე ალალი და პატიოსანი ერთი გლეხი გამოდგა. ამ კაცს ხალხმა 'მართალი მასარო» შეარქვა. თურმე მასაროს თავის სიცოცხლეში ერთხელ არ წამოსცდენოდა ტყუილი. იხმო მართალი მასარო ხელმწიფემ და საქონელი ჩააბარა.

— ყოველ შაბათს მოხვალ და ჩემი საყვარელი თხის, კრავის, ცხვრის და ხბოს ამბავს შემატყობინებო, — უთხრა ხელმწიფემ.

ადგებოდა შაბათ დილას მასარო, მთიდან ბარში ჩამოვიდოდა, ეახლებოდა ხელმწიფეს, ქუდს მოიშვლეპდა და ეტყოდა:

— დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ!

— დილა მშვიდობისა, მართალო მასარო. მითხარი, რასა იქმს ჩემი თხაო? — ჰკითხავდა ხელმწიფე.

— თეთრქათიბა ეშმაკი სულ დახტის და დაკუნტრუშებსო.

— კრავი? კრავი როგორღაო?

— კრავი ისე დამშვენდა, ისეთი ლამაზია, სულ თეთრად ქათქათებსო.

— ცხვარი?

— ცხვარი? გასუქდა და გაზანტდაო.

— ხბო? ხბო როგორღა მყავსო?

— სიმსუქნისგან ტყავი ზედ ასკდებაო.

ხელმწიფეს ეჭვი არ ეპარებოდა გლეხის სიმართლეში, გაიგებდა თუ არა თავისი საქონლის ამბავს, მასაროს მაშინვე უკან გაისტუმრებდა.

ერთი შურიანი მინისტრი ჰყავდა ხელმწიფეს. ვერ უყურებთ ამ გლეხუჭას, ხელმწიფემ როგორი პატივი დასდოო, — ჯავრობდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ხელმწიფეს სიტყვა ჩამოუგდო:

— ვერ დავიჯერებ, თუ ამ გლეხს ერთხელ მაინც არ წამოსცდენია ტყუილი. ხატზე დავიფიცავ, რომ მომავალ შაბათს ეგ თქვენი ალალმართალი კაცი ტყუილს გეტყვითო.

— მაშ, ეს თავი მომჭერით, თუ ჩემმა გლეხმა მომატყუოსო, — წამოიძახა ხელმწიფემ.

დანაძლევდნენ ხელმწიფე და მინისტრი, ვინც გამტყუნდება ჩვენში, თავი მოსჭრანო.

იფიქრა, იფიქრა მინისტრმა, რა ვიღონო, როგორ ვათქმევინო მართალ მასაროს ტყუილიო, მაგრამ ვერაფერი მოიგონა და დაღონდა. შაბათი ახლოვდებოდა, სამი დღეღა დარჩა და მინისტრმა მოსვენება დაკარგა. შეატყო ცოლმა რომ გუნებაზე ვერ იყო, რაღაც აწუხებდა და ჰკითხა:

— მითხარი, რა მოხდა, რამ დაგაღონაო.

— თავი დამანებე, ყველაფერში ცხვირს ნუ ჩრიო, — უპასუხა ქმარმა.

ცოლი მოეფერა, ისე დაუყვავა, ისე მიუალერსა, ყველაფერი ათქმევინა.

— მერე, ამან დაგაღონა? დარდი ნუ გაქვს, ახლავე გავჩარხავ ამ საქმესო.

მეორე დილით გამოიპრანჭა მინისტრის ცოლი, ჩაიცვა ძვირფასი კაბა, აისხა სამკაულები, შუბლზე ალმასის ვარსკვლავები მიიკრა, ჩაჯდა კარეტაში და მთაში წავიდა, იმ ადგილს რომ მიაღწია, სადაც მართალი მასარო ხელმწიფის თხას, კრავს, ცხვარსა და ხბოს აბალახებდა, კარეტიდან გადმოვიდა და მიიხედ-მოიხედა.

მართალი მასარო მშვენიერი ქალის დანახვაზე სახტად დარჩა. თავის დღეში არ ენახა ასეთი მზეთუნახავი და დაფაცურდა, უნდოდა მინისტრის ცოლისთვის საკადრისი პატივი ეცა.

— ჩემო კარგო გლეხო, ერთ თხოვნას ვერ შემისრულებო? — ჰკითხა მინისტრის ცოლმა.

— კეთილშობილო სინიორა, რასაც მიბრძანებთ, ყველაფერს გავაკეთებო, — უპასუხა მართალმა მასარომ.

— გუნებანაქცევადა ვარ, ხბოს შემწვარი ღვიძლი მომინდა. იცოდე, აქვე სულს დავლევ, თუ თხოვნას არ შემისრულებო, — უთხრა მზეთუნახავმა.

— კეთილშობილო სინიორა, რაცა გნებავთ, ისა მთხოვეთ, ამას კი ვერ შეგისრულებთ. ხბო ხელმწიფისაა, თავის საქონელში გამორჩეული ჰყავს და როგორ დავკლაო, — უარზე დადგა მასარო.

— ვაი, რა უბედური ვარ, — ატირდა ქალი. — ამ თხოვნას თუ არ შემისრულებ, იცოდე, მოვკვდები... მოვკვდები, გლეხო, კარგო, ძვირფასო გლეხო, მადლი მოისხი, ამისრულე გულის წადილი! ხელმწიფე რას გაიგებს, უთხარი, რომ ხბო კლდიდან გადაიჩეხა. მორჩა და გათავდაო.

— ვერა, სინიორა, ხბოს ღვიძლს ვერ მოგართმევთო, — მტკიცედ მიუგო მართალმა მასარომ.

ცხარე ცრემლით ატირდა ქალი, მერე მიწაზე გაიშოტა და თავი მოიმკვდარუნა.

ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მშვენიერი, რომ მასარომ სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა. დაკლა ხელმწიფის საყვარელი ხბო, შეუწვა ღვიძლი და მიართვა.

გაიხარა ბოროტმა ქალმა, ხელად გადასანსლა ღვიძლი, მადლობა გადაუხადა მასაროს, ჩაჯდა თავის კარეტაში და შინ წავიდა.

დარჩა მარტო მართალი მასარო და ისე დაღონდა, ისე დაუმძიმდა გული, თითქოს ლოდი დაადესო ზედ.

შაბათს ბარში რომ ჩავალ რა პირით შევხედო ან რა პასუხი გავცე ხელმწიფეს, როცა მკითხავს, რასა იქმს ჩემი ხბოო. ძველებურად ხომ ვეღარ ვეტყვი, სიმსუქნისგან ტყავი ზედ ასკდება-მეთქი.

ადგა მართალი მასარო, აიღო ჯოხი, ჩაარჭო მიწაში, ზედ თავისი ლაბადა მოახვია, მერე უკან დაიხია, რამდენიმე ნაბიჯი ისევ წინ წადგა, ჯოხს მდაბლად თავი დაუკრა და უთხრა:

— დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ!

მერე ხელმწიფის მაგივრად თავის თავს უპასუხა:

— დილა მშვიდობისა, მართალო მასარო! რასა იქმს ჩემი თხა?

— თეთრქათიბა ეშმაკი სულ დახტის და დაკუნტრუშებს.

— კრავი როგორღაა?

— ისე დამშვენდა, ისეთი ლამაზია, სულ თეთრად ქათქათებს.

— ცხვარი რაღასა იქმს?

— გასუქდა და გაზანტდა.

— ხბო?

აქ კი ჩაუწყდა ხმა მართალ მასაროს, ვეღარ მოახერხა პასუხის გაცემა. ცოტა ხნის შემდეგ ენის ბორძიკით დაიწყო:

— თქვენო უდიდებულესობავ! საბალახოდ გავრეკე, კლდიდან გადაიჩეხა... დაიმტვრა... მოკვდა.....— ძლივს წაილუღლუღა მართალმა მასარომ.

‘არა, არ შემიძლია, ვერ ვიტყვი ტყუილს», — მტკიცედ თქვა გლეხმა. ამოაძრო მიწიდან ჯოხი და სხვა ადგილზე ჩაარჭო. ისევ მოახვია ლაბადა და თავიდან დაიწყო. როცა ხელმწიფის მაგივრად იკითხა, ხბო როგორ არისო, ძლივს ამოღერღა:

— თქვენო უდიდებულესობავ! ხბო მომპარეს... ქურდები...

მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა მართალმა მასარომ. შაბათ დილას ადგა და გზას გაუდგა, მიდიოდა, სადაც კი ხეს დაინახავდა, გაჩერდებოდა, მდაბლად თავს დაუკრავდა და დაიწყებდა:

— დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ! — მერე ხმა ჩაუწყდებოდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ‘ავდგები და ასე ვეტყვი», — გაუელვა უცებ თავში და უკვე მხიარულად განაგრძო გზა. მიდიოდა, მიაბიჯებდა, ხეს დაინახავდა, მდაბლად თავს უკრავდა და თავიდან იწყებდა საუბარს ხელმწიფესთან. რაც მეტს იმეორებდა იმ სიტყვებს, რაც უნდა ეთქვა ხლმწიფესთან, მით უფრო მოსწონდა თავისი გადაწყვეტილება.

სასახლეში კარისკაცები და მინისტრები უკვე ხელმწიფესთან შეყრილიყვნენ, მოუთმენლად ელოდნენ მართალ მასაროს. აბა, ვინ მოიგებს სანაძლეოსო.

ეახლა მართალი მასარო ხელმწიფეს, ქუდი მოიშვლიპა და მიესალმა:

— დილა მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ!

— დილა მშვიდობისა, მართალო მასარო, — უპასუხა ხელმწიფემ და მერე ჰკითხა:

— რასა იქმს ჩემი თხა?

— თეთრქათიბა ეშმაკი სულ დახტის და დაკუნტრუშებს.

— კრავი როგორღაა?

— ისე დამშვენდა, ისეთი ლამაზია, სულ თეთრად ქათქათებს.

— ცხვარი?

— გასუქდა და გაზანტდა.

— ხბო? ხბო როგორა მყავს?

— თქვენო უდიდებულესობავ, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ: ერთი წარ-ჩინებული, თვალტანადი, მშვენიერი მანდილოსანი მეწვია, მისმა სილამაზემ დამაბრმავა, შემიყვარდა და თხოვნა შევუსრულე. ხბო დავკალი, — თქვა მარ-თალმა მასარომ, თავი ჩაჰქინდრა და დაუმატა: — ახლა, თუ თქვენი უდიდებუ-ლესობა ინებებს, დამსაჯეთ, მე სრული სიმართლე მოგახსენეთო.

ხელმწიფეს ძალიან ეწყინა საყვარელი ხბოს დაღუპვა, მაგრამ გაახსენდა, სა-ნაძლეო რომ მოიგო, და გამხიარულდა. მართალ მასაროს ერთი ტომარა ოქრო უბოძა. ყველა ხარობდა, მარტო მინისტრი იყო ჩუმად. შურმა იქამდე მიიყვანა, რომ თავი წააგო.

კატანია

ჯუფა

1. ჯუფა და თაბაშირის ქანდაკება

იდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი ქალი. დიდი უქნარა და ცუღლუტი ვაჟი ჰყავდა ამ ქალს. ჯუფა, ასე ეძახდნენ ვაჟს, ცოტა მოისულელებდა კიდეც. დე-დაკაცი ღარიბ-ღატაკი იყო, ერთხელ ულუკმაპუროდ დარჩა დედა-შვილი. ქალმა შინნაქსოვი ტილო მისცა ჯუფას გასაყიდად და დაარიგა:

— წაიღე, შვილო, ეს ტილო და გაყიდე. აბა, შენ იცი, ჭკვიანად მოიქეცი. თუ ყბედი მუშტარი შეგხვდა, ნუ მისცემ ტილოს. იმას მიჰყიდე, ვინც ბევრ ლაქ-ლაქს არ გაგიბამსო.

აიღო ჯუფამ ტილო და ქალაქში წავიდა.

— ტილო ვის გინდათ! ტილო ვის გინდათო! — იძახდა ჯუფა.

ერთმა ქალმა გააჩერა და უთხრა:

— ტილო მიჩვენეო.

დახედა ტილოს დედაკაცმა, ხელი გადაუსვა და ჯუფას ჰკითხა:

— რას აფასებო?

— ბევრსა ყბედობ. დედამ დამაბარა, ყბედი მუშტარი თუ შეგხვდა, ტილო არ მისცეო, — უპასუხა ჯუფამ და გზა განაგრძო.

— შემოხვდა გლეხი და ჰკითხა:

— რა ღირს, შვილო, შენი ტილოო?

— ათი სკუდოო, —უთხრა ჯუფამ.

— ეე, ათი სკუდო რა ამბავია, ძალიან ძვირს აფასებო!

— იყბედე, იყბედე! მაინც არ მოგყიდიო! — მიახალა ჯუფამ და წავიდა.

— ვინც კი შეევაჭრებოდა, ყველას ამ პასუხით ისტუმრებდა. ბევრი იხეტიალა ქალაქში, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, შესაფერი მუშტარი ვერ იშოვა. ბოლოს ერთ ეზოში შევიდა. შუაგულ ეზოში თაბაშირის ქანდაკება იდგა, მივიდა ქანდაკებასთან და ჰკითხა:

— იყიდი ტილოსო?

პასუხი არავინ გასცა. ჯუფამ გაუმეორა:

— იყიდი ტილოს, თუ არაო?

ქანდაკება ხმას არ იღებდა და ჯუფამ წამოიძახა:

— მადლობა ღმერთს! ძლივს არ შევხვდი შესაფერ მუშტარს! ახლა კი გავყიდი ამ წყეულ ტილოსო! — თქვა და ქანდაკებას ტილო შემოახვია.

— ათი სკუდო გმართებს ჩემი..... თანახმა ხარ? რაც იქნება, იქნეს, ხვალამდე გადროვებ ფულსო, — უთხრა ქანდაკებას და ეზოდან გავიდა.

შინ რომ მივიდა, დედამ ჰკითხა: ტილო გაყიდეო?

— გავყიდეო, — უპასუხა ჯუფამ.

— მერე, ფული რა უყავიო?

—ხვალამდე ვადროვე მუშტარს.

— ვის მიჰყიდე, შვილო, საიმედო კაცი კია?

— კაცი კი არა, ქალია, როგორც შენ მითხარი, სწორედ ისეთი ჩუმი და უთქმელი მუშტარი შემხვდა. ერთ სიტყვაზეც არ მიპასუხაო, — უთხრა დედას ჯუფამ.

დილით ჯუფა ფულის გამოსართმევად წავიდა. შევიდა ეზოში, თაბაშირის ქანდაკება იქვე იყო, ტილო კი არა ჩანდა.

— მომეცი ფული!

ქანდაკება ხმას არ იღებდა. გაბრაზდა ჯუფა.

— გამომართვი თუ არა ტილო? ფულის გადახდა კი არ გინდა? აჰა... მაშ, მიიღეო! — დაიღრიალა, დასტაცა ხელი წერაქვს და ისე დასცხო ქანდაკებას, რომ ნამსხვრევებად აქცია. ქანდაკებაში ოქროთი სავსე ქოთანი იდგა. ჯუფამ ოქრო ტომარაში ჩაყარა და შინ გასწია.

— დედი, ფულის მოცემა არ უნდოდა იმ ქალს, ავიღე წერაქვი, დავცხე და მერე, აი, ეს მომცაო.

მიხვდა დედა, რაშიც იყო საქმე.

— აქ მომეცი ეგ ფული და კრინტი არსად დაძრაო, — უთხრა შვილს.

2. მთვარე, ქურდები, ჯუფა და მოსამართლე

ერთხელ ჯუფა თივის მოსატანად წავიდა. უკან რომ ბრუნდებოდა, გზაზე შემოაღამდა. მთვარე ხან გამოჩნდებოდა, ხან ღრუბლებში მიიმალებოდა.

ჯუფა ქვაზე ჩამოჯდა და მთვარეს მიაჩერდა, მიიმალებოდა მთვარე ღრუბლებში, ჯუფა დაიყვირებდა:

— გამოდი, გამოდიო!

გამოჩნდებოდა მთვარე:

— დაიმალე, დაიმალეო! — დაიყვირებდა.

თურმე იქვე ორი ქურდი იჯდა და მოპარულ ხბოს ხორცს იყოფდნენ. გაიგონეს ქურდებმა: ‘გამოდი», ‘დაიმალეო», — შიშით გული გადაუქანდათ. ალბათ პოლიციელებმა ჩვენს კვალს მოაგნესო, უშვეს ხელი ხბოს და უკან მოუხედავად მოკურცხლეს.

ჯუფას ფეხის ბაგიბუგი რომ შეესმა, გაიფიქრა, ეს რა ამბავიაო, ადგა და იქ მივიდა, სადაც ქურდებმა დაკლული ხბო დააგდეს. ამოიღო დანა, აქნა, კარგი, კარგი ნაჭრები ტომარაში ჩააწყო, წამოიკიდა ზურგზე და არხეინად გაუდგა გზას.

— დედა, კარი გამიღეო! — დაუბრახუნა დედას კარზე.

— აქამდე სად იყავი, რატომ დაიგვიანეო? — ჰკითხა დედამ.

— აი, ეს ხორცი მომქონდა და შემაგვიანდა, ხვალ ხორცი გაყიდე, ფული მჭირდებაო.

— კარგი, შვილო, ვიდრე შენ ყანიდან დაბრუნდები, სულ გავყიდი ხორცსო.

მეორე საღამოს, შინ რომ დაბრუნდა ჯუფა, მაშინვე ჰკითხა დედას:

— რა ჰქენი, ხორცი გაყიდეო?

— ჰო, შვილო, ბუზებს მივეცი ნისიადო.

— მერე, ფულს როდის მოგცემენო ბუზები?

— როცა ექნებათ, მაშინ მომცემენო, — უპასუხა დედამ.

ერთი კვირა მოთმინებით ელოდა ჯუფა, რომ ბუზები ვალს დაუბრუნებდნენ. მერე იმედი გადაუწყდა, ადგა და მოსამართლესთან წავიდა.

— ბატონო მოსამართლევ, — შესჩივლა ჯუფამ, — ბუზებს ხორცი მივეცი ნისიად, ისინი კი ფულის გადახდას არც ფიქრობენო.

დაფიქრდა მოსამართლე და ჯუფას უთხრა:

— სადაც კი ბუზს დაინახავ, ბევრს ნუ იფიქრებ, ადექი და მოკალიო.

სწორედ ამ დროს მოსამართლეს ცხვირზე არ დააჯდა ბუზი! მოიქნია ჯუფამ მუშტი და ისეთი სდრუზა ცხვირში მოსამართლეს, კინაღამ სული გააფრთხობინა.

3. ჯუფა და წითელი ბერეტი

ჯუფა ძალიან ზარმაცი იყო. ისე ეზარებოდა შრომა, სიკვდილი ერჩივნა ხელის განძრევას. ადგებოდა დილით, შეჭამდა რამეს და შინიდან გავიდოდა. დაეხეტებოდა მთელი დღე უქმად, ღობე-ყორეს ედებოდა. როგორ არ ტუქსავდა დედა, როგორ არ უჯავრდებოდა:

— ჯუფა, გონს მოდი, ჯუფა, ხელი გაანძრიე! სამუშაო იშოვე! ასე ხომ არ შეიძლება: ჭამ, სვამ და უჭკუოდ დაეხეტები. აღარ შემიძლია შენი რჩენა. შარვალ-ხალათის ფული მაინც იშოვე შენით, ანდა აქედან დამეკარგეო.

ერთხელ ჯუფა შინიდან გავიდა, გაჰყვა პალერმოს მთავარ ქუჩას — კასაროს, ეგებ რამე სამუშაო ვიშოვო და ჩასაცმელ-დასახურავი მაინც ვიყიდოო, მაგრამ თავისი შესაფერი სამუშაო ვერსად იშოვა, ადგა მერე და ვაჭრებს ჩამოუარა.

ზოგს რა გამოართვა ნისიად, ზოგს — რა, თავით ფეხამდე შეიმოსა. ერთ ვაჭარს საუცხოო წითელი ბერეტი დასტყუა. ყველას შეჰპირდა:

— ფულს ამ დღეებში მოგიტანთო.

'ახლა მაინც ვეღარ იტყვის დედაჩემი, უმაქნისი შვილი მყავსო,» — უხაროდა ჯუფას. მაგრამ უცებ გაახსენდა, ვაჭრებს რომ შეჰპირდა, ფულს ამ დღეებში მოგიტანთო, და დაღონდა, სად ვიშოვი ფულსო. იფიქრა, იფიქრა, რა ვქნაო, და თავის მომკვდარუნება გადაწყვიტა. მივიდა შინ და როგორც იყო ჩაცმულ-დახურული, ისე გაიშოტა ლოგინზე.

— ვკვდები, ვკვდებიო, — მოჰყვა კვნესას და გმინვას. — ვაი, მოვკვდი უკვეო, — წამოიძახა, ხელები გულზე დაიკრიფა და ფეხები გაჭიმა.

ჯუფას დედა თმას იგლეჯდა და გულსაკლავად მოთქვამდა:

— შვილო, ჩემო საყვარელო, რად დამღუპე, ვის ანაბარა დამტოვეო.

ჯუფას დედის კივილზე მეზობლები მოცვივდნენ. ახლა იმათ შეიცხადეს.

ჯუფა მოკვდაო, ხელად გავარდა ხმა ქალაქში. გაიგეს ვაჭრებმაც და ჯუფას სახლს მიაშურეს.

— საწყალი ჯუფა, — თქვა ერთმა ვაჭარმა, — შარვალი გამომართვა ნისიად, ექვსი ტარო ემართა ჩემი. ღმერთო, განუსვენე, მიპატიებია მისთვის ვალიო.

ყველამ აპატია და შეუნდო ჯუფას, მარტო წითელი ბერეტის გამყიდველი იდგა ჩუმად. ენანებოდა თავისი ლამაზი წითელი ბერეტი, მკვდარს რომ ეხურა თავზე. რად უნდა ვაპატიო ვალიო, — ფიქრობდა. ვაჭარს უცებ ერთი კარგი აზრი დაებადა და დამშვიდდა.

მესაფლავეებმა ჯუფას კუბო წაიღეს და საყდარში დაასვენეს. ვაჭარი უკან გაჰყვა, საყდარში დაიმალა, დაღამებას დაელოდა.

ღამე საყდარში ქურდები შევიდნენ. იქ უნდოდათ ნაქურდალი ფულის გაყოფა. ჯუფა უძრავად იწვა, ვაჭარი კი კარს უკან გატრუნულიყო. ქურდებმა ოქროსი და ვერცხლის ფული ძირს დაყარეს და თანაბრად გაყვეს. ერთი თორმეტი ტაროს ღირებულების მონეტა დარჩათ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

— ამ გროშისთვის ჩხუბი რომ არ მოგვივიდეს, ავიღოთ და რიგრიგობით ვესროლოთ მიცვალებულს, ვინც პირში მოახვედრებს, ფული იმისი იყოსო, — უთხრა ერთმა ქურდმა ამხანაგებს.

— ვაჰ, რა კარგად მოიფიქრეო, — გამხიარულდნენ ქურდები.

ჯუფამ ყველაფერი მშვენივრად გაიგონა. სასროლად რომ მოემზადნენ ქურდები, უცებ წამოხტა და დაიღრიალა:

— მიცვალებულებო, აღსდექითო!

ქურდებს ხელად დაავიწყდათ ფული, თავქუდმოგლეჯილნი გაცვივდნენ საყდრიდან. როგორც კი დაინახა ჯუფამ, რომ საყდარში აღარავინ იყო, ფულისკენ გაექანა. სწორედ ამ დროს ვაჭარიც გამოძვრა სამალავიდან და წინ გაწვდილი ხელებით გზა გადაუღობა ჯუფას. ფული შუაზე გაიყვეს. ერთი ხუთგრანოიანი მონეტა დარჩა და იმაზე შეედავნენ ერთმანეთს:

— ეს მონეტა ჩემიაო, — თქვა ჯუფამ.

— არა, ჩემიაო!

— მე მეკუთვნისო!

— არაო.

ჯუფამ საცეცხლურს დაავლო ხელი, ვაჭარს მოუქნია და დაიღრიალა:

— ეს ხუთი გრანო ჩემია! ეს ხუთი გრანო მე მინდაო!

ამ დროს ქურდები საყდართან მიიპარნენ, ვნახოთ, მიცვალებულები რას იზამენო. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ამდენი ფულის მიტოვება. ჰოდა, კარს უკან რომ გაიტრუნენ ქურდები, ამ დროს გაისმა ჯუფას ღრიალი.

— ეს რა უბედურებაა! — გაიფიქრეს ქურდებმა. — რამდენი მიცვალებული უნდა აღმდგარიყო მკვდრეთით, თუ თითოს ხუთი გრანოს მეტი არ ერგო იმ ზღვა ფულიდან, იქ რომ დაგვრჩა. ეტყობა, ყველას არც კი შეხვდა, ვიღაც ხუთ გრანოს თხროულობს და დაობსო, — დაჰკრეს ფეხი ქურდებმა და უკანმოუხედავად მოკურცხლეს.

ჯუფამ და ვაჭარმა კი ფულით გატენილი ქისები შინ მიიტანეს. ბოლოს ის ხუთი გრანოც ჯუფას დარჩა.

4. ჯუფა და ტიკჭორები

ჯუფას გამოსწორება არ იქნება, ასეთი უქნარა დარჩება სიკვდილამდეო, — დარდობდა დედა. ადგა და შვილი მედუქნეს მიაბარა შეგირდად. ერთხელ მედუქნემ ჯუფას უთხრა:

— ჯუფა, ზღვაზე წადი, ეს ტიკჭორები კარგად გარეცხე. ოღონდ, იცოდე, თვალი გეჭიროს, ტიკჭორები არავინ მოგპაროსო.

აიღო ჯუფამ ტიკჭორები და წავიდა. რეცხავდა და რეცხავდა მთელი დილა. აბა, რა ვიცი, კარგად გავრეცხე, თუ არა. ნეტა ვის ვკითხოო, — გაიფიქრა ჯუფამ. ნაპირზე მის მეტი არავინ იყო, ამ დროს ნავსადგურიდან ხომალდი გავიდა. ამოიღო ჯუფამ ცხვირსახოცი, დაუქნია მეზღვაურებს და დაუყვირა:

— ჰეი, მეზღვაურებო! ნაპირისკენ გამოსცურეთ! აქეთ, აქეთო.

— ნაპირიდან რაღაცას გვანიშნებენ, მივცურდეთ, ვინ იცის, რა მოხდა, იქნებ რამის წამოღება დაგვავიწყდაო, — თქვა კაპიტანმა.

კაპიტანი და რამდენიმე მეზღვაური კანჯოში ჩასხდნენ და ნაპირისკენ გაცურეს.

— რა მოხდაო? — ჰკითხა კაპიტანმა ჯუფას.

— საქმე ისაა, თქვენო მოწყალებავ, — უპასუხა ჯუფამ, — რომ მინდოდა თქვენთვის მეკითხა, კარგად გავრეცხე თუ არა ტიკჭორებიო.

ამის გაგონებაზე ისე გაცეცხლდა კაპიტანი, აღარ ესმოდა, რას აკეთებდა. სტაცა ხელი ჯოხს და იმდენი ურტყა ჯუფას, იმდენი ურტყა, ვიდრე ქანცი არ გამოელია.

ჯუფა ღრიალებდა:

— მაშ, რა უნდა დამეძახაო?

— უნდა დაგეყვირა: ‘ღმერთო, ზურგის ქარი გაუგზავნე ხომალდს!» მაშინ ამდენ დროს ტყუილად არ დავკარგავდითო, — უთხრა კაპიტანმა ჯუფას.

ჯუფამ ცემით ახურებულ მხარზე დაიწყო ტიკჭორები და დუქნისკენ წავიდა. მიდიოდა და ხმამაღლა იმეორებდა:

— ღმერთო, ზურგის ქარი გაუგზავნე... ზურგის ქარი გაუგზავნე... ზურგის ქარი გაუგზავნეო...

სწორედ ამ დროს გზაზე მონადირე იდგა და ორ კურდღელს უმიზნებდა თოფს. ჯუფამ მონადირე დაინახა და დაიღრიალა:

— ღმერთო, ზურგის ქარი გაუგზავნეო!

კურდღლებმა ყური ცქვიტეს, იშვირეს ფეხი და აქეთ-იქით გაცვივდნენ.

მონადირე ჯუფას მიუბრუნდა და დაუღრიალა:

— შე ძაღლის შვილო! შენღა მაკლდი აქ! — და თოფის კონდახი ჩასცხო თავში.

აცრემლებულმა ჯუფამ მონადირეს ჰკითხა:

— მაშ, რა უნდა დამეყვირაო?

— ჩუმად უნდა გეთქვა: 'ღმერთო მიზანში მოარტყმე-ვინეო».

ჯუფა გზას გაუდგა, მიდიოდა და ხმამაღლა იმეორებდა:

— ღმერთო, მიზანში მოარტყმევინე...

გზაზე ორი კაცი ჩხუბობდა, უკვე მუშტი-კრივზე რომ მიდგა საქმე, ჯუფამ დაიღრიალა:

— ღმერთო, მიზანში მოარტყმევინეო...

ეს რომ გაიგონეს მოჩხუბრებმა, ერთმანეთს თავი დაანებეს და ჯუფას მისცვივდნენ:

— აი, შე წყეულო! ცეცხლზე ნავთს გვისხამო? — მიდგნენ ჯუფას და, რაც კაპიტანმა და მონადირემ დააკლო, შეუსრულეს.

— მაშ, რა უნდა მეთქვაო? — ჰკითხა აცრემლებულმა ჯუფამ.

— რა უნდა გეთქვა? აი, რა: 'ღმერთო, დააშორე ერთმანეთსო!»

მიდიოდა ჯუფა და იმეორებდა:

— ღმერთო, დააშორე ერთმანეთს... ღმერთო, დააშორე...

თითქოს ჯუფას ჯიბრზე, სწორედ ამ დროს საყდრიდან ჯვარდაწერილი ქალ-ვაჟი გამოვიდა. გაიგონეს თუ არა: 'ღმერთო, დააშორე ერთმანეთსო!» — ვაჟი ჯუფასკენ წავიდა, გზადაგზა იხსნიდა ქამარს.

— შე წყეულო, რას დაგვჩხავლე ყვავივით, ჩვენი დაშორება გინდაო?

ცემით დაოსებული ჯუფა იქვე ჩაიკეცა, როცა წამოაყენეს და თვალი გაახილა, ჰკითხეს:

— ახლად ჯვარდაწერილებს ასეთი რამ როგორ უთხარიო?

— მაშ, რა უნდა მეთქვაო?

— უნდა გეთქვა: 'ღმერთო, ასეთ სიხარულს და მხიარულებას ნუ გამოულევო».

აკრიფა ჯუფამ ტიკჭორები, გაუდგა გზას, თან იმეორებდა:

— ღმერთო, ასეთ სიხარულს და მხიარულებას ნუ გამოულევო.

გზის პირას, ერთ სახლში, თურმე მიცვალებული ესვენა, კუბოს გარშემო სანთლები ენთო და გულდამწვარი ჭირისუფლები მოსთქვამდნენ. შემოესმათ

ჯუფას სიტყვები: ‘ღმერთო, ასეთ სიხარულს და მხიარულებას ნუ გამოულევო», — გამოვარდა მიცვალებულის ნათესავი, დაურთო და დაურთო ჯუფას კეტი.

ახლაღა მიხვდა ჯუფა, რომ ცხოვრებაში ყველაფერს დუმილი სჯობს. გვიან ღამე დაბრუნდა დუქანში. მედუქნემ სისხამდილით გაგზავნა ტიკჭორების გასარეცხად. ასე გვიან რომ დაბრუნდა, ეცა, მაგარ-მაგარი უთავაზა და დუქნიდან გააგდო.

5. ჭამე, ჭამე, ჩემო ქურთუკო!

ჯუფას ისეთი დაკონკილი ტანისამოსი ეცვა და ისეთი სულელური იერი ჰქონდა, რომ არასოდეს სტუმრად არავის მიუწვევია. ერთხელ ძალიან მოშივდა, ვიღაცის სახლში შევიდა, ეგებ მაჭამონ რამეო. მაგრამ ზღურბლზე ფეხის შედგმა ვერ მოასწრო, რომ გამოუვარდა სახლის პატრონი და სულ კუდით ქვა ასროლინა. დედას შეეცოდა ჯუფა, უყიდა კარგი ქურთუკი, ხავერდის ჟილეტი და ორი შარვალი. გამოიწკიპა ჯუფა და ისევ იმ სახლს მიადგა, საიდანაც კინწისკვრით გამოაგდეს. მასპინძელი ალერსიანად შეხვდა ჯუფას, შეიპატიჟა, სუფრაც გაუწყო და არც ტკბილ-ტკბილი სიტყვები დააკლო. ჯუფა თან პირში იტენიდა საჭმელს, თან ჯიბეში: ჭამე, ჭამე, ჩემო ქურთუკო! შენ გიმასპინძლდებიან, მე ხომ არაო!

6. ჯუფა, კარის დაკეტვა არ დაგავიწყდეს!

ჯუფას დედა ყანაში აპირებდა წასვლას, ჯუფაც აეტორღიალა. დედამისი პირველი გავიდა შინიდან და შვილს დაუყვირა:

— კარი არ დაგავიწყდეს, ჯუფა!

ჯუფა კარს მიაწვა, კარი ანჯამებს მოწყდა. წამოიკიდა ჯუფამ კარი და დედას უკან გაჰყვა.

იარეს, იარეს, ჯუფა დაიღალა და ამოიხვნეშა:

— ვაიმე, დედი, მიჭირს, ძალიან მიჭირსო.

— ნეტა რა გაგიჭირდაო? — შემობრუნდა ჯუფას დედა და სახტად დარჩა.

ამ კარის გამო დედა-შვილმა გზაში იმდენი იჯახირა, რომ შემოაღამდათ.

სახლამდე კიდევ დიდი გზა ედოთ, ყაჩაღების შეეშინდათ და ხეზე აძვრნენ. ჯუფამ კარიც თან აათრია.

შუაღამისას ყაჩაღები სწორედ იმ ხის ძირში შეიყარნენ და ნადავლის გაყოფა დაიწყეს. ჯუფა და დედამისი შიშით გაიტრუნენ.

ჯუფას გაუჭირდა და დედას უჩურჩულა: — ფისი მინდაო.

— რაო?

— ფისი მინდა!

— მოითმინე.

— არ შემიძლია!

— შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ, როგორმე მოითმინე.

— ვეღარ ვითმენ!

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი, ქენიო, — უთხრა დედამ.

ჯუფამ მიუშვა. ყაჩაღებს წვიმა ეგონათ, გაუკვირდათ:

— უყურე შენ, ცა მოწმენდილია, წვიმამ კი წამოუშინაო!

ცოტა ხნის შემდეგ ჯუფამ ისევ უჩურჩულა დედას:

— დედა! მიჭირს!

— მოითმინე, შვილო!

— ვეღარ ვითმენ!

— ცოტაც მოთმინე!

— აღარ შემიძლია!

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი, ქენიო.

ჯუფამ კუჭი დაიცალა. ყაჩაღები აყაყანდნენ.

— ეს რა არის — ცის მანანაა, თუ ჩიტუნების ოინი? — თან ტანსაცმელს იწმენდნენ.

ჯუფას კარი მხრებზე ჰქონდა შედგმული, შეწუხდა და დედას უჩურჩულა:

— დედა, ვეღარ ვიკავებ ამ კარს, გამივარდება, იცოდეო.

— როგორმე შეიკავეო, — სთხოვა დედამ.

— ვეღარ ვიკავებ!

— გთხოვ, შვილო, როგორმე შეიკავეო!

— აღარ შემიძლია, ვეღარ ვიკავებ... — ჯუფამ კარს ხელი უშვა. კარმა ყაჩაღების თავზე გაადინა ბრაგვანი.

წამოცვივდნენ ყაჩაღები და ისე მოკურცხლეს, სულ ბეჭებზე ირტყამდნენ ქუსლებს.

ჯუფა და დედამისი ძირს ჩამოვიდნენ. ხის ძირას ოქროთი გატენილი დიდი ტომარა იდო. წამოიკიდეს ტომარა და შინ მიიტანეს.

— იცოდე, ენას კბილი დააჭირე, არავისთან არაფერი წამოგცდეს, თორემ ორივეს ციხეში ამოგვალპობენო, — უთხრა დედამ ჯუფას.

მეორე დღეს ჯუფას დედა ბაზარში წავიდა. იყიდა ქიშმიში და ლეღვის ჩირი. დაბრუნდა შინ, ავიდა სახლის სახურავზე და, როცა ჯუფა სახლიდან გამოვიდა, ქიშმიში და ლეღვის ჩირი გადმოაყარა თავზე.

_ დედა, დედა, ქიშმიშის და ლეღვის ჩირის წვიმა მოდისო, — მორთო ყვირილი ჯუფამ.

— გიხაროდეს, შვილო, ასეთი დღე რომ გაგითენდაო, — უპასუხა დედამ.

გავიდა თუ არა ჯუფა სახლიდან, დედამ ოქრო დამალა და ტომარა ჟანგიანი ლურსმნით გაავსო. ერთი კვირა გავიდა. ჯუფას ფული დასჭირდა, მოხსნა ტომარას თავი, ჩაყო ხელი და ოქროს ნაცვლად ჟანგიანი ლურსმნები დახვდა.

— დედი, ფული მომეცი, თორემ წავალ და მოსამართლესთან გიჩივლებო! — დაემუქრა ჯუფა დედას.

— რომელ ფულსა მთხოვ, შვილო?! — ისე გაიოცა ჯუფას დედამ, თითქოს არც ახსოვდა, რომელ ფულზე ელაპარაკებოდა შვილი.

ჯუფა მოსამართლესთან მივიდა.

— თქვენო მოწყალებავ, ოქროთი სავსე ტომარა ვიპოვე, დედამ ოქრო დამიმალა და ტომარა ჟანგიანი ლურსმნით გამივსოო.

— ოქრო? როდის იპოვეო? — ჰკითხა მოსამართლემ.

— როდის და, სწორედ იმ ღამეს, თქვენო მოწყალებავ, ქიშმიშისა და ლეღვის ჩირის წვიმა რომ წამოვიდაო, — უპასუხა ჯუფამ.

მოსამართლემ ჯუფა საგიჟეთში გაისტუმრა.

კატანია

<u>როგორ მოატყუა გლეხმა ექვსი ყაჩაღი</u>

ერთ მაღალ მთაზე ექვსი ყაჩაღი ცხოვრობდა. დათარეშობდნენ, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ ხალხს, შიშის ზარს სცემდნენ დიდსა და პატარას. ყაჩაღებს ზედ მთის წვერზე ედგათ ქოხი. ერთი ოთახი სულ ნაძარცვი ოქროულობით იყო სავსე. როცა სათარეშოდ მიდიოდნენ, კარს ჩაკეტავდნენ ხოლმე, გასაღებს კი დიდი ლოდის ქვეშ ამოდებდნენ.

ერთი გლეხი ტყეში წავიდა შეშის მოსაჭრელად, თან ბიჭიც წაიყვანა. შევიდნენ ტყეში. სწორედ ამ დროს ყაჩაღები ქოხიდან გამოვიდნენ. გლეხმა დაინახა, როგორ ჩაკეტეს კარი და გასაღები ლოდქვეშ ამოდეს. როგორც კი ყაჩაღები თვალს მიეფარნენ, გლეხი და მისი ბიჭი ქოხთან მივიდნენ, გამოიღეს გასაღები, გააღეს კარი და ქოხში შევიდნენ. გაიტენეს ჯიბეები ოქროთი, ისევ ჩაკეტეს კარი და გასაღები თავის ადგილზე დადეს. მამა-შვილი კმაყოფილი და მხიარული დაბრუნდა შინ.

მეორე დღეს მამა-შვილი ისევ ეწვია ქოხს, ისევ გაიტენეს ჯიბეები ოქროთი და გასაღები თავის ადგილზე დადეს.

გაუტკბა გლეხს ყაჩაღების ფული, ვერ გაიძღო გული და მესამედაც მიადგა ქოხს. გამოიღეს გასაღები, გააღეს კარი, შედგა ბიჭმა ფეხი ქოხში, უცებ ღრმა ორმოში ჩავარდა და იქვე სული დალია. თურმე ზედ კარის ზღურბლთან გაეთხარათ ყაჩაღებს ორმო ქურდის დასაჭერად, ბევრი იწვალა, ბევრი იჯახირა გლეხმა, მაგრამ მკვდარი შვილი ორმოდან ვერაფრით ვერ ამოიტანა. შეეშინდა, ყაჩაღები მომისწრებენ, მეც აქვე გამათავებენო, ადგა და შვილს თავი მოსჭრა. ტანი ორმოში დარჩა, თავი კი თან წაიღო.

დაბრუნდნენ ყაჩაღები, შევიდნენ ქოხში და ორმოში უთავო ტანი დახვდათ. ვერაფრით ვერ გაიგეს, ვისი ბიჭი იყო. იფიქრეს, იფიქრეს, ბოლოს ადგნენ და მთის წვერზე, ერთ გამხმარ ხეზე ჩამოჰკიდეს ბიჭის გვამი, პატრონი დაინახავს, გული არ მოუთმენს, გვამის მოსაპარად მოვა და დავიჭერთო. თვითონ იქვე ჩასაფრდნენ.

გლეხმა, მართლაც, გადაწყვიტა, მოეპარა შვილის გვამი და ჩუმად დაემარხა.

ადგა და ჯერ ჯადოქართან წავიდა რჩევის საკითხავად. ჯადოქარმა დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო და გლეხი საქმეს შეუდგა.

საღამო ხანს წაიყვანა თავისი უფროსი ვაჟი და მთაზე ავიდა. თვითონ გამხმარი ხის შორიახლო დაიმალა, ვაჟი კი ფერდობზე იდგა, ხელში ორი ჯოხი ეჭირა და ერთმანეთს ურტყამდა, ჯოხის ცემა ისე გაისმოდა, გეგონებოდათ ორი ვეებერთელა ყოჩი ერთმანეთს ებრძვისო.

სადარაჯოზე მდგარი ყაჩაღი მთელი დღის უჭმელი იყო, ყოჩების რქების ხათქახუთქი რომ შემოესმა, გაიფიქრა, ეგებ გემრიელი ლუკმა ვიგდო ხელთო, მიატოვა ხეზე დაკიდებული გვამი და ფერდობზე დაეშვა. ამ დროს გლეხი სამალავიდან გამოძვრა, ჩამოხსნა შვილის გვამი, მხარზე გაიდო და შინისკენ გაეჩქარა.

როცა ყაჩაღებმა გაიგეს, რომ ისევ მოატყუა ვიღაცამ, თქვეს, თავი რად გვინდა ცოცხალი, თუ ვერ ვიპოვეთ, ასე ვინ გაგვამასხარავა და შური არ ვიძიეთო. ბევრს ეცადნენ, ბევრი იწვალეს, მაგრამ ფულისა და გვამის მომპარავის ასავალ-დასავალს მაინც ვერ მიაგნეს.

ერთხელ ყაჩაღებს რაღაც დასჭირდათ, სოფელში ჩავიდნენ, იქ ყური მოჰკრეს ლაპარაკს, ესა და ეს გლეხი ბოლო ხანს ძალიან გამდიდრდაო (სწორედ ჩვენ ნაცნობ გლეხზე ლაპარაკობდნენ). ყაჩაღები მაშინვე მეკასრეს მიადგნენ, ექვსი დიდი კასრი მოგვეციო. ჩასხდნენ შიგ იარაღასხმულები და მეკასრეს უთხრეს, ახლა წადი იმ გამდიდრებულ გლეხთან და სთხოვე, ეს კასრები ერთი ღამე თავის სახლში შეგინახოსო.

მეკასრე მაშინვე წავიდა გლეხთან. გლეხმა უარი ვერ უთხრა და კასრები სარდაფში ჩაატანინა.

ღამე, დაწოლის წინ, მოახლე ქალი სარდაფში ჩავიდა ღვინის ჩამოსასხმელად. უცებ კასრიდან ხმა შემოესმა:

— ძმებო, დროა, ამოვძვრეთ და გლეხი ჩავაძაღლოთო.

დაფეთებული მოახლე ზევით აიჭრა, მივარდა პატრონს, გააღვიძა და ყველაფერი უთხრა. წამოხტა გლეხი, გაიქცა პოლიციაში, მოიყვანა პოლიციელები, ჩავიდნენ სარდაფში, ზოგი გათოკეს, ზოგი მოკლეს და ავაზაკებს ბოლო მოუღეს. გლეხი კი, ასე ეშმაკურად რომ გააბა მახეში ყაჩაღები, უზრუნველად ცხოვრობდა, არც სასმელი აკლდა, არც საჭმელი, არც ჩაცმა, არც დახურვა.

კამპიდანო

<u>ნ ე მ ს ი</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი თერძი. ლუკმაპურს ძველი ტანსაცმლის გადაკეთებითა და ამოკემსვით შოულობდა.

მის დუქანში ისე ბნელოდა, რომ ძლივძლივობით თუ გაარჩევდა ადამიანი რაიმეს. ამიტომ თერძი ყოველთვის ქუჩაში, კარის წინ მუშაობდა ცხვირზე სათვალემორგებული. თან ნემსსა და ძაფს სიმღერას აყოლებდა:

ზუმ-ზუმ-ზუმ...
უსიხარულო გადიან დღენი,
მალე დადგება დღეები ლხენის...
ზუმ-ზუმ-ზუმ...

თერძს ერთი გოგო ჰყავდა. ისეთი ლამაზი იყო ისეთი, მზე გეგონებოდათ, მაგრამ დაბადებითვე უხელებო იყო. მეზობლის ქალები ეხმარებოდნენ თერძს: აცმევდნენ გოგონას, თმებს უვარცხნიდნენ, პირს ჰბანდნენ; თერძი თავისი ხელით აჭმევდა და ასმევდა.

ხანდახან მოხუცი ყოველი ლუკმის მიწოდებისას ბუზღუნებდა:

— ვისაც ხელები არა აქვს, იმას პირიც არ უნდა ჰქონდესო.

შვილი არ ბრაზდებოდა, არ სწყინდა მამის ბუზღუნი, გადაიკისკისებდა და ეტყოდა ხოლმე:

— მერედა, რად გამაჩინეთ ქვეყანაზე უხელო და პირიანი? თქვენა ხართ დამნაშავენიო!

— სწორეაო! — უპასუხებდა მამა, ისევ მოიმარჯვებდა ნემსსა და ღიღინებდა:

ზუმ-ზუმ-ზუმ...
უსიხარულო გადიან დღენი,
მალე დადგება დღეები ლხენის...
ზუმ-ზუმ-ზუმ...

პირიქით კი ხდებოდა: მოხუცს თვალები უსუსტდებოდა, სულ უფრო და უფრო ცუდად ხედავდა, სათვალეც კი ვეღარაფერს შველოდა. მსხვილი, უსწორმასწორო ნაკერით, უხეში ამონაკემსით უკმაყოფილო მუშტრები ბუზღუნებდნენ და ტანსაცმელი შესაკეთებლად აღარ მიჰქონდათ.

ჩვეულებისამებრ, თერძი ყოველ დილას დუქნის კარის წინ ჯდებოდა გულხელდაკრეფილი და დამკვეთებს უცდიდა. იჯდა და ღიღინებდა ხოლმე თავის სიმღერას.

ერთხელ თერძმა დაინახა, რომ ვიღაც ქალბატონმა ჩაიარა. დაიხარა და მიწიდან ბრჭყვიალა ნემსი აიღო:

— ალბათ თქენია, კეთილო კაცო!

— გმადლობთ, ქალბატონო, მაგრამ რად მინდა, კერვა აღარ შემიძლია, ვეღარ ვხედავო, — მიუგო თერძმა.

შვილმა ლაპარაკი გაიგონა და კართან მივიდა. ქალბატონი ახლა მას მიუბრუნდა:

— მაშ, თქვენ გამომართვით ნემსი, გეთაყვაო!

— ქალბატონო, მე ხელები არა მაქვსო!..

— მაშინ, გულისპირზე დაგაბნევ, კარგი ნემსიაო!

— აი, ასე ხდება ქვეყანაზე, — ამოიოხრა მოხუცმა, — ვისაც კბილები არა აქვს, ხმელა პურს მას მიაწვდიანო!

— ე... ნათლიმამ, სულით ნუ დაეცემი.

უსიხარულო გადიან დღენი,
მალე დადგება დღეები ლხენის...
ზუმ-ზუმ-ზუმ...

ქალბატონმა სიმღერა დაამთავრა, გაიცინა და გაქრა.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა დამკვეთი. მოიტანა ნაფლეთებად ქცეული ძველისძველი პიჯაკი და თერძს ეუნება:

— დამიკემსეთ, გეთაყვა, წინასწარ კარგად გადაგიხდით. აი, ხუთი ფრანკი, ხოლო პიჯაკისთვის ხვალ მოვალო.

ხუთი ფრანკი რომ დაინახა, თერძს ისე გაუხარდა, რომ ძალა აღარ ეყო, ეთქვა შემკვეთისთვის: 'ვეღარ ვხედავ, აღარ შემიძლია კერვაო». მოულოდნელი ბედნიერებისგან პირდაღებული იდგა და აღარ იცოდა, რა ექნა.

უპირველეს ყოვლისა, თერძი ცოტაოდენი სანოვაგის სა-ყიდლად გაეშურა. მერე სადილის მზადებას შეუდგა და თან გონებაში სულ უცნობის სიტყვები უტრიალებდა: 'ხვალ მოვალ პიჯაკისთვისო». საბრალომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— შვილო, რა ვუთხრათ ხვალ დამკვეთსო? — ჰკითხა გოგონას.

— ეჰ, მამილო, ხვალამდე ოცდაოთხი საათი გვაქვს დარჩენილიო!

ისადილეს. შვილმა შემთხვევით პიჯაკს შეხედა და გაოცებისაგან შეჰყვირა: ძველი პიჯაკი ისე კარგად იყო ამოკემსილი და შეკეთებული, რომ სულ ახალი გეგონებოდათ. სახელოში კი ნემსი იყო დაბნეული.

— ეს ხომ იმ ქალბატონის ნემსიაო! — მიხვდა შვილი, დაიხედა და, მართლაც, გულისპირში ნემსი აღარ ჰქონდა გაბნეული.

— გაჩუმდი, შვილო, ხმას ნუ იღებ, იცოდე: ეს ნემსი ჩვენი ბედნიერებაა!

შემკვეთელიც მოვიდა პიჯაკისთვის და ძალზე კმაყოფილი დარჩა ნამუშევრით. ყველა, ვინც კი ნახა თერძის ნახელავი, აღტაცებული იყო.

ისევ მიაყარეს თერძს შეკვეთები. დახლზე მუდამ ეწყო ძველი დაფლეთილი ტანსაცმელი ისეთი, მეძველმანეც რომ დაიწუნებდა. ჩვენი თერძი კი იჯდა მთელი დღე თავისი დუქნის წინ გულხელდაკრეფილი და ღიღინებდა:

ზუმ-ზუმ-ზუმ...
უსიხარულო გადიან დღენი,
მალე დადგება დღეები ლხენის...
ზუმ-ზუმ-ზუმ...

— თერძო, ვინ მუშაობს შენ მაგიერო?

— მე თვითონო!

— გულხელდაკრეფილიო?

— სწორედ გულხელდაკრეფილიო!

მაინც უკვირთ და ეკითხებიან:

— თერძო, გვითხარი, ვინ მუშაობს შენ მაგიერო?

— გეუბნებით, მე თვითონო!

— მერედა, როგორღა ზიხარ დუქნის წინ დილიდან საღამომდე გულხელ-დაკრეფილიო?

— ასე ვმუშაობო!

ერთ მშვენიერ დილას ცხენოსანმა უფლისწულმა საჭურველთმტვირთველის თანხლებით თერძის დუქნის წინ ჩაიარა და მამის გვერდით მჯდომი ქალი დაინახა. დაინახა და მოიხიბლა.

— რა ლამაზია! — წამოიძახა უფლისწულმა. — ნამდვილი სადედოფლოაო!

— მხოლოდ დაბადებით უხელოა, ბატონოო! — მიუგეს.

— ოჰ, რა საწყენიაო!

და უფლისწულმა დუქანს ჩაუარა. მაგრამ მთელი დღე და მთელი ღამე იმ ქალზე ფიქრობდა. მეორე დღეს ისევ გაეშურა მის სანახავად, რომ დაინახა, უფრო მეტად მოიხიბლა:

— რა ლამაზია, ნამდვილი სადედოფლოა! რა საწყენია, რომ უხელოაო!

ისევ მთელი დღე-ღამის განმავლობაში ქალიშვილზე ფიქრობდა და მესამე დილას საჭურველთმტვირთველის თანხლებით კვლავ ჩაიარა თერძის დუქანთან. დუქნის წინ თერძი იჯდა და ღიღინებდა. გაიგონა უფლისწულმა მისი სიმღერა, ცხენი შეაყენა და მოხუცს ჰკითხა:

— რას მღერით, კეთილო კაცოო?

ზუმ-ზუმ-ზუმ...
უსიხარულო გადიან დღენი,
მალე დადგება დღეები ლხენის...
ზუმ-ზუმ-ზუმ...

სანამ მოხუცი თერძი მღეროდა, უფლისწულს თვალი არ მოუშორებია ლამაზი ქალისთვის. თერძმა არ იცოდა, რომ იგი მეფის ძე იყო, და უყვირა:

— ეი, მეგობარო, რა თვალები გადმოკარკლეო?

— აი, თქვენს ქალს ვუცქერი, მზეზე ლამაზიაო!

— მზეზე ლამაზი რომ ყოფილიყო, აქამდე დაბრმავდე- ბოდიო!

— ვაიო! — დაიძახა უფლისწულმა და თვალებზე ხელები აიფარა; თერძის უკანასკნელ სიტყვებზე იგი უცებ დაბრმავდა.

საჭურველთმტვირთველმა უფლისწული სასახლეში მიიყვანა და მეფესა და დედოფალს უამბო, რაც მოხდა.

განრისხდნენ მეფე და დედოფალი და ბრძანება გასცეს:

— დააპატიმრეთ თერძი და სასახლეში მოგვგვარეთ ის ბეხრეკი ჯადოქარიო!

— თქვენო უდიდებულესობავ, დამნაშავე არა ვარო!

— გაჩუმდი, შე ბეხრეკო ჯადოქარო! ახლავე დაუბრუნე მხედველობა უფლისწულს, თორემ ვბრძანებ, ცოცხლად შეგწვანო!

შიშისაგან ცოცხალმკვდარი საბრალო თერძი მეფის წინ იდგა და ემუდარებოდა:

— თქვენო უდიდებულესობავ, დამნაშავე არა ვარო!

მეფე კი ეუბნება:

— სამი დღის ვადას გაძლევო! — და ბრძანა, — თერძი სასახლის დილეგში ჩააგდეთო. მერე ყოველ დილით მიდიოდა მეფე მოხუცთან, მისი საკნის ზღურბლზე ჩერდებოდა და ეუბნებოდა:

— დაუბრუნე უფლისწულს მხედველობა, თორემ ვბრძანებ, ცოცხლად შეგწვანო! — და თან დასძენდა:

— იცოდე, ერთი დღე უკვე გავიდა...

— იცოდე, ორი დღე უკვე გავიდაო...

უბედური მოხუცი პასუხსაც კი არ აძლევდა, მხოლოდ ცრემლად იღვრებოდა; იგი თავის უხელო შვილზე ფიქრობდა, რომლის ამბავი მის შემდეგ აღარ გაეგო, რაც დილეგში ჩააგდეს. წუხდა მის ბედზე — როგორ იქნება მარტოდმარტო ამ ქვეყანაზეო... 'უბედურო ჩემო შვილოო!» — ხმამაღლა კი მხოლოდ ამას ამბობდა.

აი, ისევ დადგა მეფე დილეგის ზღურბლზე და ეუბნება:

— დაუბრუნე უფლისწულს მხედველობა, თორემ ახლავე ცოცხლად შეგწვავენ, სამი დღე გავიდაო!

— თქვენო უდიდებულესობავ, დამნაშავე არა ვარ, შემიწყალეთ! ნება მომეცით, სიკვდილის წინ ჩემი შვილი ვნახოო.

უბოძეს ეს მოწყალება და ქალიშვილის მოყვანა ბრძანეს. მეფემ და დედოფალმა უფლისწულისგან იცოდნენ ქალის არაჩვეულებრივი სილამაზის ამბავი და მოინდომეს მისი ნახვა.

— როგორც კი ქალი იმ დარბაზში შევიდა, სადაც მეფე, დედოფალი და უფლისწული იყვნენ, მეფის ძემ ყვირილი და ტაშისცემა ატეხა:

— ვხედავ, მე მას ვხედავ, მის გვერდით ვიღაც ქალბატონიაო.

მეფეს და დედოფალს ეგონათ, რომ უფლისწული ჭკუიდან შეიშალა, რადგან არავითარი ქალბატონი იქ არ დაუნახავთ.

— ნუთუ ვერ ხედავთ? — განაგრძობდა უფლისწული. — მას ქალიშვილისათვის ხელი აქვს ჩაკიდებულიო.

— ხელი? აბა როგორ, ქალიშვილს ხომ ხელები არა აქვსო?

— მე მას ხელებიანს ვხედავ, თქვენ კი ვერც ერთს ვერ გხედავთო.

იმის გასაგებად, უფლისწული მართლა ხედავს თუ არაო, ქალს უბრძანეს, მეორე ოთახში გადიო. უფლისწული ქალს ადევნებდა უსინათლო თვალებს და თან ამბობდა:

— აი, ფანჯარას მიუახლოვდა... თავი დახარა, იატაკზე ჯდება და მოსული ქალბატონიც ასევე იქცევაო...

გაოცდა მეფე-დედოფალი, აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ.

— მზეთუნახავო, ვინ არის ის ქალბატონი, უჩინრად რომ მოგყვათო? — ჰკითხეს ქალს.

— არ ვიცი, თქვენო უდიდებულესობავ, მე სასახლეში მარტო მოვედიო...

მერე უცებ გულშემზარავად დაიკივლა:

— ვაიო!..

შეხედეს და დაინახეს, რომ მხრებიდან ჯერ თითის წვერები გამოიზარდნენ, მერე ხელის მტევნები და ბოლოს საოცრად ლამაზი ფორმის მარმარილოსავით თეთრი ხელები გამოიკვეთა. მივარდა უფლისწული, დასწვდა ქალის ხელებს, თვალებზე მოისვა და შესძახა:

— ჯადოქრულო ხელებო, განმკურნეთო!

მაგრამ სამწუხაროდ ამან ვერ უშველა.

უფლისწული ისევ და ისევ იმეორებდა:

— ჯადოქრულო ხელებო, განმკურნეთო! — მაგრამ უშედეგოდ.

— ჩუმად! — წამოიძახა უცებ უფლისწულმა... — უჩინარი ქალბატონი მელაპარაკებაო...

მეფე და დედოფალი შიშით აკანკალდნენ უჩინარი ქალბატონის წინაშე და მხოლოდ მორჩილებით კითხულობდნენ:

— რას ამბობსო?

— ქალბატონმა მითხრა:

თუ ამ ხელების მქონე
გახდება დედოფალი,
ბრმას ერთი ხელის მოსმით
აეხილება თვალიო...

ყველა მიხვდა, რომ, თუ უფლისწულს განკურნება სურდა, ქალი ცოლად უნდა შეერთო.

დედოფალი საშინლად აღშფოთდა:

— როგორ, თერძის ქალზე იქორწინოსო?!

მაგრამ მეფეს ძალიან უყვარდა შვილი და ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, გამოაცხადა:

— გაძლევთ მეფურ სიტყვას, იგი უკვე დედოფალიაო!

როგორც კი უფლისწულის თვალებს ქალის ხელები შეეხო, უმალ თვალისჩინი დაუბრუნდა.

— რა თქმა უნდა, თერძი მაშინვე გამოიყვანეს დილეგიდან და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქორწილისთვის მზადებას.

როცა ქალს სამეფო ტანსაცმელი ჩააცვეს, იგი, მართლაც, გაზაფხულის მზეზე უფრო ლამაზი გახდა. ყველანი უყურებდნენ და ხარობდნენ, მხოლოდ დედოფალი ვერ ისვენებდა და ყოველდღე ათასი წვრილმანით ავლენდა ქალისადმი ზიზღს.

სწორედ ქორწილის დღეს, სამეფო კარის წინაშე რომ დაემცირებინა, დედოფალმა ქალს უთხრა:

— ჩემი სამეფო მანტია ერთ ადგილას გარღვეულა, ვფიქრობ, თქვენზე უკეთ ვერავინ გაკერავსო!

ქალი აუღელვებლად გავიდა ოთახიდან და ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა სწორედ იმ ნემსით, რომელიც დუქნის წინ გამვლელმა ქალბატონმა აჩუქა. მუხლებზე დაეშვა და მორჩილად დაიწყო დედოფლის მანტიის გაკერვა.

მისი სილამაზისა და კეთილგონიერების დანახვაზე დედოფალი უფრო გაანჩხლდა, ქალს მანტია ხელიდან გამოჰგლიჯა და წაისისინა:

— ნემსის ხელში დაჭერაც კი არ იცითო.

— სრულიად სამართლიანად ბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ, — მორჩილად უპასუხა ქალმა: — ჩემს სიცოცხლეში პირველად მიჭირავს ხელში ნემსიო.

ნემსი დარჩა დედოფლის მანტიაში. მთელი საქორწილო ცერემონიის განმავლობაში დედოფალი გრძნობდა, თითქოს მის კაბას ვიღაც კერავდა, თუმცა არ ესმოდა, რას ნიშნავდა ასეთი საოცარი შეგრძნება. ბოლოს იგი ისე მაგრად გაკრული აღმოჩნდა, რომ მოძრაობა აღარ შეეძლო.

ნემსი კი ისევ კერავდა და კერავდა. როცა ტანსაცმელზე შეუკერავი ადგილი აღარ დარჩა, ნემსმა დედოფალს კანის კერვაც დაუწყო.

რომ იცოდეთ, როგორი კივილი ატეხა დედოფალმა! ტანსაცმლის შემოგლეჯა სცადა, მაგრამ ისე მტკიცედ იყო ნაკერი, რომ ვერ იქნა და ვერ გაარღვიეს. ნემსი კი გადის და გამოდის დედოფლის სხეულში. აკერებს ხელებს, მხრებს, ზურგს...

ბოლოს ვეღარ აიტანა ასეთი ტანჯვა და დედოფალი ქალის ფეხების წინ განერთხო. ქალი მიხვდა, რომ რომელიღაც კეთილი ფერია მფარველობდა, და ხმამაღლა შესთხოვა:

— იყავით, გულმოწყალე, კეთილო ფერიავ, იხსენით დედოფალიო!

როგორც კი ეს თქვა, ნემსმა კერვა შეწყვიტა და ნაკერი თავისთავად გაირღვა...

უფლისწული და დედოფალი დიდხანს ცხოვრობდნენ მხიარულად და ბედნიერად.

სამწუხაროა, რომ ჩვენ ასეთი ნემსი არა გვქონია.

მთავარი კი, ბავშვებო, ისაა, რომ:

უსიხარულო გადიან დღენი,
სასიხარულო დადგება ხანა,
უბედურებას თუ ხშირად ვხვდებით,
მხიარულებაც გვიპოვის, განა!

<u>მ ე ფ ე - ქ უ ხ ი ლ ი</u>

იყო ერთი მეფე, ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა, ისეთი მჭექარე, რომ ათ მილზე გაიგონებდით. დაელაპარაკებოდა ვინმეს და შორიდან კაცს ეგონებოდა, ჭექა-ქუხილიაო. ამიტომ მეტსახელად მეფე-ქუხილს ეძახდნენ.

ვეზირები და კარისკაცები ყოველდღე ელაპარაკებოდნენ მეფეს და სულ მალე დაყრუვდნენ. მათი დაყრუება კი მთელ სამეფოს სასჯელად ექცა, სამართლის საძიებლად ვეზირებთან მისული ხალხი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა, იჭაჭებოდა, მაგრამ ვეზირებსა და კარისკაცებს არაფერი ესმოდათ მათი. სამეფო საქმეები სულ უკან და უკან მიდიოდა. შეწუხდა ხალხი, მაგრამ როგორ შეებედათ მეფისთვის: — 'თქვენო უდიდებულესობავ, ვეზირებს აყრუებთო». მეფეს ეგონა, მეც სხვებივით ჩვეულებრივად ვლაპარაკობო, მაგრამ დაყრუებულ ვეზირებს მისი ხმამაღალი ლაპარაკიც რომ აღარ ესმოდათ, ბრაზდებოდა და სულ პანღურის კვრით ერეკებოდა სასახლიდან

პირველ ხანებში ყველაფერი რიგზე იყო. ოღონდ მეფე ამჩნევდა, რომ ახალი ვეზირები ხშირად ყურებზე ხელებს იფარებდნენ.

— რა მოხდა, რა დაგემართათო, — ეკითხებოდა მეფე, — ნუთუ მეეტლესავით ვყვირიო?

— ო, არა, თქვენო უდიდებულესობავ! — უპასუხებდნენ შეშინებული ვეზირები. — ყბაყურა გვჭირსო.

ყველა ახალ ვეზირს, როგორც წესი, ყბაყურა სჭირდა. ამიტომ მეფე დიდად არ ღელავდა, რადგან იცოდა, ეს სახადი საშიში სრულიადაც არ იყო. ბოლოს და ბოლოს, მეფემ ბრძანა, ვისაც ვეზირად გახდომა გსურთ, წინასწარ იექიმეთო.

კარის ექიმები აწვალებდნენ საცოდავებს: ეს მდოგვის ცხელი საფენებიაო, ეს მარიამბულას სალბუნებიო, კოტოშების დაყრაო. ისინი პატივმოყვარეობისათვის მორჩილად იტანდნენ ამ წამებას.

მეფე დროდადრო შეივლიდა ხოლმე მათ სანახავად. ეგონა, ყბაყურა უშლით კარგად გაგონებასო და კიდევ უფრო უმაღლებდა ხმას:

— აბა, როგორა ხართ, ეი, როგორა ხართო? — ისე ქუხდა მისი ხმა, ისე ქუხდა, რომ მთელი სასახლე ზანზარებდა.

— კარგად, თქვენო უდიდებულესობავ, შესანიშნავად! — უპასუხებდნენ ვეზირები.

კაცმა რომ თქვას, ცუდად, მართლაც, არა გრძნობდნენ თავს, ამდენი მკურნალობისაგან სანახევროდ დაყრუებულნი იყვნენ.

მეფეს ეგონა, ჩემს სამეფოში ყველაფერი რიგზეაო, არავინ სთხოვდა აუდიენციას, არავინ მიდიოდა საჩივრებით: დაყრუებისა ეშინოდათ და ამჯობინებდნენ, უსიტყვოდ აეტანათ ყველაფერი.

ერთხელ მეფის სასახლეში ვიღაც გლეხი მოვიდა და თქვა:

— მეფესთან მაქვს რაღაც სათქმელიო.

გაოცდა მეფე, მაგრამ ბრძანა:

— შემოვიდესო!

როცა მეფე ამ უცნაურ, ღარიბულად ჩაცმულ გლეხს ათვალიერებდა, შეამჩნია, რომ მოხუცს ყურებში საცობები ჰქონდა.

— ყურებში საცობები რადა გაქვსო? — ჰკითხა გლეხს.

— თქვენო უდიდებულესობავ, ყბაყურა მჭირსო, — უპასუხა მოხუცმა.

'აი საოცრებავ, ჩემს ქვეშევრდომებს ყველას ყბაყურა როგორა სჭირს?» — დაეჭვდა მეფე, რაღაც არასასიკეთო იგრძნო და მოიღუშა.

— არა, ჩემო კარგო, ვერ მომატყუებ, ახლავე მითხარი, რას ნიშნავს ეს საცობები, არადა, ვბრძანებ, თავი მოგკვეთონო!

გლეხმა იფიქრა, ჯანი გავარდეს, თავის მოკვეთას ისევ დაყრუება სჯობიაო და მოახსენა:

— თუ გინდა, მეფევ, სიმართლე გითხრა, უნდა შემპირდე, რომ შემიწყალებო!

— კარგი, პირობას გაძლევო! — შეჰპირდა მეფე.

მაშინ გლეხი ადგა და ყველაფერი უთხრა, რის თქმასაც სხვები ვერ უბედავდნენ.

— დიდო მეფეო, შენ ისეთი ძლიერი ხმა გაქვს, რომ ხალხი ყრუვდებაო.

მეფე ჯერ საშინლად განრისხდა, ვერ დაეჯერებინა, ფიქრობდა, თუ ასეთი ძლიერი ხმა მაქვს, რატომ აქამდე ვერ შევამჩნიეო? მაგრამ გლეხმა უთხრა:

— ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა, მეფევ ბატონო, ამიტომ დაგარქვეს მეფე-ქუხილიო.

დადარდიანდა მეფე ამის გაგონებაზე. სცადა დაედაბლებინა ხმა; კი არ ლაპარაკობდა, ჩურჩულებდა, მაგრამ ვერც ამან უშველა, ისეთი მქუხარე ხმა ჰქონდა, ისეთი მქუხარე, რომ ვინც კი მეფეს უსმენდა, ყველა ყრუვდებოდა. განრისხდა მეფე თავის წინანდელ ვეზირებზე, ბრძანა ხელ-ფეხი შეეკრათ მათთვის და საპყრობილეში ჩაეყარათ. ის გლეხი კი, ვინც სიმართლე უთხ-რა და თვალები აუხილა, ვეზირად გაიხადა და ნება დართო, ყურებში საცობები ჰქონოდა.

საბრალო მეფე ისე წუხდა თავის ნაკლზე, რომ სასახლიდან ფეხს აღარ დგამდა. ბრძანებებს ხელების მოძრაობით იძლეოდა. აბა, იფიქრეთ, რა საკადრისი იქნებოდა მეფისათვის მდუმარე, მუნჯი სიცოცხლე? განა შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ასე?

მეფეს ძალიან უნდოდა ცოლის შერთვა, უნდოდა ტახტის მემკვიდრე ჰყოლოდა. ახლა კი ხვდებოდა, რატომ ეუბნებოდნენ უარს ცოლად გაყოლაზე. გასათხოვარ ასულებს დაყრუებისა ეშინოდათ.

მეფემ იფიქრა, ასე მუნჯად სადამდე ვიყოო, ერთ მშვენიერ დღეს წამოხტა სამეფო სარეცელიდან და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მორთო ყვირილი:

— ეი, მოისმინეთ, ვინც ჩემს ხმას მომაშორებს, თავის წონა ოქროს მივცემო.

მისი ქუხილი ცხრა მთას იქით ისმოდა და ელვის სისწრაფით მოედო მთელ სამეფოს. ისე გრგვინავდა მისი ხმა, ისე გრგვინავდა, რომ, რაც ცაზე ღრუბლები იყო, ყველა ერთად მოგროვდა და ორი კვირა მის სამეფოში წვიმდა და წვიმდა კოკისპირულად. გადიოდა თვეები და არავითარი ჯადოქარი არა ჩანდა...

საბრალო მეფე-ქუხილი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, მაგრამ ერთ მშვენიერ დილით მოახსენეს: რომელიღაც შორეული ქვეყნიდან ცნობილი ჯადოქარი ჩამოვიდა და ამბობს, ვიცი, მეფეს რა ავადმყოფობა აწუხებს, და მოვარჩენ კიდეცო.

შეხედა მეფემ ჯადოქარს და რას ხედავს — კასრივით მრგვალი და მსუქანი არ არის! — ხელმწიფემ კეფა მოიფხანა და გაიფიქრა:

‘ცოტა ოქრო როდი მოუნდება მის გადაწონვას». მაგრამ ენას კბილი დააჭირა — მზად იყო ყველაფერი მიეცა, უკანასკნელი პერანგი გაეძრო, ოღონდ თავის უბედური ნაკლისაგან თავი დაეღწია.

— დიდო ხელმწიფევ! — უთხრა მეფეს ჯადოქარმა, — შენი მწუხარების მიზეზი მოჯადოებული თმააო.

მეფეს ძალიან გაუხარდა და გაიფიქრა: რა დიდი საქმეც ეგ ყოფილა, თურმე საკმარისია თავი გადაიპარსო და ყველაფერი რიგზე იქნებაო. ახლა კი შეიძლება ნაკლები გადავუხადო ჯადოქარს, რაკი საიდუმლო უკვე წამოაყრანტალა, ამოდენა ოქრო რატომ უნდა გადავყაროო.

— მხოლოდ იცოდე, დიდო მეფეო, — გააფრთხილა ჯადოქარმა, — უცებ უნდა ვიპოვოთ და ამოვგლიჯოთ სწორედ ის მოჯადოებული ღერი, თორემ ერთხელ თუ შეგვეშალა, შენს უბედურებას აღარაფერი ეშველება. და ერთადერთი არსება ქვეყანაზე, რომელიც ამის გაკეთებას შეძლებს, პრინცესა უენო გახლავთო.

— მერედა, როგორ ვიპოვო ეს პრინცესაო? — ჰკითხა მეფემ.

— პრინცესა გოგა-მაგოგში ცხოვრობს, უენო იმიტომ ჰქვია, რომ, მართლაც, უენოა. ერთი წლის, ერთი თვისა და ერთი დღის შემდეგ თქვენ მას სასახლეში იხილავთ, თუ პირობას არ გადახვალთ და წინასწარ მომცემთ ჩემს წილ ოქროსო.

— წინასწარ, ვიდრე შენი სიტყვების ჭეშმარიტებაში დავრწმუნდებოდე?

— წინასწარ, თქვენო უდიდებულესობავ! შენს ვეზირს წავიყვან, რომ პრინცესას მოელაპარაკოს.

ჩაფიქრდა მეფე. იქნებ ეს მზაკვარი დამცინის და ვეზირთან წინასწარ არის შეთანხმებულიო... ყოველ შემთხვევაში, მე მაინც არაფერს დავკარგავო... მაინც გული ეთანაღრებოდა, რომ წარმოიდგენდა, რამდენი ოქრო უნდა მიეცა ჯადოქრისათვის, მაგრამ თავს ინუგეშებდა: რას ვიზამ, რაკი ჩემ განსაკურნავად ასეა საჭიროო.

მეფემ გზა დაულოცა ჯადოქარსა და ვეზირს.

მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა. ერთ მშვენიერ დღეს დაბრუნდა ვეზირი და მეფეს მოახსენა:

ჯადოქარი სადღაც გაქრა, პრინცესა უენოსი კი ვერაფერი შევიტყვეთ, თურმე სადღაც წასულა ხელოვნური ენის შესაძენად და, აგერ, ერთი წელია, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცისო. ჯადოქარმა კი, სანამ გაუჩინარდებოდა, მითხრა:

— ეძიეთ და ჰპოვებთო! ასე სურს მეფის ბედისწერასო.

— რა გაეწყობა, — წამოიძახა დადარდიანებულმა მეფემ, — მოდი, სხვა ბრძანებას გამოვცემო!

რომ არ დაეყოვნებინა, სასახლის სახურავზე აძვრა და თავისი ომახიანი ხმით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ეი, ვინც პრინცესა უენოს იპოვის, ჯილდოდ თავის წონა ოქროს მივცემო.

მეფემ მოიარა თავისი სამეფო, მის გარეთაც კი იყო, ადიოდა მთის მწვერვალებზე და იქიდან ოთხივე კუთხით გასძახოდა:

— ვინც პრინცესა უენოს იპოვის, ჯილდოდ თავის წონა ოქროს მივცემო.

სადაც კი მეფის ხმა დაიგრგვინებდა, მთელი კვირა წვიმდა და წვიმდა გადაუღებლად, კაცი იფიქრებდა, ნამდვილი ჭექა-ქუხილიაო.

მეფე-ქუხილს მოთმინება ეკარგებოდა. ამჯერად დადარდიანებული მეფე, გაჩუმების მაგივრად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვიროდა. ისე ხმამაღლა ყვიროდა, ნაწილი ქვეშევრ-დომებისა მთლად დაყრუვდა, ნაწილი — სანახევროდ. მათ შორის დიდი გაუგებრობა და დავა იმართებოდა, ზოგს ცუდად ესმოდა, ხოლო ზოგს სულ არ ესმოდა. გაუგებრობას შეხლა-შემოხლა მოჰყვებოდა ხოლმე. მეფე ქუხილის სახელმწიფო საგიჟეთს დაემსგავსა. პოლიციამ აღარ იცოდა, რა ეღონა. აწყდებოდნენ აქეთ-იქით, ტყავიდან ძვრებოდნენ, მაგრამ სულ ტყუილად, სამეფოში ყველაზე ყრუები პოლიციელები იყვნენ, ამიტომ მუდამ დამნაშავეებს იცავდნენ, ხოლო უდანაშაულოებს ციხეში ყრიდნენ, თუმცა მეფე-ქუხილი თავის პოლიციელებს უყვიროდა: სამართლიანები იყავითო, მაგრამ, რაც მეტს ყვიროდა მეფე, მით უფრო ყრუვდებოდნენ მისი ქვეშევრდომები.

ერთხელ მეფის სასახლის წინ ოინბაზის ურიკა გაჩერდა. მორთო ოინბაზმა ყვირილი:

— აბა, ხმის აბები, ვის უნდა, ხმის აბები, ვისაც ხმა აქვს დაეკარგება, ვისაც ხმა არა აქვს, მოუვა, აბები, აბებიიი!..

მეფე-ქუხილს გულზე მოხვდა ოინბაზის ნათქვამი, თავისი მეფური ღირსების შელახვად მიიჩნია და უბრძანა:

— დააპატიმრეთ და ახლავე აქ მომგვარეთ ეგ უტიფარი მკვეხარაო!

მიჰგვარეს ოინბაზი მეფეს. მეფემ ჰკითხა:

— რისი თქმა გინდა, რომ ყვირიხარ: ვისაც აქვს — დაკარგავს, ხოლო ვისაც არა, მოუვაო?

— ჭეშმარიტებას მოგახსენებ, თქვენო უდიდებულესობავ, გასინჯეთ და დარწმუნდებითო.

მეფე დაჟინებით დააცქერდა ოინბაზს, ტანსაცმელი კაცისა ეცვა, მაგრამ ისეთი ლამაზი და მიმზიდველი იყო, მოკლედ შეკრეჭილი თმა რომ არა, ქალი გეგონებოდათ.

— ვინა ხარ და რა გქვიაო? — ჰკითხა მეფემ.

— უენოს მეძახიან, მაგრამ როგორც ხედავთ, პატარა შეცდომა მოსვლიათ, მე ენაგრძელი უფრო შემეფერება სახელად, ვიდრე უენო. ასეთი ხელობა მაქვს, რა გაეწყობაო!

და სრულიად მოურიდებლად, თითქოს მეფის სასახლის დარბაზში კი არა, მოედანზე ყოფილიყოს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვირილი მორთო:

— ხმის აბები, ხმის აბები... ვისაც ხმა აქვს — დაეკარგება, ვისაც ხმა არა აქვს, მოუვა! აბები, აბები!..

გამხიარულდა მეფე, გადაიხარხარა და ოინბაზს უთხრა:

— აბა, მომეცი შენი აბები, მინდა ვსინჯოვო.

ჰოი, საოცრებავ! მეფე უცებ გამოჯანმრთელდა, ხმა გაუნახევრდა.

აბა, ამის შემდეგ ვინღა დააკავებდა მეფე-ქუხილს? ისე ეცა აბებს, როგორც ქათამი საკენკს, კბილს არ აკარებდა ისე ყლაპავდა და ყლაპავდა, ლამის დაიხ-რჩო. სულ ცოტა ხანში ერთი აბიც არ დარჩენია გადაუყლაპავი. ხელმწიფის ხმა თითქოს მიწამ შთანთქაო, ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, ისე ხმადაბლა, რომ, თუ გინდოდათ რამე გაგეგონათ, ყური მის ტუჩებთან უნდა მიგეტანათ და თან ხელი მიგეშველებინათ.

— ასე სჯობიაო! — თქვა გახარებულმა მეფემ.

ბრძანება გასცა, სამეფოში დიდი დღესასწაული გაემართათ, თამაშობები მო-ეწყოთ, შუშხუნები გაეშვათ და ხალხს პურ-მარილითა და ღვინით გამასპინ-ძლებოდნენ.

— მითხარ, რა გინდა? — ჰკითხა მეფემ ოინბაზს. — რაც არ უნდა მთხოვო, ყველაფერს შეგისრულებო.

— სასახლეში ერთი ოთახი დამითმონ, სადაც ძე-ხორციელს, თვით მეფესაც კი არ ექნება შემოსვლის უფლება და ყოველდღე სადილ-ვახშამი მომართვანო, — სთხოვა ოინბაზმა.

— მეტი არაფერი გინდაო? — ჰკითხა მეფემ. — კარგი, ასე იყოსო.

ახლა, ისე დაუსუსტდა მეფეს ხმა, რომ ჩვეულებრივი ლაპარაკიც კი ღლიდა.

— რას ღრიალებთ, — საყვედურობდა ყველას, — მგონი, ყრუ არ უნდა ვიყო!

საკმარისი იყო მეფესთან ორი-სამი წუთი ყოფილიყო ადამიანი, რომ უსაზ-ღვროდ დაღლილიყო.

ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება ჩუმად ელაპარაკა. ამ ცდაში ცოტა ხნის შემდეგ სასახლეში ყველამ, დაწყებული ვეზირებით და გათავებული ჭურ-ჭლის მრეცხავით, ხმა დაკარგა. მეფის ქვეშევრდომებს სმენა თანდათან უბრუნ-დებოდათ, რაკი მეფის მქუხარე ხმა აღარ ესმოდათ, მაგრამ მისი უდიდებულე-სობის საამებლად, ნაწილობრივ კი მოდის აყოლით, ხალხმა ისე ჩუმად დაიწყო ლაპარაკი, რომ, თუ ამ სახელმწიფოს წინათ ‘ყრუების სამეფო» შეეფერებოდა სახელად, ახლა თამამად შეგეძლოთ ‘ჩურჩულის სამეფო» გეწოდებინათ.

ოინბაზი კი არხეინად ცხოვრობდა სასახლეში, მეფის ლაპარაკი მშვენივრად ესმოდა და თვითონაც ხმის დაუწევლად ელაპარაკებოდა: თუმცა საკმაოდ ცი-ვი და გამყინავი ხმა ჰქონდა, მეფე მაინც არ ეუბნებოდა:

— რას ღრიალებ? განა დავყრუვდიო?

ვითომდა რაო, განა მასაც ისეთივე ენა არა ჰქონდა, როგორიც სხვებს?

ხალხი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, როცა ერთხელ ვიღაცის მიამიტ ხუმ-რობაზე, ოინბაზი საშინლად გაბრაზდა. მერე და იცით, რა უთხრეს?

ერთი შენი ენა გვიჩვენე, გვინდა ვნახოთ, როგორი ენა გაქვსო.

აბა, რა იყო აქ გასაბრაზებელი, მაგრამ ოინბაზი ატირდა, ფეხები დააბაკუნა და თავის ოთახში შევარდა. ძალზე მაგრად ჩაიკეტა კარი და განაცხადა, ამის შემდეგ ოთახიდან არაფრის გულისთვის აღარ გამოვალ, რომ აღარავინ მითხრას 'ენა მიჩვენეო».

მოახსენეს ვეზირს ეს ამბავი. იგი მეფის სახელით მივიდა ოინბაზთან და უთხრა:

— რა გაბრაზებს, შენი ენის ნახვა უნდათ. შენც ადექი და აჩვენე, აი, ასეო, — და ენა გამოყო.

ოინბაზმა მისდა უნებურად მიბაძა ვეზირს, მაგრამ ენა პირიდან გადმოუვარდა, იატაკზე დაეცა და თითქოს თიხისააო, ათას ნამსხვრევად იქცა.

გაოცდა ვეზირი! შუბლზე ხელი იტკიცა და თვალის დახამხამებაში მეფესთან გაჩნდა.

— თქვენო უდიდებულესობავ! თქვენო უდიდებულესობავ! პრინცესა უენო გამოცხადდა... დღეს ხომ ზუსტად ერთი წელი, ერთი თვე და ერთი დღე შესრულდა ჯადოქრის წინასწარ-მეტყველებიდანო.

უცებ, სასახლეში ყველაფერი ყირაზე დადგა. ხალხმა ოინბაზის კართან მოიყარა თავი, უნდოდათ უსათუოდ შესულიყვნენ შიგ, რომ პრინცესა უენო ენახათ. ამაოდ გაიძახოდა მეფე, მის ოთახში შესვლის უფლება არავის არა აქვსო, მეც კი ვერ შევალ, სიტყვა მივეციო! ვინ უგდებდა მეფეს ყურს? ხედავდნენ, როგორ შლიდა ხელებს, ტუჩებს როგორ აცმაცუნებდა, მაგრამ რას ამბობდა, ვერ არჩევდნენ. მიირბინა მასთან ვეზირმა, ყური ტუჩთან მიუტანა, მაგრამ მეფე გაბრაზდა და ისეთი პანღური ამოჰკრა, მოხუცი ბურთივით გადაგორდა ხალხში.

საბედნიეროდ, მოულოდნელად კარი გაიღო და მათ გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა შუა ოთახში ოქროს უზარმაზარი გროვა დაინახეს. ოქროს გროვაზე მშვენიერი ახალგაზრდა ქალი იჯდა. ქალს მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი მდიდრული ტანსაცმელი ემოსა, ოქროს თმები გაეშალა, ერთი ხელი ნიკაპზე ჰქონდა მიდებული, ხოლო მეორეში მარაო ეჭირა და მშვიდად ინიავებდა.

ოქროს გროვა სწორედ იმოდენა იყო, რამოდენაც მეფემ მსუქან და კასრივით დამრგვალებულ ჯადოქარს მისცა.

თვალის დახამხამებაში დაეცა მეფე პრინცესას ფეხებთან და თავი მუხლებზე დაუდო.

პრინცესამ მარაო დაკეცა და მეფესთან თავიდან მოჯადოებული თმის ღერი ამოჰგლიჯა. თმა აბრიალდა და მის თითებში ჩაიწვა.

— გმადლობთ, პრინცესა უენოვ! გმადლობთ, ჩემო დედოფალო! — წარმოსთქვა მეფემ ისეთი სასიამოვნო ხმით, რომლის მსგავსიც აქამდე არავის სმენია მთელ დედამიწის ზურგზე.

— შენც გმადლობთ, მეფე-ქუხილო, ჩემო მეუღლევ და მბრძანებელო!

იმ წუთას, როგორც კი მეფე განიკურნა, პრინცესას მოეხსნა ჯადო და ენა ამოიდგა. სწორედ ასე უწინასწარმეტყველა ჯადოქარმა, როცა ხელოვნურ ენას აძლევდა, აი, იმ ენას, ქალს რომ პირიდან გამოუვარდა და დაიმსხვრა.

— ასეთია თქვენი ბედი, — თქვა ვეზირმა, — ბედმა ცოლ-ქმრობა გარგუნათ, ახლა კი შემიძლია დაგტოვოთ...

— რატომ, რატომ? — იყვირა მეფემ.

მაგრამ მეფის სიტყვებს ყური არავინ ათხოვა, ვეზირი ნამცეცა მარდ ქონ-დრისკაცად იქცა, ოქროს გროვაში შეძვრა და გაუჩინარდა.

თურმე ნუ იტყვით, ჯადოქრების მსახური ყოფილიყო.

მხიარულმა და კმაყოფილმა მეფემ და პრინცესამ იქორწინეს, ძალიან დიდი ქორწილი გადაიხადეს. მეფემ შეიწყალა ყველა თავისი წინანდელი მინისტრი და თავიანთი ადგილები დაუბრუნა.

ახლა დაყრუების საფრთხე აღარ ემუქრებოდათ. თუმცა, ხალხი ამბობდა: ვშიშობთ, სამუდამოდ ყრუებად არ დარჩნენ, — ვიცოცხლოთ და ამასაც ვნახავ-თო.

<u>მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეწისქვილე. ჰყავდა ორი ლამაზი ქალი, ერთს ერქვა როტა (ბორბალ-ბორბალა), მეორეს კი ტრამოჯია (წისქვილის ქვა).

ხალხი მიდიოდა წისქვილში ხორბლის დასაფქვავად და სიცილით ეკითხე-ბოდნენ მეწისქვილეს:

— ნათლიმამ, ქალებს როდი გაათხოვებო?

— როცა მთხოვნელი გამოჩნდებაო, — უპასუხებდა მეწისქვილე.

— მზითევში რას გაატანო?

— არაფერს! როტას გავასაჩუქრებ, ტრამოჯიას მუქთად მივცემო.

— მოხერხებული კაცი ხარ, ნათლიმამ!

ყოველ დილას, მზის ამოსვლისას, მეწისქვილე აიღებდა ხელში ზღვის დიდ ნიჟარას, ჩაბერავდა საყვირივით და თან ხმამაღლა დაამღერებდა:

პუმ-პუმ...
პუმ-პუმ...
ამ ჩემს წისქვილს,
ხალხო, თქვენთვის სცალია,
მზე ბეჯითად შრომობს ცაში
უკვე დიდი ხანია.
ტუმ-ტუმ...
ტუმ-ტუმ...
ამობრწყინდა
მზე და ამოაშუქა.

ვინც პირველი მოვა ჩემთან,
ის მიიღებს საჩუქარს!

ერთ მშვენიერ დილას წისქვილში სასახლის მსახური მივიდა და ხორბლით დატვირთული ჯორი მიიყვანა. ჩამოიფქვა ხორბალი, მსახური კი დგას, ფეხს არ იცვლის. მეწისქვილემ ჰკითხა:

— რას უცდიო?

— ხელმწიფემ დაპირებული საჩუქრის მიღება მიბრძანაო.

— კარგი, ეს გოგო წაიყვანეო, — და მსახურს თავისი უფროსი ქალი როტა გააყოლა. მაგრამ მეფემ ქალი უკან გამოუბრუნა და შემოუთვალა: — მეფეს ისეთი საჩუქარი არა სურს, ჭამა-სმა რომ უნდაო!

— ძალიან კარგიო! — ჩაილაპარაკა მეწისქვილემ. — მაშ, ეს წაუღეო, — და მეფის მსახურს ხარის რქა მისცა.

მეფე განაწყენდა და გადაწყვიტა, შური ეძია მეწისქვი-ლეზე.

მეორე დილას მეწისქვილემ ისევ ჩაჰბერა ნიჟარას და დაამღერა:

პუმ-პუმ...
პუმ-პუმ...
ამ ჩემს წისქვილს,
ხალხო, თქვენთვის სცალია,
მზე ბეჯითად შრომობს ცაში
უკვე დიდი ხანია.
ტუმ-ტუმ...
ტუმ-ტუმ...
ამობრწყინდა
მზე და ამოაშუქა.
ვინც პირველი მოვა ჩემთან,
ის მიიღებს საჩუქარს!

ისევ მეფის ის მსახური მივიდა მეწისქვილესთან. ახლა ორი ჯორი მიიყვანა ხორბლით დატვირთული. ჩამოიფქვა ხორბალი, მსახური კი დგას და ფეხს არ იცვლის.

— რაღას ელოდებიო?

— მეფემ საჩუქრის მიღება მიბრძანაო.

— აჰა, წაუყვანეო, — და მსახურს თავისი მეორე ქალი, ტრამოჯია გააყოლა. ხელმწიფემ ქალი ისევ უკან დაუბრუნა და შემოუთვალა: მეფეს ისეთი საჩუქარი არა სურს, ჭამა-სმა რომ უნდაო.

— ძალიან კარგიო! — უპასუხა მეწისქვილემ. — მაშ, ეს წაუღეო, — და მსახურს ხარის მეორე რქა მისცა.

უარესად გაბრაზდა მეფე და ბრძანა, მეწისქვილე დილეგში ჩააგდეთო.

მიჰგვარეს მეწისქვილე მეფეს.

მეფემ ჰკითხა:

— ეს რქები რომ მაჩუქე, გუნებაში რა გქონდაო?

— დიდო ხელმწიფევ, მინდოდა, დოვლათი და ბარაქა მომერთმია, მაგრამ რა გაეწყობა, თუკი არ მოგეწონა, უკან წა-ვიღებო.

— ჰოდა, წაიღეო! — დაუყვირა მეფემ.

გაუშვა მეფემ მეწისქვილე. მიდის მეწისქვილე შინისაკენ, მიდის და გზადაგზა ხალხი ეკითხება:

— ჰეი მეწისქვილევ, ეგ რქები ვისიაო?

— ჩემია! — უპასუხებს მეწისქვილე, — ერთს გავასაჩუქრებ, მეორეს მუქთად მივცემ, ვისაც უნდაო.

ასე დაბრუნდა შინ იღლიებში რქებამოჩრილი მეწისქვილე.

ხალხი დადიოდა წისქვილში, ფქვავდნენ, ხუმრობდნენ და მეწისქვილეს ეკითხებოდნენ:

— ნათლიმამ, შვილებს როდის გაათხოვებო?

— როცა მთხოვნელი გამოჩნდებაო.

— მზითევში რას მისცემო?

— აი, ეს ორი რქა მაქვს, ერთს როტას მივცემ, მეორეს — ტრამოჯიასო.

— დიდი მოხერხებული კაცი ხარ, ნათლიმამ, მაგრამ რქა ხომ წყვილად იზრდება შუბლზეო.

— ასეთი რქა ერთიც საკმარისია, ვისაც ეს არა სჯერა, იმან იჩივლოსო.

ამასობაში მეფე კარგად დაუფიქრდა მეწისქვილის პასუხს და ძალიან ინანა, რქები უკან რად დავუბრუნეო. ადგა, მეწისქვილესთან მსახურები გაგზავნა და დააბარა: მეფე თავის საჩუქრებს უკან თხოულობსო.

— არაფრით არ შემიძლია! ის რქები ჩემს შვილებს დავპირდი მზითევში და მეფემ ან ერთი უნდა შეირთოს ან მეორე, რომ ერთი რქა მაინც მივცეო.

დაბრუნდნენ მსახურები მეფესთან. ასეთმა პასუხმა კიდევ უფრო დააფიქრა მეფე: ‘ვინ იცის, იქნებ ის რქები მართლა სიუხვისა იყოო».

ისევ გაუგზავნა მსახურები მეწისქვილეს და შეუთვალა:

— მის უდიდებულესობას სურს, სანამ დაქორწინდებოდეს, შეიტყოს, მართლა სიუხვის რქებია ეგ რქები, თუ არაო?

მეწისქვილემ უპასუხა:

— იმან იჩივლოს, ვისაც არა სჯერაო.

ბავშვებო, ჩვენს შორის დარჩეს და, მეფემ დაიჯერა მეწისქვილის სიტყვები. თუმცა უთვალავი ქონება ჰქონდა, მეწისქვილის ჯადოსნური რქების ხელში ჩაგდება მაინც მოუნდა, მაგრამ ფქვილში ამოგანგლული მეწისქვილის ქალი ცოლად როგორ შევირთოო, ესირცხვილებოდა.

მეფე დღე და ღამ ამ რქებზე ფიქრობდა. ძილშიც კი ისინი ესიზმრებოდა, ვითომ ეუბნებოდა: ‘აბა, რქავ, ესა და ეს მომართვი», — და მაშინვე ყველაფერი მის წინ გაჩნდებოდა. აი, სასწაულიც ამას ჰქვიოდა!

‘რა კარგი იქნება, ცხადშიც რომ ასე იყოს!» — ფიქრობდა მეფე და თავიდან ვერ იშორებდა ამ აზრს. სათათბიროდ ვეზირები მიიწვია და გამოუცხადა:

— მეწისქვილის ქალზე დაქორწინება მინდაო.

ვეზირებმა უთხრეს:

— ხელმწიფემ მხოლოდ ხელმწიფის ქალზე უნდა იქორწინოსო.

— ჯერ სიუხვის რქა ვიგდო ხელთა და მერე მე ვიცი, რასაც ვიზამო.

ვეზირებმა მორჩილებით დახარეს მხცოვანი და მელოტი თავები.

ერთი ვეზირი მეწისქვილესთან წავიდა და მეფის სახელით მოახსენა: — მეწისქვილევ, მეფეს შენს ერთ-ერთ ქალზე დაქორწინება სურსო.

— ჰოდა, როტას საჩუქრად მივართმევ, ტრამოჯიას კი მუქთად მივცემ და ამ რქებსაც მზითევში გავატანო.

მეფე დაქორწინდა მეწისქვილის უფროს ქალზე და მზითევში ერთი რქა წაიღო. ქორწილის საღამოს მეფემ უთხრა როტას:

— წავიდეთ, შენ ოთახს გაჩვენებო, — და ჩაუძღვა ცოლს კიბეზე. რაც უფრო ქვემოთ ეშვებოდნენ, თანდათან ბნელდებოდა და კიბეც სულ უფრო ციცაბო ხდებოდა. ბოლოს ისეთ ჯურღმულში ჩავიდნენ, სადაც სინათლის ერთი სხივიც კი ვერ აღწევდა. მეფემ ჰკრა ხელი ქალს, გამოიხურა კარი და ცხრაკლიტულში გამოკეტა ცოლი. როტამ ამის დაყვირებაღა მოასწრო:

— მეფევ, ეს ხომ ღალატიაო!

მეფემ ამოირბინა დარბაზში, შევარდა თავის ოთახში, გადაკეტა კარი, დასტაცა ხელი რქას და უბრძანა:

— აბა, მარგალიტებო და ბრილიანტებო, გადმოცვივდითო!

რქიდან მაშინვე უამრავი თვალ-მარგალიტი გადმოიბნა.

მეორე დილას სასახლეში მეწისქვილე მივიდა ქალის სანახავად, სასახლეში უთხრეს:

— ხვალე მოდი, შენს ქალს სძინავსო.

მეორე დღესაც მივიდა მეწისქვილე შვილთან, მაგრამ ახლაც ასევე უთხრეს:

— ხვალე მოდი, შენი შვილი სადილს მიირთმევსო.

მესამე დღესაც მივიდა მეწისქვილე შვილის სანახავად, სასახლეში უთხრეს:

— შენი შვილი მოკვდა და დავასაფლავეთ კიდეც, მხოლოდ ერთ დღეს იდედოფლაო.

ატირდა საბრალო მეწისქვილე და წავიდა შინ.

მეფე კი თავისას არ იშლიდა: მეორე რქაც რომ როგორმე ხელში ჩამაგდებინა, ამას არაფერი აჯობებდაო.

მეწისქვილეს კაცი გაუგზავნა და დააბარა: თქვენს მეორე ქალზე უნდა ვიქორწინოო.

— კარგიო! — თქვა მეწისქვილემ. — როტა ხომ ვაჩუქე, ტრამოჯიას მუქთად მივცემ და მეორე რქასაც მზითვად გავატანო.

დაქორწინდა მეფე ტრამოჯიაზე. საღამოს, როგორც კი ქორწილის ხალხი წავიდ-წამოვიდა, მეფემ ქალი იმავე კიბეებით ქვესკნელში ჩაიყვანა, შეაგდო ჯურღმულში და ცხრაკლიტულში გამოკეტა. ქალმა ამის დაყვირებაღა მოასწრო:

— მეფევ, ეს ხომ ღალატიაო!

მეფე ამოვიდა ზევით, შევიდა თავის ოთახში, აიღო მეორე რქა და უბრძანა:

— აბა, ჩქარა, ოქრო და ვერცხლიო!

მაშინვე რქიდან უამრავი ოქრო და ვერცხლი გადმოიბნა.

მეორე დილას მეწისქვილე სასახლეში მივიდა შვილის სანახავად. მაგრამ ასე უთხრეს:

— შენი შვილი მოკვდა და დავმარხეთ კიდეც, მარტო ერთი ღამე იდედოფლაო.

ატირდა საბრალო მეწისქვილე და წავიდა შინ.

ადგა დილით და რას ხედავს, საფქვავი არავის მოუტანია. აიღო თავისი ნიჟარა და ხმამაღლა დაამღერა:

პუმ—პუმ...
პუმ—პუმ...
ამ ჩემს წისქვილს,
ხალხო, თქვენთვის სცალია!
მზე ბეჯითად შრომობს ცაში
უკვე დიდი ხანია.
ტუმ—ტუმ...
ტუმ—ტუმ...
ამობრწყინდა
მზე და ამოაშუქა.
ვინც პირველი მოვა ჩემთან,
ის მიიღებს საჩუქარს!

ისევ მივიდა წისქვილში მეფის მსახური და მიიტანა ხორბალი. ხორბალი ჩამოიფქვა, მაგრამ მსახური წასვლას არ აპირებს, დგას და იცდის. მეწისქვილემ ჰკითხა:

— რას უცდიო?

— მეფემ საჩუქრის მიღება მიბრძანაო.

— აი, ეს წაუღეო, — და მსახურს ძველი, დაკერებული ფეხსაცმელი მისცა.

მეფეს რომ საჩუქარი მიუტანეს, იფიქრა: უთუოდ ამ ფეხსაცმელში რაღაც ეშმაკობა იმალება. ჯერ მეორე ცალიც ხელთ ვიგდო და მერე ვნახოო.

მეორე დილას გაიგონა თუ არა სასახლის აივნიდან მეწისქვილის ძახილი, მაშინვე გაგზავნა წისქვილში მსახური და მეორე ფეხსაცმელიც მოატანინა. კმაყოფილმა მეფემ გამოიტანა რქები და ძველი ფეხსაცმელები და ჩაიკეტა თავის ოთახში. უნდოდა ერთი ენახა, რა სასწაული მოხდებოდა. რქებიდან დაიწყო. აიღო ორივე რქა და უბრძანა:

— მარგალიტებო და ბრილიანტებო, ოქრო და ვერცხლო, აბა, გადმოცვივდითო.

წამოვიდა უამრავი თვალმარგალიტი და ბრილიანტი, ოქრო და ვერცხლი და პირთამდე გაავსო ძველი ფეხსაცმელები. ფეხსაცმელები თითქოს გაგიჟდნენო, მოჰყვნენ ცმუკვას და ხტომას, დაერივნენ მეფეს დააპანღურეს და დააპანღურეს, სულ კოპები დაასხეს და დაალილავეს.

მეფემ კარი გააღო და ოთახიდან გამოვარდა, მაგრამ ფეხსაცმელები მაინც არ დაეხსნენ, მთელი ეზო შემოარბენინეს. გამოცვივდნენ სასახლიდან ვეზირები და მსახურნი, უნდოდათ დაეჭირათ ფეხსაცმელები, მაგრამ, საქმეში ხართ, ფეხსაცმელები არავის ნებდებოდნენ. მთელი სასახლე ფეხზე დადგა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიხსნეს მეფე. გამწარებული მეფე კიბეებზე დაეშვა, მაგრამ უცებ ფეხი გაუსხლტა და ძირს გაიშოტა. ფეხსაცმელები კი მოასხდნენ ზურგზე და მიწაზე მიაჭყლიტეს.

— არიქა, მეწისქვილეს დაუძახეთ! მეწისქვილეს დაუძახეთო! — ახრიალდა მეფე.

აფრინეს მეწისქვილესთან კაცი, მაგრამ მეწისქვილემ უარი სტკიცა მეფეს.

— ვერ წამოვალ, წისქვილის თვალი გაჩერდა, ქვა აღარა ბრუნავს. აი, შვილები რომ აქა მყვანდნენ, მაშინ კი წამოვიდოდიო...

მიწაზე გართხმული მეფე ძლივსღა სუნთქავს, ხედავს, სიკვდილი უახლოვდება და ბრძანებს:

— ჩადით ჯურღმულში, ამოიყვანეთ როტა და ტრამოჯია, იქა მყავს ჩაკეტილები, იმათი ცოდო მეწია, იმან ჩამაგდო ამ სატანჯველში, ჩქარა, ჩქარაო.

მეფეს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ფეხსაცმელები ზურგიდან გადმოცვივდნენ: ერთი ერთ მხარეს გადახტა, მეორე მეორე მხარეს. წამოდგა ხელმწიფე ფეხზე კვნესა-ოხვრით. მოირბინეს ვეზირებმა და მოახსენეს:

— დიდო ხელმწიფევ, როტა და ტრამოჯიამ თქვეს: მეფემ ჩაგვკეტა აქ და მეფემ გამოგვიყვანოსო.

უმძიმდა მეფეს ქალებთან შეხვედრა. მაგრამ ფეხსაცმელები ისეთი მუქარით წამოიქოჩრნენ, რომ ნაცემ-ნაბეგვი მეფე წელზე ხელებშემოწყობილი ოხვრითა და კვნესით ძლივძლივობით წალასლასდა ჯურღმულისაკენ.

იმ ოთახში, სადაც როტა იჯდა, შეჭვარტლულ-დაობებულ კედლებსა, ჭერსა და იატაკს ვეღარ იცნობდით, ისე იყო ფქვილით თეთრად შეფეთქილი.

— მობრძანდით, თქვენო აღმატებულებავ, დიდი ხანია გელოდებითო, — უთხრა როტამ მეფეს. მოულოდნელად სწვდა მკლავში და წისქვილის ქვასავით დააბზრიალა ოთახში. მეფეს სული ეხუთებოდა, ყვიროდა, ფეხებს ჰაერში ასავსავებდა. ბოლოს, როგორც იყო, გაუშვა ხელი როტამ. მეფე გარეთ გამოვარდა, ქალი კი, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, იატაკზე დაჯდა და თქვა:

— ახლა წადით და მამაჩემი მოიყვანეთო.

იმ ოთახის შეჭვარტლულ-დაობებული კედლები, იატაკი და ჭერი, სადაც ტრამოჯია იჯდა, ახლა ოქროსფერი ხორბლით იყო მოფენილი. ტრამოჯიამ დაინახა თუ არა მეფე, მაშინვე მიიპატიჟა:

— მობრძანდით, თქვენო აღმატებულებავ, დიდი ხანია გელოდებითო.

მაგრამ მეფეს ფეხები უკან რჩებოდა, ეშინოდა ოთახში შესვლისა...

მაშინ ტრამოჯია სწვდა მკლავში და დაუწყო ნჯღრევა, თან თითქოს საფქვავიაო, ზემოთ-ზემოთ ისროდა. მეფე ხვნეშოდა, ყვიროდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ტრამოჯიამ გარეთ ისროლა და ჩაილაპარაკა:

— ახლა წაბრძანდი და მამაჩემს დაუძახეო.

გულმოკლული მეწისქვილე უხალისოდ მილასლასდა სასახლეში და ჰკითხა მეფეს:

— რას მიბრძანებ, დიდო მეფეო?

— შენი არაფერი მინდა, ამასა გთხოვ, მომაშორე თავიდან როტაც და ტრამოჯიაც, შენი რქებიცა და ფეხსაცმელებიცო, — შეეხვეწა მეფე.

— კარგი, მაგრამ თუ მშვიდი და წყნარი ცხოვრება გინდა, ერთი რამ შენც უნდა დათმოო, — უთხრა მეწისქვილემ.

— რაო?

— ერთი წელი და ერთი თვე და ერთი დღე მე ვიმეფებ, შენ კი მეწისქვილედ დადექიო. ამასობაში ჩემი შვილები ნამდვილი დედოფლები გახდებიან, შენ კი უნდა დაისაჯო: ცარიელ-ტარიელი, უცოლოდ და უმზითვოდ დარჩეო.

მეტი რა გზა ჰქონდა მეფეს, დაემორჩილა ბედს — მისცა მეწისქვილეს თავისი გვირგვინი, სამეფო კვერთხი და მოსასხამი, თვითონ კი მეწისქვილის ტანსაცმელი გადაიცვა და წისქვილში წავიდა.

ხალხს ეშინოდა მეფის წისქვილში საფქვავის დაფქვისა. ამაოდ დგებოდა მეფე ალიონზე, ამაოდ ჩაჰბერავდა ხოლმე ნიჟარას და გაიძახოდა:

პუმ-პუმ...
პუმ-პუმ...
ამ ჩემს წისქვილს,
ხალხო, თქვენთვის სცალია,
მზე ბეჯითად შრომობს ცაში
უკვე დიდი ხანია.
ტუმ-ტუმ...
ტუმ-ტუმ...
ამობრწყინდა
მზე და ამოაშუქა.
ვინც პირველი მოვა ჩემთან,
ის მიიღებს საჩუქარს!

უქმად იდგა წყალში წისქვილის თვალი, დოლაბში ფქვილის მატლები ფუთფუთებდნენ. იჯდა მეფე გულხელდაკრეფილი წისქვილის კარებში დილიდან საღამომდე და უსაქმურობისაგან ამთქნარებდა. საფქვავი კი თითქოს განგებ არადა არ ჩანდა. შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, მეფე იძულებული გახდა, ბაყაყები და კიბოები დაეჭირა და ეჭამა.

ათასში ერთხელ თუ ვინმე ჩაივლიდა წისქვილთან, მეფე შეეკითხებოდა:

— ახალი ხომ არაფერია, ნათლიმამ?

— არის, როგორ არა, როტა გათხოვდაო! — უთხრეს ერთხელ.

— მით უკეთესი, ნათლიმამ, — გაუხარდა მეფეს.

ამ დროისათვის უკვე ექვსი თვე იყო გასული დათქმული ვადიდან.

მეფე ისევ ისე გულხელდაკრეფილი იჯდა წისქვილის კარებში დილიდან საღამომდე და უსაქმურობისაგან მოწყენილი ელოდა, საფქვავი ხომ არავის მოაქვსო. შიმშილით რომ არ მომკვდარიყო ძველუბრად ბაყაყებს და კიბოებს იჭერდა და ჭამდა. ჩამოხმა საბრალო მეფე. ძვალი და ტყავიღა დარჩა. ათასში ერთხელ თუ ვინმე ჩაივლიდა წისქვილთან, შეეკითხებოდა:

— ახალი ხომ არაფერია, ნათლიმამ?

— აი, ტრამოჯია პორტუგალიის მეფეს გაჰყვა ცოლადო, — უთხრეს კიდევ, ექვსი თვე რომ გავიდა.

— მადლობა ღმერთს! — გაუხარდა მეფეს.

ზის მეფე, ისევ ელოდება, როდის მოვა დანიშნული დღე.

ვადამდე რამდენიმე დღეღა იყო, რომ მეფის ტანსაცმელში გამოწყობილი მეწისქვილე თავისი ამალით ნამდვილ მეფესთან მივიდა.

— რასა გავს ეს? — უთხრა მეფე-მეწისქვილემ ნამდვილ მეფეს, — წისქვილის თვალი გაგიჩერებია, დოლაბები მატლს გაულევიათ, ყველაფერი შეაკეთე, თორემ გამოცდას თავიდან ჩაგიტარებო.

რაღას იზამდა, ყველაფერი შეაკეთა მეფემ.

ბოლო დღეს მეწისქვილე ისევ მივიდა წისქვილში მთელი სასახლის ვეზირების თანხლებით, მაგრამ რა ნახეს! საბრალო ნამდვილი მეფე ერთი წლისა, თვისა და ერთი დღის მანძილზე მხოლოდ ბაყაყებისა და კიბოების ჭამით ისე მისუსტებულიყო, სულსა ღაფავდა.

— ახია ჩემზე! — თქვა ნამდვილმა მეფემ და მეფე-მეწისქვილეს მიუბრუნდა:

— რაკი მეფე ხარ, მეფედვე დარჩიო, — და სული განუტევა.